1996/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

9-10

1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

სექტემბერ–ოქტომბერი № 9-10

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

გამოიცვლიეს, ქნარო!

3. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

7. ანზორ აბულაძისი – ლექსები
11. თამაზ ჭილაძე – როცა შუქი ქრება. პოესა
39. ჯანო ჯანელიძე – ლეგენდა მზისაკენ გაფრენისა. ლირიკული პოემა.
44. გიორგი გიგაური – ლექსები
46. ბევი მაღლელარია – შეხვედრა გამზირზე. რომანი. დასასრული
73. გურამ ნემსაძე – ფალი. ლექსი
75. ჯარჯი ფხოველი ფურცლები.
103. სათნა ფულაძე – ლექსები
105. ლეონო კაკაბაძისი – ლექსები
108. ბესიკ მაღლაკელიძე – განხილვა. მოთხრობა
116. დავით გაგუნია – ლექსები
118. გიორგი მინდიაური – ლექსები

ყველას რაიმე აქვს სასლოვარი

120. ფურმან ჯგუბურია – „გალაკტიონი არ იყო აქ...“. ლექსები

ასალი თარგმანები

133. **ბაბრიელ გარსია მარკესი** – გენერალი თავის ლაბირინთში. გაგრძელება. ესპანურიდან თარგმნა **თეა გვასალიამ**

შიო მღვიმელი – 130

154. ლოვიო მანაჯაშვილი – შიო მღვიმელის „სალაშქრო“ ლექსები

ფეიერვერკები

157. ამირან გოგართელი – „პეტერბურგის“ ალუზია „სანაპარდოში“
160. ტიტე ლლონტი – ალეძსანდრე ყაზბეგის ავადმყოფობა, პიროვნების ნაკლი და პეტერბურგის საკითხი
179. ჯუმბერ ქორჩილავა – ქართველი უნიკალური ტიტე ლლონტი
182. გრიგორ უარულავა – ასკეზი – მხედრობა

მთავარი რედაქტორი
ზაური კალანდია

სარედაქციო სხვენი:

ბაღათურ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ელზა მეტრეველი
(მთ. რედაქტორის მოადგ.)
ლევან ბალაზონია
მიხო მოსულიშვილი
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო სხვენი

ნოდარ გრიბალაშვილი
ბევი ბებეშაური
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ეკზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მხედლური
ბიბი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
რისტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
მიხო მოსულიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲝᲙᲣᲛ

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ 60

ᲚᲝᲢᲑᲐᲠᲘᲡᲐᲚᲔᲘ. „ᲐᲚᲗᲘᲫᲛᲘᲡ ᲨᲠᲝᲨᲐᲜᲖᲔ“.
ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲐ. ᲛᲝᲫᲛᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲛᲑᲝᲚᲓᲐ ᲨᲣᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ
ᲪᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ,
ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲫᲪᲐ ᲘᲝᲐᲑᲘ,
ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲣᲡᲠᲐ
ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲘᲓᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲚᲝᲕᲐᲜ ᲫᲔᲚᲖᲔ.

3. ᲦᲛᲔᲠᲗᲝ,
ᲓᲐᲒᲕᲐᲛᲔ,
ᲒᲐᲜᲒᲕᲘᲓᲔᲥ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ,
ᲨᲔᲒᲕᲠᲘᲗᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ
ᲨᲔᲒᲕᲐᲩᲕᲔᲜᲔ:
ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲓ ᲒᲕᲥᲛᲔᲜ!
4. ᲨᲔᲐᲖᲐᲜᲖᲐᲠᲔ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ,
ᲒᲐᲐᲯᲐ ᲮᲛᲔᲚᲘ,
ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲠᲬᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲠᲐᲚᲔᲑᲘ.
5. ᲐᲩᲕᲔᲜᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲨᲔᲫᲬᲘᲠᲕᲔᲑᲐᲜᲐ,
ᲒᲕᲐᲮᲛᲔᲓ ᲦᲕᲘᲜᲝ —
ᲒᲐᲜᲞᲝᲮᲘᲚᲘᲗ ᲒᲔᲮᲚᲘᲗ ᲓᲐ
ᲨᲮᲐᲛᲘᲗ.
6. ᲛᲝᲛᲨᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲐᲡ
ᲛᲘᲣᲑᲝᲛᲔ ᲐᲚᲐᲛᲘ ᲨᲔᲜᲘ,
ᲠᲝᲛ ᲘᲔᲚᲐᲚᲓᲠᲝᲜ
ᲨᲔᲜᲔᲣᲚᲘ ᲭᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ.
7. ᲘᲮᲡᲜᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ,
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲝᲧᲕᲐᲠᲡ,
ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔ
ᲓᲐ ᲨᲔᲘᲝᲬᲧᲜᲐᲠᲔ
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲣᲤᲐᲚᲝ, ᲛᲝᲒᲕᲐᲐᲯᲐᲠ ᲮᲛᲔᲜᲐ!

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧ. ᲘᲮ. „ᲪᲘᲮᲘᲡᲐᲠᲘ“ № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ., 1, 1994 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1996 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. იტყოდა ღმერთი წმიდასა შინა:
„დავანაწევრებ ზეიმით
სიქემს
და მოვუზომავ სუქოთის დაბლობს.
9. ჩემია ჩემი გილაადი,
ჩემი მენაშე,
მძლე ეფრაიმი —
სიმტკიცე ჩემი
და იეჰუდა —
ჩემეული კანონმდებელი.
10. მოაბს გავიხდი განსაბან ქვაბად,
ედომისაკენ გავიშვერ ხამლებს
და ჩემს წინაშე, ფილისტიმო, შეტორტმანდები!"
11. ვინ შემიძღვება
გამაგრებულ ციხე-ქალაქში,
ვინ მიმეგზურებს ედომის გზაზე? —
12. ეს მხოლოდ შენ ხარ, ჩვენო ღმერთო,
ღმერთო მაღალო,
რომ დაგვაგდე და
აღარ მოუხველ
მხედრობას ჩვენსას
შენმიერი თანადგომისთვის.
13. მოგვმადლე შველა გაჭირვებაში,
რადგან ფუჭია შემწეობა ადამიანის.
14. ღმერთის შეწევნით შემოვკრებთ ლაშქარს,
რომ შემუსროს და
გაიგოს ფეხქვეშ
მოშუღარი და
მოძულე ჩემი...

ფსალმუნი 61

ლოტბარისადმი. სიმღერიან საკრავზე.
ფსალმუნი დავითისა.

2. ღმერთო,
ისმინე წუხილი ჩემი,
ყური მოაპყარ ვედრებას ჩემსას.
3. ქვეყნის კიდიდან მოგღაღადებ
გულგათანგული,
ზეაღმავლინე მიუვალ კლდეზე,
წარმიძეხ წინ და
დამიდე ბინა.
4. რადგან შენა ხარ ჩემეული თავშესაფარი, —
ციხე-გოდოლად ზეაღმართული
მოსისხარის და
შოშუღლის თვალწინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შენს სამკვიდროში დავსახლდები უკუნისამდე
   და ფრთათა შენთა საფარველში
   დავიდგამ კარავს.
6. რადგან შენ, ღმერთო, შეისმინე ალთქმანი ჩემნი
   და საცხოვრისი უბოძე ყველას,
   ვისაც აშინებს სახელი შენი.
7. დღეებს მეფისას დაუსართე
   კელავაც დღეები,
   რომ მისმა ჟამმა იმარადჟამოს
   და თაობიდან თაობებს გასწვდეს.
8. ღმერთის წინაშე
   დამკვიდროს უკუნისამდე,
   რომ წყალობა და
   ჭეშმარიტება
   იყოს ნიადაგ მფარველი მისი.
9. მე კი შენს სახელს ვუგალობებ
   მარად და მარად
   და ალთქმას შენსას აღვასრულებ
   ყოველცისმარე.

ფსალმუნი 62

იედუთუნის ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

2. მხოლოდ ღმერთს უხმობს
   მდუმარება ჩემი სულისა,
   მხოლოდ ღმერთია
   მეოხი ჩემი.
3. მხოლოდ ის არის ჩემი კლდე და
   ჩემი საყრდენი,
   ჩემს დასახსნელად ზეაღმართული,
   რომ არ დამიცდეს უეცრად ფეხი.
4. თავს რომ აცხრებით მოსაკვდენად
   ადამის შვილებს,
   თქვენც სასიკვდილოდ აღესრულებით, —
   დაემსგავსებით
   ჩამოქცეულ ციხე-გალავანს,
   ან ზღუდეს დაშლილს,
   ლიბომორღვეულს.
5. მაღლიდან
   მისი გადმოგდება განუზრახიათ,
   ცილი და ზაკვა
   ჩაუთქვამთ გულში,
   ბაგით წართქვამენ ლოცვა-კურთხევას,
   გულისგულში კი
   წყევლა-კრულვით იხსენიებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მხოლოდ ღმერთს უხმე,
მდუმარებავ ჩემი სულისა,
მხოლოდ ღმერთია
იმედი ჩემი.
7. მხოლოდ ის არის ჩემი ბურჯი,
ჩემი საყრდენი,
ჩემს დასახსნელად ჩაღმართული,
რომ არ დამიცდეს უეცრად ფეხი.
8. ღმერთისგან არის ჩემი დახსნა,
ჩემი ღირსება,
ჩემი ძალა და
ჩემი სიმაგრე
და ჩემეული თავშესაფარი —
ღმერთისგან ჰგიეს ყოველივე
მხოლოდ და მხოლოდ.
9. ხალხო,
ყოველჟამ მიენდეთ მას და
განფინეთ მის წინ თქვენი გულები,
რადგან ღმერთია
მეოხი ჩვენი.
10. აჰა, ესერა, ამაოა ადამის მოდგმა
და კაცთაგანი —
სიცრუის ბუდე —
დაეწონება სასწორის პინას
არარაობის უბადრუკ ნაშთად.
11. ნუ გაიმედებთ ნაძარცვი დავლა,
ნურც ძალდობით მონაგარი
გამედიდურებთ,
მოჭარბებული ავლადიდებით
ნუ დაიმძიმებთ გულისთქმას თქვენსას.
12. ღმერთმა თქვა ერთი,
მესმა ორი,
რადგან მისია
ძალმეუფება და
მძლეობა ყოვლის.
13. შენგნით გარდმოვალს შენმიერი
დიდი წყალობა
და შენ, უფალო,
თავთავისი ნამოქმედარით
განიკითხავ და
მიუზღავ ყოველს.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაშვილი

პარალელური ბიოგრაფიები

1

ნეტავ ვიცოდე — იდბალი რას მემართლებოდა,
სულ-ხორცი ყოფის უთავყამოს წერა ხდებოდა.
მერე რაა თუ ხან თოვლ-ყინვაც მევარდებოდა,
მზე მწყემს-კეთილი ჩემს ცაზედაც შემალლდებოდა...

მოხდა — ორს ვექმრე,
ჭერა მყუდრო მენატრებოდა,
ორივეს მარტში, თუმცა რა მეცოლ-მემარტებოდა.
თურმედა მუდამ მათი ვალი მემართებოდა...

დღიურ ჭაპანში სული პარტახ-ვერანდებოდა.
მთვარის სხივი კი კალმად მეჩვენ-მელანდებოდა
და ბინდის ტბორიც,
ვით გიშრის ტბა,
მელანდებოდა.
თუ განგებისად სიტყვას სიტყვა ეფარდებოდა,
მაინც სიმწირე ნაშავდღევის შედარდებოდა.

მე უსასოოს ზოგჯერ თავიც შემბრალდებოდა
და დღე თანდათან სიბერისფრად ფერადდებოდა.
და იმ მშფოთვარე ძილ-ღვიძილში
რას მივზდებოდი,
თურმედა თავი საჯალათო კუნძზე მდებოდა.

2

საშობლოც მრავალს მძლედ შეკრული ენატრებოდა,
ხანდახან მათით უჩვეულოდ დღე ნათლდებოდა;
ლოცვად ბედიას, ალაეერდს თუ გელათს კრბებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ზოგს უფრო ეთებერვალ-ემარტებოდა;
საქვეყნო რწმენას და საკუთარ ენას მტერობდა,
ავს თუ არ იქმდა,
გული ჯავრით ეფატრებოდა...

და, როცა საფლავს მამა-პაპის —
ვბარავ-ვთოხნიდით,
მომხდურს სწორედაც მაშინ ლუკმად არა ვყოფნიდით.
სხვის თაყვანებად
თითქოს მუხლსაც რომ არ მოვხრიდით,
იმის წყალობას თავმომწონედ ვლეჭავ-ვცოხნიდით...

რა სიტყვით ითქვას, ამა დღემდე როგორ მოვედით,
მაგრამ არ ვნაღვლობ,
ჩვენს დანაკარგს თუკი ვპოვებდით,
არ დავემნვით, აქამომდე ვისაც ვმონებდით,
თუკი ამ სიტყვას სანეტარო გავიგონებდი...

...დღეს საარჩევნოს
მეც ტელე-დოღს მივჩერებივარ,
თვალეთ „უმწიკლო“ ეს ამდენი ნიღაბ-პარიკი.
ზოგს კითხვაც უჭირს,
იგესლება ზოგი ზეპირად,
უძველო ენათა ჭენებაა და თოხარიკი...

და იხატება ჩვენი ყოფის უჟმური ქარგა
და მაინც, თუმცა ზვირთცემაა ბოლმის და შურის,
ზარების რეკვით დამთავრდება ეს ლექსი,
მაგრამ ის გაიგონებს, ვისაც მისი მოსმენა
სწყურის.

მერე რაა თუ ამ წკვარამში სხვაგვარ აცივდა,
საღ აღარ ნათრევს —
გვიტყლაშუნებს ჟამი წვიმა-ქარს,
თავდადებულის სისხლისაგან ხალხს რა დაცლიდა...
გმირვალმოხდილი ვინ მიუვა ნეტავ წინაპარს!..

შორს — ისტორიის გადაფილილ შამბნარშიც მოჩანს
დაცემ-აღმასვლის მონაცვლება,
ვით დღის და ღამის...
სხვა არის მტრის წინ შიშით თავის სირცხვილით მოჭრა
და სულ სხვა —
გმირის — ქედუდრეკის მოკვეთა თავის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტნე

ისე-დავლაჩრდი და გავზულუქდი —
შენს თავგანწირვას წამიერ გულში
ფიქრადაც არ გავივლებ ხოლმე
ზაფხულის ხვატში.
მასზე თუ ვფიქრობ, ისიც ზამთარში
და ისიც დამით, როდესაც ქარი
მთვარიანი
და თოვლ-ყინვა, გადასარკული
ძვლებამდე ატანს.

დევნილი

ამ მგლოვარ-უტეხ 'შაოსნის სახეს,
არაქთაოაცლილს გულის წასვლამდი,
ღიმის მსგავსი რამ რაღაც აუკრავს
ხხეის დასანახად, როგორც ფასადი.
ობლებს ეკუთვნით თუ შერჩა ძალი,
დღეს რომ ადამებს,
ღამეს რომ ათევს,
მოდის, მოათრევს ძლიეს
ადებულ პურს
და მთლად უმძიმესს —
იმ ღიმს მოათრევს.

ტყუპისცალის თვითმხილება

ენითუოქმელი, ალბათ, ღმერთის ესაა რისხვა,
თავს ზნედაცემა იქნებ ასე ცოცხლად იმარხავს,
სხვას, ჩემი ჭკუით, როცა ვხედავ
მისხალ და მისხალ
და ჩემი თვალით —
თავი ჩემი ვერ დამინახავს.
კუპრს ვით სიწმინდე გეწილხვედრა
პირველი თოვლის,
დაუეჭვებლად აღწერილი — დროშა — წინა ხარ!
ვინაც სხვის თვალში ბეწვსაც ამჩნევ,
მზედვეული ყოვლის,
მაგრამ შენს თვალში თუნდაც დვირეს ვერ დაინახავ...
ვთვალთმაქცობ... ვითომც ალვად ჩანხარ —
ჯუჯა და მრუდი.
ცბიერ-სალიქნო მეც მაგ მზერით დღესაც ვინავსე...
და ოლანდები შენ ჩემს თვალში ეშმაკის კუდით,
მაგრამ მაგიერ, შენაც ჩემში ხედავ იმასვე.

როცა ხორცს სული ეყრება,
ცაში მზეს მაწა ეყრება;
როცა წინ სპირალ-გვირაბი
მეგზურად შემოგეყრება,
ე. ი. საფუძველი — იმიერ
სამკვიდროს მაშინ ეყრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქება სიბნელისა, ანუ ორიოდ სალაღობო სიტყვა

ეროტიკულ თემაზე

რა შეედრება ცალმხრივი სიყვარულის ცაზე
ამოსულ გულმოკლულ მთვარეს,
მზის უარყოფილს,
უიმედობის დვინონასვამ მწუხარებით გამომკრთომარეს.
ვის არაოდეს სიტყვაც ერთი არ წამოსცდება —
ამგვარის შავის ბედისა გამო.
მაგრამ რას იზამს,
მწუხარება ამუნჯებს თურმე.
მართლაცდა, ვიტყვი, კიდევ კარგი, რომ
მწარე ფიქრი და კაუშანი ჩრდილლაქებივით
ამჩნევია იმის დაღრუბლულ და სნეულ სახეს
და საღამოლოდ არა აქვს საქმე...
კიდევ კარგი, რომ სიყვარულით
ყველა გაწვდილ ხელს
არ ეგებება მეორე ხელი, თორემ
თუ წესი ესერიგი დაირღვა ერთხელ,
მაშინ ეს მთვარეც ბედნიერი
მზისებრ ცხოელად ჩამოგვანათებს
და ამ იცდაოთხსაათიან ნათების ძალით
დედამიწაზე წააშლება ღამე-ბნელის სახსენებელი,
რაც დიდ განსაცდელს უქადის მეტრფეთ,
რადგან სიყვარულს — დღისით გაკვირტულს —
ყვავილობაც და დამწიფებაც ბნელში
უფრო ეადვილება...
თუ დაავიწყდათ, გავახსენებ
აწ სისხლდამცხრალ, ნაბორგალ გულებს,
რა ძალიან ჰგავს ტრფიალება მობრიალე კვარს,
რომლის წვეთა და ნათების უნარს
ღამის წყვდიადი უფრორე აჩენს.
ისევე, როგორც ბნელ-უკუნის მატების კვალად
ცეცხლი და ენება სიყვარულის
ერთიათად ფიცხდება ხოლმე, რასაცა უბნობს,
დასტურ, შლეგად ატეხილი სისხლის კანონი:
რაც უფრო ბნელა, აქტივობაც მეტია მისი...
დაბოლოს, ჩვენგნით ამონათქმის
მეც — სიზუსტის დადგენ-განსაზღვრა
მეცნიერების ზღურბლზე აგერ ახალფეხშედგმულ
აშიკ სპეკკადრებს უნდა ეთხოვოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

რუცა შუძი ქრეგა

(ორმოქმედებიანი დრამა)

„ყველამ იცის, რომ მოკვდავია, მაგრამ
ყველას ავიწყდება ეს...“

ბონეტსკი

პერსონაჟები:

1. **ირაკლი** — მწერალი, 60 წლისა
2. **ნინო** — ირაკლის ყოფილი ცოლი, 50 წლისა
3. **ელიკო** — ირაკლის ცოლი, 45 წლისა

ერთთათანიანი ბინა. მაგიდა. საწოლი. ტახტი. სავარძელი. რამდენიმე სკამი. სარკიანი კარადა. ტელევიზორი... მოჩანს ფანჯარა და კარი...

I მოქმედება

ირაკლი და ნინო მაგიდასთან სხედან. ნინო ირაკლის წნევას უზომავს. ირაკლის შუაში ამოჭრილი პლედი, თვითნაკეთი „პონჩო“, გადაუცვამს, როგორც თვითონ ამბობს, „მექსიკელი მწყემსივით..“

ირაკლი — სად არის ამდენ ხანს, ამდენი ხანი რად უნდა აქ მოსვლას?
ნინო — დამაცადე!
ირაკლი — დილით გულმა გამაღვიძა. ავდექი, საწოლის გვერდით დავიჩოქე, ღმერთს შევეხვეწე, ღმერთო, მომკალი-მეთქი.
ნინო — (სტეტოსკოპს მოიხსნის) — ამიტომაც გიწევს წნევა.
ირაკლი — რამდენი მაქვს?
ნინო — საკმარისია.
ირაკლი — რისთვისაა საკმარისი?
ნინო — ისე, საერთოდ...
ირაკლი — სიკვდილისათვის?
ნინო — კარგი, ნუ გამოსულელდი მთლად!
ირაკლი — რა გაცინებს? მოიხედე აქეთ. რა გაცინებს-მეთქი?
ნინო — არაფერი... რაღაც გამახსენდა.
ირაკლი — მაინც რა გაგახსენდა ასეთი?
ნინო — ხომ გითხარი, არაფერი-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი — კარგი, ბატონო, შენი ნებაა... მე ვკვდები, ეს კი ტკბილ მოგონებებშია ჩაფლული. იცინე, იცინე, რა ვქნა...

ნინო — კახამ დამირეკა გუშინ და იმახე მეცინება.

ირაკლი — რაო შენმა საყვარელმა შვილიშვილმა?

ნინო — სხვათა შორის, შენი შვილიშვილიცაა, თუ გახსოვს, რასაკვირველია.

ირაკლი — მე კი მახსოვს, იმას არ ვახსოვარ, ეს არის მთავარი! თუმცა, რა ბავშვის ბრალია. დედამისმა, ანუ ჩემმა ქალიშვილმა, გაზარდა ასე. ჩემი სახელიც კი არ იცის. ერთადერთი ბაბუა ყავს, ის უყვარს, გიჟდება თურმე. შენს ახალ ქმარზე მოგახსენებ.

ნინო — რა იცი, რომ გიჟდება?

ირაკლი — შენ არ მითხარი, ამას წინათ არ მომახაოე, კახამ თქვა. ყველაზე მეტად სანდრო ბაბუა მიყვარსო?

ნინო — კი, თქვა... ხო, დედამისი ასწავლის ასე. სანდროც ანებივრებს. ბავშვებს ქრთამი უყვართ.

ირაკლი — რა უცებ აიყარა ტანი... თორმეტისა გახდა, არა?

ნინო — შენ სად ნახე?

ირაკლი — იმ დღეს დავინახე შორიდან. ახლოს ვინ მიმიშვებს...

ნინო (სიცილით) — სკოლაში ბიჭები დედას კი არა, ბებიას მაგინებენო.

ირაკლი — რაო, რაო, ბებიას მაგინებენო?

ნინო — კახამ მითხრა ტელეფონით **(იცინის)**, სულელი...

ირაკლი — ბებიას რატომო?

ნინო (სიცილით) — შენი ბებიის ასე და ასეო.

ირაკლი — როგორ და როგორო?

ნინო — არ იცი?

ირაკლი — შენ რა, კახასთან სკოლაში დადიხარ?

ნინო — ახლა გინება მოფერებასავითაა. კი, ვიყავი ერთი ორჯერ...

ირაკლი — შეშალე ბავშვები, არა?

ნინო (სიცილით) — მაგათ რა შეშლით! **(ცოტა ხნის მერე)** შენ არ გიყვარს კახა.

ირაკლი — როგორ არ მიყვარს, რას ამბობ! მე ყველა მიყვარს. ყველანი მიყვარხართ. ო, კახა, კახა, შენი ბებიის ასე და ასე!

ნინო (სიცილით) — ხო, ბებიას მაგინებენო.

ირაკლი — ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ასე ჩაცმული არ უნდა მიხვიდე სკოლაში ამ ხნის ქალი.

ნინო — რა ხნისა ვარ მაინც? ჩემი კარგი, ყველაფერი სისულელეა, თავს იტყუებს ადამიანი. თავის მოტყუებაც ბრძოლაა. სანამ შეგიძლია, უნდა ებრძოლი, არ უნდა მოეშვა.

ირაკლი — ვის უნდა ებრძოლო?

ნინო — საკუთარ თავს, შენს უპირველეს მტერს!

ირაკლი — აერობიკაზე აღარ დადიხარ?

ნინო — ვიღას ახსოვს აერობიკა! ისე, ძალიან ვწუხვარ, რომ აღარ დავდივარ.

ირაკლი — იმიტომ, რომ შინ საქმე არა გაქვს.

ნინო — შენ ვინ გითხრა, მე რომ აერობიკაზე დავდიოდი? უსაქმურები კი შენსკენ მოიკითხე.

ირაკლი — აბა, აბა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — რა იყო, გეწყინა?

ირაკლი — შენი აერობიკის ამბავი შენ მომიყევი ამას წინათ, აღარ გახსოვს?

ნინო — როგორ არა, მახსოვს, მახსოვს... ყველაფერი მახსოვს... აერობიკა... ჩვენი ერთად ცხოვრების ამბავიც... **(სიცილით)** სულ მინდოდა შენი პიჯაკი გასაწმენდად წამელო, მაგრამ ისე დავშორდით, ისევ ისე დარჩა, დალაქული... ნუცა რომ დაიბადა, თავზე გადაისხი ღვინით სავსე ბოთლი.

ირაკლი — ესეც გახსოვს?

ნინო — ჩემი ძეირფასო, ქალის მახსოვრობა ათასი წვრილმანის დუქანივითაა...

პაუზა

—ერთი თვეღა დარჩა... ერთი თვე... ერთი...

ირაკლი — სადამდე? სადამდე დარჩა ერთი თვე?

ნინო — რა ვიცი... ხომ უნდა დამთავრდეს ეს ჯოჯოხეთი როდისმე? ხომ უნდა დამთავრდეს? თითქოს მტრისგან ოკუპირებულ ქალაქში ვცხოვრობთ. თითქოს მტერს საჯიჯგნელად მიუდგეს ქალაქი და ისიც ჯიჯგნის, ძარცვავს, წვავს, ანადგურებს. აღარაფერი აღარ დარჩა, რაც მე ამ ქალაქში მიყვარდა, ღიმილიც კი. აღარავინ აღარ იღიმება. აღარ შემიძლია. არაფერი დამიშავებია, რატომ უნდა ვცხოვრობდე კოლონიის პატიმარივით. ვის ან რას ეწირება ჩემი ცხოვრება!

ირაკლი — ღმერთს მადლობა უთხარი, ცოცხლები რომ ვართ.

ნინო — ყველაფერი რა უფერული და მარტივი ყოფილა...

ირაკლი — ხო, ყველა ტრაგედია მარტივია.

ნინო — მართალი ხარ, ცოცხლები ვართ მხოლოდ... ვცოცხლობთ... მოვალ, წნევას გავიზომავ; თუ შუქია, ტელევიზორს შევხედავთ ცოტა ხანს, მერე... მე ჩემი გზით წავალ, შენ აქ დარჩები...

ირაკლი — მე მაინც იმას ვფიქრობ, სად არის ამდენ ხანს, რატომ არ მოდის?

ნინო — მოვა,ნუ გეშინია.

ირაკლი — გკითხა, ვინა ხარო?

ნინო — არა, არ უკითხავს. ამა და ამ მისამართზე გელოდება-მეთქი.

ირაკლი — იმან რაი?

ნინო — მოვალო, ხომ გითხარი!

ირაკლი — შენ ვინა ხარო, შენ რატომ მირეკავო, რატომ თვითონ არ რეკავხო, არ უკითხავს?

ნინო — სიტყვა, სიტყვა არ დაუძრავს. მარტო ეს თქვა, მოვალო. მოვა, ალბათ, მალე. მე რომ წავიდე, აჯობებს.

ირაკლი — არა-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა! ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დამთავრდეს ეს ამბავი.

ნინო — მე მგონი, ცოტათი გეშინია კიდეც, ხომ? მითხარი, ხომ გეშინია, სულ ცოტათი?

ირაკლი — ცოტათი კი არა, კარგა მაგრად მეშინია.

ნინო — ხოდა, მე კიდევ უფრო გავამწვავებ საქმეს. ამ დროს ქალს მოწმე არ უყვარს. მითუმეტეს, ჩემისთანა მოწმე.

ირაკლი — მოწმე არავის უყვარს... **(ფანჯარასთან მივა. სიგარეტს მოუკიდებს. ცოტა ხანს ქუჩაში იხედება).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაუზა

— ნუთუ მართლა, შენი არ იყოს, არაფერი შეიცვლება?

პაუზა

—მე ბავშვობაში ყველაფერზე მეტად სიბერისა მეშინოდა. ბავშვები საერთოდ სიბერეზე არ ფიქრობენ. მე კი არა მარტო ფიქრობდი, მესიზმრებოდა ხილი, ვითომ ბებერი ვიყავი. ტირილით ვიღვიძებდი. იქნებ ახლაც სიზმარს ვხედავ და ვერ კი ვიღვიძებ?

ნინო მისკენ ხელის ცეცებით წამოვა, ბრმასავით

ნინო — ვხედავ, გარკვევით ვხედავ, ო, რა ცხადად ვხედავ: პირგაუპარსავს, თმაგაჩეჩილს, ჭაღარას... შუაში გამოჭრილი პლედი, „პონჩო“, თავზე გადაუცვამს, მექსიკელი მწყემსივით...

ირაკლი (თამაშში აჰყვება) — მერე, მერე, ჩემო ბულგარელო დაო, რა ელის მაგ უბედურს?

ნინო (თამაშობს) — იმიტომ კი არ აცვია ასე, რომ სცივა, არა, უნდა რომ სხვა იყოს, სხვა ადამიანი. თავის თავს ეძალება. ამიტომ წვალობს ასე.

ირაკლი (შემკრთალი) — შენ რა იცი?

ნინო (თამაშობს) — მაგრამ ეს შეუძლებელია. ტყუილად იტანჯავს თავს და სხვებსაც ტყუილად აწვალებს.

ირაკლი (თამაშობს) — მაშ, ის მაინც მითხარი, რა ქნას, როგორ მოიქცეს?

ნინო (თამაშობს) — ვხედავ, კარგად ვხედავ, ო, რა ცხადად ვხედავ! რამოდენა სინათლეა! პირი გაუპარსავს, ახალი კოსტუმი აცვია. უხდება. თეთრ პერანგზე წითელი ჰალსტუხი უკეთია. თვითონ ვერ იტანს, მაგრამ ვიღაცის ხათრით შეუბამს, ამ ვიღაცის ნაჩუქარია... ისინი ერთად დგანან... ვხედავ, ო, რა ცხადად ვხედავ — ლამაზი ქალია, ძალიან ლამაზი...

ირაკლი — კაცს რა ეშველება-მეთქი, კაცს?

ნინო (თამაშობს) — ვანგა ამბობს, კაცს ერთი-ორი წელი გაუჭირდებაო.

ირაკლი — მერე, მერე რა იქნებაო?

ნინო (სიცილით) — მერე შეეჩვევაო.

ირაკლი — მართალი ხარ, მაგას ვანგა რად უნდა. არ არის საშველი. ეჰ, ვანგა, ვანგა, ძალიან ლამაზ ქალს ხედავ, არა?

ნინო (თამაშობს) — ხო, ვხედავ, ვხედავ, ო, რა გარკვევით ვხედავ. ძალიან ლამაზი ქალის გვერდით დგას და იცინის. ამ სიცილის გულისთვისაა ქალი აქ. სიცილი უხდება ძალიან.

ირაკლი (სიცილით) — ვითომ ასეთი ლამაზი ხარ შენ?

ნინო — მეე? ესე იგი, მე ვდგავარ შენს გვერდით? ის ლამაზი ქალი, შენი აზრით, მე ვარ?

ირაკლი — ჩემი აზრით კი არა, ვანგა ამბობს მაგას.

ნინო — განა მე ასეთი ლამაზი ვარ?

ირაკლი — კარგი ახლა. ნუ იპრანჭები.

ნინო — არა, მართლა გეკითხები, არასოდეს გითქვამს, ლამაზი ხარო. არ მახსოვს...

ირაკლი — იმიტომ არ გახსოვს, რომ არცა ხარ ლამაზი, თუ სიმართლე გინდა.

ნინო — ვეიჟდები მაგისთანა სიმართლეზე! გმადლობთ, ჩემო ბატონო, ულრმესი მადლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი — ოღონდ ნაღდი ქალი ხარ. ამას ვერავინ წაგართმევს. ქალზე ლამაზი კი ამქვეყნად არავინ და არაფერი მინახავს.

საწოლზე დაგდებულ წიგნს აიღებს

— ეს შენ მოიტანე?

ნინო — ჩუბინაშვილის ლექსიკონია. მჭირდება. გზაზე ვიყიდე. აქეთობას.

ირაკლი — ახლა წიგნს ვინ ყიდულობს?

ნინო — საითაც გაიხედავ, წიგნები აფენია ტროტუარზე, როგორც დინამიტით დახოცილი თევზები რიყეზე. უამრავი, უამრავი წიგნი...

ირაკლი — ხოდა, შენ რომ გკითხოს კაცმა, არაფერი არ ხდებაო. რა უნდა მოხდეს ამაზე მეტი?

ნინო — მაინც არაფერი რომ არ იცვლება, აჭყობ?

პაუზა

— მგონი ვერავის ვერაფერი გავაგებინე. რაღაცის თქმა მინდა და ვერ მითქვამს. ვერავისთვის მითქვამს. თითქოს სიტყვებს კი არა, მათ სუროგატებს წარმოვიქვამ. ცარიელ, ფუჭე, ხელოვნურ სიტყვებს. შეიძლება სიტყვებზე ითქვას ხელოვნურიაო? ალბათ, ალბათ. რა ვიცი... ნამდვილი სიტყვები შეიძლება ვერავინ გაიგოს. გამოუთქმელი სიტყვებითა ვარ სავსე. ნეტავი, მღვდელი მაინც იყო, აღსარებას გეტყოდი. სხვათა შორის, შენ კარგი მღვდელი იქნებოდი.

ირაკლი — მეე? მღვდელი? ოჰო, ეს რაღაც ახალია!

ნინო — შენ შეიძლება გენდოს კაცი.

ირაკლი — მღვდელიო...

ნინო — რაღაცნაირად აუცილებელი ხარ.

ირაკლი — ვისთვის, შენთვის?

ნინო — თუნდაც! ეს ცოტაა? გეცოტავება, არა? მაგრამ მარტო ჩემთვის არა...

ირაკლი — მოკლედ, მითხარი, რისი თქმაც გინდა.

ნინო — არაფრის თქმა არ მინდა, ისე ვლაპარაკობ ჩემთვის.

ირაკლი — ამასაც მოვესწარი! მღვდელს გავხარო, მეუნება ქალი, რომლისთვისაც არაფერი დამიშავებია, გარდა იმისა, რომ მიყვარდა... ეტყობა, სიყვარულითაც შეიძლება დაეშავო რაღაც...

ნინო — მღვდლობა ცუდია?

ირაკლი — ცუდი კი არა, ძალიან კარგია და მეც დიდ პატივს ვცემ, თუნდაც, ნებისყოფისთვის, მაგრამ ჩემი მღვდლობა? არ ვიცი, არ ვიცი...

ნინო — მაგრამ ადამიანი აღსარების დროსაც რომ ტყუის?! მარტო გიჟები ამბობენ სიმართლეს. ამიტომაც არიან გამომწყვდეულები მაგრად, ცხრაკლიტულში. არაფერი კარგი არ მოუტანია სიმართლის თქმას. არავის ხელს არ აძლევს შენი სიმართლე. არავის უნდა მოსმენა. არადა, ძნელია ყველაფრის გულში შენახვა. ერთხელ ფლორენციაში ეკლესიაში შევედი. „სანტა კროჩე“ — ასე ერქვა იმ ეკლესიას. იქ ხშირად დავდიოდი ხოლმე. იმ დღეს ძალიან წვიმდა და ცივოდა. ტაძარში მარტო მე ვიყავი. სანთლები კი ენთო, მაგრამ საკმაოდ ბნელოდა, უეცრად ისე მომინდა, ისე მომინდა, ვინმესთვის მომეყოლა ჩემი ცხოვრება, პირჯვარი გადავიწერე, ღმერთო, ეს რა ხდება ჩემს თავს-მეთქი. არასოდეს ასეთი რამ არ დამმართნია. შეიძლება ღმერთმა მკითხა, ვინა ხარ, საიდან მოხვედიო. რა იცი... კინაღამ აღსარება ვუთხარი მღვდელს, მაგრამ ვერ გავბედე. ოღონდ, გვერდით რომ გამიარა, დავიჩოქე და ხელზე ვაკოცე. მაშინვე მომეშვა გულზე. თითქოს ორმოდან ამოვფოფხდი. ხვლიკივით გავირინდე. რა უნდა მეთქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა ღმერთისთვის, ვინა ვარ-მეთქი? ხელოვნებისმცოდნე, რომელიც თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა ორიგინალებს იმისას, რაზედაც დისერტაცია ჰქონდა დაცული. ტყუოდა. ან ატყუებდნენ. ეს ერთი და იგივეა. სასტუმროში რომ დავბრუნდი, სიცხე მომცა. მთელი ღამე ვიღრჩობოდი თითქოს. ვბოდავდი. ვმეღროდი. რაღაცას ვუყვებოდი ვიღაცას, რაც ძალიან მსიამოვნებდა. დილით ჩამეძინა. თითქმის მაშინვე ეკლესიის ზარის ხმამ გამაღვიძა. ისეთი წყნარი, ისეთი შშვიდი იყო, თითქოს ჩიტს დაერეკოს. ჩიტი. ჩიტი. ჩიტი. გავიმეორე რამდენჯერმე. სიცხე აღარ მქონდა. არც არაფერი მტკიოდა. ხო, შენ კარგი შვდეელი იქნებოდი.

ირაკლი — დაიწყო ისევ თავიდან!

ნინო — კარგი, კარგი, აღარ ვიტყვი.

ტელევიზორს ჩართავს

პ ა უ ზ ა

ირაკლი — კარგად მღერის, ხომ იცი! ვინ არის? ვეღარავის ვერ ვცნობ! ჩვენი მომღერალია?

ნინო — კი, ჩვენია, ოღონდ ეგ ადრეა ჩაწერილი. ახლა კონცერტებზე ტყუილად აღებს პირს.

ირაკლი — კი, მაგრამ...

ნინო — რატომ გიკვირს, ახლა ეგ კი არა, მთელი ქვეყანა ტყუილად აღებს პირს: ვითომ პოლიტიკოსობს, ვითომ წესრიგს იცავს, ვითომ ჰუმანიტარულ დახმარებას ანაწილებს, ვითომ, ვითომ და ასე დაუსრულებლად...

ტელევიზორს გამორთავს

—ვერ ვიტან ტყუილს.

პ ა უ ზ ა

— რაზე ფიქრობ?

ირაკლი (ღიმილით) — ვითომ ვფიქრობ.

ნინო — მართლა, მართლა რაზე ფიქრობ?

ირაკლი — რაღაც გამახსენდა... ოცი წლის წინანდელი ამბავი... ბიჭვინთაში ვიღაც ქალმა მიმკითხავა ყავაზე — კატასტროფაში მოკვდებიო. მაშინ რადღიში ზუსტად ამ არიას მღეროდა ვიღაცა... ხო, ზუსტად ამ არიას, კატასტროფაში მოკვდებიო... შენ ხომ იცი, როგორი ცრუმორწმუნე ვარ!

ნინო — ცრუმორწმუნე კი არა, მშიშარა ხარ, პანიკიორი!

ირაკლი — შეიძლება... რაც გინდა, ის დაარქვი... ბარში ვისხედით. ფანჯრიდან ამღვრეული ზღვა მოჩანდა... ჩემი თავი შემეცოდა. დიდხანს მინდოდა სიცოცხლე... მაშინ.

ნინო — ახლა აღარ გინდა?

ირაკლი — ახლა?.. როგორ არა. იცი, რას ვფიქრობ — ხარბი არ უნდა იყო. გაუმაძღრობა სისუსტის ნიშანია.

ნინო — ნუ შეგრცხვება საკუთარი სისუსტისა. ადამიანი სუსტია საერთოდ. ვერ ვიტან სუპერმენებს. წარმოგიდგენია — ერთ დილით იღვიძებ და შენს ლოგინში შვარცენეგერი მახათით ჭრილობას იკერავს!

ირაკლი — რა იცი, ცხოვრებაში როგორია...

ნინო — სად არის ცხოვრება? არა, ცხოვრების პრეტენზიაც კი არა მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ისეთი უჭკუო ვარ. ოღონდ მზე იყოს. მზე ღვთის წყალობაა. მე უდაბნოში უნდა მეცხოვრა. ყველაზე მეტი მზე ალბათ იქ არის...

ირაკლი (ღიმილით) — მირაჟებს არ გეშინია?

ნინო — როცა ვინმე მიყვარს, რატომღაც სულ უდაბნო მესიზმრება...

პაუზის შემდეგ

— ხო, ჩვენ დიდი ხანია მირაჟებით ვითქვამთ სულს...

პაუზა

—გახსოვს, მე და შენ როგორ გავიცანით ერთმანეთი?

ირაკლი — როგორ არა, რა თქმა უნდა, მახსოვს.

ნინო — „ოოო“ გახსოვს?

ირაკლი — ოოო? ეგ რაღაა?

ნინო — არ გხსომებია! ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით გითხრა: როცა ცოლად გამოგყევი, მაშინ არ მიყვარდი. რაღაც უცნაურად და უცაბედად მოხდა ყველაფერი. მოულოდნელად. რასაც ახლა გიყვები, ესეც აღსარებასავით მიიღე. შენი მოთხრობა წავიკითხე. ისე მომეწონა, გადავწყვიტე, დამერეკა. არავისთვის, არასოღეს ამის გამო არ დამირეკავს, არც მანამდე და არც მერე. ეტყობა, ღმერთს ასე ჰქონდა ჩაფიქრებული. თუმცა, სხვების მოთხრობებიც მომწონებია, არ დაგიმალავ, უფრო მეტადაც. მერე შევხვდით. გახსოვს, სად შევხვდით?

ირაკლი — არც მასეა საქმე, შენ რომ გგონია. „ლაღიძის წყლებთან“ შევხვდით. ხომ მხსომებია?

ნინო — გამარჯობათ, მე ნინო ვარ-მეთქი, თქვენ რომ დაგირეკათ, აი. ის! ოოო! — ხელები გაშალე **(თამაშობს)** ოოო! მაშ, თქვენა ხართ ნინო? ოოო!

ირაკლი — კარგი, გეყოფა, იმახე ახლა „ოოო“!

ნინო — ასე იყო. არაფერი გქონდა სათქმელი.

ირაკლი — ენა დამება. არ ველოდი, ასეთი კარგი გოგო თუ დამირეკავდა. ასეთი ლამაზი გოგო თუ კითხულობდა რამეს, საერთოდ კითხვა თუ იცოდა.

ნინო — როცა გაიგე, ვისი შვილი ვიყავი, არ გესაამოვნა. ოოო!

ირაკლი — არაფერში ბედი არა მაქვს-მეთქი, გავიფიქრე. მამაშენს დიდ პატივს ვცემდი. პირველი მოთხრობა იმან დამბეჭდა. რაღა მაინცდამაინც იმისი შვილია-მეთქი...

ნინო — მამას ძალიან ვუყვარდი. მე თუ მკითხავთ, მწერლებს მარტო ქალიშვილები უნდა ყავდეთ. უმწეოები არიან. ხელით შესანახი. იცი, რაღაცით გგავდა შენ. როგორ ვითხრა... შეიძლება იმით, რომ შენც უმწეო ხარ... მე ვუყვარდი ძალიან...

ირაკლი (სიცილით) — აი, ამით კი ნამდვილად მმგვანებია!

ნინო — პლედს მოვახურებდი ხოლმე. ვერც კი გაიგებდა...

ირაკლი — შენი ქალიშვილიც ასე უნდა გაგეზარდა!

ნინო — თვითონ იყო სხვანაირი...

ირაკლი — აკი ერთმანეთს გავხართო?

ნინო — ყველაფრით, რა თქმა უნდა, არა... ოხუთმეტი წლისა უკვე მანქანაზე ვათვერებდი მამის ნაწერს...

ირაკლი — ნუცას ალბათ ჩემი არც ერთი წიგნი არა აქვს წაკითხული...

ნინო (პაუზის შემდეგ) — დედა დიდი ხანია აღარა მყავდა. გაუთხოვარი მამიდა გვიყვლიდა. დედა ბუნდოვნად მახსოვდა... საღაცა ვართ, ბაღში თუ ჭალაში. ბალაზზე დაფენილ ფარდაგზე ზის. თეთრი კაბა აცვია. თეთრი ფეხსაცმელი ხელში უჭირავს, იმ ხელით მზეს ირდღლავს. აღარ ვიცი, ეს სინამდვილეა

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სიზმარი. სიზმარში ხშირად მეცხადებოდა. ბოლოს ამ რამდენიმე წლის წინ დამესიზმრა. მოხუცი. რაღაცნაირად დაპატარავებული. რომ არ მცოდნოდა, ღუდა იყო, ვერ ვიცნობდი. მე ხომ ის მოხუცი არ მინახავს! როგორც გითხარი, ახალგაზრდა გარდაიცვალა. ის იყო და ის. მერე აღარ დამსიზმრებია. ჩემს სიზმრებში დაბერდა და გაქრა...

პ ა უ ზ ა

ირაკლი — რადგან მოგონებებზე წავიდა საქმე, მოდი, იცი რა მითხარი, ოღონდ გულწრფელად, ჩემს გარდა, რამდენი გიყვარდა, ბევრი?

ნინო — შენს გარდა?.. არც . ისე.:.

პ ა უ ზ ა

— ზოგჯერ... არ ვიცი, შენც დაგმართნია თუ არა, იმდენად სავსე ვარ საცოცხლით, რომ სიკვდილი მინდა...

ირაკლი — მიპასუხე!

ნინო — აკი გიპასუხე! როცა მათზე ვფიქრობ, თითქოს მზეს ვეფიცები ჩ.. ლმე...

ირაკლი — გცივა, შე საცოდავო!

ნინო — მე სულ მცივა, სულ, სულ... ზაფხულშიც. განსაკუთრებით, როცა მარტო ვარ. ამიტომაც მეშინია სიმარტოვის. სიმარტოვემ შეიძლება ისეთი რამ ჩაგადენინოს, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდი... არა. არც იმდენი ვინმე მყვარებია, ქვეყანა შევყვაროთ, არიქა, რა უქნია ამ ქალსო. დიდი არაფერი. თითებზე შეიძლება ჩამოთვლა.

ირაკლი — დავიწყოთ.

ნინო — კი, ბატონო, დავიწყოთ.

ირაკლი (თითებზე ითვლის) — ერთი: შენი პირველი ქმარი...

ნინო — აი, ვინ მიყვარდა ძალიან! სულ ორი კვირა ვიცხოვრეთ ერთად. ქობულეთში ნავიდან გადახტა და ველარ ამოყვინთა...

ირაკლი — მეორე?

ნინო — მეორე — შენ! შენც, წარმოიდგინე, მიყვარდი. ქრის კვალობაზე...

ირაკლი — მესამე?

ნინო — მესამე ისევ შენ, მაგრამ ახლა უკვე როგორც საყვარელი.

ირაკლი — ჩვენს, ანუ ქრად და საყვარლად გაყოფილ ჩემს შორის, რამდენი იყო?

ნინო — მაგას ნუ მკითხავ!

ირაკლი — იყო თუ არა?

ნინო — რა თქმა უნდა!

ირაკლი — რას ნიშნავს „რა თქმა უნდა", აუცილებელია?

ნინო — ეტყობა...

ირაკლი — რას ეტყობა, ქალო, ნუ გადამრიე.

ნინო — შეგახსენებ: მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიყარეთ, ოცდახუთი წელი გავიდა.

ირაკლი — უცდახუთი წელი... ალბათ...

ნინო — საიუბილეო თარიღია. და ამ ხნის განმავლობაში სულ, განუწყვეტლივ მაკვირდა, რომ ისევ ერთად ვიქნებოდით. ზოგჯერ ვფიქრობ. იყო კი ის ოცდახუთი წელი საერთოდ? მე ხომ ჩემი კალენდრით ვცხოვრობ... სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მე და შენ ოცდაათი წლის შეილი გვყავს. ამასაც შეგახსენებ, რომ ექვსი წელი ვიცხოვრეთ ერთად, როგორც ცოლ-ქმარმა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი აზრით, ნამდვილი გაუგებრობა იყო. როგორ შეიძლებოდა მე და შენი ცოლ-ქმრობა!

ირაკლი — რატომ ვითომ, რატომ არ შეიძლებოდა?

ნინო — არ შეიძლებოდა და იმიტომ... ოცდახუთი წლის მერე ძირეკავ და მეუბნები, მიყვარხარო. აი, რა არის იდიოტობა!

ირაკლი — ეგ სიტყვა მე არ წამომცდენია. მე შენ ვინ გგონივარ? როგორ შეიძლება ქალს უთხრა, მიყვარხარო. მაგას სჯობს, ქვა მისცე და თავი შეუშვირო.

ნინო — დარეკავ მაგას ნიშნავდა.

ირაკლი — მერე შენ რაღას გამოიენთე, ჩემს დარეკვას უცდიდი?

ნინო — შენ გგონია, მე ნაკლები იდიოტი ვარ?

ირაკლი — კარგი... ყველაფერი გასაგებია... შენ ის მითხარი, ატყობ, დღეს შუქი რომ არ ჩამქრალა, რა ხდება ნეტავ?

ნინო — ხო, რაღაც განსაკუთრებული დღეა.

ირაკლი — წყალი მოდის?

ნინო — შენ წარმოიდგინე, წყალიც მოდის!

ირაკლი — აბა, დავლევ და მოვალ ამ წუთას. არ დაგავიწყდეს, რასაც ამბობდი.

ნინო — წყალს მე მოვიტან.

ირაკლი — არა, მე თვითონ...

სამზარეულოში გადის,
ნინო სიგარეტს უკიდებს,
ირაკლი ბრუნდება

ირაკლი — რა ამბავია, რამდენი რამე მოგიტანია, რას ვზეიმობთ?! კუპონებზე ნავაჭრს არ ჰგავს.

ნინო — ბეჭედი გავყიდე. ასე რომ, თავისუფლად მიირთვი, შენი ფულითაა ნაყიდი.

ირაკლი — რას მეუბნები, ის ბეჭედი როგორ გაყიდე?

ნინო — ხო, მარტო იმას ვატარებდი... სამაგიეროდ, თავისუფლად ვიელი. აღარ შემეშინდება, რომ თითს მომაჭრიან, დამახრჩობენ.

ირაკლი — აბა, გადავრჩენილვართ და ეს არის!

ნინო — ხოდა, ამას აღნიშვნა არ ჭირდებოდა?

ირაკლი — და, აღვნიშნავთ კიდეც! რას ვამბობდით?

ნინო — მე განა ნაკლები იდიოტი ვარ-მეოქი, ამას გეუბნებოდი.

ირაკლი — ხოო...

პ ა უ ზ ა

— გაინტერესებს ალბათ, რატომ დაგირეკე... წინა დღეს ქუჩაში ვნახე, ბენზინის რიგში. მანქანის კარი გამოეღო. ჩანთაში რაღაცას ეძებდი. შემოხვევით გავიარე იქ... უცნაურია, ერთ ქალაქში ვცხოვრობდით და აქამდე არსად არ შემხვედრიხარ...

ნინო — იცი, მეც დაგინახე მაშინ. იმიტომაც ვიქექებოდი ჩანთაში. ვითომ რაღაცას ვეძებდი... ცუდად გავხდი. არა, ცუდად კი არა, უცნაური რამ ვიგრძენი, თითქოს საიდანღაც ჩამოვხტი და მიწაზე დავენარცხე. ოღონდ არაფერი მტკენია... რაღაც ჩამწყდა შიგნით... მუცელში **(ხიცილით)** თითქოს აქამდე შენზე ვი-

ყავი ორსულად. გეფიცები. აი, ეს ვიგრძენი. იმიტომაც ჩავრგე ფავი ჩანთაში. და ძალიან შემეცოდე. ღმერთო, ვთქვი ჩემთვის, როგორ დაბერებულა-მეთქი...

ირაკლი — მე კი ჯერ ვერ გიცანი. უფრო მიგხვდი, რომ შენ იყავი, ვიდრე გიცანი. ხო, როგორც ჩიზმარში... რატომღაც იქიდან გაქცევა მომინდა...

ნინო (სიცილით) — მერე გაიქეცი?

ირაკლი — ხო, გავიქეცი...

ნინო — რომ მეორე დილასვე ოთხ საათზე დაგერეკა?

ირაკლი — სად გაიქეცავ! ხომ გაგიგონია — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო! მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, თუ დაგირეკავდი. არაფერი არ ვიცოდი. გული მეუბნებოდა, სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას, თითქოს რაღაც დიდი საფრთხე მელოდა...

ნინო — ტელეფონმა რომ დარეკა...

პ ა უ ზ ა

ირაკლი — რატომ გაჩუმდი?

ნინო (სიცილით) — ვიცოდი,რომ დარეკავდი!..

პ ა უ ზ ა

—მელვიძა. დილის ოთხი საათი იყო. ვინ რეკავსო, მკითხა სანდრომ..

ირაკლი — იმასაც ელვიძა?

ნინო (პაუზის შემდეგ) — მე არ მიყვარს ჩემს ქმარზე ლაპარაკი...

ირაკლი — ძალიანაც კარგი.

ნინო — უცნაურია...

ირაკლი — რა არის უცნაური?

ნინო — რადგან იმასთანა ვარ, თანაც ამდენ ხანს, ეტყობა, ეგავარ კიდეც რაღაცით...

ირაკლი — არ არის აუცილებელი...

ნინო — ამაზე არასოდეს მიფიქრია...

პ ა უ ზ ა

— არ მინდა და იმიტომ ვერ ვამჩნევ ალბათ მსგავსებას... პატარა ფინია ყავს — კოკო. სულში ისვამს. მე მგონი, საერთოდ მარტო ის უყვარს. დადის, დადის, ფლოსტებს დაატყაპუნებს. ზოგჯერ შემეცოდება კიდეც, რაღაცით პატარასა ჰგავს. სხვათა შორის, არეულობა რომ დაიწყო, მეგონა, დაიჭერდნენ. შენც არ მომიკვდე. დაიჭირეს კი არა, ჯერ უზენაეს საბჭოში შეიყვანეს, მერე პარლამენტში. რეგორც ჩანს, ყველა ხელისუფლებას ერთნაირი ხალხი ჭირდება...

ირაკლი — ვერ ვიტან ძაღლს სახლში. ოჯახში ერთადერთი ძაღლი მე ვარ!

ნინო — ჩვენი ამბავი, რა თქმა უნდა, იცის. კაცი რომ სამი პარლამენტის წევრი იქნება, სამი მთავრობა რომ ეყოლება გამოცვლილი, ამას რას ვამოაპარებ! ჯერ ვწვალობდი, ვიტანჯებოდი კიდეც, ერთ მშვენიერ დღეს კი მივხვდი, რომ ყველასთან მართალი ვიყავი. ჩემი ბრალი მხოლოდ ის იყო, რომ ბედი ცხოვრებაზე გადავახურდავე, ბედს ცხოვრება ვამჯობინე. ასე რომ, ჩემს თავს დავუშავე, თუ დავუშავე რამე. ზოგჯერ დავაპირებ, ყველაფერს მოვუყვე, ჩემგანაც გაიგოს ის, რაც უჩემოდაც მშვენივრად იცის. დავუძახებ, მოვა, ფეხს ფეხზე გადაიდებს, მუხლზე კოკოს დაისვამს, ოდნავ წინ გადმოიხრება, უკეთესად რომ გაიგოს ჩემი ნათქვამი. მეც მაშინვე მივხვდები, რომ თქმას აზრი არა აქვს. არაფერი ამით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცვლება. ცოტა ხანს იჯდება ასე, თავაზიანად მოღიმარე, მერე საათს დახედავს, შუშაზე თითს დააკაკუნებს და მეტყვის, უკაცრავად, სახელმწიფოს მეთაურთან თაბაირზე მაგვიანდებაო. და წავა... მოკლედ, ეს არის კაცი, რომელიც ბოლოს იცინის. ეტყობა, ტელეფონის ზარმა გააღვიძა: ვინ რეკავდაო?..

ირაკლი — ერთი სიტყვის თქმა მოვახერხე მხოლოდ, ნინო-მეთქი... თითქოს ყელი გადამეკეტა, ხველა ამატყდა, კინაღამ დავაღრჩე...

ნინო — შენ გგონია, მართლა აინტერესებდა, ვინ რეკავდა? ზარმა გააღვიძა და რაღაც ხომ უნდა ეთქვა. გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა... ხმა რომ აღარ ამოიღე, ყურმილი დავდე, შუქი ჩავაქრე და სიბნელეში ხმამაღლა, უფრო ჩემთვის, ვიდრე სანდროს გასაგონად, ვთქვი, ქველმა მეგობარმა დამირეკა-მეთქი. თუმცა მე და შენ არასოდეს მეგობრები არ ყოფილვართ.

ირაკლი — როგორ თუ მეგობრები არ ყოფილვართ, რას ამბობ?

ნინო — ამისთვის ზომაზე მეტად მიყვარდი... ჩვენ ერთმანეთს ვებრძოდით, ვგლეჯდით, ვჭამდით, იმიტომ რომ ერნანირება ვიყავით და ასეთებად დავრჩებით ალბათ ბოლომდე. აწი რაღა შეგვცვლის... განა მეგობარი ნახევარი საათის დაგვიანების გულისთვის მომკლავდა?

ირაკლი — მოგკლავდა? განა შენთვის როდესმე ხელი დამიკარებია?

ნინო — ვიგონებ.

ირაკლი — იგონებ?

ნინო — მინდოდა, მოგეკალი. იმიტომ რომ მოსაკლავი ვიყავი. შენ კი უხმოდ გატრიალდი და წახვედი. დამტოვე ხუთი წლის ბავშვის ანაბარა. იცდახუთი წლის პატიმრობა მომისაჯე.

ირაკლი — კარგი პატიმრობაა, მე და ჩემმა დმერთმა! ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გათხოვდი.

ნინო — სწორედ ეგ იყო პატიმრობა!

პაუზა

— ჯობდა მოგეკალი...

ირაკლი — დაიცა, დაიცა, ესე იგი, შენ მაშინ მართლა მიღალატე?

ნინო — შენ რა, ტყუილად დამანებე თავი? არ იცოდი, დარწმუნებული არ იყავი, გიღალატე თუ არა და ისე წახვედი. ისე მომატოვე? ამას შენგან არ ველოდი. ეს ხომ უსინდისობაა! რა თქმა უნდა, გიღალატე. მეგონა, იცოდი... შენ ის მითხარი...

ირაკლი — არა, არ ვიცოდი...

ნინო — შენ ის მითხარი-მეთქი, ბენზინის რიგში რა მოგივიდა, რა თვალზე შემხედე. ვერ ვიტყვი, იქ რომანტიკული სიტუაცია იყოო.

ირაკლი — ხო... მე თვითონ მიკვირს... ჩანთაში ეძებდი რაღაცას...

ნინო (ციცლით) — არ მეგონა, ეგ თუ გაღელვებდა!

ირაკლი — თმას ხელს აუქნევდი ხოლმე...

ნინო — ასე?

თმას ისწორებს

ირაკლი — ხო, მასე.

ნინო — მე იმ დღეს ორმოცდაათი წლისა გავხდი. ანუ ამჟამად... მოკლედ მიუმატე ერთი წელი. იცი თუ არა, რომ ზუსტად ერთი წელია, რაც ისევ ერთადა ვართ?! აქედან ითხი თვე წასული იყავი... თმა გქონდა ჩამოშლილიო... ჭკუას შენ ვერასოდეს ისწავლი... ხო. იცი, მაშინ მეწყინა, რომ არ მომკალი ანდა ერთი გემოზე არ მომასიკვდილე ცემით... ძალიან მეწყინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი — მაგის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება.

ნინო — არა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. **(სიცილით)** რაღა დროს ჩემ მოკვლაა! ახე რომ, მერე სულ ნაწყენი ვიყავი შენზე. ოღონდ, ეკლესიაში ყოველთვის შენს სახელზეც ვანთებდი სანთელს. ღმერთო, შენ მიხედე ამ საცოდავს-მეთქი. თურმე ნუ იტყვი — თმა გქონდა ჩამოშლილიო! ბებერი. და მეჩვენებოდა ხოლმე...

ირაკლი — გეჩვენებოდა?

ნინო — ხან სად გამომეცხადებოდი და ხან სად. ერთხელ პატარა კაფეში. რა ხდება... დღეს სულ ფლორენციაა მახსენდებ! ყოფილხარ იტალიაში?

ირაკლი — არა. სახლვარგარეთ ერთხელ ვიყავი მხოლოდ. პრაღაში, ჩემი პიესის პრემიერაზე.

ნინო — კაფეში ვისხედით მე და პროფესორი სანგვინეტი. ოთხმოცი წლის წვერცანცარა, ბრძენი კაცი. მინის ვიტრინიდან ქუჩას გავცქეროდით. წვიმდა. ფლორენციაში სულ წვიმდა. ვიღაც კაცი მოვიდა და ქუჩის მხრიდან მინას ზუსტად ჩვენს წინ ზურგით მიეყრდნო, აგვეფარა. შენ მოგამსგავსე. შემეშინდა, ჰალუცინაციები დამეწყო-მეთქი. იქნებ მართლა შენ იყავი ისე რომ თვითონაც არ იცოდი. რომელიღაც პატარა კაფეს ვიტრინასთან იდექი და ავტობუსს ელოდებოდი. მართლაც მოვდა ავტობუსი და გაქრი. მე მაჯრა მისტიკის... ბატონო პროფესორო ეკითხე, თუ შეიძლება დაინახო ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ძალიან შორს იმყოფება, დაინახო ისე ნათლად, ისე მკაფიოდ, თითქოს მართლა აქ იყოს-მეთქი. ფანჯანი ფრთხილად დადგა. ხელები მუხლებზე დაიწყო და დამაკვირდა. მერე კიბინი მორთო, ბავშვივით გულწრფელად და ხმამაღლა იცინოდა დიდხანს. მერე ცხვირსახოცით თვალები გულმოდგინედ ამოიწმინდა და მითხრა, ბედნიერი ხართო. იქნებ მართლაც ბედნიერი ვიყავი და არ ვიცოდი?.. ასე არცოდნაში გავიდა ოცდაზუთი წელი... კი, მე შენ ნამდვილად გიღალატე, ოღონდ მაშინ, როცა გაყრაზე დავთანხმდი. ვერ ვიტან კრეტინულ ეჭვიანობას...

სიგარეტს უკიდებს

— განუწყვეტლივ რაღაცას ველოდებოდი და აკი მოხდა ის, რაც უსათუოდ უნდა მოხმდარიყო. შენ რომ დარეკე, მეღვიძა. თუ ეს უკვე გითხარი? ეფიქრობდი, როგორ დაბერებულა-მეთქი. გული უცნაურად მიცემდა. არ დამიჯერე, მაგრამ ვიცოდი, რომ დარეკავდი. თუმცა საკმაოდ შეშლილი და თავხედი კავალრებიც მყოლია, მაგრამ ჩემთვის დილის ოთხ საათზე არც ერთს არ დაურეკავს. იმასაც მოეზვდი, რომ უკვე აღარაფერი მეშველებოდა...

ირაკლი — შენ რა დაგემართა დღეს?

ნინო — ბევრს ვლაპარაკობ, არა?

ირაკლი — უცნაურად ხარ აფორიაქებული. შეგეშინდა? მართლა კი არ მოვკვდები.

ნინო — რაო, არ მოვკვდებიო?! აკი, ვკვდები, ქალო, ვკვდებიო! შენ კიდევ ბევრს მოიდნობ, ნუ გეშინია.

ირაკლი — ვეღარ, ვეღარ! დაილია ჩემი ჯადო... მაგრამ, იცი, რას ვფიქრობ — კარგია, რაღაც რომ მთავრდება. ბუნება ბრძენია. ადამიანს საკმაო დრო აქვს, ყველაფერი მოასწროს. თვითონ უნდა გეყოს ჭკუა, რომ იცხოვრო... ჭკუა... აი, რა არ ქონია არასოდეს! რატომ მიყურებ ასე? გამოტყდი, აღიარე — ხომ ვინდა ზოგჯერ, შენი ხელით დამახრჩო, ხომ გძულვარ? გძულვარ ისე, რომ აღარ შეგიძლია მეტის მოთმენა, თქვი!

ნინო — რა ვთქვა?

ირაკლი — პიესაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — მართალი ხარ.

ირაკლი — აი, ხომ ხედავ!

ნინო — ასე რომ არ მძულდე, რა გამაძლებინებდა შენთან! ხო, ზოგჯერ შენსავით არავინ მძულს ამქვეყნად, მაგრამ, არ გაგიცინოს, ერთადერთი, ვისი გულისთვისაც დაუფიქრებლად მოკვდებოდი, შენ ხარ.

ირაკლი — ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ... კი მაგრამ, რატომ უნდა გამეცინოს?

ნინო — ასეთ სიტყვებზე ახლა ეცინებათ.

ირაკლი — მართლაც სასაცილოა და იმატომ! არავინ არავის გულისთვის არ მოკვდება, არ დაიჯერო. მარტო წიგნებშია ასე. ამიტომაცაა, წიგნს რომ იშორებს დღეს ადამიანი. აღარ უნდა წიგნი. წიგნი ბორკილია, მას კი თავისუფლად სურს ცხოვრება. ტალახში აპირებს ჩაწოლას. გული ტალახისკენ მიუწევს. თვითონაც ხომ ტალახისგანაა შეთითხნილი! წიგნი კი არ უშვებს. რა სჯობს, შიშველ-ტიტველი, ტალახში რომ ჩაწვები! რა სჯობს ღირობას! ამიტომაც წკავს წიგნს და კიდევ უარესი — ჩალის ფასად ყიდის! ქუჩაში უყრია. რა ზუსტად თქვი — როგორც ჭკვიანი თევზები რიყეზეო! მართალი ხარ, ერთნაირები ვართ მე და შენ.

ნინო — ამიტომაც ვერ ვიცხოვრეთ ერთად.

ირაკლი — შეიძლება... შეიძლება მაგიტომაც...

ნინო — თუმცა მე უშენოდ ერთი წუთიც არ მიცხოვრია. მაშინაც კი, როცა თითქოს არ მახსოვდი, როცა სხვაზე ვფიქრობდი, სხვასთან ვიყავი, სხვის გვერდით ვიწექი. შენით ვიყავი სავსე, მოჯადოებული. არ ვიცი, გაგაგებინე თუ არა. რისი თქმაც მინდა. ალბათ ვერა, რადგან მე თვითონაც ბოლომდე არ მესმის ყველაფერი, რაც შენთანაა დაკავშირებული.

ირაკლი — /იქნებ თავს ვიტყუებდით ორივენი?

ნინო — ამას მე მეკითხები?

ირაკლი — ვიდაცას ხომ უნდა ეკითხო. ყველაზე მეტად შენ გეხება ეს კითხვა.

ნინო — ყველაზე ნაკლებად მე შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ირაკლი — ხომ შეიძლება ტყუილის მსხვერპლი ვიყოთ?

ნინო — შენ გვონია, მე ვიცი?

ირაკლი — არ შეიძლება, არ იცოდე. არ შეიძლება, გული არ გიგრძნობდეს. არ შეიძლება, ადამიანი ასე მოტყუებული იყოს...

ნინო — საერთოდ რატომ გაგიჩნდა ეგ ეჭვი?

ირაკლი — არ ვიცი... არ ვიცი...

ნინო — ასეა თუ ისე, შენთან ერთად გავატარე მთელი ცხოვრება...

ირაკლი — მე კი ჩემი ცხოვრება შიშსა და კანკალში გავლილე. მეშინოდა ძალლის, მასწავლებლის, გიჟის, ჩეკისტის, მიწისძვრის, სიკვდილის... შიშში უცემ გადის დრო. დავბერდი. ოღონდ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სპექტაკლის მსვლელობის დროს გრიმი გამომცაცალეს. ტექსტი კი იგივე დარჩა... ყველაზე მეტად მიჩვენებების მეშინოდა, თუმცა ირგვლივ სულ მიჩვენებები მეხვია. ახლაც, მარტო რომ ვრჩები, უამრავი რამ ირევა ჩემს თვალწინ. ოღონდ ყველაზე გარკვევით ზღვის პირა საფლავის ქვაშის ბორცს ვხედავ. და წვიმს. წვიმს ქვეყანა წვიმის ბურუსში გამქრალა. ვიდაც მუმიასავით დაბინტული ჯარისკაცი მთარიდან წყალს მასმევს. გააღეთ ფანჯარა, ჟყვირი, გაალეთ ფანჯარა. არ გესმით!..

ნინო — ირაკლი, რა დაგემართა?

ირაკლი — ბავშვს სუნთქვა ხომ უნდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — ირაკლი!

ირაკლი — წყალი მდულარესავით პირს მითუთქავს. ენას ველარ ვაბრუნებ. ბავშვები, ბავშვები დამალეთ. იტალიაო, ჯოტოო. ეგ ზღაპრები ჩემთვის არ არსებობს. მე ერთი ქართველი მწერალი ვარ, შეშინებული, უვიცი, ლატაკი.

ნინო — გინდა წნევას გაგიზომავ?

ირაკლი — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველა სასიცოცხლო არტერია გადამიჭრეს. ცხოვრება თავიდან როგორ დავიწყო, არაფერი მეხერხება, ლურსმანს ვერ მივაჭედებ კედელზე. ჩემი წყენი დახლზე ვდია ამ კვდარი თევზივით და ზედ არავინ უყურებს. საშინელებაა, როცა არავის ჭირდები, ზედმეტი ხარ. მეტი რაა სიკვდილი! უსათუოდ გულხელი უნდა დაიკიფიო და კუბოში ჩაგაწვენონ? რა ფორმალობაა! საშინელებაა იმის შეგრძნება, რომ არარაობა ხარ...

ნინო — ნუ ამბობ მაგას. ჩვენ რომ ნორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ და ხელისუფალი ვიყო, შენ ელჩად გაგიშვებდი სადმე, რომელიმე ჯულტურულ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ შეუძლიათ პიროვნების მიხედვით მთელ ხალხზე იქონიონ წარმოდგენა. ხომ გითხარი სვანმა ქალმა — შენ არ მომიყვევი? — თქვენ უბრალო კაცი არ უნდა იყოთო!

ირაკლი — გმადლობთ, გმადლობთ... კარგი, დავანებოთ ამას თავი. შენ ის მითხარი, სად არის ამდენ ხანს, რატომ არ მოდის?

ნინო — ფეხით ფამოვიდა ალბათ. მეტრო არ მუშაობს. ტროლეიბუსი და ავტობუსი არ დადის. მოვა უსათუოდ.

ირაკლი — იქნებ არ უნდა დაგვეერეკა?

ნინო — ეგ შენ მოიფდომე ასე.

ირაკლი — როგორ უნდა ვუთხრა?..

ნინო — ალბათ ისედაც იცის.

ირაკლი — ვინ ეტყოდა?

ნინო — შეიძლება გულმაც კი უგრძნო, დედაა.

ირაკლი — ტყუილია! არავის არ უგრძნობს გული. არავის გული არა აქვს. განა ჩემი ქალაშვილი ნუცა გრძნობს ამ წუთას, რომ კვდები? განა როდისმე გახსენებია მამა? განა ნორმალურია, ასე რომ ვძულვარ საკუთარ შვილს?

ნინო — შენც ახლა გაგახსენდა ნუცა...

ირაკლი — მე სულ მახსოვს... მამინაცვალს მამას ეძახის. მამა კი ძულს.

ნინო — შენ რა იცი, ვინ გითხრა?

ირაკლი — გული მიგრძნობს, ბატონო! ამას ვინმეს თქმა რად უნდა. ბოლოს ქუჩაში რომ შემხვდა, აბა, სხვაგან სად ვნახავდი? — თვალი აღარ აურიდებია, როგორც ადრე იქცეოდა. შემომხედა და გაიღიმა. და ის ღიმილი მიდგას სულ თვალწინ — უაზრო, დაუნდობელი, რაღაცნაირად ბოტანიკური, თუკი ასეთი რამ შეიძლება. და წავიდა... არადა, აი, აქ მოკიდია ცეცხლი, გულ-ღვიძლი მეგლიჯება. ჩემია! ისიც, კახაც! მე ხომ მათ გარდა აღარავინ მყავს!

ნინო — ტირი?

ირაკლი — არა, ვიცინი. ჰა-ჰა-ჰა. რასაკვირველია, ვიცინი.

პ ა უ ზ ა

ნინო — მე მგონი, ნუციკოს არავინ არ უყვარს...

ირაკლი — როგორ შეიძლება, არავინ არ უყვარდეს?

ნინო — არც მე ვუყვარვარ...

ირაკლი — კარგი ერთი!

ნინო — შენ წარმოიდგინე, არც კახა, არც თავისი ქმარი, არავინ!

ირაკლი — ეტყობა, ძალიან გაგაბრაზ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — არა, მეცოდება... იცი, დღეს რამდენია ნუცასნაირი? ათასობით ... ათასობით. ვშიშობ, რომ კახაც ასეთი იქნება...

ირაკლი — ნუ იცი ყველაფრის გაზეადება...

პაუზა

— კიდევ კარგი, ამ ბინის გასაღები ჩემმა ძმამ საბერძნეთში წასვლის წინ მე დამიტოვა. დავჭირდებაო. აფხაზეთიდან რომ დავბრუნდი, აეროდრომზე ჯიბეში ხელი ჩავიყავი და გასაღები ვიპოვე. აღარ მახსოვდა. თითქოს გასაღები კი არა, კომპასი იყო, მანიშნა, საით უნდა წავსულიყავი. შინ დაბრუნება არ შემეძლო. იცი, სიცარიელისა შემეშინდა. თითქოს ანგელოზი ცხოვრობდა ჩვენთან, გაფრინდა და სახლიც დაცარიელდა...

პაუზა

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! ეტყობა, აღარ მოვა. შენ... შენ გიცნო? მიხვდა, ვინც იყავი?

ნინო — ალბათ. ამას რა მიხვედრა უნდოდა?

პაუზა

ირაკლი — ჩვენი ბინა თანდათანობით ცოცხალთა სასაფლაოს დაემსგავსა. ერთმანეთისა აღარ გვესმოდა, თითქოს სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით. არეულობის გამო სკოლები დახურული იყო, მაგრამ ის მაინც ყოველდღე გადიოდა შინიდან და საკმაოდ გვიანაც ბრუნდებოდა. არც მე ვეკითხებოდი და არც ის მეუბნებოდა, სად დადიოდა. ვეჭვობდი და მართლაც ერთხელ შემოხვევით მიტინგზე მოვკარი თვალი. ტრანსპარანტი ეჭირა და ყვიროდა. მასწავლებელი ქალი!..

ნინო — რას ყვიროდა?

ირაკლი — რას ყვირიან ქალები?! მისი პოლიტიკოსობა კი, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი იყო. სხვა ცხოვრება აღარ ჰქონდა. მონაზონივით კულტის ამარა იყო დარჩენილი...

ნინო — მერე მე რატომ მიყვები ამას?

ირაკლი — არ ვიცი...

ნინო — ხოდა, ნუ მიყვები. არ მინდა.

პაუზა

ირაკლი — საშინელებაა მარტო ხვალინდელი დღის მოლოდინით ცხოვრება. ხვალინდელი დღე სიბერეა და მეტი არაფერი. სიბერე და უსიტყვო კაპიტულაცია საკუთარ თავთან. როგორც შენ გიყვარს თქმა. მართალი ხარ.ყველაზე საშიში მტერი შენი საკუთარი თავია...

ნინო — რა იზამ, უმრავლესობა ასეა...

ირაკლი — ეტყობა კიდეც უმრავლესობას!

ნინო — მოდი, ნუ გავამტყუნებთ ნურავის.

ირაკლი — კიდევ უფრო საშინელი, იცი, რა არის? ყველა თავისი მხრივ რომ მართალია! ასეთი სიმართლეა ყველაზე დიდი სიცრუე, რაც კი ადამიანს მოუგონებია. აქედან იბადება სასოწარკვეთა. იცი, რას ნიშნავს ეს?

ნინო (ჩუმად) — ვიცი...

ირაკლი — არა, არ შეიძლება იმასთან შეხვედრა. ვერ ვეტყვი. როგორ უნდა ვუთხრა!

ნინო — დამშვიდდი. უკვე ეტყოდნენ. ხომ გითხარი.

ირაკლი — ვინ ეტყოდა, ეს არავინ იცის ჩემს გარდა. მეცოდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — შენ?

ირაკლი — რა მე?

ნინო — შენ ხომ ყველაფერი შენი თვალით ნახე!..

ირაკლი — ჩემს თავს აღარ ვჩივი... როგორ უნდა ვუთხრა... რა ვქნა...

ნინო — გინდა, ჩავალ, სადარბაზოსთან დავხვდები. ვეტყვი, რომ მოულოდნელად სადღაც დაგიძახეს.

ირაკლი — არა. მოვიდეს. ასე აჯობებს. აღარ შემიძლია. როდისმე ხომ უნდა დამთავრდეს...

კარზე ზარი ირეკება

ნინო — აი, ხომ გითხარი!

ირაკლი — მოვიდა!

ნინო — დაიცა, მე გავუღებ.

ირაკლი — არა... თუმცა.... ხო, შენ გაუღე...

პირველი მოქმედების დასასრული

II მოქმედება

იგივენი და ელიკო.

ელიკო შუა ოთახში საგანგებოდ გამოჩენებულ სკამზე ზის. ჩანთას, მუხლებზე რომ უდევს, ორივე ხელით მაგრად ჩაფრენია.

ელიკო — აბა, გისმენ, ბრძანე. რისი თქმაც გინდა!

ირაკლი — არაფრის თქმაც არ მინდა...

ელიკო — არაფრის? კი მაგრამ?.. აბა, რისთვის დამიბარე, რატომ მოისურვე ჩემი ნახვა?

ირაკლი — ადვილი მეგონა...

ელიკო — რა გეგონა ადვილი?

ირაკლი — არა, ადვილი კი არა... არ მეგონა, ასე ძალიან თუ გამიჭირდებოდა. არა, არაფერი მაქვს სათქმელი, ისე დაგიძახე.

ელიკო — სულ არაფერი?

ირაკლი — არა...

ელიკო — თუმცა, მეტი რაღა უნდა მითხრა!

ირაკლი — მე ვიფიქრე...

ელიკო — სულ არაფერი, სულ? იმედია, ხვდები, რასაც გეკითხები. სხვა ყველაფერი უკვე მითხარი. მეტი, მართლაც, რა უნდა მითხრა. ყველაფერი ნათელია. ის თუ გახსოვს, რისთვის წახვედი აფხაზეთში?

ირაკლი (ჩუმად) — მახსოვს...

ელიკო — მერე?

ირაკლი — ხომ გითხარი?

ელიკო — ჯერ არაფერი გითქვამს. გელოდები.

ირაკლი — არ შემიძლია და რა ვქნა!

ელიკო — მაშ, მე გეტყვი, მომისმინე. ჯერ ყოყმანობდი, მაგრამ, ვატყობ, ტყუილად. ალბათ ღმერთის ნებაა ის. რის გაკეთებასაც ახლა ვაპირებ. იღონდ მანამდე ერთი რამ მინდა გითხრა: ჩემს ცხოვრებაში არავის, არასოდეს ასე არ დავუმცირებიარ... მაგრამ ისიც იცოდე, რომ ვერაფერი დამაკელი, შენი თავი კი დაიმცირე ამით. გიყურებ და მეცოდები, მეტი აღარავითარი გრძნობა აღარ შემრჩენია შენს მიმართ. მე კი არ მინდა, საცოდავი იყო. აი, რა უნდა მეთქვა შენთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთიდან იღებს პისტოლეტს, უმიზნებს, სახლეტის გამოწვევასაც ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

ნენო — აჰ!
ირაკლი — ელიკო!
ნინო — ღმერთო!
ირაკლი — დაიცა!..

დაბაბული პაუზა

(სიცილით) უი, ამას სროლა არ სცოდნია!
ელიკო — კი, მაგრამ... რა ხდება? ხომ გატენილია?
ირაკლი — კი, გატენილია. მოიტა აქ, მომეცი.
ელიკო — ხალხს რომ ჰკითხო, იარაღი თავისით გაისვრისო...
ირაკლი — ხომ ხედავ, თავისით არ გაისროლა. სროლასაც ცოდნა უნდა, ჩემი ძვირფასო. ამას კაცის მოკვლა ადვილი ჰგონია. აკადემიას ამთავრებენ, მარტო ეგ რომ ისწავლონ. მომეცი-მეთქი, მე გაჩვენებ, როგორ უნდა მოკლა ადამიანი, მითუმეტეს, შენი ქმარი.

არმივეს პისტოლეტს

— მოდი, აქ ჩამოჯექი. აი, ასე. დაიხსომე: ეს არის დამცველი. ჯერ დამცველისგან ვთავისუფლებთ, მერე ზემო ნაწილს ბოლომდე უკან ვწევთ. აი, ასე. ხომ ხედავ? ახლა ‘ზზად არის — ტყვია ლულაშია. თითს გამოკვრაღა უნდა. ორივე ხელით დაიჭირე. შენთვის მძიმეა. აბა, ახლა მესროლე. ნუ აღელდები.
ელიკო — არა, არა, გამანებე თავი! მაგას ხელს როგორ მოვკიდებ!
ირაკლი — უსათუოდ გაისვრის, ნუ გეშინია!
ელიკო — დამანებე-მეთქი თავი. მტკვარში გადავაგდებ. რად გვინდა იარაღი შინ!
ირაკლი — ხომ ხედავ, დაგეჭირდა! ეგ ჩემმა ძმამ მაჩუქა.
ელიკო — აბა, კარგს რას იზამდა!.. იცი, სიამოვნებით მოგკლავდი მაშინ...
ირაკლი — როდის მაშინ!
ელიკო — აი, როცა დაგიმიზნე.
ირაკლი — დამშეიდდი, შენი ხელიდან მკვდარი ვარ. ნანობ, რომ არ გაისროლა?
ელიკო — წარმოგიდგენიათ, მე ახლა მკვლელი ვიქნებოდი!
ირაკლი — მე კი მკვდარი! კაცმა არ იცის, რომელი სჯობს. თუმცა როგორ არ ვიცი. რასაკვირველია — მკვდარი! მკვდარს დიდი გამოცდილება აქვს, მკვდარ კაცს სიტყვაზე დაეჯერება. მოკლედ, დაიხსომე, ეს სათამაშო არ არის.

პლედის კალთას აიწევს და პისტოლეტს ქამრის სალტეში გაირჭობს

— ახლა ასე ატარებენ...
ელიკო — გადააგდე. რად გინდა. ნუ ინახავ.
ირაკლი — ნუ გეშინია, მშვიდად იყავი.

ელიკო ისევ სკამზე ჩამოჯდება, სახეს ხელებში ჩამალავს, გაოგნებულია. თითქოს ყველაფერი მისდაუნებურად მოხდა და ამის გამო თავზარდაცემულია

პ ა უ ზ ა

ელიკო — შეიძლება პალტო გავიხადო?
ირაკლი — კი, ბატონო. ოღონდ, იცოდე, აქ ცივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიკო — სული მეხუთება.

პალტოს იხდის

— აი, ამ ჟაკეტს ვამთავრებდი, ბოლო ძაფი შევაწყვეტე, ტელეფონმა რომ დარეკა...

ირაკლი (დიმილით) — მშვიდობაში.

ელიკო — გმადლობთ. მართალი ხარ, სასაცილოა ყველაფერი. ვერ ატყობთ, ყველაფერი სასაცილო რომ გახდა, თუკი იკადრებ და გაიცინებ, რა თქმა უნდა... არ მეთანხმები?

ირაკლი — ადამიანს გაეჩინა. მაინც ადამიანზეა დამოკიდებული...

ელიკო — რა, იტიროს თუ იცინოს?

ირაკლი — თუნდაც.

პაუზა

— რატომღაც მგონია, სასაცილოდ არ უნდა გვქონდეს საქმე..

ელიკო — შეიძლება... ესეც გემოვნებასავითაა.

ირაკლი — ხო, გემოვნებაზე არ კამათობენ.

ელიკო — გემოვნებაზე არ კამათობენ ისინი, ვისაც გემოვნება აქვს.

ირაკლი — ოჰო?

ელიკო — გავიკვირდა?

ირაკლი — არა... არაფერია, არაფერი...

ელიკო — ვქსოვ და ვქსოვ, ვქსოვ და ვფიქრობ. აღარც ვიცი, ვფიქრობ თუ ვქსოვ. ძველს ვარდვევ და მაშინვე ახლის ქსოვას ვიწყებ. ფიქრით ამოვიჭამე თავი. შენ გგონია, გავგიჟდი?

ირაკლი — აბა, რას ამბობ?!

ელიკო — შენს თავს მოატყუე! მაგრამ გული მაინც უნდა დაგწყვიტო — არ გავგიჟებულვარ! ყოველ შემოხვევაში, ჯერჯერობით მაინც...

ნინო (მივა, მხარზე ხელს დაადებს) — მანქანით ქსოვ?

ელიკო (ამოხედავს, კარგა ხნის მერე) — არა, ხელით.

ნინო — მანქანით მოქსოვილსა ჰგავს.

ელიკო — გმადლობთ.

ნინო — კარგი ფერია. ძაფი სად იშოვე?

ელიკო — ძველი მქონდა. დარჩენილი. არ მიხდება ეს ფერი.

ნინო — როგორ არ გიხდება, შენი ფერია!

ელიკო (უყურებს) — იცი, შენ უფრო მოგიხდება!

ნინო — ვისაც აცვია, იმას უხდება კიდეც!

ელიკო — აბა, ჩაიცვი, ვნახოთ.

ნინო — ჩავიცვა?

ელიკო ჟაკეტს იხდის. ნინო იცვამს, სარკესთან მიდიან

ელიკო — ხომ გითხარი, მოგიხდება-მეთქი.

ნინო — ცოტა. სახელოები ხომ არ არის მოკლე: მე გრძელი ხელები მაქვს, გორილასავით.

ელიკო — კი, გრძელი ხელები გაქვს...

ნინო მოხედავს, ელიკო სასწრაფოდ დაუმატებს

— უფრო სწორად, მე მაქვს მოკლე ხელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო იხდის ჟაკეტს, ელიკოს უბრუნებს, ელიკო იცვამს

ნინო — როგორი თბილია!

ელიკო — ამიტომაც ჩავიცვი.

სკამზე ჩამოჯდება

პ ა უ ზ ა

— განა ესეც სასაცილო არ არის? მეტიც — ცინიზმია! ცინიზმა დაგვლუპა. თქვენმა ცინიზმა.

ირაკლი — დაიწყო ისევ — „თქვენმა“, „ჩვენმა“, აღარ უნდა დამთავრდეს ეს უმსგავსობა?!

ელიკო — ეს ასე ადვილად არ დამთავრდება. განა შეიძლება მე თქვენნაირი გავხდე?

პირჯვარს გადაიწერს

— ღმერთო დიდებულო, შენ დამიფარე ამისგან!

ირაკლი — ღმერთი ჩვენ ზედ აღარ გვიყურებს.

ელიკო — შენ ასე გეგონოს! ის ყველაფერს ხედავს. მარტო ღმერთია ჩვენი მხსნელი.

ირაკლი — არა-მეთქი! იმიტომ რომ პირჯვრის წერა ეკლესიაში კი არა — მიტინგებზე ვისწავლეთ.

ტახტიდან წამოდგება, ელიკოს წინ დაიდგამს სკამს, ცოტა ხანს უხმოდ შესცქერის

(პაუზის შემდეგ) — ძლივს ავედი თვითმფრინავში. ერთმა გენერალმა მიცნო, საომრად მიდიხართო? დიახ-მეთქი, თავი დავუქნიე. არადა, გიჩასთან თბილი ქურუუკი მიმქონდა. არსად არაფერი არ იცოდნენ. სოხუმში მითხრეს, დრანდაში გაიკითხეო. დრანდიდან ოჩამჩირეში გამგზავნეს. ავტობუსით წავედი. ძველებური, ღია ავტობუსი იყო. ბორბლებიან ნავსა ჰგავდა. გზაში სროლა აგვიტეხეს. გადმოვცვივდით. კარგა ხანს ვიწექით მინდორში, მიწაში ცხვირჩარგულები. მერე გამოირკვა, ჩვენები გვესროდნენ, შეშლილან. ოჩამჩირეშიც არავინ აღმოჩნდა მისი ამბის მცოდნე. მაგისთანა აქ დღეში ათასი ჩამოდის და მიდისო. როგორც კი კუჭი ატკივდებათ, ბებიასთან გარბიანო. იმ ღამეს ფანჯრებჩალეწილ სკოლაში მეძინა. გამოღებული კარიდან ვიღაც ბებერმა ქალმა ხელი დამიქნია, მოდიო. იატაკზე ბრეზენტი გაეშალათ, ზედ მიყრილიყო კაცი თუ ქალი. ბავშვებიც ერევნენ, დილაუთენია გამაღვიძეს და კომენდატურაში წამიყვანეს. ოცოდე წლის ოფიცერმა, ორი თითით ნიკაპზე ძირმაგას რომ ირწყავდა, თვალით მაღალ, მუმიასავით დაბინტულ ბიჭზე მანიშნა. იმ ბიჭს გაეყეენი. ზღვის პირას გავედით. წვიმდა. ქარს მიჰქონდა იქაურობა. ბიჭმა ქვიშის პატარა გორაკზე მიმითითა. ფანერის ნაგლეჯზე აქ დამარხულთა გვარები ეწერა. ჩვიდმეტი ბიჭი იწვა ერთად... გოზზე რომ მოვედი და თვალში გამოვიხედე, ტალახში ვიჯექი. შუმაა წასულიყო. წვიმდა.... ხო... ზღვა იყო რაღაცნაირად უცხო და ბინძური...

ელიკო (წამოდგება) — არა...

ირაკლისკენ გადადგმას ნაბიჯს

— არა...

წაბარბაცდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტყუე! მითხარი, რომ მატყუებ!.. მითხარი... ნინა...

დაეცემა, ნონებას დაკარგავს

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ (**წამოვარდება**) — ელიკო, ელიკო! ნინო, მიშველე! ჩქარა წყალი!

ცდილობს ელიკო წამოაყენოს

(**ნინოს**) — მომეხმარე!

ელიკოს ხაწოლზე დააწვენენ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — აი, ამის მეშინოდა!

ᲜᲘᲜᲝ — საკინძე გაუხსენი!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — თითები წამერთავს!

ᲜᲘᲜᲝ — მიმიშვი, მე გავუხსნი.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — წყალი მოიტანე-მეთქი!

ᲜᲘᲜᲝ — აი, ჩემი სუნამო, გამომართვი.

წყალი მოაქვს

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — რა უნდა ამ დროს, რა?

ᲜᲘᲜᲝ — წყალი ჩაყლაპე ცოტა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — პირს ვერ ვუღებ, რა ვქნა.

ᲜᲘᲜᲝ — დამშვიდდი. გაუკეთს. ეს ნორმალურია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — რა არის ნორმალური, რა! სასწრაფოს დავუძახოთ!

ᲜᲘᲜᲝ — აი, თვალი გაახილა!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — ელიკო, ელიკო, შემომხედე, შემომხედე!

ელიკო უხმოდ შეხცქერის ხან ერთს, ხან მეორეს, თითქოს პირველად ხედავდეს. უცებ წამოვარდება საწოლიდან

ᲔᲚᲘᲙᲝ — ამ ლოგინში როგორ ჩამაწვინეთ, როგორ გაბედეთ!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — დაწყნარდი, ელიკო. შენთვის წოლა აუცილებელია. ცოტა ხანს... თავბრუ დაგეხვა. აი, ეს ჩაალე პირში, ვალიდოლია.

ᲔᲚᲘᲙᲝ — თავი დამანებე. არ მინდა. დამანებე თავი...

დაბარბაცდება

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — დაწექი-მეთქი, ხომ გითხარი, ცოტა ხანს...

ᲔᲚᲘᲙᲝ — კარგი, ოღონდ აქ.

იატაკზე წვება

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — რას შვრები, იატაკზე წვები? აგე, დივანზე მაინც დაწექი.

ᲔᲚᲘᲙᲝ — ვერ ვიტან „შინელს", გულს მარევს.

ᲜᲘᲜᲝ — სხვა არ მქონდა...

ᲔᲚᲘᲙᲝ — ვერ ვიტან...

ᲜᲘᲜᲝ (**ირაკლის**) — დააფარე რამე.

ᲔᲚᲘᲙᲝ — არ მინდა. დამანებეთ თავი.

ᲜᲘᲜᲝ — ამ დროს სიცივია საჭირო.

ᲔᲚᲘᲙᲝ — ჩემი პალტო დამახურეთ, ახლავე ავდგები... მერე?

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ — ბატონო?

ᲔᲚᲘᲙᲝ — გაგრძელე, რატომ გაჩუმდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი (ნინოს შეხედვს) — რა გავაგრძელო?

ელიკო — მე შემომხედე! რასაც მიყვებოდი, ის გააგრძელე.

ირაკლი — რასაც გიყვებოდი?.. ხოო... ახლავე... რაღა უნდა გითხრა?

ელიკო — სულერთია.

ირაკლი — სიზმარივით რომ იყო ყველაფერი, ეს გითხრა?

ელიკო — რა იყო იმ სიზმარში?

ირაკლი — მახსოვს, მოვრბოდი... ქუჩაში გამოვედი. პალმის ძირას მერხზე ჩამოვჯექი. ძაღლი მოცუნცულდა. ფეხებთან გამიწვა. სველი. გაბურძგნული. შე საცოდავო-მეთქი, ვუთხარი იმ ძაღლს, შე საცოდავო...

ელიკო — მე ვიფავი ის ძაღლი...

ირაკლი — რა თქვი?

ელიკო — სიზმარში...

ირაკლი — ხოო... სიზმარში...

ელიკო — როგორ უთხარი, შე საცოდავო?

ირაკლი — ცუგა, ცუგა, შე საცოდავო-მეთქი...

ელიკო — შე საცოდავო, შე საცოდავო...

ირაკლი — კარგი, დაწყნარდი.

ელიკო — გინახავს, როგორ ტირის ძაღლი?..

ირაკლი — უცნაურია... **(ნინოს მიუბრუნდება)** მთელი დღე ძაღლებზე ვლაპარაკობთ!.. ალარავის ადამიანობა აღარ უნდა...

ნინო (ირაკლის მაჯა უჭირავს) — სამოცდათვრამეტია!

ირაკლი — რაა?

ნინო — არაფერი. სამოცდათვრამეტი გაქვს მაჯა.

ირაკლი — რა დროს მაჯაა, ნუ გადამრიე **(ელიკოს)** მერე სიხუმში დავბრუნდი. იქ ვიღაცის სახლში ვიწექი სიცხიანი...

ელიკო — დაჯექი და ისე მომიყევი, თავზე ნუ მადგახარ.

ირაკლი (ტახტზე ჩამოჯდება) — მერე თოვლ-ჭყაპში მივფრატუნობდი. **(ნინოს)** შენც დაჯექი.

ნინო სარკელთან მივა, სიგარეტს მოუკიდებს

— **(ელიკოს)** — სხვა ლტოლვილებთან ერთად მოვდიოდი. ვაღაცა ქალმა თავისი შალით ფეხები შემიხვია. სვანეთში გადავედით. მართლაც რომ ბოლოთის გზით. რომელიღაც ოჯახმა შეგვიფარა ორმოცი ლტოლვილი ერთად. ვინ ბრძანდებითო, მკითხა დიასახლისმა, რომლის სახლშიც ორი თვე გაუნძრევლად ვიწექი. ჩემს საწოლთან ჩამომჯდარი კოვზით წვნიანს მახვრეპინებდა. კედელზე აკეკი წერეთლის სურათი ეკიდა და რატომღაც მომერიდა, ასე გასაცოდავებულს, მეთქვა, მწერალი ვარ-მეთქი...

ელიკო (ნინოს) — სამოცდათვრამეტი ნორმალურია. მაგას ყოველთვის ცოტათი აჩქარებული აქვს მაჯა.

ნინო — ვიცი, მაგრამ ამ ბოლო დროს აურია ცოტა.

ირაკლი — რა დროს მაჯაა-მეთქი, გაგიჟდით?! მოდი, ელიკოს გავუზომოთ წნევა!

ელიკო — არა...

წამოჯდება

— არა. მე არაფერი მიჭირს. აღრეც რამდენჯერ წამსვლია გული. ვინ იცის, რამდენჯერ მოვმკვდარვარ. ვის გაუგია ჩემი სიკვდილი? ლაპარაკობ, დადიხარ, ტელევიზორს უყურებ, სადილს ამზადებ, ლოგინს შლი და მაინც მკვდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ — აი, ეს არის თუ არის სიკვდილი, თორემ, როცა არაფერი გესმის, ისა რა საკვდილია! ის ხსნაა, შვება, ბედნიერებაა. სიცოცხლით წამებაა საშინელება... მეც მინდოდა ოჯახი მქონოდა, ქმარი მყვარებოდა, შვილიშვილის თეფშიდან მორჩენილი საჭმელი მეჭამა, ქმრისთვის პერანგი დამეუთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს მიკითხავს, სად იყავი-მეთქი. ჩვენ ხომ ვენდობოდით ერთმანეთს. ჩვენ ხომ ერთმანეთისა უსიტყვოდ გვესმოდა. უცებ დამისხლტი ხელიდან, გამექეცი, დამეკარგე. თუმცა გვერდგვერდ ვცხოვრობდით, ერთად. ჩემი ბრალი იყო. მე არასოდეს არავისთვის არ მქონდა დრო, არავისთვის. არც ჩემთვის, არც ჩემიანებისათვის. ზუსტად ჩემსავით იცოდი დგომა — ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გვერდზე თავგადაწეული... სულ გზებზე, სულ!..

ნინო — მე ვიცნობდი, როგორ არა, ოღონდ, რა თქმა უნდა, შორიდან. ერთხელ მეტროშიც შემხვდა, ესკალატორზე. ერთხელ ქუჩაშიც დავინახე. ბოგოსთან ერთად მორბოდა წვიმაში, თავზე ჯინსის ქურთუკგადაფარებული. მანქანა გავუჩერე, ვანიშნე: წაგიყვან-მეთქი. ვერ მიხვდა, რას ვთავაზობდი, იმიტომ რომ იმ წუთას ბედნიერი იყო და ასე სირბილი ერჩივნა ყველაფერს. როგორი უცნაური თვალები ჰქონდა, უძირო. მიფიქრია კიდეც, ნეტავი ჩემი შვილი იყოს-მეთქი. ხელი ამიქნია, წადი, მანქანა არ გვჭირდებაო. მართლაც, რად უნდოდათ იმათ მანქანა! ღმერთო, როგორ გვავიწყდება ხოლმე ჩვენივე თავი. დიდხანს ვუყურებდი, როგორ მირბოდნენ, განგებ ატყაპუნებდნენ ფეხებს გუბეებში და იცინოდნენ, იცინოდნენ. რატომღაც შემეშინდა მაშინ. ხო, შემეშინდა...

პ ა უ ზ ა

ელიკო (ქმრის მკერდში თავჩარგული. გამოხედავს) — შენ მას იცნობდი?

წამოდგება. სარკესთან მივა, თმას გაისწორებს. გარეგნულად უკვე მშვიდად გამოიყურება. სამივენი თითქოს თანდათანობით გონზე მოდიან

— როგორ დავიდალე...

ნინო — ქუჩაში მინახავს ერთი ორჯერ...

ელიკო — არ დალაპარაკებიხარ?

ქმარს მიუბრუნდება

— რას დამსგავსებიხარ, რა გაცვია?

ნინო — არა, არ დალაპარაკებივარ. ხომ გითხარი, შორიდან ვიცნობდი-მეთქი. ვიცოდი, რომ თქვენი შვილი იყო, მეტი არაფერი...

ირაკლი — ეს? ხოო... მეესიკელი მწყემსივით მაცვია. პონჩოა. მცივა (**ღიმილით**) მე თვითონ გამოვჭერი. მოგწონს?

ელიკო — რომ გცივა, თავი კი არ უნდა გაიმასხარაო!

ის ახლა ხულ სხვა ქალია, თავის უპირატესობაში დარწმუნებული და საოცრად მშვიდი

— თუ ჩემს შესახვედრად დაგჭირდა ასეთი მასკარადი? საერთოდ, არაფერი მესმის. ოთხი თვეა, აქა ხარ, ოთხი თვის შერე ვიღაცას არეკინე ჩემთან და მიბარებ და თანაც ასე მექსიკელივით გამოწყობილი მხვდები. წითელბანტიანი გიტარით. იქნებ გაგიჟდი და თვითონაც არ იცი?

ირაკლი — შეიძლება... შეიძლება მართლაც გავგიჟდი... არ გამიკვირდება. თბილისში კი მხოლოდ ერთი თვეა, რაც ჩამოვედი.

ელიკო — ამ გიტარაზე შენ უკრავ?

ირაკლი — არა, რასაკვირველია, არა.

ელიკო — მგონი, დაკვრა არ იცოდი. ამ უბედურებაში გიტარაზე დაკვრა ისწავლე?

ირაკლი — არა-მეთქი, ხომ გითხარი!

ელიკო — ეს შენი ძმის ბინაა, არა?
ირაკლი — კი, ჩემი ძმის ბინაა.
ელიკო — ჩემი მასხარა მაზლის.
ირაკლი — რატომაა მასხარა?
ელიკო — კლოუნი!

ნინოსთან მივა, თვალებში შესცქერის

დაძაბული პაუზა

— კარგია, ეს მაინც რომ იცოდი, ჩემი შვილი რომ იყო. კარგია.
ნინო — სხვა რა არ ვიცოდი?
ელიკო (ნინოს უყურებს, მაგრამ ირაკლის მიმართავს) — თვითონ სად არის?
ირაკლი — ვინ?
ელიკო — ვინ და შენი ძმა. მგონი, რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა, არა?
ირაკლი — კი კინოსტუდიაში მუშაობდა. საბერძნეთშია.
ელიკო — ოჰო, „ილიადას“ იღებს?
ირაკლი — არა. ციტრუსებს კრეფს.
ელიკო — აბა, უპოვნია თავისი საქმე.
ირაკლი — გაანებე თავი.
ელიკო — განა განებებული არა მაქვს? თხუთმეტი წელია, შენი ცოლი ვარ და ერთხელაც არ მოსულა ჩვენთან.
ირაკლი — ხარ, გაანებე, რა გინდა... ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს.
ელიკო — რაი? რადის მერე გამოგვეჩინდა ჩვენი საქმე?

ოთახში გაივლ-გამოივლის, ტელევიზორის ეკრანს თითს ჩამოუსვამს, ზიზღით დახედავს

— აქ როგორ ძლებ, ამ მტვერში, ამ ბინძურ ლოგინში როგორ წევხარ. თუკი დამბარე, ლოგინი მაინც აგელაგებინა.
ნინო — უკაცრავად, ვერ მოვასწარი, დამრჩა.
ელიკო — შენ ალაგებ?
ნინო (დიმილით) — მიყვარს ეს საქმე.
ელიკო — შენ შენი სახლი დაალაგე, შენს ქმარს გაუსწორე ლოგინი. **(ირაკლის)** ასე რომ, თუ მართლა რამე საქმე გაქვს, თანაც „ჩვენი“, მითხარი დროზე. მე აქ დიდხანს ვერ გავჩერდები, ამ ბინძურ ბუნაგში.

ისევ ნინოს წინ გაჩერდება

დაძაბული პაუზა

— ჩემი კარგი, სხვა, თუნდაც ის არ იცოდი, რომ არ შეიძლება ქმრის საყვარელმა ცოლს ქმრის მაგივრად დაურეკოს.
ნინო — მე სრულებითაც არ მინდოდა დარეკვა.
ელიკო — მხოლოდ სიზმარში შეიძლება მოხდეს. ქმარი, რომელიც დაღუპული გგონია, ქალის ხმით დაგელაპარაკოს!
ნინო — გამოგიტყდები, ძალიან მიჭირს შენთან ლაპარაკი, მაგრამ... აქ ტელეფონი არ მუშაობს. ჩავედი, გაზეთის ჯიხურში ყეტონი ვიყიდე და კომერციული ავტომატით დაგირეკე.
ელიკო — სიმართლე გითხრა, მიკვირს, რომ გაბედე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — რომ არ მოგატყუო, ეგ მეც მიკვირს. არ მეგონა, როლესმე თუ დაგელაპარაკებოდი.

ელიკო — და მაშინვე შენობით დამიწყე ლაპარაკი არა?

ნინო — ხო, ეგეც მიკვირს. არავის შენობით არ ველაპარაკები, რასაკვირველია, რამდენიმე ახლობელი ადამიანის გარდა. არ მჩვევია შენობით ლაპარაკი.

ელიკო — მეც ალბათ ასლობლად მოვალი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეცაა — ახლობლები ვართ აბა, რა არის ეს, ამაზე მეტი ახლობლობა არ გამიგია. ყოველ შემთხვევაში, კოლეგები ნამდვილად ვართ — შენ პირველი ცოლი ბრძანდები, მე კი მეორე, ანუ ახლანდელი...

ნინო (ნერვული სიცილით) — ჩემდა უნებურად... როგორ აგიხსნა... არ მინდოდა... ფიქრში ყოველთვის თქვენობით ძოგმართავ. ჟურმილი ავიღე თუ არა, რადაც დამემართა. ეტყობა, ტვინი გადამბრუნდა. ახლაც თავს ძალას ვატან, მაგრამ თქვენობით ვერ გელაპარაკები.

ელიკო — საერთოდ არ უნდა დამლაპარაკებოდი, არც შენობით და არც თქვენობით. უკეთესი იქნებოდა, მე ვიტყოდი — უფრო ზნეობრივიც. არა, მე არ მეყოფოდა ძალა, დამერეკა ქალისთვის, რომელიც ოთხი თვეა ქმარ-შვილის ამბის გაგებას ელოდება და არ იცის, ცოცხლები ყავს თუ არა ისინი. კოლეგები ვართ-მეთქი — ტყუილია! როგორ შეიძლება მე შენ კოლეგა ვიყო?! ღმერთო, რა უცნაური ამბების მოწმე გამხადე. ნამდვილი სოდომ და გომორაა!

პირველს იწერს

ირაკლი — კარგით, გეყოფათ. მე დავარეკინე, მე ვთხოვე. ეს ტელეფონი არ მუშაობს, მე გარეთ არ ვაედივარ. თავისი სურვილით არ დაურეკავს... ისე, მართალი ხარ, ბევრი რამ მე თვითონაც არ მომწონს ჩვენი ურთიერთობიდან.

ელიკო — ახლა მიხვდი?

ირაკლი — კიდევ კარგი, ახლა მაინც რომ მივხვდი.

ელიკო — დაგვიანებული რომ არის, ამაზე არ გიფიქრია?

ირაკლი — ვიდრე ცოცხალი ხარ, არაფერი არასოდეს ვვიან არ არის.

ელიკო — როგორ გაბედე და ამ ქალს დაარეკინე. დამცინით, არა?

ირაკლი — რაც თბილისში დავბრუნდი, ამ ქალის გარდა სხვას არავის შეეხვედრივარ. არა, შენ არავინ დაგცინის.

ელიკო — აქ რატომ მოხვედი, შინ რატომ არ დაბრუნდი, სახლი არ გქონდა, ყველაფერი როგორ დაიგეწყე ერთბაშად? მართალია, ჯოჯოხეთში იყავი წასული, მაგრამ მახსოვრობაც იქ დატოვეო, ხომ არავის უთქვამს? იცოდი, რომ გელოდებოდი, თანაც ისიც იცოდი, რისთვის გელოდებოდი.

ირაკლი — მაგიტომაც...

ელიკო — რა. მაგიტომაც?

ირაკლი — არაფერი...

პაუზა

ელიკო — ადამიანმა თავის თავს არ უნდა მისცეს ცინიკოსობის უფლება, აი, თუნდაც, ამ ჩვენს შეხვედრას რა შეიძლება ეუწოდოთ?

ირაკლი (დიმილით) — ანგელოზთა კრება.

ელიკო — არა — უმსგავსობა! ცინიზმი!

ნიჩოს

— ვერ ატყობ, შენი ქმარი რომ გვაკლია, რატომ იმასაც არ დაურეკე, ეტონი არ გქონდა, იქნებ ელოდებოდი, რომ მე დავურეკავდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი (მკაცრად) — აი, ეგ კი ძალიან სასაცილოა!

ელიკო ისევ სარკის წინ გაჩერდება, თითქოს თავის გამოსახულებას მიმართავს

ელიკო — იქნებ ჩვენ გაგვექცა... არ უნდოდა ჩვენნაირი ყოფილიყო... უკვე ყველაფერი ესმოდა. ბავშვებს ისედაც ყველაფერი ესმით. წავიდა და ადამიანად მოკვდა. არ უნდოდა მხეცებთან ცხოვრება. იცით, რას ნიშნავს ეს? არა, ამას თქვენ ვერ გაიგებთ.

სარკეს ზურგს შეაქცევს. ლაპარაკობს ძალიან მშვიდად

— მე, მე გავზარდე ადამიანად. ის მარტო ჩემი შვილი იყო.

ირაკლი — მეგონა, გაგაგებინებდნენ მის ამბავს, ამიტომაც ვითრევდი ფეხს.

ელიკო — ვინ გამაგებინებდა, ვის ახსოვხარ, ქვეყანა არეულია. მეც არ ეკითხულობდი, მეშინოდა... რატომ ითრევდი ფეხს, შეეძლო თავისუფლად გეთქვა. განა არ ვიცოდ, სადაც ის იყო წასული, მარტო ბავშვები რომ იხოცებოდნენ?

ირაკლი (შივა, მხარზე ხელს დაადებს) — ის ჩვენ ორივეს მოგვეკვდა...

ელიკო — არა! (მხარს გააქნევს, ხელს აადებინებს) — არა, ის მარტო მე მომიკვდა!

ირაკლი — ორივემ მოკალით-მეთქი, ამის თქმა მინდოდა...

ელიკო სკამზე ჩამოჯდება

ელიკო (სიცილით) — ის მარტო ჩემი შვილი იყო. შენ ეს არ იცოდი?

ირაკლი — რა გაცინებს?

ელიკო (სიცილით) — მაგრამ როდესმე მაინც ხომ უნდა გაგეგო სიმართლე?

ირაკლი (დაინტერესებული. ღიმილით) — სიმართლე? საინტერესოა... რომელი სიმართლე?

ელიკო — სიმართლე ერთია...

ირაკლი (ღიმილით) — მაინც, მაინც?

ნინო (მკაცრად) — გეყოფათ!

ირაკლი — დაიცა!

ელიკო (ნინოს სიცილით) — შენ ხვდები, არა, რისი თქმაც მინდა? თუმცა ამას რა მიხვედრა უნდა... კაცებს არ უყვართ სიმართლე.

ირაკლი (ღიმილით, ოღონდ შეცვლილი ხმით. გაფრთხილებასავით) — ელიკო!..

ელიკო (სიცილით) — ელიკო! ელიკო! ღმერთო ჩემო, რა სასაცილო სახელი მრქმევია!

ირაკლი — მოიხედე აქეთ!

ელიკო — აპა, ბატონო, მოვიხედე! ნეტავი ვინ არის ეს კაცი, ასე რომ სწყურია სიმართლე!

სიცილით

—ირაკლი, ირაკლი, ეგ არაფერს კარგს არ მოგიტანს, იცოდე. გაფრთხილებ.

თითს უქნევს. ირაკლიც ღიმილით ასევე პასუხობს

ირაკლი — მოგკლავ, იცოდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიკო — დიდი ამბავი! სხვათა შორის, ახლა შენი ჯერია. აბა მესროლე მარჯვენე, ჩემსავით არ წახდე, არ შემარცხვინო. ჩემი მოკვლა რომ გაგიადვილო, გაგიმეორებ — ის მარტო ჩემი შვილი იყო. ასე რომ, მაინცდამაინც, გულთან ახლოს ნუ მიიტან...

ირაკლი — რას ნუ მივიტან გულთან ახლოს, გესმის, რას ამბობ?

ელიკო — ჩვენ რომ ხელი მოვაწერეთ, მე უკვე ორსულად ვიყავი...

ირაკლი — ეგ ვიცი. მერე რა?

ელიკო — შენ მარტო ეგ იცი, არა?

ირაკლი — მეტი რა უნდა ვიცოდე?

ელიკო (სიცილით) — შემიძლია გითხრა, რომ არაფერი გცოდნია!

ირაკლი — ვერაფერი გავიგე...

ელიკო (ნინოზე უთითებს) — აი, ამან კი გაიგო! ეს მიხვდა! ნახეთ, ნახეთ, როგორ უხარია, ნახეთ!

ნინო — მე თავი დამანებეთ!

ელიკო — არადა, ეგეც ჩემსავით უბედურია...

პ ა უ ზ ა

ირაკლი — ვერ უყურებთ ამას!

ელიკო (სიცილით) — მე მითხარი რამე?

ირაკლი (სიცილით) — ქვეყანა მოღალატეებითაა სავსე!

ელიკო (სიცილით) — აბა, შენ რა გეგონა?

ნინო (ჩუმად) — მე თავი დამანებეთ...

ელიკო (წამოდგება) — კარგი, გვეყოფა, საკმარისია...

პალტოს იცვამს

— დავამთავროთ მასკარადი. სხვა რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის?

ირაკლი — სხვა?.. არაფერი...

ელიკო — დიდი ხანია, ამდენი არ მიცინია...

ირაკლი (დივანზე ჩამომჯდარი) — მოდი აქ, ჩემთან.

ელიკო ცოტა ხნის ყოყმანის მერე მისკენ ნაბიჯს გადადგამს

— უფრო ახლოს!

ელიკო (ახლოს მიდის) — აბა, მოვედი, რა გინდა?

ირაკლი — აი, აქ ჩამოჯექი. ერთი წუთით. ჩემს გვერდით. როგორ გაგყინვია ხელები!.. ერთ რამესა გთხოვ... ვიცი, რა ცეცხლიც ტრიალებს ახლა შენს გულში... ნუ გაბოროტდები... შენთვის იქნება ძნელი... **(ყვირის)** ზღვა! ზღვა! ზღვა!

ელიკო — რა გაყვირებს?

ირაკლი (ჩუმად) — ფანჯრიდან ზღვა მოჩანდა... და ვიღაცა მღეროდა.

ნინო — ირაკლი, რა დაგემართა?

ირაკლი — აი, როგორ ამიხდა ყველაფერი...

შუქი ქრება

ნინო — ისევ ჩაქრა. გააჭირა საქმე!

ელიკო — მე სიბნელისა მეშინია.

ირაკლი — ეტასტროფაშიო...

ნინო — ირაკლი, რა დაგემართა-მეთქი?

ირაკლი — მოდი შენც, ნინო, ჩვენთან. შენც ხომ გეშინია?

ნინო ირაკლის გვერდით ჩამოჯდება

ელიკო — თითქოს ორმოში ჩავცვივდით!

ირაკლი — კარგი, დამშვიდდი, ელიკო.

ელიკო — დიდი ხნით ქრება ხოლმე? **(ხიცილით)** აღარ შემიძლია!

ირაკლი — რა გაცინებს?

ელიკო (ისტერიული სიცილით) — აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია!..

ირაკლი (ჩუმად) — ბავშვებს დაუძახეთ...

ნინო (შეშფოთებული) — ირაკლი?

ამ დროს პისტოლეტი გავარდება

ნინო (ყვირის) — ირაკლი!!!

ელიკო (ისტერიული სიცილით) — აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია... აღარ შემიძლია...

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

ლეგენდა მზისკენ გაფრენისა

„...რაც ნაკლები აზრი აქვს სიცოცხლეს,
მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს
ვიცხოვროთ“.

ალბერ კამიუ

არაფრისაგან შევქმენ ყოველი
და არაფერში გადავალ მალე,
არაფრისაგან ყოველს მოველი,
არაფრისათვის საწამლავს დავლევ

და უკვდავების წყაროსაც დავლევ
და მარადისი გავხდები მგზავრი,
არაფერს ვარქმევ შენს ლამაზ თვალებს
და არაფრისთვის წერილებს ვგზავნი.

წერილებს ვგზავნი, პასუხი არ ჩანს
და არც იქნება, მე ვიცი კარგად,
არაფრისფერი შრიალებს ფარჩა
და არაფრისთვის ყველაფერს ვკარგავ.

ყველაფერს ვკარგავ, რაიც გამაჩნდა,
და არაფერი სულს ჩემსას ავსებს,
ერთი იარა კიდევ დამაჩნდა
გულზე, რომელიც აწამეს ასე

არაფრისათვის და რისთვის კიდევ?!
დღემდე არ ვიცი და ვერც გავიგებ,
არაფრისათვის ცად დროშას ვკიდებ
და გამგზავრების ვადგენ განრიგებს.

და გამგზავრებად მზადა ვარ, მზადა,
მაგრამ საითკენ, რატომ და რიდის?!.
ყველა იმედი თოვლივით დადნა,
ისევ დგორდა ხიზიფეს ლოდი.

როგორც არ არის გამარჯვებული,
დამარცხებულიც არ არის ისე,
ისევ მბრძანებლობს სიტყვა მეფური
და ვარსკვლავების მოძახილს ვისმენ.

ჩემივე თავის მე ვარ მეუფე,
არაფრის მქონე და ყოვლისშემძლე.
გულს კი საკუთარს ვერ დავეუფლე
და ყოფნა ჩემი კიდია ბეწვზე.

და ყოფნა ჩემი კიდია ბეწვზე,
ჰა, სადაც არის, წავალ ცისკენ!..
მე უკვდავებას მიტომაც ვეძებ,
ცაც ასე მიტომ გადამისარკეს.

ქვეყნად რაც მოხდა, წარსული ჰქვია,
ვერ მოვახერხეთ აწმყო ვერაგზით,
ისევ ყვავილობს ჭრილობა ღია,
ღია ჭრილობას ორბი ზედ ახის.

ვიცი, მომელის სასჯელი მკაცრი, —
ასე განსაჯა ღმერთმა მადალმა,
მივალ და გულის გიტოვებ ნაწილს,
სიყვარულმა რომ ასე დაღალა,

და სიძულვილმაც დაღალა ძლიერ
და მაინც, მაინც ვარ ბედნიერი,
დღეები, როგორც მდინარე მღვრიე,
ედინებიან ჩვეულ იერით.

ყველაფერი და იყო არავინ,
ძნელია და დღეს მე ეს მამუნჯებს,
წარუვალობა თვით წარმავალის. —
უძვირფასესი, აი, საუნჯე!..

და ბაგეებზე ზეიმობს ზიზღი,
მგმობელი ქვეყნად ყოველთა ყოვლის;
და ქალწულივით ცახცახებს ნისლი, —
ნაზი დობილი პირველი თოვლის.

უკვე მეწვია ძილი საღათა,
ჩახერგილია ბილიკი ყველა,
ყველა ძვირფასი ბედმა წამართვა
და ფრინველივით ფრთხილად და ნელა

ფრთებს კეცავს ჩემი თეთრი იმედი,
გზა გადარჩენის არა და არ ჩანს,
დასასრულამდე ასე მიეედი,
მაინც იმედის შრიალებს ფარჩა.

მე გავემიჯნე ჩემივე წარსულს,
აწმყოს სისხლიანს ვისმენ, ვით ამბავს.
მოძაველს ჩემი ხსენებაც არ სურს
და ძველ ჭრილობებს გულდაგულ
ვლამბავ.

სიყვარულისთვის მაინც ვეწამე,
მისთვის ვაგებდი დიად ობელისკს...
დღეები როცა თმებს შეეერცხლავენ,
შენ ერთს გიწამებ, ყოველის მგმობელი.

გზა გასავლელი ისევ დიდია,
კიდევ ინათებს საჩემო ცაზე,
გაქარავნებით წლები მიდიან,
ბრწყინავენ თვალნი ცრემლებით სავსე.

მაშ, გაუმარჯოს სიკვდილს — ჩემს
დარაჯს.
ყველა დამტოვებს, ის კი — არაგზით,
ჩემს უკვდავებას ფრთებით რომ ფარავს,
მშვენიერს, როგორც სუნთქვას ალაზნის.

აჰა, მთავრდება ჩემი გალობა,
ჩემი ბჭობა და ჩემი მისნობა,
სიტყვას გადავცემ შთამომავლობას,
მან მითვალოს მარადისობად.

სუყველაფერი არის თამაში
და ღმერთი ადგენს საჭირო წესებს,
გიცქერ მშვენიერს, ოქროდალალშლილს.
ჰა, კიდევ ერთი სასმისი შესვეს.

ჰა, კიდევ ერთი დაცალეს სურა,
მე კი სიფრთხილით მივდევ
სტრიქონებს,
არ მოვსულიყავ ნეტავი სულაც,
თუ ასე უმალ მზეს ჩამიქრობდნენ.

თუმც კარგად ვიცი, რა არის დრო და
თვით საუკუნე, — ფასი აქვს წამის,
ვისაც ენატრობდი. სწორედ ის მოდგა
და უკვდავების ის მკურნავს წამლით.

თუმც გზა შორია,
თუმც გზა დიდია,
ბილოს და ბოლოს, მეც დავიღალ.
უკან ბინდია, წინაც ბინდია
და ჩემს სულშიაც ზეიმობს ღამე.

დრო დროში ცხოვრობს, როგორც მზე —
მზეში
და არ დაგვიდევს კანონებს და წესს,
მეღვრება შენი ცრემლების თქეში
და დარდი მხრებზე ლოდივით მაწევს.

დღენი მიდიან,
დღენი მიდიან,
და შედგებიან, არ ვიცი, როდის?!.
მგონი, ინათა?! — არა, ბინდია,
ისევ დაუსხლტა სიზიფეს ლოდი.

უკან წკვარამი, წინ ეშაფოტი
და აფთარივით ცხოვრებას ვებრძი,
ვიღაც იმღერის სევდიან მოტივს
და გასავლელი ხიდი ჩანს, ბეწვის.

მაინც მივყვები ბედის ციცაბოს,
თავარა მზეზე ბეჭები მეწვის,
უკანასკნელად ფერი ვიცვალე,
უკანასკნელად ვლოცულობ შენს წინ.

ჩემი სიცოცხლე ეკუთვნის სიკვდილს.
თუმცა სიკვდილიც ხომ ჩემი არის?!.
ღ რატომ გიკვირს
და რატომ გიკვირს,
რომ ახლ ვეტრეი მე მთვარის არილს?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი სიკვდილი ჩემია მართლაც
და თანაც თუკი არის მარადი,
მაშინ წყვდიადი თავზე რად მადგას
და წკვარამეთი ზედ რად გადამდის?!.

სუფველაფერი აეწონ-აეზომე,
სიცოცხლისა და სიკვდილის გარდა,
და მძიმე ფიქრით ვთელავ გაზონებს,
ირხევა ჩემი ოცნების ფარდა.

მე ვარ ერთგული ყველა ბილიკის,
რომელიც აღარ მაშორებს ღმერთთან,
თუმც ვიღაც მაინც მომდევს ქილიკით
და შენი გულის კვლავ მიხშობს ფეთქვას.

ნეტავ, სანთელი რად ჩავიქრიათ?! —
უკანასკნელად მიმღერეთ დებმა,
ო, ეს ცხოვრება თოვლის ფიფქია
და სულის ერთი შებერვით დნება.

დრო-ჟამი ჩემს სულს და სხეულს
ჩემსას
ანაგვიანებს ზღვასავით სწორედ,
მაგრამ ხშირ-ხშირად დარდს
ამოვრეცხავ
და ზედმეტს ყოველს ნაპირზე ვტოვებ.

ეს აღსარებაც ჰგავს ზღვის მოქცევას,
ყველაზე წმინდა მივეც სტრიქონებს,
სიკვდილის ცელიც ცელავს და ცელავს
და უკვდავების მზეს კვლავ მიქრობენ.

მაინც იმედის კიაფობს სხივი
და ცამ სადაოდ გადიკამკამა,
ვიღაც იცინის და ვიღაც ტირის,
ისევ იბრწყინა ოქროს აკვანმა

და ისევ მესმის სიმღერა დედის
და სიზმრის ცრემლი ყელზე მეფსკვნება,
ზომალდი ისევ ღელვაში შედის
და ისარკება ზეცა ფრესკებად.

მე ყველაფერი დავკარგე ეჭვით
შვილი, საფლავი, ბინა, წიგნები
და შევიძინე მთავარი ნიჭი
საკუთარ თავის პოვნის, მიგნების.

მე დავეუფლე სოკრატეს სიბრძნეს:
„შეიცან თავი!..“ ჰა, ცამ ინისლა!..
ახლა ნელნელ დაკარგულს ვიძენ,
გარდა იმ ძვირფას ვაჟიშვილისა.

ვაჟიშვილი კი გაქრა, წავიდა,
დამგზავრებია მღვრეე ამინდებს,
მაინც ცხოვრებას ვიწყებ თავიდან,
თუმც ბედისწერას ვინ განმარიდებს?!.

სწორედ ეს არის ცხოვრების აზრი;
რაღაცას ვკარგავთ,
რაღაცას ვიძენთ;
ყველას კუთვნილი ბეჭედი გვაზის,
შეუვალია ღვთიური სიბრძნე:

„თუ გსურს იცხოვრო, ვერ გაექცევი
სიკვდილს და გვერდს ვერ უქცევ
ქარიშხლებს...“
ახლა ჟამია ახალი ღელვის,
სამხრეთისაკენ მეც მიმანაშნეს.

და მეც მივდივარ
და მეც მივდივარ,
ვინ გამოიცნოს, ნეტავ, საიდკენ?!.
ნაოელი ვარ თუ, ნეტავ, ბინდი ვარ,
ნეტავ, გზა-სავალს როგორ გავიგნებ?!.

გზა ცხოვრებისა მოკლეა, მოკლე.
მეც შეველიე ასე მოლოდინს,
რადგან ცოცხალვარ, ჩანს, უნდა
მოვკვდე,
რადგანაც ვკვდები, ჩანს რომ
ვცხოვრობდი.

რა ლამაზია ცხოვრება მაინც. —
რომ შეიძლება თავიც ვასწორო, —
თან მერანივით ჩქარიც და მალიც,
თან ტრაგიკულიც,
თან სასაცილოც
არის.
მიტომაც ვატარებთ ნიღაბს,

ხანაც მოღიმარს,
ხანაც მწუხარეს...
...ჩემი გაჩენის რა ვუთხრა იღბალს,
უფალს რომ ქედი არ მოვუხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ დავეცი ვედრებად, ლოცვად
და არ ვანთებდი სანოლებს ხატის წინ.
მაინც არ ამცდა მე შენი კოცნა
და შენს კოცონზე მაინც დავიწვი.

მე ვიხსნი უკვე გაცვეთილ ბილიკს
და ვემზადები, ღმერთო, საშენოდ,
არავითარი მზეების მიღმა,
მე ვბრუნავ მხოლოდ შენდა გარშემო.

მადლობა შენ და მადლობა უფალს,
რომ ჩემი ყოფა ასე მთავრდება,
რომ შენი ცხელი მიმყვება სუნთქვა
უშშვენიერეს ბედის ბრალდებად.

განა იქროა ის ყველაფერი,
რაიც ქთქათებს და რაიც ბრწყინავს?!.
ცვივა ფურცლები ცრემლით ნაფერი,
ხსოვნაში ჩარჩა, რაც იყო წინათ.

რა ლამაზია ცხოვრება მართლაც,
რომ შეიძლება მოვიკლა თავი
და მარყუჟს მივცე ყელი შენს სახლთან,
იქვე, ზღვისპირად, არილზე მთვარის.

რა დამავიწყებს იმ ტკივილს, იმ
ცრემლს,
ყვავილივით რომ ჩემს სულს ანათებს
და ახალ-ახალ ჭრილობებს ვიძენ,
ვით უძვირფასეს ხსოვნის ბარათებს.

ო, მაგრამ არა, არა და არა,
მე დავეწყვილე ძვირფას თარიღებს
და თუ უდროოდ საფლავში ჩავალ,
აბა, საჩემო ტვირთს ვინ წაიღებს?!.

ეს სულ ერთია, წავალ, დავრჩები,
მე მაინც შენში დავიდებ ბინას,
თუმცა მკაცრია ღვთის განაჩენი,
სამართლის მაინც ის წონის პინას.

ვინ ამოზიდავს საჩემო მადანს
და ჩემს წალ სიობოს გაიღებს ვინღა?!.
სადღა იპოვნი ნეტავ ჩემს ბადალს,
ვინღა ატარებს ჩემს კუთვნილ ნიღაბს?!.

და ჩემი ხვედრიც აწონეს უკვე
სულ ნამცეც-ნამცეც,
სულ მისხალ-მისხალ,
დაღლილ ქარავით მივდევ შენს შუკებს
და სიზმრის მტევნებს ტკივილად ვისხამ

თითქოს სიმაღლე ღმერთის არ კმარა,
ახალ სიმაღლეს აგებენ ისევ,
ცრემლმა ბილიკი მკერდზე გაკვალა,
უკანასკნელად შენს ცრემლებს ვისმენ.

და ქთქათებენ
და ქთქათებენ
მზით დახუნძლული სიზმრის მტევნები
და ჩემთან ერთად ღამეს აფეკენ
სხვა სინანულით და მიტევებით.

გულში — ენული, ცად — მზე თაკარა,
ვინ დაუხვდება ნეტავ მაგ გემებს?!.
რაც ზხამი მისვამს, ნუთუ არ კმარა?!.
მიმავალს მაინც ტკბილი მაგემეთ.

შენც მომიტევე, ღმერთო მაღალო,
ის უმძიმესი გზები ცოდვების
და უცბად აღარ შემომაღამო
და მომეც ნება, ცრემლთა მოდებით

ჩემს წალ ვარსკვლავებს ვინღა
დაითვლის,
ვინღა მოგიძღვნის ჩემს კუთვნილ
ვარდებს?!
მე ვარ წამსვლელი დღეს თუ
ხვალისთვის
და ორი დღისთვის რად ვჩივი ამდენს?!.

ვთქვა სინანული იმ ცოდვილ დღეთა,
გვიან თუ ადრე,
ადრე თუ გვიან,
თუმც, თუ ცხოვრებას ცხოვრება ერქვა,
სამოთხის კარებს მოფელილს, ღიას

წასვლა სჯობს მაინც წარმავალისა,
ასეთი არის წესი სტუმართა;
მოდის სიკვდილი, თვალი დანისლა
და მზე ქვთინებს თავსასთუმალთან.

ვინ მომშავებს და არცა მინდა,
მე ცოდვილი ვარ სულით ზორცამდე,
წმინდანს კი, თუკი წმინდანი ჰქვია
და ცოდვილთ მიმართ არის მოწყალე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან უმკურნალოს ჭრილობებს ღიას
და უეროგულოს უწმინდეს მუზებს
და ვიდრე მართლაც არ არის გვიან,
დე, მან ილოცოს ჩემს ცოდვილ სულზე.

მე შენს გარშემო თავბრუდახვევით
ვრუნავ, არა მწამს სხვა მზის ხსენება,
როცა გაქრება შენი სახელი,
ჩემი მზეც მაშინ ჩაესვენება.

ახლოდ შენი მზე ანათებს ჩემთვის,
არაფერია შენი მზის მიღმა
და რაიც დღემდის არ ვოქვი თუ ვერ
ვოქვი,
მე მას მივაწერ ჩემივე იღბალს.

სულ ზღაპარია, რომ დედამიწა
ითქოსდა ბრუნავს გარშემო მზეთა,
მტკაცედ ის მჯერა და მტკიცედ ის
მწამს,
რომ მე მზესთან ვარ და მზეა ჩემთან.

არავითარი, ო, მზეთა მიღმა,
მე ვარ მზეში და მზე არის ჩემში,
მე ვიხსნი ძველს და გაცვეთილ ნიღაბს
და ღიმილს მზისას მთრთოლვარე
პეშვით

ვსვამ ისე, როგორც უწმინდეს წყაროს
და ბაგე მეწვის ნეტარებისგან,
უკვდავებაში შენც ჩემთან წამო
და მზის ლამაზი ფრთები შეეისხათ

და გავეშუროთ მზისფერი ფრთებით
მზისკენ...
ეს ცა ჩვენც დაგვებედა...
...და იმღერებენ ლამაზი დები
მზისკენ გაფრენის ლამაზ ლეგენდას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ფიქაური

შორეული ეჟო

დარბაზში ქარი კაცივით გმინავს,
დაღვრემილია განძთა საცავი;
გაძარცვეს სული,
გაძარცვეს ბინა,
ნეტავ, რა დარჩათ გასაძარცვავი?!

ყოველდღე უნდა ეძებო პური,
ყოველდღე უნდა ინატრო წყალი,
ყოველდღე უნდა მიუგდო ყური,
როგორ ჭრიალებს გამტყდარი კარი.

●

როცა სიკეთით სავსე მაქვს გული
და ვანაწილებ უხვად და ჩუმად, —
სიკეთის რტოებს კაფავენ ცულით
და მეტი მიაქვს მელას და ტურას.

ვიღაცა ჩემთვის იმეტებს ბოროტს,
სევდა, სიმწარე უნდა მარგუნოს, —
ოი, კეთილის ბედო და ბოლოვ,
უმადურთაგან გზადაკარგული...

სიყვარულის დაისი

თავს სიყვარულის გაზაფხულს ვუხრი
და სიყვარულის შუადღეს ვნატრობ,
კვალში ჩამიდგა სიბერის მწუხრი,
ალბათ, არ უნდა, დამტოვოს მარტო.

...ის თვალებიდან ელვას აკვესებს,
სულ არ დაგიდევს დღეებს გაფრენილ,
გამოკიდებულს ტრფობის ანკესზე
მეწეწებიან სულის აფრები...

ვერ შეეჩვია გული არტახებს,
წლების გოლგოთას ვერ ეგუება,
დაღონებული ჩემი სახატე
კვლავ ელოდება ალერსს უებარს.

და გული მაინც გლეჯავს არტახებს,
გულს დაბერება არ უწერია,
ამღერებულა ჩემი სახატე,
მას შემოდგომის მშვიდი ფერი აქვს.

შეუცვლელი...

გზა გავიარე ავად თუ კარგად,
ჩემს უღელტეხილს უკვე გამოვცდი,
აღარას ვეძებ,
აღარას ვკარგავ,
არ მაკრთობს მზარი,
არც დრო გამოცდის.

და თუნდაც მოხდეს რამ სასწაული, —
დაიწყოს ჩემი წლები თავიდან, —
ცხოვრებას ისევ იმ გზით ჩავუვლი
და ტვირთსაც ისევ იმ გზით გავიტან.

არავის უხმობს დაღლილი სული,
გზა მშვიდობისა გაცრეცილ იმედს,
გამომცხვარია არსობის პური.
ბაცემულია ნამცეციც მცირე...

ვერ შემიცვლიან მიზანს და რწმენას,
მიწის, ცისა და მზის ერთგულებას;
ობოლი სხივი ჩემს სიმზე ელავს,
სხვა სხივი ჩემად არც მეგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ციხეს ავაგებთ...

ვერავინ ასწავლის
ქართველს ერთგულებას,
ვერავინ დაუწუნებს პურ-მარილს,
მაგრამ ძნელი არის,
ძმად რომ გეგულება
და მტრად გაგიხდა სტუმარი.

შეურ ძუკნასავით
მოლზე გაგორდება,
ნაწოლზე დატოვებს სამსალას, —
რამდენი ცუდი რამ მაგონდება,
რამდენმა ამწეწა, ამშალა.

შხამით მიმკურნალა,
სიხხლი მანთხევინა,
ძვლები დამილეწა
კეტით და ბარით,
მოკეთის სამარე
ფრიხილებით მათხრევინა,
დიდი უბადლო ვალი...

სიავის გადახდა
იცაან ქართველებმა,
სიმწარეს იწვნევენ ვერაგები, —
შურისმაძიებლის
ჭრილობა გამთელდება,
იმ ციხეს ავაგებთ,
დღემდე რომ ვერ ვაგებდით.

ხულის კივილი

ლექსი — ჩემი წაწალი,
გაზაფხული ჩემი, —
ბორკილივით მაწვალებს,
ნაპალიეთ მშველის.

ლექსი,
ლექსი მაღალი,
ფრთების გაშლა ცაში,
გაფურჩქნილი ბაღნარი,
გატყორცნილი ტაში.

ძღერა სხივთა სიმების,
რეკვა ოქროს ზართა,
ოცნებათა წკიმების
მოწკრიალე კალთა...

ლექსი — ხულის კივილი
ჩაქსოვილი ხმაში,
მოსათმენი ტკივილი,
გასახედნი რაში.

ლექსი,
ლექსი ნამდვილი,
განა აბლაბუდა,
ქართველ ქალის მანდილი
უწმინდესი მუდამ.

ლექსი ჩემი წაწალი,
დღემუდამ რომ ვნატრობ,
მახარებს და მაწვალებს,
მაფხიზლებს და მათრობს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

შეხვედრა გაეზიერზე

რომანი

XXII

ბერიკაცი სუფთად იყო გაპარსული, მაგრამ ხელი მაინც ისე ჩამოისვა სახეზე, თითქოს ამოწმებდა, წვერი ხომ არ წამომეზარდაო. ამ ხნის კაცს ხელიც ისეთი თეთრი და მოვლილი ჰქონდა, როგორც სახე. ის მუქი ლაქებიც კი არ აჩნდა არსად, სიბერეშ რომ იცის. მხოლოდ ცალ ფეხს ვერ ადგამდა მტკიცედ, გაბედულად და უეცრად კინაღამ დაეჯახა ორ ახალგაზრდას, რომლებმაც შუა ტროტუარზე ერთმანეთი გადაკოცნეს. ბერიკაცს ყოველთვის გულს ურევდა მამაკაცების ხვევნა-კოცნა და ტუჩები ახლაც ზიზღით დაემანჭა. ახალგაზრდები ფეხმოუცვლელად იდგნენ ტროტუარზე, ერთმანეთს დუდღუნით ელაპარაკებოდნენ და ზანტად ირწეოდნენ. მათ მიმოხვრაში არც ძალ-ღონე იგრძნობოდა და არც სიმკვირცხლე. თუ რამეს ამბობდნენ, იმასაც ზანტად, გაურკვევლად. ესენი სწორედ ის ბედღვლათები იყვნენ, რომელთაც შრომა არ უყვარდათ, ყველა მარცხს სისტემას აბრალებდნენ, ყველაფერს უარყოფდნენ და ამ უარყოფას მცონარეობით კი არ ხსნიდნენ, არამედ ოფიციალური იდეოლოგიისაგან განსხვავებული პოზიციით. განსაკუთრებით ისეთებს ვერ იტანდა, თავიანთი უმოქმედობითა და უმეცრებით თავი რომ მოჰქონდათ და თუ ვინმე რამეში წარმატებას მიაღწევდა, შეგნებულად აბაიბურებდნენ, ხოლო როცა ამბიციები არ ჭრიდა, თავიანთ უსაქმურობას იმით ამართლებდნენ, თითქოს მათი არ ესმოდათ, იმის თქმის უფლებას არ აძლევდნენ, რასაც ფიქრობდნენ. პრეტენზიები ფარავით ჰქონდათ აფარებული წინ და ყველა საყვედურს, ყველა დარტყმას ამ ფარით აეგრიებდნენ. სინამდვილეში კი მართლაც არარაობანი, მართლაც ნაცარქექეები იყვნენ. იგი სხვა ახალგაზრდებსაც იცნობდა — გზის მუჯლუგუნებით გამკლავებებს, მზვეჭელებს, სავარძლებისა და თანამდებობების მაძიებლებს, ფულისა და გართობის მოყვარულებს, რომელთა სიხარბე და ეგოიზმი ცხოველურობამდე დადიოდა და იმდენად პრიმიტიულები იყვნენ, რომ კონფლიქტის გადაჭრის ყველაზე საიმედო ხერხად მხოლოდ ძალა მიაჩნდათ. საერთო ენას ვერც მათთან პოულობდა, მაგრამ განსაკუთრებით ვერ იტანდა ახალგაზრდობიდანვე გაგულვრილებულ, პასიურ, ყალბი თავმოყვარეობით შეპყრობილ ლაწირაკებს, რომელთაც არა მარტო სამშობლოს ბედი ეკიდათ ფეხებზე, და ვერასოდეს ვერაფერში გამოადგებოდნენ, არამედ იმ მშობლებისაც, რომელთაც კისერზე ასხდნენ. ამიტომ ბერიკაცმა ისე ჩაუარა ვერდით ახალგაზრდებს, როგორც წვიერან, მცონარე ცხოველს, რომლებიც ვერასოდეს დარულდებიან და დავიკაცდებიან.

როგორც კი ახალგაზრდებს გასცდა, ბერიკაცს ისინი მაშინვე გადავიწყდა და ისევ წარსულს დაუბრუნდა. როცა

დასასრული. დასაწყ. იხ. „ცისკარი“, № 7_8, 1995 წ., № 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხანაში მივიდა, დამთავრებული და დამონტაჟებული მხოლოდ მთავარი კორპუსი დახვდა, სხვა ყველაფერს აღრეცხვა, მიხვდა, ხელახლა დაფინანსება სჭირდებოდა. მუშაობა აქაც ისევითვე ტემპით მიმდინარეობდა, როგორც ძველ საბჭოთა კავშირში — ზანტად, ულაზათოდ, უგულოდ, უზარისხობა უზარისხობას ემატებოდა და უთავბოლობა უთავბოლობას. ყველაზე დიდი უბედურება აქაც ის იყო, რომ არ ჰყავდათ დამოცდილი სპეციალისტები, არ ჩნდნენ ჩარხმშენებელი ინჟინრები, საამქროებს რომ ჩაუდგებოდნენ სათავეში და ნახაზებს ისე წაიკითხავდნენ, რომ გამოუსორებელ შეცდომას არ დაუშვებდნენ. კმაროდა ისიც, შეცდომებს აღჭურვილობის მომწოდებელი ორგანიზაციების დამპროექტებლები რომ უშვებდნენ. ხშირად კვანძი კვანძს არ უდგებოდა და დეტალი დეტალს. ეს მხოლოდ მაშინ იჩენდა თავს, როცა დამონტაჟებას აწყობდნენ და ყოველი ასეთი შეცდომის ერთეულობით გამოსწორება, დეტალების ხელახლა გამოჩარხვა და მორგება დიდ დროსა და ხარჯებს მითხოვდა. ყველაფერ ამას ემატებოდა ათასი წვრილმანი, მაგრამ რა ექნა, ასეთი იყო საბჭოური მუშაობის სტილი და როგორც უნდა ემარჯვა, მაინც ვერ გადაკეთებდა. იმ დროს ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ ქარხანა რომ მწყობრში ჩამდგარიყო, რაღაც უნდა ელინა. იმ პერსონალის ფსიქოლოგიურად და პროფესიულად მომზადებას, ადგილზე რომ დახვდა, წლები სჭირდებოდა. ამიტომ მხოლოდ იმ შემოხვევაში გაართმევდა საქმეს თავს, თუ რამდენიმე გამოცდილი, კვალიფიციური, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ინჟინერი ეყოლებოდა. თბილისში ჩარხმშენებელი ინჟინერი თითზე ჩამოსათვლელი იყო, მთგან უმეტესობა უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდა და ქარხანაში მუშაობაზე არ დათანხმდებოდა. რომ დათანხმებულიყო კიდეც, მაინც ვერ შეეწყობოდა შეეგუებოდა. სად ისეთი სამუშაო, საკუთარი თავის პატრონი რომ ხარ და სად ისეთი, კოლექტიური პასუხისმგებლობა რომ გაკისრია. ამიტომ გადაწყვეტა ისევ ნაცადი ხერხისათვის მიემართა, სპეციალისტები რესპუბლიკის გარეგან მოეზიდა. როცა ყველაფერი კარგად მოიფიქრა, დირექტორთან შევიდა და დიდი დრო და ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ იგი ამ საქმეზე დაეყოლიებინა.

ქარხნის დირექტორი ჩარხმშენებელი არ იყო, არც ის იყო ცნობილი,საერთოდ ჰქონდა თუ არა ტექნიკური განათლება. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, მუდამ ადმინისტრაციულ სამუშაოზე რომ მუშაობდნენ და ბოლო დროს ასეთებს რატომღაც „ორმრავლის ორგანიზატორებსაც“ კი ეძახდნენ. ამიტომ ქარხნის მუშაობის ისეთ ნიუანსებში, თვალით რომ არ ჩანდა, ხელიანად ვერ ერკვეოდა, არც სპეციალურ ტექნიკურ ტერმინოლოგიას იცნობდა. ეს იყო ენთუზიასტი, ძველი შტამპებით დაშტამპული კაცი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ყვირილის, მაგიდაზე მუშტების ბრახუნისა და დაძალების გარეშე საქმე წინ არ წაიწევს. თავის დიდ დამსახურებად ის მიიჩნდა, რომ მუშების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა და ქარხნის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი სასადილო და სპორტული დარბაზი ააშენა. დამსახურება შეუმჩნეველი რომ არ დარჩენილიყო, მიტინგი მოაწყო და იმ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. მისი მოწოდება, მისი სამოქმედო ასპარეზი სწორედ მიტინგი იყო. რაც იმ დღეს მგზნებარება გამოიჩინა, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწერამოებებიდან ციტატები მოიყვანა და ლოზუნგები დაახვავა, ერთ პატარა რევოლუციას თავისუფლად ეყოფოდა. პირადად მას ცუდად არ შეხვედრია, გაეცნო, გაიცნო, მაგრამ ეჭვსა და უნდობლობას მისი ბუნებიდან ვეღარავინ აღმოიფხვრიდა. დირექტორი ვრძნობდა, რომ მის „ორგანიზატორულ ნიჭს“ ყველი ნასდიოდა, ქარხნებსა და ფაბრიკებში თანამედროვე მექანიზმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ავტომატები, ციკლური შრომა ინ-ერგებოდა და დიდხანს ვერც ამ თანამ-დებობაზე ბოლოსებდა. იგი უკვე ზედმე-ტი კაცი იყო, ინდუსტრიას არ სჭირდე-ბოდა, მაგრამ თავის დროზე ავტორიტე-ტი ჰქონდა მოხვეჭილი და ახლა არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ მისთვის.

დირექტორმა ხელი ჩამოართვა, მოი-კითხა, დასვა და ცოტა შეშფოთებულმა ჰკითხა:

— სერიოზული საქმე რომ არ გქონ-დეთ, თქვენ ჩემთან არ შემოხვიდოდით, მოხდა რამე?

— არა, არაფერი, მაგრამ ქარხანაძ რომ ნორმალურად იმუშაოს და პრო-დუქცია გამოუშვას, რაღაც უნდა ვიღო-ნოთ.

— მაინც, რა?

— ამ საქმეში მე ცოტა გამოცდილება მაქვს და თქვენ თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მინდა ერთი აზრი გაგიზია-როთ.

— ბრძანეთ, გონივრულ წინადადებას მე ყოველთვის მივესალმები.

— ქარხანაში რომ გამოცდილი სპე-ციალისტები არა გვყავს, ეს, ალბათ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. მათ და-რეშე მუშაობა არა მარტო გაგვიჭირ-დება, არამედ ვერაფერს გავხდებთ.

— მერედ, მოძებნეთ, მოიწვიეთ, და-ასაქმეთ.

— რომ გვყავდეს, რა თქმა უნდა, მოვ-ძებნდი, მოვიწვევდი, დავასაქმებდი, მაგრამ რომ არ გვყავს!..

— როგორ თუ არა გვყავს, ნუთუ თბი-ლისში ისეთი სპეციალისტები არ მოი-ძებნება, ჩვენ რომ გამოგვადგეს?

— სამწუხაროდ, არა.

— აბა, სად უნდა ვეძებოთ?

— მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვ-ში.

— რუსები გვინდა ახლა ჩვენ! აღექით და გამოზარდეთ.

— ინჟინრების გამოზრდას წლები სჭირდება, გამოცდილი ინჟინრებისას კი — ათეული წლები. ასე რომ, ეს გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ერთადერთი გა-მოსავალი ინჟინრების ამ ქალაქებიდან მოწვევაა, რომლებიც ჩამოგითვალეთ. ᲣᲙᲘᲗᲮᲘᲠᲝᲑᲗ ᲐᲗᲝᲛᲘᲓᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ. რამდენიმე — საკონსტრუქტორო ბიუ-როში, დანარჩენები კი საამქროებში. ხხვაგვარად საქმეს თავს ვერ გავართ-მევთ.

— ვითომ ასეთი ბნელები და ჩამორ-ჩენილები ვართ?

— რა შუაშია აქ სიბნელე და ჩამორ-ჩენილობა. როცა ამ ქარხნის მშენებ-ლობა დაიწყეს, სპეციალისტების მომ-ზადებაც უნდა გაეთვალისწინებინათ.

— დიდი ქარხნების მშენებლობას ცენტრალური ორგანოები გეგმაეენ. შე-იძლება სწორედ იმტომ არ გაითვალი-სწინეს, რომ აქ რუსები ჩამოგვესახლე-ბინა.

— ასე ემართება ყველას, ვინც სხვებს უყურებს ხელებში. რა ვქნათ ახლა, მო-ვიწვიოთ და ვიმუშაოთ თუ დავიკრა-ფოთ ხელები გულზე და ველოდოთ, როდის დაგვიზრდებიან სპეციალისტები?

— იცით, რა გითხრათ. უცხო კაცი მაინც უცხო კაცია. ისინი სხვა ხასიათ-ის ხალხია, სხვაგვარად მუშაობას არიან მიჩვეულნი და დაგიწყებენ კირ-კიტს, ჭკუის სწავლებას, შემოგვთავა-ზებენ რაღაც ისეთს, ვერ შევეჭიდებით, ვერ მოვერევით. მერე კი გაამანშალე-ბენ წერილებს, აიკლებენ ზემო ინსტანა-ციებს ჩივილით, უწიგნურები არიან, საქმეს თავს ვერ ართმევენ.

— დირექტორი ინდუსტრიის ხელძღ-ვანელთა იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომ-ლებიც ნიახლის მიმართ სკეპტიკურად, ზოგჯერ მტრულადაც კი არიან განწ-ყობილნი და აუტკივარი თავის ატკივ-ება არ უყვართ.

— ათი კაცის ჩამოყვანა და მოწყობა ჩვენ არ გაგიჭირდება, — შეაჩერა მან დირექტორი, რომელიც კიდევ აპირებ-და რაღაცის თქმას, — სამაგიეროდ, დაზღვეული ვიქნებით შეცდომებისა და წუნისაგან. ჩვენ თუ პროდუქცია ვერ გამოვუშვეთ, ვერავითარი ობიექტური მიზეზების მოშველიება ვერ გვიხსნის. უცხო მომჩივნებისა და მეთვალყურეე-ბის გარდა, ჩვენ ჩვენი მეთვალყურეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც ვვყავს. თუ ქარხანამ ნორმალურად ვერ იმუშავა, შეიძლება ამ საქმეს კუდი გამოაბან, იარლიყიც მოგვაწებონ და ფასად დაგვიხვან.

— ვითომ ასეა საქმე?

— გინდათ დაგისახელოთ ის პირები, რომელთაც საბოტაჟი დაბრალდათ და თავი ვერაფრით იმართლეს?

— არა, არ მინდა. მაგალითების მოტანა მეც შემიძლია, მაგრამ ის ჩამოსული ხალხი საერთო საცხოვრებელში ხომ ვერ იცხოვრებს, ბინები დასჭირდებათ, ბინებზე კი ისეთი ამბავია, ძმა ძმას ყელს გამოსჭრის.

— დროებით იცხოვრებენ, ხოლო თუ აქაურობას შეეგუენ და დარჩნენ, ერთ საუწყებო სახლს ჩვენც ავაშენებთ. იცოდეთ, თუ შრომის ორგანიზაცია არ ავამაღლეთ და სპეციალიზაცია არ გავაფართოვეთ, სჯობია ახლავე დავწეროთ განცხადება და მანამდე მივატოვოთ სამსახური, სანამ ან მოგვხსნიან ან დაგვსჯიან. ბევრ რამეზე შეიძლება თვალის დახუჭვა, მაგრამ არა იმაზე, რაც უნდა გქონდეს და არა გაქვს.

— კი მაგრამ, იქნებიან კი იდეოლოგიურად სანდო ის სპეციალისტები, რომელთაც აქ ჩამოვიყვანთ? ხომ იცით, რამდენი შენიღბული კონტრრევოლუციონერი, პროვოკატორი, ძაღლი და მამაძაღლი დაეთრევა ამ ქვეყანაზე.

— მაგის დარდი ნუ გაქვთ. სპეციალისტებს ქუჩაში კი არ დავუწყებ ძებნას, არამედ ქარხნებში, ხოლო იმ ქარხნებში, სადაც ისინი მუშაობენ, შეუშოფებლად არავის ღებულობენ.

ქარხნის დირექტორი მარტო მეწარმე არ იყო. მას სხვა ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული და ამ ფუნქციას შეიძლება უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე კომპეტენტურობას. დირექტორი იმ საწარმოს იდეოლოგიური ხელმძღვანელიც იყო, რომელიც ებარა და ვაი მის დღეს, ქარხანაში რომ რაიმე ანტისაბჭოური გამოხდომა მომხდარიყო.

— ერთი უბედურება კიდევ ისაა, რომ ყველაფერ ამას მოტივირება, დასაბუთება, შეთანხმება სჭირდება. ვილაცამ ხომ უნდა იცოდეს, რას ვაპირებთ და ნება დაგვრთოს, მცირეოდენი პასუხისმგებლობა მაინც აიღოს თავის თავზე. იქ, ზემოთ, ძალიან არ უყვართ, როცა ინიციატივას ქვემოდან იჩენენ და თუ რამე ისე არ გამოგვივიდა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მკაცრად მოგვთხოვენ პასუხს, — უთხრა დირექტორმა ისეთი ხმით, თითქოს ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა.

— ჩვენ თუ ამ საქმეში ბიუროკრატიული აპარატი ჩავრთეთ, არაფერი გამოგვივა. სანამ ქაღალდებზე რეზოლუციები გაჩნდება და მათი გადაგზავნა-გადმოგზავნა დამთავრდება, შეიძლება ჩვენ აქედან კინწისკვრით გაგვყარონ.

— აბა, რა ვქნათ, ნებაყოფლობით გავყოთ ყულფში თავი?

— ნუ ვიტყვით ნურსად, რომ ის ხალხი ჩვენ მოვძებნეთ, ჩვენ მოვიწვიეთ და ჩვენ ჩამოვიყვანეთ. გავავრცელოთ ხმები, რომ თვითონ მოგვძებნეს და თვითონ მოინდომეს ჩვენთან მუშაობა. დამიჯერეთ, რომ ჩვენი მოძავალი ჩვენს ხელშია და იმაზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რა ფხას გამოვიჩენთ.

— იცით, რა გითხრათ? წინააღმდეგობა საწარმოს, მის ცალკეულ ნაწილებს, მუშახელსა და შრომის ნაყოფიერებას შორის თვით ქარხნის სტრუქტურაშია ჩადებული და მისი მუშაობის საათივით აწყობა მაინც არ მოხერხდება, — უთხრა დირექტორმა და ენის ბორძიკზე და სათქმელის ბოლომდე ჩამოყალიბებაზე ეტყობოდა, რომ ეს აზრი მან ან სხვისაგან გაიგონა, ანდა სადღაც ამოიკითხა.

— აქამდე რომ ვიყოთ მისული, ღმერთი როგორ გამიწყრებოდა და ხმას ამოვიღებდი, მაგრამ ის ნაკლი, რაც სტრუქტურაში თავიდანვეა ჩადებული, რატომლად მომუშავე საწარმოებისთვისაა ალამახასიათებელი. ჩვენ ჯერ ფეხადგმულიც არა ვართ და ის ხალხი ამისათვის გეჭირდება, რომ პირველი ნაბიჯები გადაგვდგმევინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იღებთ თქვენს თავზე იმ პასუხისმგებლობას, რომ ამ საქმეს გაუხმაურებლად მოვაგვარებთ? — ჰკითხა დირექტორმა გამომწვევად.

— ხხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს.

— რამდენი ხანი დასჭირდება ამ საქმის მოგვარებას?

— ერთი თვე მაინც.

— რა დაჯდება?

— რაც უნდა დაჯდეს, ჩვენ მაინც მოვებული დავრჩებით.

— მივლინებაში რა ჩავწეროთ?

— ჩაწერეთ, რომ მავზავნით ამა და ამ ქალაქებში იქაური ჩარხმშენებელი ქარხნების მუშაობის შესასწავლად.

— დაწერეთ განცხადება და ხვალ-დანვე შეუდექით საქმეს. თუ რამე უსაამოვნებას გადაეყარეთ, მე ნურაფერში გამრევთ.

— ამ მხრივ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ჯერ ერთი, მე ჩემი თავის მტერი არა ვარ, მეორეც, კარგი სპეციალისტების ქარხნანაში მოზიდვა კრიმინალური დანაშაული არაა.

ბერიკაცს უეცრად აზრი გაუწყდა და ორიენტაცია რომ არ დაეკარგა, მზერა დაბაბა, ცის კიდურს გახედა. მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა. მოწმენდილი ცის ფონზე, ოქროსფრად ჩამოძენძილ სივრცეში ისე ცხადად იკვეთებოდა მთის მინაბული პეიზაჟი, რომ ბერიკაცი ერთი წუთით შეცბა კედეც. ამგვარი რამ სიჭაბუკის შემდეგ არ განუცდია და ცოტათი გაუკვირდა, პეიზაჟმა რომ ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. რაც ცხოვრების ფერხულში ჩაება, რაც საქმეენი საქმეს მიჰკიდა ხელი, თვეები და წლები გადოდა ისე, არც კი გაახსენდებოდა, ბუნება და მისი მრავალფეროვნება რომ არსებობს. ბუნება როგორღაც თავისთავად, დაუკითხავად ამოვარდა მისი ცხოვრებიდან, და იმ დიდებული ხეობების სილამაზესაც კი ვერ ამჩნევდა, კავკასიონის ქედიდან რომ ეშვებოდნენ ბარისაკენ. მისი საქმე იყო საუწყებო მანქანა, კაბინეტი, საწერი მაგიდა, საქმიანი ქაღალდები, ტელეფონი და არა ტყე-ღრეში ხეტიალი და ბუნების სამძვენეიერით დატკბობა. ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთლიანად გადაეჩვია იმ მშვიერების აღქმას, ადამიანს რომ სტიმულსა და სიცოცხლისუნარიანობას მატებს, მის სულში რომ ბუნების გამოხატვის ჟინს აღვივებს. მან დიდი ხანია დაკარგა რაღაც ისეთი, რაც თვით ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს და შეიძინა რაღაც ისეთი, რაც გარემოსა და სილამაზის აღქმას უნარს აწლუნგებს.

უეცრად მირიან ზარდაშელი გაახსენდა. მირიანი ხომ სწორედ ის კაცი იყო, გარემოსა და ბუნებას რომ მხოლოდ სკუთარი თვალით აღიქვამდა, წარმავალის ფასიც იცოდა და მარადიულსაც. შეიძლება სწორედ ამიტომ გაუძლო ამდენ ჭირ-ვარამს, შეიძლება სწორედ ამან გადაატანინა პატიმრობაც. ომის საშინელებებიც და სულიერი კრიზისებიც, შეიძლება სწორედ ამიტომ მოიტოვა უკან ოთხმოცი წელი. აქედან კი იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ მირიანი სულით ძლიერი იყო, ცხოვრებას არ უფრთხოდა, არ იცვითებოდა, არ სალახანდებოდა. შეიძლება მის ტილოებში მართლაც იღო რაღაც ორიგინალური, მხოლოდ მისი თვალით დანახული, მხოლოდ მისი განწყობილების გამომხატველი, შეიძლება ამიტომაც ცნობდნენ და აღიარებდნენ. დაუჯერებელი მხოლოდ ის იყო, ნუთუ ამხელა გზაგამოვლილმა კაცმა ცუდ. საძრახისი არაფერი ჩაიდინა იქ, სადაც ლუმა პურისათვის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა.

გაწყვეტილი აზრი ისევ გაისკვნა და ბერიკაცის მეხსიერებაში კვლავ წარსულის ნაფლეთები ამოტივტივდა. ერთ თვეში მან მართლაც შემოიარა მოსკოვი, ლენინგრადი და ხარკოვი. თითქმის ყველა ჩარხმშენებელ ქარხანაში შეიხედა, ბევრი ხალხი გაიცნო და ვიღაცეებიცები დაიყოლია — თბილისში ჩამოსულიყვნენ და ახალაშენებულ ქარხანაში წამყვანი სპეციალისტების ადგილი დიკეკვებინათ. მის წინადადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწვებზე შეტად ებრაელები გამოეხმაურნენ, რადგან რუსეთში მაშინ ანტისემიტიზმი უკვე იკიდებდა ფეხს. რუსებს ებრაელები ერჩია. ჯერ ერთი, არ სვამდნენ, მეორეც, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საქმეს. გაზაფხული იწურებოდა, იწურებოდა მიელინების ვადაც. ამ ხნის მანძილზე მან იმაზე მეტი ხალხი შეიპირა, დათქმული რომ ჰქონდათ და, ახალი შთაბეჭდილებებით დამძიმებულმა, გეზი ისევ საქართველოსაკენ აიღო. სასტუმროებში ცხოვრებამ და წაწყლამა დადალა, ცოტათი იმან მოუშალა ნერვები, რასაც უწესრიგობასა და უთავბოლობას ეძახიან, მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი, ჩუმი, უშფოთველი ფიდლილობა. მზერა არაფრის გამორჩევას არ ცდილობდა. იმასაც ისაკუთრებდა, რაც ცხადი და თვალსაჩინო იყო და იმასაც, რასაც სახიერება არ გაანძდა. რიგა კუპეში თავისი ადგილი დაიკავა, სალამოდებოდა. ფანჯრიდან მხოლოდ ცუდად განათებული პერონი და მოცანცარე სილუეტები მოჩანდა. მატარებლით მგზავრობას შეჩვეული იყო, არც თავი სტკივდებოდა და არც წელი უშეშდებოდა, მაგრამ ამჯერად რაღაც აწუხებდა, აწვალებდა და მიზეზისათვის ვერ მიეცნო. ასეთი გრძნობა ჰქონდა მაშინაც, როცა გენერალთან ერთად იმგზავრა, მაგრამ მას შემდეგ ამ გრძნობას თავი არ შეუხსენებია, არ აუფორიაქებია. შეიძლება რეციდივის მიზეზი ის იყო, რომ იმავე მატარებლით, იმავე მარშრუტით მგზავრობდა. ბორბლებზე შემდგარი, ანურჩულებული, აფუფფუსებული საპყარო ძილისათვის ემზადებოდა, იშლებოდა, იკეცებოდა, იჭმუჭნებოდა. მხოლოდ მას არ ეკარებოდა ძილი და ეს უძილობა დაკავშირებული იყო არა იმასთან, რაც გუნება-განწყობილებას შეგნიდან ღრღნის და ნაღვლეთი მსჭვალავს, არამედ რაღაცნაირ, ბაუნონბიერებელ წინათგრძნობასთან, რომლის შემფფარველ, დაკონკრეტება არაფრით არ ხერხდებოდა. შეიძლება ამ მოგზაურობის დროს იყიც მოაცვა ამ საყოველთაო დეპრესიამ, ამოძრავებასა და ამოფრქვევას, ცხოვრების გათელვას, თავშეწახულთა გაუპატიურებას, სისხლისა და ცრემლის ღვრას რომ მოითხოვს. იმ ქალაქებში, მან რომ მოიარა, ცარიელი ბოთლების შტაბელები აღარ ეტეოდა, გადაჭედილი იყო საკუჭნაოები და საწყობები. რაც უფრო მეტს სვამდნენ, მით უფრო იბოღმებოდნენ, ფერფლდებოდნენ, ნაძარცლებოდნენ, რაც უფრო მეტს თვალთმაქცობდნენ და ცრუობდნენ, მით უფრო მეტს ილანძღებოდნენ, იდორბლებოდნენ, სიკვდილისა და სიბნელისაკენ ისწრაფოდნენ. უკვე ილანღებოდა ის დრო, როცა ღვერეფიით შეკიწროებულნი და სისხლის წყურვილით გახელებულნი ყელზე შედგებოდნენ, ნაცრისფერ რაზმებად დაეყოფოდნენ, აბდავლდებოდნენ, მტვრიან ხიერცეში გაიჭრებოდნენ და დაიწყებდნენ ტალახის ზელას, სისხლის ნთხეკას, წყევლას, კრეკვას და ეს გახელება მანამდე არ დაცხრებოდა, სანამ არ ვადაიხნებოდა, წითლად არ შეიღებებოდა მწის პირი.

ეს იყო პირველი შემთხვევა, მატარებელში გატარებული ღამეები მისთვის წამებად რომ იქცა და როცა თბილისში ჩამოვიდა, ღმერთს მადლობა შესწირა, მშვიდობიანად რომ ჩამოადწია მშობლიურ ქალაქამდე. ქალაქი სიცხისაგან გათანგული, დამცხრალი, თავის თავში შეკუეული დახვდა და არაფუ არაფერი დუყეედრებია, ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი ჭმუნვაც კი გაუქარწყლა. ამ ქალაქში ვერ იბოვნებდნენ ის აჩრდილები და მოჩვენებები, შუქარითა და ავი ზრახვებით რომ იყვნენ სავსე. თბილისს არ უყვარდა დაბოღმილი სახეები და ქარიშხლიანი ღამეები. საამისოდ მისი ქუჩები ვიწრო იყო, მისი სახლები კი ფარდალალა. ამიტომ არც ისეთი ხერხიოზული გამომეტყველება ჰქონდა, ჩრდილოეთის ქალაქებს რომ ეწერათ სახეზე. თბილისი, ალბათ, ბედაურეოდა, ეაუთენებელი დღე რომ გათენებოდა და დაუდამებელი ღამე დადამებოდა. მაშინ, ალბათ, არც ჩრდილეაად დაიღვრებოდა და არც მზეს შეეფიცხებოდა. თბილისს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ისევე სჭირდებოდა მზე და ჩრდილები, როგორც კოჯრასა და წყნეთის ნაავი და ირგვლივ შემოჯარული მთები. მატარებლიდან ჩამოსული სწორედ ამ მზემ გაათბო და ამ ჩრდილებმა დაამშვიდა. შინისაკენ მიმავალს არც ის ახსოვდა, რომ მშიერი და მწყურვალი იყო და არც ის, რომ გზამ დაღალა, უცხოთა მოჩვენებებმა ღამეები თეთრად ათევინა.

შინ რომ მივიდა, ბავშვები შემოეხვივნენ, აცქმუტდნენ, აჟეჟიანდნენ. შიგნით რაღაც გალღვა, გაობა, შეიცხო. მას უკვე აღარ აინტერესებდა, გამართლდებოდა მისი წინათგრძნობა თუ არა, გახელდებოდა მთელი მსოფლიო თუ გონს მოეგებოდა? ბავშვებთან შეხვედრის შემდეგ ცხოვრება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მოეჩვენა, ვიდრე მატარებელში ეჩვენებოდა. ეს რომ ასე იყო, ღია ფანჯარაში შემოჭრილმა სიომაც დაადასტურა და ნასადილევს, როცა დასასვენებლად მაწვა, უცოდველი ბავშვივით ჩაეძინა.

XXIII

ბერიკაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის ირგვლივ სივრცე იკვრებოდა, გასაქანს არ აძლევდა და რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო შავბნელი ეჩვენებოდა წარსული. იმ დღიდან, რა დღესაც აქვეყნად გაჩნდა და ამ სოფლად იბოგინა, ყოველთვის ისე იქცეოდა, რომ ეს ქვეყანა მისი საყუდარი, მისი სახლ-კარი იყო და ამიტომ უჭირდა ამ სახლ-კარის მიტოვება, გამაწყნარლება. სხვები ღობე-ყორეს ეღებოდნენ, თავსაც იტყუებდნენ და სხვებსაც ატყუებდნენ, მას კი არც საყოველთაო ჭეშმარიტებები უძიბნია, არც გრძელვადიან იდეებს ჩაბღაუჭებია, არც გმირობა ჩაუდენია და არც სული წაუწყმედია. ახლა კი, როცა დაბერდა და დაუძლურდა, ცხოვრება გარდაქმნას, სხვა კაცად გახდომას სთხოვდა, ისაც კი არ კითხულობდა, ჰქონდა ამის ძალა თუ არა? რომ ჰქონოდა, ასე არ დაიჩაგრებოდა, გაღარიბდებოდა, არ შერცხვებოდა იმისა, რომ რაღაც-რაღაცებზე გული უცრუვდებოდა. შეიძლება ამიტომაც გააღიზიანა ასე უსაშველოდ მირიან ზარდაშელთან შეხვედრამ. აქამდე მირიანს იმპულსებს აყოლილ, დაუფიგარ, თავქარიან კაცად თვლიდა, ვისაც დაჯდომასა და რაიმეს კეთებას წანწალი ერჩივნა, ახლა კი ყველაფერი, რასაც წონა და მნიშვნელობა აქვს, მისკენ ინაცვლებდა, თვითონ კი მშრალზე რჩებოდა და ასეთი უსამართლობა აცოფებდა. მისი ცხოვრება უკვე დამთავრებული და დაჯამებული იყო, აწ ვერაფერი შეეცვლებოდა და იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც აქამდე მოიტანა. უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ვერ კმაყოფილდებოდა და სწორედ ამან მოშალა და მოქანცა, ისიც კი გაასვრევინა და წაბალწვინა, რამაც ყველი ზამთარი გამოაზამთრებინა. ასეთი უმადურობა, ასეთი შეხტომა-შეტრიალება მისი ხასიათისათვის უცხო იყო და ერთხელ გაკვრით ისიც კი აფიქრებინა, დრო ამ ქვეყნიდან წახვიდეო. მაგრამ საღ უნდა წასულიყო, — შავ მიწაში, უკუნეთში, მოუსავლეთში? ბერიკაცს გაკრჭალა, როცა წარმოიდგინა, როგორ შეეკვნენ მის კუბოში ჩაჭედილ სხეულს სამარეში, როგორ ეყრება გულზე მიწა გრუხუნით. ეი იცოდა, ცას რომ ვერ გამოეკერებოდა და ერთ მშვენიერ დღეს მასაც მოაკითხავდა მიქელ-გაბრიელ, მაგრამ საკუთარი დამარხვა ასე ცხადად არასოდეს წარმოედგინა და ამიტომაც გააკრჭალა, ამიტომაც იგრძნო ის სიცივე, მიცვალებულის სხეულში გარდაცვლებისთანავე რომ ისადგურებს.

ბერიკაცს ისე არ ესაძინეს ყოველივე იმის წარმოდგენა, რამაც ურუანტელი მოჰგვარა, რომ მომავალზე ფიქრს ისევ წარსულის გაცოცხლება ამჯობინა. სიდედრის გარდაცვალების შემდეგ ბინა ერთი ორკეკრ გაიზარდა, ისე გაფართოვდა, თითქოს დედაბერს ოჯახში ათჯერ იმაზე დიდი ადგილი ეჭირა, რამდენიც იმ დროს ერთ ადამიანზე იყო გათვლილი. მისი მთელი ავლადიდება სხვენზე აიტანეს, ოთახი ახალი აეკეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწყვეს და ბიჭებს დაუთმეს. გაფართოებით კი გაფართოვდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ ვითბობა, გაზი, ცხელი წყალი. ერკვებს ნავთქურაზე ამზადებდნენ, ღუმელს კი შეშით ათბობდნენ. სამსახურში, რომელიც საკმაოდ შორს იყო, ტრამვაით დადიოდა. ამიტომ ჯაფაც მეტი ადგა. ყველაფერს შოვნა, მოზიდვა, დახერხა, დაბინავება სჭირდებოდა. ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, ცოლი ოჯახის მოვლას ძლივს აუდიოდა, საღამოობით დაღლილობისაგან ფეხები ეკეცებოდა. მისთვის არაოუ სადე წასვლა და გართობა, ის როიალიც კი აღარ არსებობდა, კუთხეში რომ იყო მიგდებული. იგი ხვდებოდა, ცოლი რომ ამდენ შრომას ვერ გაუძლებდა და მოლად დაიღუპებოდა. ამიტომ ქარხანაში ერთ დამლაგებელ ქალს მოურიგდა და კვირაში ორჯერ ახმარდა. მოგვიანებით იმ ქალმა საერთოდ დაანება მუშაობას თავი და რადგან ბინილისში განკულაკების დროს იყო გადმოხვეწილი და ახლობელი არავინ ჰყავდა, სიკედილამდე მათ ოჯახში დარჩა მოსამსახურედ. ეს კი დიდი შეღავათი იყო მეუღლისთვისაც და მისთვისაც.

ბოლოს და ბოლოს ცხოვრება თითქოს აეწყო. ბინა სხვებთან შედარებით ვვარიანი ჰქონდა, ძველი აეეჯი ჯერ კიდევ აეეჯობდა, ოჯახში მოსამსახურე ტრიალებდა, ხელფასის გარდა პრემიებსაც ღებულობდა და, რაც მთავარია, მისმა ინიციატივამ ნაყოფი გამოიღო, ქარხანამ პროდუქციის გამოშვება დაიწყო. ივნისის დღეები ისეთივე ნათელი და დაუღამებელი იყო, როგორც ყოველთვის, მაგრამ მოსვენებას მაინც ვერ პოულობდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მალე ეს მაცდუნებელი სიმშვიდე დაირღვეოდა, სისხლად და ცრემლად დაიღვრებოდა და ქვეყანას წალეკვით დაემუქრებოდა. ცდილობდა ეს უსაფუძვლო წინათგრძნობა თავიდან მოეშორებინა, ერთი ორჯერ დაწოლის წინ დათვრა კიდეც, მაგრამ მისი წინათგრძნობა მაინც გამართლდა და იმ ზაფხულს ომი დაიწყო.

ის ამბავი, რომ ომი დაიწყო, მან საკვადმყოფოში გაიგო. რამდენიმე დღით ადრე მარჯვენა ფეხი მოიტეხა და მიხალოვის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში იწვა. ის სპორტული დარბაზი, რომლითაც დირექტორს თავი მოჰქონდა, ინვენტარითაც გვარიანად იყო აღჭურვილი — ლერძი, ორძელი, რეოლები, ტაიჭი, დირე, საამორტიზაციო ლეიბები — ყველაფერი ეს გამართული და გამზადებული დახვდა, მაგრამ დარბაზს მაინც არავინ ეკარებოდა. ზოგს სპორტი საერთოდ არ იზიდავდა, ზოგს არ ეცალა, ზოგი კი ამ იარაღებს პირველად ხედავდა და მიკარებისა ეშინოდა. ამიტომ ნაცხი პირველად თვითონ გატეხა და ფორმა რომ არ დაეკარგა, ყოველდღე ერთ საათს მაინც ვარჯიშობდა. მოგვიანებით ახალგაზრდებისაგან ტანმოვარჯიშეთა წრე ჩამოაყალიბა და დარბაზიც გაცოცხლდა, ახმაურდა. ვარჯიში არა მარტო სიამოვნებას ჰგვრიდა, არამედ პრესტიჟსაც მატებდა. ახალგაზრდები აღტაცებით აღვენებდნენ თვალს ღერძზე მის ტრიალს. იგი უკვე არც ისე ახალგაზრდა იყო და არც ისე მოქნილი, როგორიც ტანმოვარჯიშე უნდა იყოს, მაგრამ სხვისი თვალი წამქეზებელია და მისი ოსტატობა უკეთ რომ გამოჩენილიყო, თავს ძალა დაატანა და ისეთი ილეთების გაკეთება მოინდომა, დამძიმებული სხეული რომ ვერ უძლებს. ერთი ასეთი ილეთის შესრულების დროს ღერძიდან მოსხლტა, შორს გაფრინდა, ცუდად დაეცა და ფეხი მოიტეხა.

პირველად არაფერი უგრძვნია, სხვების დაუხმარებლადაც კი სცადა წამოდგომა, მაგრამ როცა ფეხს დაეყრდნო, ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს წვივი ხმლით გადაუსერესო და იქვე ჩაიკეცა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოუძახეს სასწრაფო დახმარებას, საკაცეზე დააწვინეს და პირველად მის ცხოვრებაში, საავადმყოფოში მიიყვანეს. ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა, ორი თუ სამი საათი დასჭირდა ძვლების გასწორებას და ფეხის თაბაშირში ჩასმას. მისი წამება იმ

წუთიდან დაიწყო, რა წუთსაც ნარკოზმა ძალა დაკარგა. ცალკე ტკივილი აწუხებდა, ცალკე სიცხე, ცალკე გაუნძრევლად წოლა და ცალკე ბუზები. ერთ კვირაში გახდა, გაყვითლდა, წვერში ჭაღარა გაერია. როცა ტკივილი ცოტათი დაუცხრა, კანმა დაუწყო თაბაშირის ქვეშ ქავილი და ისე გამაწამებლად, რომ შესძლებოდა, თაბაშირს მუშტით დაამსხვრევდა და ტყავგადაძვრალ კანს ფრჩხილებით მოიქავებდა. ბოლოს ყავარჯნებით სიარულის ნება დართეს, მაგრამ ჭრილობა მძიმედ შუშდებოდა, ფეხის გამართულად, სწორად დადება უჭირდა და საავდმყოფოდან გამოწერის შემდეგ მთელი ოთხი თვე ჯოხით დადიოდა. რაცა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვა მობეზრდა, როცა უსაქმურობამ გააწამა, კოსტიუში ჩაიცვა, ხელში ჯოხი დაიჭირა და სამსახურში გამოცხადდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა როგორც ქალაქის, ასევე ქარხნის ცხოვრებაში.

თბილისი შრომისუნარიანი მამაკაცებისაგან თითქმის დაიცალა, გაქრნენ ავტომანქანები და ეტლები, ქალები და ბავშვები რიგებში ადამებდნენ და ათენებდნენ. მაგრამ რიცა მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა და მაღაზიების დარბეული საშიშროება შეიქმნა, სასურსათო ბარათები შემოიღეს. ბაზრებში და ქუჩებში მომრავლდნენ მათხოვრები, ხეიბრები, ეკაკურებულებს პირდაპირ ტროტუარზე. და ეს ომ ქვეშ ეძინათ. რამდენიმე თვეში ინფლაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ერთ ფუთ ჭადის ფქვილს ერთი თვის ხელფასი არ ყოფნიდა. ქალაქში წესრიგს მილიციელები და ჯარისკაცები ეცავდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც მომრავლდნენ ავაზაკები, ქურდები, ჯიბგირები, სპეკულანტები, ყალბი ფულის მჭრელები, ყალბი ბარათების დამამზადებლები, ყომარბაზები, მეძავები. ზოგიერთები, ვისაც პროდუქტი ჰქონდა გასაყიდი, მდიდრდებოდნენ, ზოგიერთები კი შიშველი დაფეხდნენ სულს. რა ნივთები, რა ტანსაცმელი არ იყიდებოდა შავ ბაზარზე. ვისაც სოფელი ჰქონდა, სოფელში ცხოვრობდა, რაც უნდა იყოს, სიმინდს, ლობიოს, ბოსტნეულს მაინც მოიყვანდნენ და კუჭს გამოიძღებდნენ. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, გაწნდა ტილი, პარტახტიანი ტფილი, მძიანვრებდა ვენერიული დაავადებანი. არ იშოვებოდა ხაპონი, ასანთი, წამალი, ნაკოის რეგებს ბოლო არ უნანდა და ეს არ იყო ერთი და ორი წლის ამბავი, იმს მსჯელობაზე ეტყობოდა, რომ რამდენიმე წელიწადს გასტანდა. მიუხედავად უკან დახევისა, უზომო მსხვერპლისა და უზარმაზარი ტერიტორიების დაკოვებისა, საბჭოთა ხელისუფლებას სიჯიუტეზე ეტყობოდა, რომ უკანასკნელ ჯარისკაცამდე იბრძოლებდა, იბრძოლებდა უსასტიკესი, ყველა დაშვებული და დაუშვებელი მეთოდებით. ამიტომ საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა და მისი ვარაუდი შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: ისეთი ქვეყნების რესურსები და პოტენციალი, როგორიც იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საბჭოთა კავშირი, ბევრად აღემატებოდა გერმანიის, იტალიისა და იაპონიის რესურსებსა და პოტენციალს, გარდა ამისა, ამერიკა, ინგლისი და საბჭოთა კავშირი ბევრად უფრო ხელმიუწვდომელი იყო გერმანიისა, იტალიისა და იაპონიისათვის, ვიდრე ისინი მოკავშირეებისათვის და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა ომი, ეს უპირატესობა სულ უფრო მეტად და მეტად იჩენდა თავს. ამიტომ არ აწრიალებენა, არ შეფაქრიანებენა, მაშინაც კი არ გაორებენა, როცა გერმანელები კავკასიონს მოადგნენ.

ამასობაში გაჭირვება მის ოჯახსაც ეწვია. ბავშვები მგლებად იქცნენ, მოელი დღის ულუფას ერთ ჭამაზე ჭამდნენ. დამატებითი სარჩო ბაზარში უნდა ეყიდა. ცომბრიდან საკმაოდ ბევრი ფული ჩამოჰყვა. ნაწილი ხახლში ჰქონდა შენახული, ნაწილი შენახული სალარაში. სალაროდან თვეში ორას მანეთზე მეტს არ აძლევდნენ, რაც ორი კილო მჭადის ფქვილის საფასური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ოჯახი მარტო მჭადით ხომ ვერ იარსებებდა. ამიტომ შინ შენახული ფუღიდან რამდენიმე თვეში კაპიკი არ დარჩენია. ერთადერთი, რაც არ იჭმებოდა და რასაც ფასი არ დაუკარგავს, ოქრო იყო. მისი ოჯახი სწორედ ამან იხსნა. ცამბარიდან რამდენიმე ათეული ოქროს თუმნიანი ჰქონდა ჩამოტანილი, კრასნოიარსკში მათი არც შოვნა ჭირდა და არც ყიდვა. ახლა ის ფული არაფერი არ ღირდა, მას კი ხელში მთელი განძი ეჭირა. მართალია იმ დროს ოქროს და, მით უმეტეს, ოქროს ფულის გაყიდვა სახიფათო იყო, რომ დაეჭერათო, თუ ციხეში არ ამოყოფდა თავს, დიდ უსიამოვნებას გადაეკრებოდა, განხრეკდნენ, სამსახურიდან მოხსნიდნენ, თუ ვარგისად ჩათვლიდნენ, შეიძლება ფრონტზეც გაეშვნენინაო, მაგრამ ერთი ნაცნობი მაკლერის დახმარებით რამდენიმე ოქროს თუმნიანის გაყიდვა მაინც შეძლო და ერთხანს ოჯახმა სული მოითქვა.

ცვლილებები ქარხნის ცხოვრებაშიც მოხდა. ყველა მუშა და ტექნიკური პერსონალი, ვისაც ჯერ ორმოცი წელი არ შესრულებოდა, პირველივე თვეებში გაიწვიეს ჯარში. დაზგებთან დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ქალები და უწლოვანი ყმაწვილები. დისციპლინა უკიდურესობამდე მკაცრი იყო. იმათ საქმეს, ვინც სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენდა ან განზრახ დაგვიანებდა, სასამართლო იხილავდა და ბრალდებულს ერთი ან ორი წლით შრომა-გასწორების ბანაკში უფასოდ ამუშავებდა. იგივე ხდებოდა, თუ ქარხნიდან ვინმე რამეს გაიტანდა, თუნდაც ჯანგანის რკინის ნაჭერი ყოფილიყო. ამ მხრივ ადმინისტრაციას თავსამტკრევი არაფერი ჰქონდა. დისციპლინას მკაცრი კანონი ამყარებდა და ამ კანონის აღსრულებას ჩეკგანყოფილება ადევნებდა თვალყურს. ამ კანონმა დამონებული ხალხი კიდევ ჯერ ერთხელ, [illegible] ცვლილება [illegible] ეფა, რომ [illegible] ჩეკისტებს [illegible] ის ჩარხები, ქარხანას

რომ უნდა მიეწოდებინა, თუმცა სადღა იყვნენ დამკვეთი ორგანიზაციები, მათი ასაკიან-დასაკიანი არავინ უწყოდა. ამიტომ კომისარიატი და ქარხნის ხელმძღვანელობა მძიმე დღეში აღმოჩნდა, არ იცოდნენ რა ექნათ პროდუქციისათვის, რომელიც არავის სჭირდებოდა. ხანგრძლივი მსჯელობისა და ზემო ინსტანციებთან შეთანხმების შემდეგ გადაწყდა, ჩარხმშენებელი ქარხანა სამხედრო ქარხანად გადაკეთებულიყო და ეს ასეც მოხდა. მძიმე მრეწველობის კომისარიატში ჩატარდა თათბირი, რომელსაც თვითონაც ესწრებოდა და დაადგინეს, ყოფილ ჩარხმშენებელ ქარხანას ავტომატები დაემზადებინა. მაშინ ავტომატი და, მით უმეტეს, მისი წარმოება ახალი საქმე იყო და ამ სიახლეს ქარხანამ არცთუ ურიგოდ გაართვა თავი. ავტომატების სერიული გამოშვება ორიოდე თვეში დაიწყო და მოთხოვნილება მათზე ყოველდღიურად იზრდებოდა. ქარხნის გასამხედროებას ის სიკეთეც მოჰყვა, რომ, ჯერ ერთი, ყველა მუშა-მოსამსახურე დაჯავშნეს, მეორეც, დაკეტილი სასადილო გაარემონტეს, დაახუფთავეს, დახურულად გამოაცხადეს და ისეთ კერძებს ამზადებდნენ, რომ მუშა-მოსამსახურეებმა სული მოითქვეს, მხოლოდ პური დაჰქონდათ შინიდან. იმის შიში, რომ ქარხანაში ვინმე შემოიპარებოდა და იაფად ისადილებდა, გამორიცხული იყო. ქარხანას ირგვლივ ქვის მაღალი ღობე ჰქონდა შემოვლებული, ამასთან, როგორც სამხედრო ობიექტს, მკაცრად იცავდნენ. ის სპეციალისტები, მან რომ რუსეთიდან ჩამოიყვანა, ორმოც წელს იყვნენ გადაცილებულნი, იმ წელს ჯარში არ გაიწვიეს, შემდეგ კი ჯავშანი მათზეც გავრცელდა და ომის დამთავრების შემდეგაც მუშაობდნენ ქარხანაში. ზოგი მათგანი დიდად ემადლიერებოდა, სულზე რომ მიუსწრო და იმ უბედურებისაგან იხსნა, რუსეთს რომ დაატყდა თავს. იმ წლებში ქარხანა მთელი დატვირთვით, სამ ცვლად მუშაობდა და პარადოქსი ის იყო, რომ ომმა და უბედურებამ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრაციას მუშაობა კი არ გაურთულა, არამედ გაუადვილა. ხალხიც ხმის ამოუღებლად მუშაობდა, მასალაც დროზე შემოჰქონდათ და მზა პროდუქციაც დროზე გაჰქონდათ.

ქარხნის დირექტორს არც წერა უყვარდა და არც ისეთ თათბირებზე მოხსენებით გამოსვლა, სადაც სპეციალური საკითხები იხილებოდა. ამიტომ კომისარიატისა და კომისართა საბჭოს თათბირებზე მოხსენების წაკითხვას მთავარ ინჟინერს, ანუ მას ავალებდა, რამაც ავტორიტეტი მოუპოვა და გვლენიანი ნაცნობები შეხძინა. კომპეტენტური სპეციალისტი და საქმის მცოდნე კაცი რომ იყო, ეს განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როცა საქართველოს მრეწველობის რესპუბლიკურ თათბირზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ჩარხმშენებელი ქარხნების მნიშვნელობაზე და ამ დარგის განვითარების აუცილებლობაზე, სადაც ამტკიცებდა, რომ ჩარხმშენებელი ქარხნების გარეშე მრეწველობის ვერც ერთი დარგი ვერ განვითარდებაო. მართალია, მოხსენება ზოგადი იყო, კონკრეტულ მასალას ცოტას შეიცავდა, მაგრამ არც იდეოლოგიური დამუშავება აკლდა და არც ტექნიკური დასაბუთება. ამ მოხსენებას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თათბირს ცეკას მდივანი და მთავრობის თავმჯდომარე ესწრებოდნენ და ამიტომ მოხსენებაზე მანამდე იმუშავა, სანამ ყოველი სიტყვა თავის ადგილზე არ ჩაჯდა, მოხსენება თავიდან ბოლომდე არ გამთლიანდა და დამაჯერებელი ჟღერადობა არ შეიძინა. მხედველობაში ისიც მიიღო, რომ იმ თათბირზე ცოტა იქნებოდა ისეთი კაცი, ტექნიკურ მეცნიერებებზა და მათ სპეციფიკაში საფუძვლიანად რომ ყოფილიყო გათვითცნობიერებული. მოხსენებამ სწორედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც ელოდა. ტაშიც დაუკრეს და მაგალითადაც გამოიყენეს. ეს უკვე აღიარება, გამარჯვება იყო. ამას მისმა იმპოზანტურობამაც შეუწყო ხელი და რუსული ენის ცოდნამაც. იმ თათბირის ქარხნის დირექტორიც ესწრებოდა და მიხვდა, რომ შეცდა, როცა ყველა მოხსენებისა და ანგარიშის წაკითხვა თავაკრ ინჟინერს მიანდო. მართალია ამით ტვირთი შეიმსუბუქა, ქადალდების ქექვით თავი არ აუტკივებია, მაგრამ მეორე კაცი აღმოჩნდა იმ ქარხანაში, სადაც პირველი უნდა ყოფილიყო. პირველობას მოითხოვდა არა მარტო მისი პირადი ინტერესები, არამედ დაუწერელი კანონიც. იმ დღის შემდეგ მათი ურთიერთობა დაიძაბა, თავი იჩინა ეჭვმა, უნდობლობამ, მაგრამ დირექტორის მოხსნასა და ფრონტზე გაგზავნაში მას ბრალი არ მიუძღოდა.

მაშინ ორშოცდაორი წლის ზაფხული იდგა. გერმანელები კავკასიონს მოადგენენ. მათი თვითმფრინავები თბილისამდეც დაფრინავდნენ და სადღაც ერთიორი ყუმბარაც კი ჩამოაგდეს. მდგომარეობა მძიმე, უკიდურესად დაძაბული იყო, ხალხს ვადაბრუნებული სიტყვის თქმისთვისაც კი იჭერდნენ. სწორედ იმ დღეებში ქარხნის დირექტორმა ვიწრო წრეში საბჭოთა მხედართმთავრები არაკომპეტენტურობაში და უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა და გერმანელთა ტრიუმფალური წინსვლი იმით ახსნა, რომ გერმანელთა არმია ტექნიკურად ყველა არმიაზე უკეთ იყო აღჭურვილი, საბჭოთა არმია კი ამ მხრივ არა მარტო მოიკოჭლებდა, არამედ გერმანელებს დიდად ჩამორჩებოდა. მხედართმთავრების კრიტიკა დიდ მკრეხელობას არ შეიცავდა, მაგრამ იმის თქმა, რომ გერმანია მოწინავე ქვეყანაა, საბჭოთა კავშირი კი ჩამორჩენილი, უკვე ანტისაბჭოთა პროპაგანდა იყო. და ეს ასეც გაიგეს იქ, სადაც იმ ვიწრო წრის ერთ-ერთმა წევრმა დირექტორის ნალაყბევი მიიტანა. დირექტორი ჯერ დაიბარეს, შემდეგ კი დაუპატიმრეს. უბედურება ის იყო, რომ დამბეზღებელმა მოწმეებიც დაასახელა და უკან დასახევი გზა არ დაუტოვა. დირექტორი ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის გაასამართლეს, ათი წელი მიუსაჯეს და ციმბირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არ გაგზავნეს, არამედ ფრონტზე უკრეს თავი.

ერთი თვის შემდეგ ქარხნის დირექტორის დანიშვნის საკითხი დაისვა. ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა. ღმერთმა იცის, ვინ მოვიდოდა, რა კაცთან ექნებოდა საქმე. შეიძლება ვერ მორიგებულიყვნენ, ერთმანეთი აეთვალისწუნებინათ და მათ შორის შუღლი და მტრობა ჩამოვარდნილიყო. აუტკივარი თავის ატკივება კი მისი მხრიდან უგუნურობა იქნებოდა. ამიტომ თითქმის ყველა გაელენინანი ჰირი მოინახულა და შეეპარა. იმ დროს შეპირება არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მაინც გულდამშვიდებული დაბრუნდა შინ. ორი კვირის შემდეგ ქარხნის დირექტორის დანიშვნის საკითხი ბიუროზე გაიტანეს და მისი კანდიდატურა ყოველგვარი კამათისა და ზედმეტი შეკითხვების გარეშე დაამტკიცეს. შეიძლება მაშინ ვიღაც-ვიღაცებმა იფიქრეს კიდეც, ყოფილი დირექტორი გასწირა, გზიდან ჩამოიშორაო, მაგრამ კაცმა თუ არა, ღმერთმა ხომ იცოდა, რომ ამ საქმეში უბრალო იყო.

სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ გერმანელებმა უკან დახევა დაიწყეს. ამ მარცხმა ხელმძღვანელობასაც შემატა რწმენა და ჯარსაც, ბევრი რამ ისე შეიცვალა, არავინ რომ არ მოელოდა. ამ გამარჯვება-დამარცხებაზე უამრავი ადამიანის ბედი იყო დამოკიდებული, იცვლებოდა პოზიციები, ორიენტირები, სკეპტიკოსები თვალის დახამხამებაში გათავისუფლდნენ სკეპტიციზმისაგან, ურწმუნონი რწმენით აღიარსნენ. ყველაზე თამამად ისინი გამოდიოდნენ მიტინგებზე, რამდენიმე თვის წინათ მიტინგებს სიახლოვეს რომ არ ეკარებოდნენ. დაიწყო ზეიმები, აღლუმები, დაჯილდოებები. ფრონტებზე იმატა სისხლის ღვრამ, მსხვერპლმა, მაგრამ ეს უკვე სათვალაში მისაღები აღარ იყო, არც იმათი ბედი აინტერესებდა ვინმეს, ტყვედ რომ ჩაცვივდნენ და ახლა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ერთი სიტყვით, ის ტალღა, რომელსაც უბედურება აღმოსავლეთისკენ მოჰქონდა, შებრუნდა, შეტრიალდა და დასავლეთისაკენ დაიძრა. იმარჯვებდა, სახელს იხვეჭდა, ფართოვდებოდა ის ქვეყანა, რომელსაც ემსახურებოდა და დაუფასეს კიდეც სამსახური, პირველი ორდენითა და პირველი მედლით დაჯილდოვეს. ამასობაში მისი და მისი ოჯახის მდგომარეობაც გამოკეთდა. ჯერ ერთი, სპეციალურ მაღაზიას მიამაგრეს, სადაც სურსათ-საროვაგე მტკიცე ფასებში იყიდებოდა, მეორეც, ქარხნის დირექტორი იყო და სასადილოს გამგე არა მარტო კაბინეტში უგზავნიდა მსუყე საუზმესა და სადილს, არამედ ოჯახის სამყოფ ხორცსა და ბოსტნეულს შინაც ატანდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ ქარხნის დამხმარე მეურნეობა გაფართოდდა, გაიზარდა, მოდერნიერდა. სასადილო ხორცითაც მარაგდებოდა, ბოსტნეულითაც და ხილითაც. ამიტომ, იმის დამთავრებამდე სახლიდან არაფერი გაუტანია, არაფერი გაუყიდია. ფეხიც მთლიანად მოურჩა, მხოლოდ წვიმიან ამინდში ახსენებდა თავს. გერმანელები სულ უკან და უკან იხევდნენ, მას კი ორდენები და მედლები ემატებოდა. თბილისს ახლაც უჭირდა, მაგრამ შიმშილითა და სიცივით აღარ კვდებოდა. არც მის ცხოვრებაში ხდებოდა რაღაც ისეთი, საშიშ და სახიფათო რომ ყოფილიყო. იმ ხანებში მხოლოდ ორჯერ შეემთხვა უსიამოვნება, მაგრამ მისი პრესტიჟი არც ერთს შეულახავს და არც მეორეს. ერთხელ მუშებმა, შესვენების დროს, სასადილოში ჩუმად არაყი შემოიტანეს, დათვრნენ, ერთმანეთს აუხირდნენ, წაიჩხუბნენ და ერომა მეორეს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი იქვე, სასადილოში გარდაიცვალა. რა იყო მისი სიხსნელი ამ სისხლთან შედარებით, მაშინ მთელ მსოფლიოში რომ იღვრებოდა, მაგრამ მაინც ატყდა კვილი, აურ-ზაური, მითქმა-მოთქმა. მან მილიციამდე დარეკა და ოქმის შედგენასაც დაესწრო. ოქმში ყველაფერი ისე შეიტანეს, როგორც მოსდა, მაგრამ ეს ამბავი რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეხმაურებინათ და გაეზვიადებინათ, იმ დღესვე მივიდა მინისტრთან (მაშინ კომისარიატი უკვე სამინისტროდ იყო გადაკეთებული), ყველაფერი უამბო და სთხოვა, დაერეკა რაინინს პროკურორთან, რომ ამ საქმისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა, არ გაეხმაურებინა, ქარხნისთვის ჩირქი არ მოეცხო. ამით არც პროკურორი იყო დაინტერესებული და საქმე მართლაც არ გახმაურებულა. ის მუშა რუსეთის რომელიღაც ქალაქიდან ევაკუირებული, უპატრონო კაცი აღმოჩნდა და ის უგუნური შემთხვევაც მალე მიეცა დავიწყებას.

მეორე შემთხვევა უფრო მძიმე, უფრო სახიფათო იყო და ტრაგიკულად რომ დამთავრებულიყო, თუ მოელი სიცოცხლე არა, ერთხანს მაინც გაანწვალებდა. იმ დროს ცოლი ისე იყო ოჯახისა და ბავშვების მოვლითა და აღზრდით გადაქანცული, რომ მისი დარდი არ ჰქონდა. არადა, ჯერ კიდევ ჯანიანი, სისხლსავსე მამაკაცი იყო და უქალოდ ყოფნა უჭირდა. მდივანი, რომელიც მანამდე ჰყავდა, იმ ქალაქში გაბრუნდა, საიდანაც ომს გამოექცა და მის მაგივრად ახალგაზრდა, ეშხიანი, ღარბებულად ჩაცმული, მაგრამ ლამაზად დავარცხნილი ქალი მოუყვანეს, სწორედ ისეთი, ქართველიც რომაა, თბილისელიც, მაგრამ მაინც გარუსებულია. იმ ქალს, ალბათ, ეგონა, მაგიდასთან უცხვირპირო, მყვირალა, უხეში კაცი დახვდებოდა, მაგრამ როცა გაუღიმა და ადამიანურად გამოჰკითხა, ვინ იყო და შეეძლო თუ არა იმის გაკეთება, რაც მდივანს ევალებოდა, მის მიმართ სიმპათიით განეწყო, უფრო თამამად ალაპარაკდა და კითხვებზე თითქმის ამომწურავი პასუხი გასცა. უკეთესს ვერ თვითონ იმოვიდა ვერსად და განცხადებას მაშინვე დაადო რეზოლუცია. თავიდან ჩვეულებრივი, სამსახურებრივი, ოფიციალური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ქალი სულ უფრო და უფრო უთამამდებოდა, ეკოპწიავებოდა და უკან არც თვითონ დაუხვევია, ერთი ორჯერ თეატრში წაიყვანა, ერთი ორჯერ რესტორანში დაპატიჟა და მათ დაახლოებას მეტი არც დაჭირვებია. ლოგინში ისე აღმოჩდნენ, თითქოს მათი ურთიერთობის სხვაგვარად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მათ სიყვარულს ჩრდილს არაფერი აყენებდა, მხოლოდ ფეხმძიმობამ გაუჭირვათ საქმე. აბორტს აბორტი მოსდევდა და ერთ-ერთი აბორტი ხელმარცხიანი გამოდგა, ქალს ძლიერი სისხლისდენა დაეწყო, სიცხე მისცა, მუტკლის ფერი დაედო. გაბედა და, საავადყოფოში ნახულა, საუკეთესო ექიმები დაახვია, შავ ბაზარზე დეფიციტური წამლები უყიდა. მიუხედავად ამისა, მაინც ფრთხილად იყო, არ უნდოდა ეს ამბავი გახმაურებულიყო, ზემდგომი ორგანოების ან ცოლის ყურამდე მიეღწია. ინტენსიურმა მკურნალობამ, განსაკუთრებით იმან, რომ შავ ბაზარზე ანტიბიოტიკები გაჩნდა, სასურველი შედეგი გამოიღო, ქალი გადარჩა, მაგრამ მათი ურთიერთობის აღდგენა აღარ მოხერხდა.

ბერიკაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შემოდგომის დღე ხავსითა და სირსველით იმოსებოდა და ის ოქროს დაზოგვას ცდილობდა, აქამდე რომ უთავბოლოდ აბნევდა. ჩრდილები უკვე ელოდნენ შეღამებას, ის სამყაროში ფეხის შედგმას, სადაც სინამდვილეს იდუმალება ცვლის, ხოლო სიცხადეს — ფანტასმაგორია. ბერიკაცი იმიტომ იშუმუშებოდა და იმიტომ ეფარებოდა ჩრდილს, რომ მის გონებაში ერთი ისეთი მზაკვრული კითხვა მწიფდებოდა და მისდა დაუკითხავად აპირებდა ჩამოყალიბებას, როგორიც აქამდე აზრად არ მოსვლია. იმ დღეს მართლა ჩამოვარდა ღერძიდან თუ განზრახ მოიტეხა ფეხი? ეს უკვე მეტისმეტი იყო და ბერიკაცი მართლაც გაცხარდა, რა თქმა უნდა, ჩამოვარდა, ჩამოვარდა იმიტომ, რომ ასაკს ანგარიში არ გაუწია, თორემ საიდან უნდა სცოდნოდა, რამდენიმე დღეში იმი დაიწყებოდა? წინასწარმეტყველი და გულთმისანი არასოდეს ყოფილა და არც იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკაში რომ ჭიაი აქვთ მოჭრილი. ამიტომ გამორიცხული იყო, წინასწარ სცოდნოდა ისეთი რამ, რაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, დიდმა პოლიტიკოსებმაც კი არ იცოდნენ დანამდვილებით. ამ ბრალდებას ისევე არ ჰქონდა არაეთარი საფუძველი, როგორც იმას, რომ მირიან ზარდაშელის გამოხდომაში მასაც მიუძღოდა ბრალი. მაგრამ იქნებ ინტუიციურად იგრძნო, იქნებ ალდომ უკარნახა — რაღაც საშინელება რომ მოხდებოდა, მალიონობით, ათეული მილიონობით ადამიანი რომ გაწყდებოდა და სადღაც, ტრამალებში ტანჯვით სიკვდილს ფეხის მოტეხა ამჯობინა? სიმართლის ნასახს არც ეს ბრალდება შეიცავდა, რადგან დიდი ინტუიციითა და შორსმჭვრეტელობით არასოდეს გამოირჩეოდა, არ იყო ის პიროვნება, მსოფლიო კატაკლიზმების მოახლოებას რომ ვრძნობს. რჩებოდა კიდევ ერთი ვერსია: მისი მეზავრობა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსთან და ის შეთაბეჭდილება, რაც ვენერლის სიტყვებმა მასზე მოახდინა. მაგრამ, ჯერ ერთი, ვენერალი ლაპარაკობდა ბუნდოვნად, თვითონაც არ იყო დარწმუნებული საკუთარი სიტყვების სიმართლეში, ომის დაწყების არც კონკრეტული ვადა დაუსახელებია და არც ის უთქვამს, რა ღონისძიებების გატარებას აპირებდნენ მტრის დასამარცხებლად. მეორეც, იმ დღეს გვარიანად იყვნენ შეზარხოშებულები და მთვრალ კაცს რა არ მოეჩვენება, რას არ გაბერავს და გაზვიადებს? ამიტომ შეიძლება გონიერმა კაცმა ბუნდოვან ეარაუდზე ააოოს თავისი მომავალი და განზრახ მოიტეხოს ფეხი? მართალია მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მეხსიერებაში ბევრი რამ აარ-დაარია, მაგრამ მთლად როგორ დაავიწყდებოდა ის განზრახვა, ის გადაწყვეტილება, რომ ფეხი მოეტეხა და ამით ფრონტზე წასვლისათვის აერიდებინა თავი. იგი მართლა მოსწყდა ძელს, მართლა მოიტეხა ფეხი, თორემ არც ისეთი ლაჩარი და ჯაბანი იყო, რომ ჯარშიც არ დაწინაურებულიყო, თავი არ გამოეჩინა და დაჯილდოებული არ დაბრუნებულიყო შინ.

XXIV

ბერიკაცს გაახსენდა, რომ ამ გამზირზე ოდესღაც ცირკი იყო და უნდოდა ისეთივე განწყობა დაუფლებოდა, როგორიც ბავშვობაში ჰქონდა, მაგრამ დაღლილსა და ვატანჯულს აღარ სჯეროდა, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებებიც არ უდალატებდნენ, არ გაუსაზურდებოდნენ და გაუფერულდებოდნენ. იყო დრო, როცა ამგვარი სანტიმენტებისათვის არ ეცალა, ყოველთვის სადღაც ეჩქარებოდა — ან სამსახურში, ან თათბირზე, ან სამეცნიერო საბჭოზე, დროს მივლინებები, ანგარიშები, რუსეთიდან ან უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების მიღება და გასტუმრებაც მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ყველაფერს ასწრებდა, მხოლოდ წიგნის წასაკითხად არ რჩებოდა დრო, მაგრამ რამდენიმე მათგანს მაინც დაათვრეთ თან. სანამ მანქანა ემსახურებოდა, პორტფელის სიმძიმეს ვერ გრძნობდა, დღეს კი დაღალა, გააწამა, ერჩია გადაეგდო, ვიდრე შინამდე ეთრია. ამ პორტფელის გამო ცალი მხარი ჩამოუვარდა და ქვეყანა ხან მარჯვნივ ფერდდებოდა და ხან მარცხნივ, ამისდა მიხედვით, რომელ ხელში ეჭირა პორტფელი. ნისლიანი, წვიმიანი, არეულ-დარეული ამინდი რომ ყოფილიყო, შეიძლება ქვეყნის ეს გადაფერდ-გადმოფერდება მხედველობის ან ქვეითებისთვის ან წინასწორობის ცენტრის დარღვევისათვის დაებრალებინა, მაგრამ ცა სარკესავით მოკრიალებული იყო, სივრცე კი ისეთი გამჭვირვალე, არ შეიძლებოდა მის ფონზე რაღე დამახინჯებულიყო, დფერდებულიყო. ამიტომ აღარ აკვირვებდა ის არაბუნებრივი ცვლილებები, მის ირგვლივ რომ ხდებოდა, ამატომაც აღარ სჯეროდა საკუთარი თვალისა და ყურისა. რას წარმოიდგენდა, რომ ძველი სახლები კედლებს ჩამოირეცხდნენ და მთელ თავანთ უბედურკობას დღის სინათლეზე

გამოიტანდნენ, შემოდგომის ფოთლები ტროტუარიდან აიხვეტებოდნენ და ყვავებივით გაიკრიფებოდნენ ქალაქიდან, ბეტონის ბოძები წელში გადატყებოდნენ და ვეღარ გაიმართებოდნენ. დრო იყო საკუთარ სიძაბუნეზე, ტკინისა თუ მხედველობის გამრუდებაზე ეფიქრა, მაგრამ მისმა ამბოხებულმა გონებამ მთლად აიწყვეტა თავი და ახლა უკვე შინაურებს დაერია.

პირველად მეუღლის სახე დაუდგა თვალწინ. გაბხდარი, გასიფრფანგებული ნაკვთები და ჭაღარა თმა ისეთ ეერს ანაგებდა, თითქოს ამქვეყნიური ცოდვებისაგან განიწმინდა, გაფაქიზდა, გასათნოვდა. დადიოდა ჩუმად, ლანდივით და თუ რამეს აკეთებდა, აკეთებდა მექანიკურად, ანგარიშმოუცემლად; თუ რამეს ვერ მიაგნებდა ან რამე შეეშლებოდა, უფრო იღიმებოდა, ვიდრე ბრაზობდა; თუ რამეს ვერ იხსენებდა, ამბავსაც თვითონ იგონებდა და სახელებსაც. მისი ამგვარი დაშრეტა და გაუცნაურება დრომ და სიბერემ მოიტანა, თორემ თავიდან ყველაფერი ისე დაიწყეს, როგორც ახალგაზრდა, შეყვარებული ცოლ-ქმარი იწყებს. დღამებას შეთქმულებივით ელოდნენ, ერთმანეთისათვის არაფერი ენანებოდათ და ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ. ასე გრძელდებოდა ორი-სამი წელიწადი, შემდეგ კი ყველაფერი გართულდა, დაიხლართა, ისეთი რამე გახდა სადავო და სალაპარაკო, რაც მანამდე ცხადზე ცხადი იყო. ამ ერთმანეთისადმი გაცივებასა და გაუცხოებაში ყველაზე დიდი როლი ბავშვებმა ითამაშეს. როგორც კი ისინი ქვეყანას მოევლინენ, მეუღლემ მთელი თავისი სიყვარული, სითბო და ყურადღება მათზე გადაიტანა. ქმარი მხოლოდ მაშინ აგონდებოდა, როცა რამე იყო საყიდელი, მოსატანი ან გასაკეთებელი. ხოლო როცა ბავშვები ავად ხდებოდნენ, პატარა ბიჭივით დაარბენინებდა, არც მის ავტორიტეტს უწევდა ანგარიშს და არც იმას, რომ შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. მისი ერთადერთი მოვალეობა ოჯახის რჩენა, მოვლა-პატრონობა, დაცვა იყო. მის არსებობას სხვა არაფერი ამარლებდა. შეიძლება მეუღლე ფიქრობდა, ბავშვები წამოიზრდებოდნენ, დრო გადარჩებოდა და ამ დროს ქმარს მოაბმარდა, მიხედავდა, მოიშინაურებდა, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდნენ ბავშვები, მით უფრო მეტ დროსა და ყურადღებას მოითხოვდნენ. მოსამსახურე რომ არა, პერანგების, საცვლების, წინდებისა და ცხვირსახოცების გარეცხვაც თვით მას მოუწევდა. სანამ ახალ ბინაში გადავიდოდნენ, სადაც ერთი ოთახი, როგორც კაბინეტი, ძლივს დაიორივა, სახლში ადგილს ვერ პოულობდა, ყველგან ზედმეტი, ყველას უცხო სტუმრივით იყო. დაჯდებოდა და რაღა მანცდამაინც აქ დაჯექით, წამოწევებოდა და ისეთი თვალებით უყურებდნენ, რომ დასვენებას ნაცვლად კიდევ უფრო იღლებოდა. ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, სადმე ერთი ოთახი ექირავებინა და როცა ოჯახს მოემსახურებოდა, დაანყრებდა და დააბუდებდა, ღამე მაინც გაეთია ისე, რომ არავის შეეხსენებინა, ვინ იყო და რა იყო მისი უმთავრესი მოვალეობა. ყოველივე ამან მას და მის მეუღლეს შორის ჯერ ბზარი გააჩინა, შემდეგ კი უფსკრული გათხარა და რადგან იცოდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, ამ უფსკრულის ამოვსება არც კი უცდია. ამაო შრომას ისევ ის ამჯობინა, ცოტაოდენი დრო, რომელიც რჩებოდა, მთლიანად თავისთვის გამოეყენებინა. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ვაჟები დაქორწინდნენ და ქალიშვილი გათხოვდა, სანამ შვილიშვილები დაიბადნენ და ბებია, როგორც ოჯახის მონობაში გათეთრებული, დაღლილი, დროსა და ცხოვრებას ჩამორჩენილი ქალი, მარტო, უმეგობროდ, უყურადღებოდ მიატოვეს. და თუ ზოგჯერ მოინახულებდნენ, მოელაქუცებოდნენ, მოეხიყვარულებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ დაეცინცლათ რამე და თავიანთი სიამოვნებისათვის გამოეყენებინათ. ბებია მათთვის ის არსება იყო, რომელსაც აღარც ფული სჭირდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც სამკაულები, აღარც ჩასაცმელი და აღარც დასახური. ყველაფერს მისას ისე ისაკუთრებდნენ და ინაწილებდნენ, თითქოს პატრონი არ ჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, მისი მეუღლე არც პროტესტს გამოთქვამდა და არც ხმას იმაღლებდა, მხოლოდ იღიმებოდა და აღლიცებდა. იყო მასში რაღაც ისეთი, რისი დანახვა და ნათლად წარმოდგენა ჭირდა, რაც მსჯელობის ფარგლებს მაღმა რჩებოდა და შეიძლება ამ დაუნახაობის გამო მოხდა ის, რომ ნელ-ნელა ცხოვრებას განუდგა, ყველაფერზე გული აიცრუა, საკუთარ თავში ჩაიკეტა. მათი უთანხმოება, გაუცხოება, დაშორებრება იმდენ ხანს გრძელდებოდა, იმდენად ქრონიკული იყო, რომ გულის მობრუნება, დაახლოება სიბერემდეც კი ვერ მოახერხეს. დაშავებით ერთმანეთისათვის არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ბრალეულობის გრძნობა ორივეს აწუხებდა და მისგან გათავისუფლება სიცარიელეს ვეღარ ამოავსებდა. კიდევ კარგი, ჭკუა ეყოთ, ერთმანეთს საყვედურებით არ ავსებდნენ და სისხლს არ უშრობდნენ. იგი გრძნობდა, რომ მეუღლის სულში განუქარვებელმა სევდამ, გამოუთქმელმა მწუხარებამ, რაღაც არაამქვეყნიურისადმი მისწრაფებამ დაისადგურა, მაგრამ არავითარი სურვილი არ ჰქონდა მის სულში ხელი ეფაურებინა და წლების მანძილზე შესისხლხორცებული, გასაიდუმლოებული, ღრმად გამჯდარი შთაბეჭდილებები აეფორიაქებინა. ამიტომ არც ლოცვას უშლიდა და არც იმას აჩჩნევდა, რომ ეკლესიაში სიარულს მოუშორა. მაღლობა ღმერთს, ამისათვის ახლა არაკინ იბარებდა და არავინ ეშუქრებოდა. მართალია ერთმანეთს არ ესმოდათ, ცხოვრება სულ სხვა სულისკვეთებით, სხვა აზრით, სხვა გრძნობით გალიეს, მაგრამ ერთმანეთისათვის გარეშენი მაინც არ იყვნენ. მეუღლის ტკივილი მისი ტკივილიც იყო და მეუღლის მწუხარება — მისი მწუხარებაც. ისინი უკვე იმ ასაკამდე იყვნენ მისული, როცა მათი საქციელი ღმერთს უნდა განესაჯა და არა ადამიანს.

ოდესღაც ის გამზირი, ბერიკაცი რომ მიჰყვებოდა, თავისი ბგერებითა და ფერებით მკვეთრად გამოირჩეოდა ქალაქის სხვა უბნებისაგან, მაგრამ ახლა ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, განმასხვავებელ ნიშნებს კარგავდა და მის ყურადღებას უფრო აჩლუნგებდა, ვიდრე აძმაფრებდა. ამიტომაც ვერ ახერხებდა იმ ძაფის გაწყვეტას, მისდა დაუკითხავად რომ ირღვეოდა და ირღვეოდა. უფროსი ვაჟი არა მარტო თავის თავში, თავის უფლებამოსილებაშიც დარწმუნებული იყო, ტოლს არავის უდებდა და ხვალ იმაზე მეტი უნდოდა, რაც დღეს ჰქონდა. დაბადებიდან ჯანმრთელს, მოძთხოვნს, მოძრავს მშობლები არც ავადმყოფობით გაუტანჯია და არც სიზარმაცით. თუ რამეს მოისურვებდა, აისრულებდა კიდეც. როცა წამოიზარდა, ყველაფერში პირველობას იჩემებდა, თუ ვინმე გაუძალიანდებოდა, მუშტიკრივზე გადადიოდა, ხოლო იმას, ვინც მის ნებას დაჰყვებოდა, მფარველობას უწევდა. ეგოიზმი, სხვებზე უკეთ მოწყობის, სხვებზე უკეთ ცხოვრების სურვილი ბავშვობიდანვე დაჰყვა და იმ უპირატესობას, რაც ბედმა არგუნა, მაქსიმალურად იყენებდა. უმაღლესში თვითონ მოეწყო, სამსახურიც თვითონ ითხოვა და მანქანაც ურიგოდ იყიდა. ერთხანს პატიოსანი, პრინციპული კაცის როლს თამაშობდა, მაგრამ როგორც კი მთავრობამ სადაევები მოუშვა, თვითონაც აიშვა თავი, ხოლო როცა ჩრდილოეთი ეკონომიკა ჩამოყალიბდა, უკვე შემლებული კაცი იყო და ისეთ ხალხს დაუკავშირდა, რომელთათვისაც შეუძლებელი თითქმის არაფერი იყო. მათ არა მარტო პარტიის მანდატი ედოთ ჯიბეში და ქვეყანას დაუსჯელად ყველფდნენ, არამედ ხელი მმართველობის პულტზეც ედოთ და მთავრობაზე უკეთ იცოდნენ, საიდან რა გამოდნებოდა. მსუბუქი მრეწველობის თითქმის ყველა საწარმოში მათ მიერ ხელდასმული დირექტორი იჯდა და ამ დირექტორებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის მისი ვაჟი აქტიურობითა და შეუწყნარებლობით გამოირჩეოდა. ფული იმდენი ჰქონდა, არ იცოდა, სად წაეღო და მაინც ეცოტავებოდა, ოქროსა და პატიოსან თვლებს გულგრილად ვერ უყურებდა. თუ საქმდან იმდენს ვერ ამოიღებდა, რამდენის იმედიც ჰქონდა, მთელი დღე მოშხამული დადიოდა. იმ ხალხთან ურთიერთობაში, გარს რომ ეხვია, გაუხამსდა, გაუხეშდა, გაუწმაწურდა. ხადახან ისეთ რამეს წამოროშავდა, დედამისი ყურებს არ უჯერებდა. წიგნის კითხვა, თეატრში სიარული და კონცერტზე დასწრება ქალებისა და ქალაწულების საქმედ მაჰნდა. უფული კაცს ზედ არ უყურებდა, მათხოვრად, არარაობად თვლიდა. ფულმა გაათავხედა, გამამდაბიუარა, ყალბი თავმოყვარეობა შეესძინა. უცხოელებთან, ისეთ საბჭოელებთან, ვინც გამოადგებოდა, მეფურად ხელგაშლილი იყო, რუსულადაც და ქართულადაც გამართულად, სწორად მეტყველებდა, იცოდა, ვისთვის რა ეთქვა და ვისთვის როგორ მოექონა თავი. ერთი სიტყვით, თავის ბლუებთან შედარებით, ოქროპირი იყო და ამიტომ საჩოთირო საქმეების მოგვარებას მას ანდობდნენ, მაგრამ ამით იგი ისე თუ იგებდა რამეს, თორემ არაფერს აგებდა. მეორე დღეს დახარჯულ ფულსაც იბრუნებდა და იმათ, ვის საქმესაც აჭახრაკებდა, კიდევ უფრო მეიდრეულ სუფრას აშლევინებდა. ცხოვრება (იღვარჭნებოდა, ფუქსავატდებოდ, უხამსდებოდა, ეერარქია რაღაცნაირ, არაადამიანურ, მახინჯ, უსულგულო ფორმას იძენდა, რაც ერთი ათად აღვივებდა შურს, სიძულვილს, სისასტიკეს.

მას რომ შვილების აღზრდაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, რომ სცოდნოდა, რა ერჩია, რა შთაეგონებინა, შეიძლება უსულგულობას მათ შეენებაში ასე ღრმად არ გაედგა ფესვი, მაგრამ არ იცოდა, აღზრდის არავითარი მეთოდი არ გაჰნდა, ამ საქმეში ისეთივე უმეცარი იყო, როგორც „ნათელი გზისაკენ“ გაკაჭული ქურუმები. ამიტომ მიანდო ისინი დედას, სკოლასა და გარემოს. სკოლამ და გარემომ დედის ზეგავლენა თითქმის მოლიანად გააკარწყლა და იმ შეუსაბამობის გამო, იდეოლოგიურ მოძღვრებასა და სინამდვილეს შორის რომ იყო, სულიერ დეფორმაციასა და დამახინჯებას ვერ გადურჩნენ. განსაკუთრებით ვერ იტანდა თავხედობას, აღვირახსნილობას, შვილების მიერ დედის უპატივცემულობას. თუმცა, როცა საკუთარ ფეხზე დადგნენ, დიდად არც მას ეპუებოდნენ. ამან კი კონფლიქტები გაახშირა, გაამძაფრა. მაშაშვილური ურთიერთობა მას და მის უფროს ვაჟს შორის იმ დღეს დამთავრდა, როცა ერთ საღამოს სახლში თავისი გზზულუქებული ვიეინდრები მოათრია და სუფრის გაშლა მოითხოვა. მაშინ ჯერ კიდევ ინსტიტუტის დირექტორი იყო და სხვა წონა ჰქონდა. შეზარხოშებული სახეების დანახვა არ ესიამოვნა, მათი არათუ გამასპინძლება, სახლში შემოშვებაც კი არ შეიძლებოდა. მას რომ ამჯერად დაეთმო, გაუშინაურდებოდნენ, გაუთამამდებოდნენ, შეიძლება მხარზეც კი დაეცრათ ხელი. ამიტომ სტუმრების მიღებაზეც კატეგორიული უარი განაცხადა და სუფრის გაშლაზეც. ამას ვიგინდარები არ მოელოდნენ და იწყინეს, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ჭამა და სმა მათ არ უნდოდათ, ისედაც გამსკდრები იყვნენ. მათი მიზანი მის ოჯახში ფეხის შემოდგმა, გაშინაურება, მათ მიერ ნაძარცვისა და ნაქურდალის, მათი კაცობის ცნობა და აღიარება იყო. ამას იგი ცოცხალი თავით არ დაუშვებდა და თუ რატომ, მშვენივრად მიხვდნენ ჩადაბიანებული გარეწრები. ასეთ დახვედრას, რა თქმა უნდა, არც მისი ვაჟიშვილი მოელოდა და გაცოფდა, გადაიარა. „რას მიშვრები, მამა, ხალხი სუფრიდან აკეარე, შინ წამოვიყვანე და შენ გარეთ მიყრი?!“ ეს სიტყვები ისეთი დრამატული ტონით წარმოთქვა, ისეთი დახავსებული პროვინციალიზმი და ყალბი პათეო�აკი იგრძნობოდა მის ხმაში, რომ ზიზღი სისხლივით მოაწვა სახეში.

— ეს სახლი ჯერჯერობით ჩემი სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია და უდროო დროს მე დაუპატიჟებელ სტუმრებს არ ვღებულობ, — უპასუხა მან მშვიდად, აუღელვებლად.

— ეხენი ჩემი ძმაკაცები არიან, პატივს გვცემენ და იმიტომ მოვიპატიჟე, რომ ჩვენი ოჯახის გაცნობა სურთ.

— იმ ოჯახს, რომლის გაცნობაც სურთ, წინასწარ უთანხმდებიან და მოულოდნელად, ყაჩაღებივით არ ეხხმიან თავს.

— ჩვენ შენი არაფერი გვინდა, თითო ჭიქას დავლევთ და წავალთ.

— ჩემს ოჯახში თითო ჭიქის დასალევად არ დადიან. სხვამ თუ არა, შენ მაინც უნდა იცოდე ეს.

— კარგი, გეყოფა, მამაჩემო! ბებიებისა და ბაბუების დრო წავიდა, ვის სცალია დღეს ამდენი მიპატიჟება-მიპატიჟებისა და მიეთ-მოეთისათვის.

როცა დირექტორობა დატოვებინეს და კონსულტანტად გადაიყვანეს, გამოსათხოვარი საღამო მოუწყვეს. მუუხედავად მისი იღბლიანობისა, ამჯერად არ გაუმართლა. რამდენიმე წლის წინათ დიდებულ იუბილეს გადაუხდიდნენ, საჩუქრებით აავსებდნენ, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე წერილებს გამოაქვეყნებდნენ, მაგრამ დიდი ზეიმების, იუბილეებისა და პურ-მარილების დრო წავიდა, დამსახურებულთა პრესტიჟიც ისე ამოიწურა, როგორც ნავთი, მადანი და სურსათ-სანოვაგე. ამიტომ იუბილეკი არ გადაუხადეს, გამოსათხოვარი საღამოთი დაკმაყოფილდნენ. მიუხედავად ამისა, ხალხმა მაინც მოიყარა თავი და არა იმის გამო, რომ რამე საინტერესო იოქმებოდა, არამედ სეირის საყურებლად. დარბაზში თავშეყრილი ხალხი არაფრით განსხვავდებოდა იმათგან, დასჯა, სისხლის ღვრა, სანახაობა რომ იტაცებთ. იმ საღამოს მას კი არ ეშვიდობებოდნენ, სამსახურიდან აგდებდნენ და ეს წინასწარ იცოდა ყველამ. აგდებდნენ იმიტომ, რომ აღარ იცავდა ის ხელისუფლება, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურა. ისინი, ვინც მას ჰქიმაგობდა და ეხარ უჭერდა, ან მიწაში იყვნენ, ანდა ცდილობდნენ წარსული გამოელამაზებინათ და თავი ეჩვენებინათ ბოლომდე, რომ პასუხი არავის მოეთხოვა. მიდიოდა ძველი, შინაგანად დაცარიელებული, ნაყმევი, მოღორებული თაობა და მოდიოდნენ გაზულექებული, უპრინციპო, გაღორებული, ყოველგვარი ფასეულობის უგულებელმყოფელი ალსახანები, რომელთათვისაც გამოსათხოვარი საღამო დასაფლავებისაგან არაფრით განირჩეოდა. დამსაფლავებლები კოსტიუმებში გამოწყობილები, სუფთად გაპარსულები კი არ იყვნენ, არამედ წვერმოშვებულები, ჩაკურტაკებულები, ჩაღიპიანებულები. მათთვის იგი უკვე ღვაწლმოსილი მეცნიერი და ოვალსანინო მოქალაქე კი არ იყო, არამედ ჩამორჩენილი ბერიკაცი, თეორი ყვავი, რომელიც თავიანთი საყვავეთიდან უნდა განედევნათ.

— რა გინდათ ისეთ კაცთან, ვისი დროც წავიდა, ხოლო თუ კაცად არ მთელთ და დაბრიყვებას მიპირებთ, მე არც ისე იოლი დასაბრიყვებელი ვარ, როგორც თქვენ გგონიათ. ეს რომ ასეა, ახლავე დგიმტკაცებთ. აბა, გაეთრიეთ აქედან!

მის ხმაში, ეტყობა, ისეთი სიმტკიცე იგრძნობოდა, როგორსაც სალახანები არ მოელოდნენ და შეეკანენ, უკან დიხიეს.

— ჩვენ კი წავალთ, მაგრამ ამიერდან ამ ოჯახში ჩემი ფეხი არ იქნება, — წამოიძახა მისმა ვაჟბატონმა და ამ მუქარაშიც იყო რაღაც უხამსი, გულის ამრევი.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც იგი მომხდურებს მედგრად აღუდგა წინ, მეუღლეც გვერდით ედგა და მის აზრს, მის პოზიციას იზიარებდა. მაშინაც კი არ დაუძრავს კრინტი, როცა შვილი სახლიდან გააგდო. დედაბერს საღღაც ეამაყებოდა კიდეც, ასეთი უტეხი, შეუპოვარი ბერიკაცი მისი ქმარი რომ იყო. ამ თანადგომამ ისე აუწყო გული, რომ ცოლს მხრებზე ხელი გადახვია, სახტუმრო ოთახში გაიყვანა, მოსამახურეს სუფრა გააშლევინა და იმ საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინოც დალიეს და ახალგაზრდულადაც ივახშმეს.

შვილისა და მისი თანამოსაქმეების ოჯახში შემოჭრამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ქონების გადანაწილება კარგა ხანია დაიწყო და იმას, ვისაც მჯიღში ოქრო ედო, გაუჭიხავად ამ მჯიღს ვერავინ გაუხსნიდა. მოწონებით არც შვილი მოსწონდა და არც მისი ძმაკაცები, არც მათი დიდგულობა და არც მათი საქციელი, მაგრამ ერთი რამ მათ შესანიშნავად იცოდნენ: ზნეობრივი თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს კაცი, მისი საქმიანობა, მისი საქციელი; ფულზე, ქაღალდის ნიშნებზე, უმრავ თუ მოძრავ ქონებაზე ზნეობა ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს და მათ სწორედ ის დაისაკუთრეს, რასაც სუნი არ უდის, სისხლი არ სცხია, მაგრამ რის გარეშეც ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია.

ბერაკაცი ვრძნობდა, რომ აჭარბებდა, მეტისმეტად ზევით მიჰქონდა თავი, სინამდვილეში კი მისი სულიერი მოთხოვნილებები პრიმიტიულობის ზღვარს არასოდს. გასცდენია და ამიტომაც კრავავდა საკუთარი თავისადმი პატივისცემასაც და შეუვალობასაც, მაგრამ ახლა ამას არც შეუშფოთებია და არც გული დაუწყვეტია. გულის დასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, აქამდე რომ უძალიანდებოდა საკუთარ თავს, იბღინძებოდა, ამოღებოდა. რაკი შეფუთულ-შეკოწწებული მითი შაშვლდებოდა და მისი გაბერილი შიგნეულობიდან ბურუშელა და ნახერხი ცვიოდა, რაღა აზრი ჰქონდა გაჯიუტებას, გაწიწმატებას. მისი სახლი სრულიად არ იყო ის ნაკაყუდელი, სადაც კაცი შვებასა და სიმყუდროვეს ეგრძნობდა.

უმცროსი ვაჟი ნელ-ნელა მწიფდებოდა და მის მომწიფებას მაინც არ დაადგა საშველი, ვერ დაადწია თავი ინფანტილიზმსა და უპასუხისმგებლობას. დედამისს სად არ დაჰყავდა, რას არ ასწავლიდა — ენას, მუსიკას, ხატვას, ყველაფერ ამაზე უამრავი დრო და ფული იხარჯებოდა, მაგრამ ისე, სწავლა რომ ჰქვია, მაინც ვერაფერი ისწავლა. ანდა რატომ უნდა ესწავლა, როცა მთლიანად აკმაყოფილებდა ის, რაც ჰქონდა, ხოლო რაც არ ჰქონდა იმისათვის არც ზედმეტად გაიოჯებოდა და არც თავს შეიწუხებდა. არ უყვარდა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, წინაღმდეგობების გადალახვა, თავის გამოჩენა, მაგრამ დედამისი არ ეშვებოდა, იმაზე მეტს სთხოვდა, რის მოცემაც შეეძლო და მათ ურთიერთობაში დროზე რომ არ ჩარეულიყო, დედის შვილისადმი დამიკიდებულება შეიძლება დესპოტიზმში გადაზრდილიყო. ეს კი ერთსაც გატანჯავდა და მეორესაც. ის ნაჭი, რაც ბუნებამ მისთვის გაიმეტა, სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საუალღიც დამთავრებინა, უმაღლესიც და დისერტაციაც დაეცვა. ამისათვის არც ოფლის ღვრა დასჭირდებოდა და არც ჭკუის ჭყლეტა. ოცდახუთი წლისა უკვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო, ოცდათხუთმეტისა — დოქტორი. ჰყავდა ცოლი და ორი შვილი, თუმცა ახლა მხოლოდ ერთი, მუშაობდა სამეცნიერო დაწესებულებაში, კითხულობდა ლექციებს და პირნათლად ასრულებდა ყველა საზოგადოებრივ დავალებას. იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, რომ მიმზდარიყო, სხვა ქვეყანაში ვერავითარ მეცნიერულ კვალიფიკაციას ვერ მოიპოვებდა. მისი დიდი ნაკლი ის იყო, რომ წერა და აზროვნება უჭირდა და ამიტომ ჭირის დღესავით სძულდა. როცა საუბარი ისეთ საკითხებზე ჩამოვარდებოდა, რაზედაც მზამზარეული პასუხი არ ჰქონდა, უმწეოდ ახამხამებდა თვალებს. ერთხელ მის მიერ გამოქვეყნებული წერილი წაიკითხა და საოცრად გაკვირვებული დარჩა, რომ ლიტერატორ კაცს ნაწარმოების მხატვრულად გარჩევა არ შეეძლო, შეფასებასას მხოლოდ სოციალურ მეთოდს იყენებდა. ამავე დროს ბუნებამ არც ტან-ფეხი დაკლო, არც ფერები და არც სილამაზე. ქუჩაში ქალებს თვალი რჩებოდათ მასზე, მაგრამ ყოვლად უინტერესო, უვარგისი კაცი იყო, სხვისი გულისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხირს არ გადაბრუნებდა. არც ის აწუხებდა დიდად, ერთს რომ ამბობდა და მეორეს აკეთებდა. სტუდენტებს ეროვნულ მოძრაობაზე, სამოციანელებზე, მოქალაქეობაზე და მამულიშვილობაზე ელაპარაკებოდა, თვითონ კი არც მოქალაქედ ვარგოდა და არც მამულიშვილად. არაფრის ეშინოდა ისე, როგორც ფალაგებული ცხოვრების არეკ-დარეკისა და იმ რეჟიმის მოშლისა, რომელსაც მეხედო და მეეტმასნა. როცა მიტინგები და დემონსტრაციები დაიწყო, შეშფოთდა, მოსვენება დაკარგა, შინდან მათთან მობრძოდა, მათგან კი შინ გარბოდა. პარადოქსი ის იყო, რომ კაცს, რომელიც პოლიტიკაში არ ერეოდა, არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც ქვეყნის დეპოლიტიზაციისა.

სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც არაფრით არ მოელოდა და რამაც თავზარი დასცა. მისი ყველაზე საყვარელი შვილიშვილი, რომელიც ჯერ თექვსმეტი წლისაც არ იყო და იმ ზაფხულს წყნეთში ატარებდა, მკვდარი იპოვეს საწოლში, იატაკზე კი შპრაცი და მორფის ცარიელი ამპულა აღმოჩნდა. ათი წლის მანძილზე, სანამ ბინას აუშენებდა, მისი ბედოვლათი შვილი მათთან ცხოვრობდა თავის ცოლშვილიანად. ბავშვები უცბად, თვალსა და ხელს შუა გაიზარდნენ და უფროსი შვილიშვილი ისეთი ლამაზი გოგონა დადგა, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდა. თმა ხშირი, ოქროსფერი ჰქონდა, კანი ქათქათა, ნაკეთები კალმით ნახატი, მზერა თბილი, გულში ჩამწვდომი. როცა სასადილო ოთახში შემოვიდოდა, იქაურობას ნაფილს ჰფენდა. არაფერი არ სიამოვნებდა ისე, როგორც მასთან ერთად სეირნობა და ტკბილეულობით გამასპინძლება. რამდენიმე ასეთი გასეირნების შემდეგ მათ შორის ნამდვილი ურთერთპატივისცემა, ნამდვილი მეგობრობა დამყარდა. სამსახურში ისე არ წავიდოდა, მას რომ არ დამშვიდობებოდა და შინ ისე არ დაბრუნდებოდა, მისთვის რომ რაღე სანუკარი არ მოეტანა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და თავს ბედნიერად გრძნობდა. ბოლოს გაჭიანურებული მშენებლობა დამთავრდა, ბინა გადაკეთდა-გადმოკეთდა, გარემონტდა და როცა ყველაფერი მზად იყო, შვილი თავის ცოლშვილიანად აიყარა და ნაწუქარ ბინაში გადასახლდა. ამან ისე იმოქმედა მასზე, რომ ერთხანს ზედ არავის უყურებდა, ჭამა-სმაც კი მიატოვა. სახლში ადგილს ვერ პოულობდა, ვერც გაზეთებს კითხულობდა და ვერც ტელევიზორს უყურებდა. ცხოვრებაში ყველას ჰქონია და მათ შორის მასაც სინანულისა და ბრალეულობის გრძნობა, მაგრამ არასოდეს არაფერი უნანია ისე, მაშინ რომ შვილიშვილი სახლიდან გაუშვა. უხეირო, თავმოუბმელ მშობლებს აქტიური, ლამაზი, თავნება გოგონა გაუბიზდათ და გაუნარკომანდათ. ამ თავზარდამცემ ამბავს ერთი-ორი დღე უმალავდნენ, მაგრამ თვითონ ხომ ხედავდა, რომ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ და როცა უთხრეს, როცა ყველაფერს მოუყვნენ, მუხლები მოეკეცა, ენა დაება და რაღაც ისეთმა დაკარგა აზრი, რაც იმედს ასაზრდოებდა. იდგა ენაჰავარდნილი, წელში მოხრილი და ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს შვილიშვილი მის მეტს არავის მოკვდომია. მოუხედავად ამისა, არც გული შეღონებია და არც ცრემლი მოსდგომია თვალზე, მაგრამ როცა ხელი მოჰკიდეს და სავარძელში ჩასმა დაუპირეს, ისე შეკრთა, თითქოს კოშმარული სიზმრებიდან გამოფხიზლდა, არაამქვეყნიური სამყაროდან დაბრუნდა. დღის სინათლე პირდაპირ სახეში სცემდა, ყველაფერი ცხადი და გასაგები იყო, მაგრამ არსად წასვლა, არავის ნახვა არ უნდოდა, არაფერი არ ენატრებოდა ისე, როგორც სიბნელე და მარტობა. ქალიშვილმა და სიძემ საწოლ ოთახში გაიყვანეს, გულის გასამაგრებელი ნემსი გაუკეთეს და ლოგინში ჩააწვინეს. ის დღეები მარტობასა და სიბნელეში გაატარა. არც პანაშვიდს დასწრებია და არც დამარხვას. მას შემდეგ შვილის ოჯახში ფეხი არ შეუდგამს, ვერც მას იტანდა და ვერც რძალს.

დიდ სიამოვნებას არც ქალიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრობა და მისი პრეტენზიული, მუდამ რაღაცით უკმაყოფილო ხმის გაგონება ანიჭებდა. ოდესღაც თხელი, ტანკენარი გოგონა ხორციან, მედიდურ დედაკაცად იქცა. მშვიდად, ადამიანურად არასოდეს არაფერს იტყოდა, ყოველთვის აგზნებული, რაღაცით შეპყრობილი, შეძრული იყო. თუ ვინმეს აქებდა, ცამდე აჰყავდა, თუ აგინებდა, მიწაში დებდა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ როგორ ექცეოდა, უწევდა ანგარიშს მის იხარებასა და პრეტენზიებს თუ არა. ამიტომ მასთან კონფლიქტისა და შელაპარაკებას ყველა ერიდებოდა. უბედურება ის იყო, რომ გაიენებიდან დაღამებამდე გულს ასკ

;ებოდა, იბრძოდა, იბრძოდა ყველა ხერხითა და საშუალებით, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რისთვის. ეს უაზრო ბრძოლა კი მძიმე ტვირთად აწვებოდა მხრებზე, ღლიდა, ნერვებს უშლიდა და მის გულისწყრომასა და ჩივილს ბოლო არ უჩანდა. საავადმყოფოს, სადაც ექიმად მუშაობდა, საღორეს ეძახდა და რადგან მოწოდებით ექიმი არ იყო, ავადმყოფებს ცივად, მედიდურად, უპატივცემულოდ ექცეოდა. ამას ავადმყოფებიც გრძნობდნენ და სამაგიეროს იმით უხდიდნენ, რომ სიმულიანტობდნენ, ჭირვეულობდნენ, საჭირო იყო თუ არა, მაინც იძახებდნენ. ამ საქმეში მათ არც საშუალო მეპერსონალი რჩებოდა უკან და შინ გაღიზიანებული, გაანჩხლებული ბრუნდებოდა, ეგონა დამშვიდდებოდა, დაშოშმინდებოდა, მაგრამ სახლშიც მარტოობასა და სიცარიელის მეტს ვერაფერს პოულობდა. შვილები გაურბოდნენ, მისთვის არ ეცალათ, მისგან ფულის მეტი არაფერი ჰნირდებოდათ. ქმარი სიმპათიური ჰყავდა, ცნობილი ქირურგი, რომელიც ყოველ ოპერაციაში საკმაოდ მოზრდილ თანხას ღებულობდა, მაგრამ შინ სადილობასა და ვახშმობას რესტორანში ჯდომა ერჩია. მათ შორის, რა თქმა უნდა, არც თანხმობა სუფევდა და არც საამტკბილობა, მაგრამ სიძე ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა, ცოლთან გაყრა კიდევ უფრო რომ გაუმწარებდა სიცოცხლეს და ამ საბედისწერო [illegible] დგაზდა. ჩივილი უყვარდა, თორემ როგორც დისახლისს, დიდი ჯაფა არც შინ ადგა. ჰყავდა მოსამსახურე, ცოტა მოდებული, მაგრამ ჯ�-ღონით სავსე ქალი, რომელსაც არც სიცხე აწუხებდა და არც სიცივე. მას არა მარტო მაღაზიებში იცნობდნენ, არამედ ბაზარშიც მიუხედავად ამისა, მაინც ყველაფერი ეცოტავებოდა, მაინც ემდუროდა ბედს. განსაკუთრებით იმით იყო უკმაყოფილო, თითქოს ძმებმა დაჩაგრეს, მამისეული ქონებიდან არაფერი უწილადეს. რა შეძლებოდა, ოჯახს მთლიანად დაცლდა, მანქანებს გაჰიტენიდა და შინ წაღებდა. ამას არც კი მალავდა, რიცდედამისს მარტო მოიხელთებდა. ზოგჯერ მისი ხმა კაბინეტამდეც აღწევდა და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ მისი ქალიშვილი სიკვდილის შემდეგაც ვერ მოისვენებდა, ვერ შეეგუებოდა იმ აზრს, რომ აღარაფერი აქვს საჩივარი, საბრძოლველი, დასასაკუთრებელი.

დღეს ისინი ძველ წყენასა და უთანხმოებას დაივიწყებდნენ, ერთად მოიყრიდნენ თავს და დიდებულად მოიხალისდნენ. ასე ხდებოდა ყოველ წელიწადს და ასე მოხდებოდა ახლაც. მამისეულ სახლში თავშეყრა მათთვის მართლაც ზეიმი იყო. შუღლსა და ბოღმას ივიწყებდნენ, ერთმანეთს ექილიკებოდნენ იმაზე ჭკვიანები ჩანდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ, მაგრამ მას უკვე აღარ ეზეიმებოდა, აღარ ემხიარულებოდა, აღარ ემღერებოდა. შიგნით რაღაც გაწყდა, მოდუნდა და დაკარგა ის შეუვალობა, აქამდე რომ იცავდა. დღეს მისი დაბადების დღე იყო, შინ გაშლილი სუფრა ელოდა და მირიან ზარდაშელს რომ ეცნო, გაჩერებულიყო, გამოლაპარაკებოდა, შეიძლება დაეპატიჟებინა, ან იქვე გაეყარა მკლავი და შინ წაეყვანა. თუმცა ასეთი რამის გაფიქრებაც კი სიბერის, დაღლის ბრალი იყო, თორემ როგორ უნდა დაეპატიჟებინა სახლში კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ბარიკადის მეორე მხარეს იდგა და ისინი არათუ ერთ სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრასთან ვერ დაეტეოდნენ, ერთი პაერთაც ვერ ისუნთქავდნენ. რა იმედი ჰქონდა იმისა, რომ მირიანი შეიცვალა, ისევ არ აურევდა, აბუჩად არ აიგდებდა, მისიანების თვალში არ დაამცირებდა? მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა დანახავს, როგორ ცხოვრობს, როგორი გამქედურებული, ჩაცმული და დახურული ხალხი ახვევია ირგელივ, რა ძღიერულადაა გაწყობილი მისი დაბადების დღის აღსანიშნავი სუფრა. არა, მირიან ზარდაშელის არც დაპატიჟება შეიძლებოდა და არც სუფრასთან დასმა. მისი ბინა მას ჰგავდა, მასავით მოვლილი და მოპირკეთებული იყო. კედლებზე მოკარაფებულ ჭარნიებში ჩასმული ძველებური სურათები ეკიდა, ჭერამდე აზიდულ თაროებზე კლასიკოსთა ნაწარმოებები ელაგა, ბროლის დიდი ჭაღი ნაირფრად ციმციმებდა. ამ ბინაში მირიან ზარდაშელი ისევე უცხო იქნებოდა, როგორც მაწანწალა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. შეიძლება მისი არ შეშურებოდა, შეიძლება ხელმოცარული კაცის ამპარტავნობაც კი გამოეჩინა და ცინიკურად ჩაეკირქილებინა, მაგრამ თავს რომ უხერხულად იგრძნობდა, საკრძელში რომ აწრიალდებოდა და ღვინოს მიეძალებოდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მირიანს ვერც მისიანები იგუებდნენ, რადგან არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს — არც ხასიათით, არც სიტყვა-პასუხით და, რაც მთავარია, არც ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით. შეიძლება მის პირდაპირობას, თავშეუკავებლობას, ირონიულ გამოხდომებს ერთგვარი წყენა, უსიამოვნებაც კი ჩამოვედო სუფრაზე, აეშალა, აეყაყანებინა ხალხი და ეს საზეიმო დღე არა მარტო სხვებისათვის, მისთვისაც ჩაეფუჭებინა. ამატომ სჯობდა თავის ბუნებელი იმ კაცს, ვისაც მისი დაბადების დღე არ ახსოვდა და არ აინტერესებდა.

XXV

მზიანი დღის უკან ჩრდილი და ხიბნელე იდგა, რაც ძმიმედ მოქმედებდა ბერიკაცის განწყობილებაზე. არასოდეს უყვარდა დაბურული ტყეები, გრძელი გვირაბები, ბნელი გამოქვაბულები, მაგრამ გამზირზე არც დაბურული ტყე იყო, არც გვირაბი, არც გამოქვაბული და, მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც ბნელით იმისებოდა, მაინც კარგავდა სიცხადეს და ბერიკაცი შიშმა შეიპყრო, ხომ არ ვბრძანდები, სხვისი ხელის შემყურე, სხვისი სატარებელი ხომ არ ვხდებიო? ეს ერძნობა მისთვის ახალი იყო და ამიტომ თავზარს სცემდა, აძრწუნებდა. არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც დასაჭერებისა, საკრძელზე ან საწოლზე მიჯაჭვისა, და რიცა ხეებმა და შენობებმა კედელ შეიძინეს სიცხადე, შეებით ამოისუნთქა. გარემო აღარ იქუფრებოდა, აღარ იშუქრებოდა, მაგრამ ბერიკაცი ისეთ დაღლილობას გრძნობდა, სათაკილო რომ არ ყოფილიყო, იქვე, ბორდიურზე ჩამოჯდებოდა. ასე არასოდეს დაქანცულა, არასოდეს მომჩვარული, არასოდეს დაკარგავს მხნეობა. აქამდე ფეხზე მაინც არ უჭერდა, მხარი მაინც არ ჰქონდა ჩამოვარდნილი, ახლა კი ფეხები სტკიოდა და არაფერი ენატრებოდა ისე, როგორც სადმე, სკვერში მერხზე ჩამოჯდომა, დაბუჟებული ფეხების გამართვა, ზურგით მერხის საზურგეზე გადაწოლა. პორტფელს იქვე, გვერდზე მიაგდებდა, საყელოს შეიხსნიდა, ფეხსაცმელის ზონრებს მოუშვებდა, მაგრამ იმ მხარეს, ბერიკაცი რომ მიდიოდა, სკვერი არსად იყო და გადაწყვეტა, მიწისქვეშა გადასასვლელიო მეორე მხარეს გადასულიყო და ოპერის ბაღში მცირე ხანს მაინც შეეხვენა. მერე კი ტაქსს დაიქირავებდა და შინ წავიდოდა. დღეკანდელი ახირება ისეთი ფასად დაუჯდა, რომ აწ კარგა ხანს არ გამოვიდოდა გარეთ. ჩაჯდებოდა საკარძელში, დიწყობდა წინ ჟარნალ-გაზეთებს და ხან კითხვით გიირთობდა თავს და ხანაც ფიქრით.

ბერიკაცი ფრთამოტეხილივით მიჰყვებოდა ტროტუარს და აღარ აინტერესებდა, რა ფერი ედო, როგორ ადგამდა ფეხს, როგორ გამოიყურებოდა. არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოშვება, მოწყენა არ უხდებოდა. მისი სახე, მთელი მისი გარეგნობა ისე იყო მიჩვეული სიმხნეევს, უპირატესობის გრძნობა ისე ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ ახლა რაღაცნაირი, დაკნინებული, გალახული, გაძარცული ჩანდა. სახის სუფთად გაპარსული, მოვლილი კანი წვრილი ნაოჭებით დაეკარა, ზემოთ აზიდული, შეკრეჭილი წარბები ჩამოეფხატა, თვალის უჯეები ჩამოებერა. გარეთ მოეთნავდა არა მარტო ის, რაც შეძენილი ჰქონდა, არამედ ისიც, რაც დაბერებას თან სდევს. ბერიკაცი ყოველივე ამას ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მასში რაღაც უსაზურდებოდა, უფასურდებოდა და საკუთარი თავი აღარ მოსწონდა, აღარ უყვარდა. სად არ ყოფილა, სად არ უხეტიალია, მაგრამ ასეთი გრძელი და ძნიმე გზა ჯერ არ გაუვლია. ეს გზა იმ სიზმრებივით იყო, აქამდე რომ უნდა დასიზმრებოდა, მაგრამ არ დასიზმრებია. სიზმრის ნიშნებს ატარებდნენ ის ეპიზოდებიც, რომლებიც აქამდე ერთმანეთთან არც ქრონოლოგიურად იყვნენ დაკავშრებულნი და არც ასოციაციურად. ეს კი ასე არ უნდა მომხდარიყო, რადგან რიცა ასეთი რამ ხდება, ცხოვრების კანონზომიერებაც ირღვევა, ადამიანმა აღარ იცის, რა გზას დადგეს, ვის მიეკედლოს და ვის განუდგეს. ახლა მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ბრალი დაედო რაშეში იმათვის, ვინც უზარმაზარი ქვეყანა ლპობამდე მიიყვანა, ამ უგუნურობის მონაწილე თვითონაც იყო, მაგრამ არც ის შეეძლო, რომ ისინი პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლებინა. კომუნისტები რომ არა, ერთი წესიერი, ნორმალური კაცი იქნებოდა და ისეთ რამეს არ დაეხარბებოდა, რაც მისი არ იყო და ისე არ გაუპიროვნდებოდა, როგორც გაუპიროვნდა. ახლა კი არაფერი ჰქონდა სათქმელი, ვერც თავში წაიშენდა ხელს და ვერც იმათ ამოუდგებოდა გვერდით, ვინც უტიფრად, ყველას თვალწინ იცვლის კანს. და არა მარტო წარსულს ივიწყებს, არამედ იმაზე დიდ მამულიშვილდაც კი მოაქვს თავი, ვის ალაგებას და დასჯას მოითხოვდა. ერთი წლის მანძილზე ხსნარში ჩაგდებულ ფოტოფირივით გამქაღავნდა ის ორპირობა, სიმხდალე, უპრინციპობა და უტიფრობა, რესპექტაბელობის უკან რომ მალავდნენ. ყველაფერი ეს აღარიბებდა, აცოდვინებდა, მაგრამ წარსულის საბოლოოდ უკუგდება მაინც უჭირდა, მაინც იმ ცხოვრებისაკენ მიეწევედა გული, არაბუნებრივს და არაადამიანურს რომ ეძახდა. შეიძლება ამის მიზეზი ის იყო, მთელი ახალგაზრდობა, ნიჭი, ძალღონე იმ უსაძირკველო შენობის შენებას რომ შეალია, რომელიც თვალსა და ხელს შუა ინგრეოდა, ან შეიძლება იმიტომ იყო გულნატკენი, რომ ფეხზე აღარ უდგებოდნენ, მის ავტორიტეტს არაფრად აგდებდნენ.

ბერიკაცმა ისე აიქნია ხელი, თითქოს სურდა აბეზარი ბუზებივით მოეგერიებინა ის კითხვები, სულ უფრო მწარედ და მწარედ რომ იკბენებოდნენ, მაგრამ მისი ხელი ვერ მუსრავდა იმას, რაც უზიანარი, მოუხელთებელი იყო. შეიძლება ასე მედგრად იმიტომ უტევდნენ, რომ დასერიოზულებულიყო, დაბრძენებულიყო, გამოსულიყო იმ ბურუსიდან, გარს რომ ერტყა და ერთხელ და სამუდამოდ გამოლიანებულიყო, განკაცებულიყო. მოგონებები არა მარტო სულს უმდვრევდნენ, არამედ ისეთ რამესაც სტაცებდნენ ხელიდან, რაც ბავშვობიდანვე მისი იყო. ამიტომაც ჰქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს ჭუჭრუტანიდან უმზერდა მშობლიურ ქალაქს. ვიწრო, მეტისმეტად ვიწრო იყო ეს ჭუჭრუტანა და პირადად მისი თვალსაწიერიც. ის, რასაც ივი მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა, არა მარტო ფუჭი აღმოჩნდა, არამედ განსაკითხავიც. ამ მხრივ არაფრით არ განირჩეოდა არც რევვენებისაგან და არც გაყაჩაღებული ფუნქციონერებისაგან. არაფერი დაიკლო, რისი მოცემაც კი კომუნისტურ რეჟიმს შეეძლო, თვალსაც იბრმავებდა და ყურსაც იყრუებდა, მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალი მართლაც არ ჰქონდა. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიდან, რა დღესაც თბილისში რუსები შემოვიდნენ, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სისხლმოწყურებული, გახელებული მტრებით იყო გარშემორტყმული და მათგან რომ თავი დაეცვა, არჩია ჯოგში გარეულიყო, გახელებულთა ჯიბრითსა და ყიჟინს აჰყოლოდა. დამშვიდებით კი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა გახელებული ბრბოს თავრეში აილგმა და უნებართვო მიტინგები აიკრძალა. ამით, რა თქმა უნდა, არც არაფერი შეცვლილა და არც არაფერი შერბილებულა. მხოლოდ ეს იყო, რომ საერთო სუფრასთან მისთანებიც მიუშვეს და მოზრდილი ნაჭრის დთრევისათვის ხელებს არ ამტვრევდნენ. ამ მხრივ შეიძლება მას სხვებზე მეტად გაუმართლა და რადგან გაუმართლდა, იმაშიც დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ სწორ გზას ადგა. ამ გზიდან მაშინ ვერავითარი ზნეობრივი არგუმენტი ვერ გადაიყვანდა. რაკი გადარჩა, რაკი თავი მხრებზე შერჩა, მთლიანად მიენდო იმ სისტემის დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს, რომლის ძალითაც ზოგი ისრესებოდა, ზოგმა კი მოახერხა, ადგილდან დაძრულ ჯავშნისან მატარებელს მოახტა და იმათ გვამებზე გადაიგრიხინა, ვისაც ბედმა უმტყუნა. სწორედ ამ ჯავშნისნათ მოადწია დღემდე, მაგრამ ახლა დრო იცვლებოდა, ბორბლები სხვაგვარად რახრახებდა და არ იყო გამორიცხული, რომ ჯავშნისნიდან ღრიანკლებით სავსე ტომარასავით მოესროლათ.

მიწისქვეშა გადასასვლელი უკეთ იყო განათებული, ვიდრე ელოდა. ხალხიც მიდი-მოდიოდა, მაგრამ ბერიკაცს მაინც არ ესიამოვნა მიწისქვეშ ჩასვლა. ამ ხვრელსა თუ გვირაბში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო — სინათლე ჩამქრალიყო, ჭერი ჩამონგრეულიყო, მიწისქვეშა წყლებს ამოეხეთქა. შუადღის შემდეგ მის ფეხქვეშ ისედაც ირყოდა ქვეყანა, ისედაც იჩრდილებოდა გარემო, ისედაც იკრიჭებოდა ძაღლი და მამაძაღლი და დაღლილსა და დაქანცულ ქანცს აცლიდა. ერთი წუთით ბერიკაცს ისიც კი მოეჩვენა, რომ ხაფანგში აღმოჩნდა, ამ ხვრელიდან ვერასოდეს გააღწევდა. ორივე მხრიდან ჩამოირბენდნენ მკვდრებიც და ცოცხლებიც, ყველა ისინი, ვისთანაც ცხოვრებაში რაღე ურთიერთობა ან საქმე ჰქონდა, აივსებოდა გვირაბი ჯერ კიდევ ხორცით შემოსილი ცოდვილებითაც და ჩონჩხებითაც და დაიწყებოდა ერთი ჯიკაკ-ჯიკაკი, შეხლა-შემოხლა, გვირაბიდან გაღწევისათვის ბრძოლა, ზოგი აყვლეფილვდებოდა, ზოგი წაიქცეოდა, წაქცეულებს სხვები წამოედებოდნენ, ზედახრას ზედახრა მიემატებოდა, ჩაქრებოდა შუქი, აბუყბუყდებოდა წყალი, ამოიტანდა ლაფსა და ტალახს და იქაურობა დაემგვანებოდა ნამდვილ ჯოჯოხეთს, გოგირდის სუნით აყრილებულ ქვაბულს, საადანაც კბილთა ღრჭენა და ძვლების რახარუხი ისმის. თვითონ სადღაც, კუთხეში იქნებოდა მიჭყლეტილი და სულის მოთქმის საშუალება არ ექნებოდა. სხეული დაუდამძლავდებოდა, მკლავი მოუდუნდებოდა და იმის ძალაც კი არ ექნებოდა, რომ შემავიწროებლები მიეწ-მოეწია და დღის სინათლისაკენ გაეკაფა გზა. გამხეცებული ბრბოზედ გადაუვლიდა, გათელავდა, სველ ბეტონზე გასრესილ ვირთხასავით გაბრტყელებდა. ის-ის იყო ბერიკაცი აყვირებას აპირებდა, მაგრამ კოშმარი წამზე უსწრაფესად გაქრა და ზემოთ ასასვლელი კიბეც გამოჩნდა. დაზაფრული ბერიკაცი სახელურს ჩაებღაუჭა და ტროტუარამდე ალასლასდა. დღის სინათლემ და შემოდგომის გრილმა ნიავმა სული მოთქმევინა, სახის ფერი დაუბრუნა, გონება გაუნათა. შიშნაჭამს კიდევ უფრო მოეხატრა ჩვეული გარემო, სუფრის თავში ჯდომა, ღვინით სავსე ჭიქის აწევა. სიცოცხლის, უზრუნველი ცხოვრებისა და უსაფრთხობისათვის ბევრი რამ დათმო, თუ მთლად არა, ცოტათი მაინც წაიწყმიდა სული და ახლა ასე იოლად საკუთარ თავს ვერ მოიძულებდა, მარტო წარსულის ამარა ვერ დატოვებდა. დღევანდელ აწრიალებაფორიაქებაში თვით მასაც მიუძღოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალი, ასეთი შერკინებისათვის არ იყო სათანადოდ მომზადებული და აღშურვილი. წარსულს ამ განწყობილებებით უდგებოდა, როგორიც ოდესღაც ჰქონდა, რასაც შეედოცმაში შეჰყვედა, მორიგების, უკან დახევის საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ ყველაზე მწარედ შეგნებულად დასამარებული მოგონებები იკბინებოდნენ, მის შეგნებაში სინანულად, გვემად, ქენჯნად იჭრებოდნენ, შინ შემოსულნი თავიანთ ნამუსრევში ბურძგნაობდნენ და ტვინს საკმაოდ მტკივნეულად კაწრავდნენ.

მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოსული უცხოელ ტურისტებს შეეჭეხა. მოღიოდნენ მილიფად ჩაცმულნი და შემოდგომის ალერსით, სითბოთი და სინაგრეფით ტკბებოდნენ. მათ მიმიხვრახა და გამომეტყველებაში უხერხულობა, მორცხვობა, დამბულობა არ იგრძნობოდა, არაფერი უკვირდათ, არაფერზე ფეთდებოდნენ. მათთვის დედამიწაზე უცხო მიწა, უცხო ქვეყანა არ არსებობდა. ყველგან შინ იყვნენ და ყველგან ისე იქცეოდნენ, როგორც თავისუფალ ადამიანს ეკადრება. ამისათვის მათ საკუთარი შრომით ნაშოვნი ფულიც ყოფნიდათ და შინაგანი თავისუფლებაც. ადვილად არც უკანონობას იატანდნენ და არც მოძალადეს დაარავრინებდნენ თავს, ხოლო თუ მაინც ადმინნდებოდნენ ექსტრემალურ მდგომარეობაში, იმედს კი არ გადაიწურავდნენ, ბოლომდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისა და ამ უფლებების დასაცავად, შრომითა და ბრძოლით რომ მოიპოვეს. ამიტომ არც პროვოკაციები ეშინოდათ და არც ერთმანეთისა. აქეთ გამომგზავრების წინ მათ ეერავინ გაუბედავდა ჭკუის დარიგებას და ეერავინ აიძულებდა ოეკლარაციაზე მოეწერათ ხელი. მას კი, პროფესორსა და ინსტიტუტის დირექტორს, ჭკუაც დაარიგეს და დეკლარაციაზეც მოაწერინეს ხელი.

ამ ათიოდე წლის წინათ მოსკოვიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ პარიზში სიმპოზიუმი იმართება და, საბჭოთა კავშირის სხვა სპეციალისტებთან ერთად, თქვენცა ხართ მიწვეული. ასეთი სიმპოზიუმები იმიტომ იმართებოდა, რომ მეცნიერებს ერთმანეთისათვის თავიანთი მიღწევები და გამოცდილება გაეზიარებინათ და ამიტომ ვერ მიხვდა, რისთვის იწვევდნენ ისეთ სიმპოზიუმზე, რომელიც მომიჯნავე, მომიჯნავე კი არა, მეცნიერების ისეთ დარგს ეხებოდა, რაზედაც მას და ბევრ მის კოლეგას ბუნდოვნად წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ ასეთ შემთხვევებში სუბორდინაციის დაცვას უფრო დიდ ანგარიშს უწევდნენ, ვიდრე მეცნიერების განვითარებას.

პარიზში მიწვევამდე სოციალისტური ქვეყნების გარდა არსად არ იყო ნამყოფი და როცა თვითმფრინავის ბილეთი მოუტანეს, რადაცნაირი, უცნაური გრძნობა დაეუფლა, აწრიალდა, აფორიაქდა. გახარებით იმიტომ გაეხარდა, რომ დაადასტურა, საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შეიყვანეს, ისეთ ქალაქში აგზავნიდნენ, ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა რომ იყო, ფეხები კი იმიტომ რჩებოდა უკან, რომ მის ცხოვრებაში რადაც ახალი იჭრებოდა, რადაც ისეთი, რაზედაც ადრე ფიქრიც კი არ შეეძლო. პარიზში ჩაფრენამდე ღელავდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ქალაქი. ამას კი, მიუხედავად მისი კონსერვატიული ბუნებისა, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეშინოდა არა კულტურული უპირატესობისა ან იდეოლოგიური შეუთავსებლობისა, არამედ იმისა, რომ ნანახსა და გაგონილს კალაპოტდან არ ამოვედო, არ დაერღვია დიდი ვიკავგლახით მოპოვებული სულიერი წონასწორობა. საბედნიეროდ არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა. სიმდიდრესა და ფუფუნებას არ გაუბორტყებია, არ გაუწუწკენია. სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ორი დღე თავისუფალი ჰქონდა. ათვალიერებდა პარიზის ღირსშესანიშნაობებს, საქეეყნოდ ცნობილ ტაძრებს, სასახლეებს, ძეგლებს, ქანდაკებებს, მაღაზიებსა და კაფეებს, ყიდულობდა იაფფასიან ბიჟუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიას ოჯახის წევრებისათვის და რიგად ამ დიდ ქალაქზე ბევრი რამ იყო დაწერილი, საკუთარი აზრის შექმნა არც კი უცდია. ამით პარიზს არც არაფერი შეემატებოდა და არც არაფერი დაკლდებოდა. მით უმეტეს ისეთი კაცისაგან, რომელიც პატიოსნად იცავდა ამ წესებსა და მითითებებს, დეკლარაციაში რომ იყო ჩაწერილი. ამიტომ არც თავისუფლად გრძნობდა თავს და არც მეთვალყურეთა მეთვალყურული ზრახა ავიწყდებოდა. ის ვირთხები, მათ რომ გამოაყოლეს, საზღვარგარეთ კიდევ უფრო გავირთხდნენ და საღ არ ძრებოდნენ, რას არ ყნოსავდნენ.

დეკლარაცია მხოლოდ ერთხელ დაარღვია და ისიც არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მასზე უფრო გამოცდილმა კოლეგებმა ააყოლიეს და ბორნოგრაფიულ ფილმზე შეიყვანეს. მათ ყველაფერი ინტერესებდათ, რაც საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო და შეიძლება ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად უფრო გაიმეტეს მათხოვრული გროშები, ვიდრე ჭინის მოსაკლავად. სიშიშვლისა და ქალის მეტი რა უნახავს, მაგრამ გაშიშვლებულმა, სანახავად გამოტანილმა სექსუალურმა აქტმა და სასქესო ორგანოების თითქმის ცხვირწინ მოტანამ შეურაცხყო, აღაშფოთა. ყველაზე მეტი საზიზღრობა ის იყო, რომ ისინი საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად კი არ აკეთებდნენ ამას, არამედ შრომობდნენ, სიმწრის ოფლს იღვნდნენ, რამაც მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. გარეთ რომ გამოვიდნენ, კოლეგებს ისე დაშორდა, არც კი დამშვიდობებია. სექსზე და ცხოვრების ვიზუალურ მხარეზე მეტად მას ისეთი ფრანგის სოციალური მდგომარეობა აინტერესებდა, მისხელა თანამდებობა რომ ეკავა, მაგრამ უცხო ქვეყნის დიფერენცირებულ საზოგადოებაში შეღწევისათვის მარტო სიმპოზიუმები და კონფერენციები არ კმარა.

როგორც კი უცხოელმა ტურისტებმა გვერდით ჩაუარეს, ბერიკაცს ისინიც დაავიწყდა და ის გულისწყრომაც, პარიზში ყოფნის დროს სასქესო ორგანოების ცხვირწინ მოტანამ რომ გამოიწვია. მისი ყურადღება სხვა რამეზ მიიქცია. ქუჩაში დემონსტრანტები გამოჩნდნენ, რომელთაც დროშები და ტრანსპარანტები ეჭირთ ხელში. ტურისტები და გამვლელ-გამომვლელნი მათ მიაჩერდნენ, მაგრამ მას დემონსტრანტებზე უფრო ის ინტერესებდა, მის სულში სამუდამოდ ისადგურებდა ჭმუნვა და მწუხარება თუ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი კრიზისი იყო და მალე გაუვლიდა? ეს აზრი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ისე იპყრობდა, რომ ხელრიალად საკუთარ ჩრდილსაც კი ვერ ხედავდა. ან და რა აზრი ჰქონდა იმის დანახვას, რაც მისეულს არაფერს იზიარებდა, დაახლოების მაგვარად კიდევ უფრო შორდებოდა. ის მზე, მწუხრისაკენ რომ ისწრაფოდა, კვდარი იყო, მკვდარი იყო არა მარტო მისთვის, არამედ მთელი ეპოქისათვის და ამიტომ მისი ჩრდილიც ჩამავალი მზის ნიშნებს ატარებდა, მასავით დაღლილი და გაფითრებული იყო. ამიტომაც ებრძოდა და ეჯაჯგურებოდა ნაშუადღევიდან წარსულს, მაგრამ გამძვინვარებულმა მხეცმა დრო უშოვა და ისე გაწარა და გაამეტა, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა ქუჩაში.

ამ ფიქრებში იყო ბერიკაცი, როცა ოპერის ბაღში შეეყვა, ცარიელი მერხი მონახა, პორტფელი გვერდზე მიაგდო და ისე დაეშვა მტკრიან სკამზე, თითქოს ფეხები მოეკეცა. ერთი წუთით გაუნძრევლად იჯდა, არც არაფერზე ფიქრობდა და არც არაფერი ელანდებოდა, მაგრამ ამასობაში კისერი გაუშეშდა, სმენა დაეხშა, თვალები ოდნავ გადმოეკარკლა. მის პოზაში იკრძნობდა დამცირებული, მოტყუებული კაცის კაეშანი. ნიავს ქუჩიდან სხვაგვარი კორიანტელის, სხვაგვარი მტვრის სუნი მოჰქონდა. გარემო შემოდგომასავით იძარცვებოდა, ქვეყანა უჰაერობით იხუთებოდა და მათ ადგილს სიცარიელე ისაკუთრებდა. ამ სიცარიელეში მხოლოდ აჩრდილები დაბორიალებდნენ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირგვლივ უფერულობასა და უსახურობას ავრცელებდნენ და მასაკეთ ვერ თავისუფლდებოდნენ იმ უმწეობისა და უილაჯობისაგან, დღეს რომ ხელი დარია და შინ მისვლა არ აცალა.

შორიახლოს, ისეთივე მერხზე, როგორზედაც თვითონ იჯდა, პენსიონერები ისხდნენ — სახედნაოჭებული, ძარღვებდაბერილები, ხელებდალაქანებული ბერიკაცები რომელთაგან ზოგი მსუქანი და ფაფაჯა იყო, ზოგი კი ჩამომხმარი და კაფანდარა. როცა ბერიკაცი ბაღში შევიდა, პენსიონერებმა თავით-ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერეს და მას შემდეგ ცნობისმოყვარეობით აეცეცხლენ მისკენ თვალს. ცნობისმოყვარეობას ის იწვევდა, რომ უცნობი არ ჰგავდა იმ კაცს, ვინც აქ სალაყბოდ, დროის მოსაკლავად შემოვიდოდა. მართალია ფეხზე მტკიცედ ვერ იდგა, ტუჩები მასაც ბებრულად ეღრიცებოდა, მაგრამ შეძლებული, მოვლილი და პატივცემული რომ იყო, ეს აშკარად ეტყობოდა. ამიტომაც არ შეეხარა წარბი, არ იკადრა მათ გვერდით ჩამოჯდომა. ამან პენსიონერები გაანაწყენა, რადგან ის ბაღი მათი იყო და, ვინც მათ არ ცნობდა, აქ არ უნდა შემოხეტებულიყო. ისინი უკვე ისედაც დამცირებული და მოძულებული იყვნენ შინაურთაგანაც და გარეშეთაგანაც და ჩრდილს იმიტომ ეფარებოდნენ, რომ მათი მზე ჩასული იყო, ხორცი დამჭკნარი, სისხლი გამშრალი. ერთ დროს ისინიც კაცები იყვნენ, ამ ცხოვრების ჭაპანს ეწეოდნენ, მაგრამ სამარის კართან მისულებს დრომ უღალატა, უპატრონოდ დაყარა და ახლა აღარ იცოდნენ, რომელ ჯურღმულში შეხვეტიდა მათ ზამთრის გამთენიავი ქარი. ის ცოდვები, რაც იკისრეს, მათ სხვა გამოსავალს არ უტოვებდა, მაგრამ მათზე უმანკო და უცოდველი არც ის ბერიკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო, მარტო ჯდომა რომ მოისურვა. ეს მას გარეგნობაზეც ეტყობოდა და სულიერ მღელვარებაზეც. ამიტომ დღეს თუ ზვალ ისიც იმ ჯურღმულში აღმოჩნდებოდა, როგორშიც ისინი, მაგრამ ამჟამად უცხო ბერიკაცი ისეთი დაღლილი და ნაჯახრჩევი ჩანდა, ისე შორს იყო მათგანაც და ცოდვა-მადლისგანაც, რომ პენსიონერებს ცოტათი გული მოულბათ, აღარ ენანებოდათ ადგილი იმ ბერიკაცისათვის, ვინც მათ მარაზმატულ ერთფეროვნებაში რაღაც საყურადღებო და სასეირო შემოიტანა.

ბერიკაცი კი ამ დროს მოუსვენრად იჯდა, აცეცებ-აცხელებდა და სრულიად არ აინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მასზე პენსიონერები. ზოგი მისი ხნის იქნებოდა, ზოგიც, ალბათ, ცოტათი უმცროსი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჯერ ჯერობით პენსიონერი არ იყო და ისეთ რამეს არ უხდიდა ხარკს, რასაც სიბერე და უმოქმედობა ჰქვია. ამიტომაც არ იხედებოდა იქითკენ, სადაც პენსიონერები ისხდნენ. ანდა რატომ უნდა გაეხედა, როცა მის ტკბილში რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც მიხედვა, მიყურადება სჭირდებოდა. ტკბილს არ გრძნობდა, ყოველ შემთხვევაში — ისეთს, რომ შეეწუხებინა, მაგრამ მერხზე ჯდომა უჭირდა და დროდადრო ყინულივით ცივ ბურუსში იძირებოდა. ამ ჭიდილსა და ვაი-ვაგლახში ნებისყოფა თითქმის მთლიანად მოუდუნდა, თვლემამ და ზმანებამ შეიპყრო და სწორედ ამ დროს ცხადად იგრძნო, რომ თითქოს თავში ჩაქუჩი ჩაარტყეს, ძლიერად კი არა, ფრთხილად, მსუბუქად. ბერიკაცი ერთი კი შეტოკდა, შემდეგ გვერდზე გადაქანდა და თავი მერხს დაარტყა. მერხმა ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს დიდი ქვა დაეცა. პენსიონერები გაჭირვებით წამოიშალნენ, ბერიკაცთან მიელასლასდნენ, მაგრამ იგი უკვე ამქვეყნისა აღარ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ნემსაძე

წყალი

დასალიერი არვინ უწყის
ჟამთა და წყალთა,
ბიდის მდინარე, ეზიდება ღრუბლის ნავტიკებს,
და ანარეკლი ზეციერი ფერადოვნების
მიაქვს დინებას
და ხეთა ჩრდილი ნაპირ-ნაპირ
მიეფინება.

რა არის წყალი — მახსოვრობა სამარადისო,
არქივი მოწმე მილიარდი წელიწადების,
განგების ნების, აღსრულების და
ნოეს მოდგმის,
ატავტივების საოცრების და სასწაულის.
გეიზერების ყვავილობა
შენი სახეა,
ტალღის მარაო,
ჩამორბენა ნაკადულების
დიდება შენდა, იორდანეს წმინდა დინებავ,
ნათელო უფლის,
სისპეტაკევ, გამჭვირვალებავ,
შენა ხარ წყალი კურთხეული
და გაბრწყინება.
აქ ჩემს მიწაზე რომ დუდუნებს, ჩემი მტკვარია
და დღესაც ისევ ამნევია მოწამეთ სისხლი,
და რაც ყოფილა, ყოველივე გულს აწერია,
ქარნი ხორშაკნი მიმოქრიან
და გუგუნებენ,
ერეკებიან ილქნიან საუკუნეებს
და ნაწამები ივერია უახლოვდება
ლაზარეს კუნძულს
და აღდგინებას.
მენიჩბეებო, ააჩქარეთ
ნიჩბების ჯერი,
რომ მეტი იყოს შემართება
და აღტკინება.
მიდამო წყალთა ნანაპირო
დამწერლობაა
და უნაპირო საიდუმლო კოსმიურ ხმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაც ყოფილა და იქნება,
უფლის ნებაა
და უწყის წყალმა ყოველივე,
რაც არვინ უწყის.
გამოსახული პერგამენტზე მახსოვრობისა
ფარაონია საიქიო სეირნობისას,
ნილოსის ტალღა მიაქანებს
თიხის სარკოფაგს
და დინასტია ჩაბარდება წარსულს ნებისად.
შორს სხვა წყლებია
ოკეანე — დიდი სასანთლე,
აისბერგების თეთრ კილაპტრებს
რომ მიაცურებს
და იღვენთება,
იღვენთება
ყინვის ნადნობი
წყალი მისნური
შინაარსის
და მოქცევისა.
წყალი ყოველგვარ არასუფთას ჩამოიშორებს,
გადაირეცხავს,
განახლდება,
განიწმინდება,
ოდეს ბერძენთა უძლეველმა
გმირმა ჰერაკლემ
წყლით აღასრულა საქმე, ძნელი
და საკვირველი,
და გაინაღდა განდიდება და
გამითება.
უფალო ჩემო, განმიცხადე
უჩინო სიბრძნე
პირველი სიტყვის,
წყალთა და ხეთა საიდუმლო,
არსი ყოველთა სულიერთა,
ან როგორ მოხდა
უსულო ტანთა
გასაგნება
და განივთება.
განვლო სოფელი დამაშვრალმა
და სიტყვა წყალი
შემორჩა ბაგეს,
ვით შემორჩება მიწურულზე შემოდგომისა
ფოთოლგანძარცულ ხეს
ნაყოფი უკანასკნელი
და ამოვიდა მზე ნათელი კვლავ აღდგომისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

ფურცლები

მეუბნება: თუ გინახავს ხატის ქალები ჯვარში მისვლისას? მათი ექსტაზი, მა-ი.ი გრეხა, თვალების პარპალი, დორბლი. მიბნედილი კვნესა. გაურკვეველი ლუღლუღი. გულაღმა დავარდნა... მიწრეტვა, მიჩუმათება, დამშვიდება.. რა არის ეს. რა არის იმის მიღმა, რაც ჩანს, შეგრძნებათა რა სიმხურვალე ატყვევებს მათ; რა ასლუკუნებთ და აბოდებთ, რა აგიჟებთ, რა ცეცხლი ეღვრებათ ტანში?

გრძნობითი შემეცნების გარეშე წმინდა პოეზია არ არსებობს; არის მხოლოდ გაფექსილი ტექსტი: ობიექტური სამყაროს რივგითი წერტილი... მხოლოდ გრძნობითი შემეცნება აცოცხლებს მას, მხოლოდ შემეცნებაში ხდება მისი დასრულება: აქ მიიღწევა შემოქმედისა და აღმქმელის (მკითხველის) სრული იმედგაცრუება: როცა შთაგონების შემოტევის შემდეგ მცირე რამ რჩება: ორიოდე უღიმღამო სტრიქონი და მეტი არაფერი. მიზეზი შენ არ იცი და არც სხვამ იცის. ეგებ არის მიზეზი; ეგებ არ არის... და, თუ არის მიზეზი, სად არის ის: შენში? ეგებ შენს გარეთ?

გონითი წვდომა. ინტუიტურ-ემოციური წვდომა. პირველი ეყრდნობა ზედაპირს. მეორე ეყრდნობა ფსკერს. ერთი მცენარის ფესვები. სხვადასხვა ხასიათისა. სხვადასხვა ფორმისა. ორივე შეაწოვს მაცოცხლებელ წვენს და სამყაროსთვის ორივე აუცილებელი რამ არის.

ინტეგრაცია.
მრავალწვრტილი... ამის შემდეგ კიდევ რაღაც ხდებოდა, კიდევ რაღაც ხდება, კიდევ რაღაც უნდა მოხდეს... აქ რაღაც კიდევ ივულისხმება; რაღაც ჩანაფიქრი არ დასრულდა... ეს არის მკითხველისთვის ნდობის გამოცხადება. ისიც თანამონაწილეა, განდობილია. რაღაც იმის წარმოსახვაშიც უნდა გაგრძელდეს, იმის ფიქრში უნდა დასრულდეს...

სამშობლო: სიტყვები. ადამიანები. საფლავები... და 69700 კვადრატული კილომეტრი მიწის ნაჭერი...მაგაზე ფიქრმა დაფლითა ჩვენი გულები; მაგაზე ფიქრმა დახანჯლა ჩვენი სიცოცხლე; მაგაზე ფიქრმა გვანთხევინა სისხლი და ცრემლი.. და მაინც გაგვირბის, გვეკარგება, გვეფშვნება ხელისგულებზე, მზეზე გამომშრალ მიწის კომიჭასავით... გვეფშვნება, გვიცვივა, გვეკარგება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუბნება:
ამ შარახვეტიებისა გერიდება? ამაო სიტყვას აყურადებ? ჰაჰ! სწორედ რომ გამ-
კვირვებია! ამაო, ამ ბღენძებს, ამ ვულცარიელ გვამებს ისეთი რამ უნდა უთხრა,
მკერდის ძვალი რომ შეუნგრიოს, გული გაუხსნას: ეგებ ამ სიცარიელეში და
ყინულეთში გარეთან მაინც შეაღწიოს სათბოს ნატამალმა, ეგებ, ეგებ... მწურ-
ლობის ვალი დღეს ესა მგონია, ეს მიმაჩნია და მეტი არაფერი!

მეუბნება: სანამ ეგ ნაკომუნისტარ-ნახიშტრები არ გამოილევიან, სანამ ეგენი
თავის წილ ჯოჯოხეთში არ ჩაეშვებიან, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება: არ
მოგვასვენებს მაგათ აგორებული ცოდვა და ჩვენს ეზო-კარში, ჩვენს არეძარე-
ში, ჩვენს მთა-გორებზე სისხლისღვრა არ შეწყდება, ქარი არ ჩადგება, ღამე
არ გათენდება... არა!.. არა!

მედიუმი. მკითხავი. სულთა გამომხმობელი... სიზმარში, ნათელხილვაში მცხოვ-
რები. მისი სიტყვა ემყარება წამიერ გაცხადებას, გახსნას, რაც ვლინდება სან-
თლის პარპაში, ყავის ნარჩენის ხაზთა წყობაში, კარტის ამოსვლის შემთხვე-
ვითობაში, დაცდილი სიზმრის ხილვაში, ორგანოთა მღერაში... და ეს ყოველივე
ემყარება მეტაფიზიკურ ძალთა განლაგებას, მათს ზემოქმედებას, რაც ჰქმნის
გაცხადების, შთაგონების გარემოს, რაც აღვიძებს ნათელხილვის ღვაიბრიჯ
უნარს... ამ მხრივ პოეტები და მედიუმები ნათესავები არიან.

გუშანით ხედავდა სიტყვის ტუჩ-პირს, სიტყვის ტანის მოხაზულობას... სიტყვის
ფერს, სიტყვის ასაკს, სიტყვის ხასიათს... ამბობდა: ზოგი სიტყვა ამბიციის
მსხვერპლია, ხოლო ზოგს თავ-პირი ჩამოსტირის და საწყალი შესახედაო;
გონიერი და გამრჯე შუამავალი უნდა იყოს, ეგ სიტყვები ერთიმეორეს რომ შე-
არიგო, რომ დაახლოვო, რომ დანათესავოო...

პოეზია იყოს ცასთან სასაუბრო ენა... დღეს პოეზიამ დაივიწყა თავისი ადრესატი.
ახლა მხოლოდ კაცთა დაფლეთილ გულებს მიმართავს, მაგათ ჩასძახის, ჩაჰ-
ყეფს: მანდ ფესვგადგმულ წყვდიადს ეომება... და, თავის უმძიმეს ბრძოლაში და
ვაი-ვაგლახში გადაშვებულს, ზოგჯერ ზეციერიც გაახსენდება: გაახსენდება თა-
ვისი სათავე, კამკამა დასაწყისი და, მაშინ, მისი ღაღადი გამოდის გულების
სიბნელიდან, ცას მიდგმულ სხივებს ეხლაუჭება და მიიწევს მაღლა, სულ მაღ-
ლა, მაღლა...

წმინდა პოეზია, როგორც ბოლომდე განდობა, როგორც შემაძრწუნებელი სი-
ღრმე...

შემოქმედებითი სამყაროს ახალი წესრიგი დაადგინა ჯოისმა; ახალი გზები გა-
უხსნა მომბაძველ-მომპირკეთებლებს, ლიტერატურის ქორებს... და თითქმის
არაფერი არ შეუქმნიაო, მის კომენტატორებს: მათ მხოლოდ დაფიქსირეს ვარ-
სკვლავის გამოჩენა და, შესაძლოა, მისი კაშკაშთი თვალმოჭრილებს და მონუს-
ხულებს, საქებარი სიტყვებიც აღმოხდათ... ეს იყო და ეს... შექმნა დამთავრდა
იქ, სადაც შემოქმედმა ბოლო წერტილი დასვა. ამის შემდეგ ის დაწერს კიდევ
ერთ სიტყვას, — დასასრული, — უსარგებლო და ზედმეტ სიტყვას, რომელიც
მთავარ საქმეს არაფერში არგია: ეს არის სრულყოფილ, დასრულებულ სურათ-
ზე შემთხვევით დაცემული საღებავის ერთი, ბოლო წინწკალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს შემზარავი სიშორე: შემეცნება, გონი წამიერ რომ გადალახავს და მოიელის, შერეება ამ თვალუწიერ სივრცეებს, გადაზომავს, დადახარისხებს... გარჩევს რეალურსა და ილუზიურს, ცხადსა და სიზმარეულს... შემეცნების ამ კოლოსალურ უნარს თანა სდევს კაცთა უუნარობა: ფიზიკური წვდომის არქონა, ფიზიკურ ძალთა ატროპია... ეს შეუსაბამობა, ეს კონტრასტულობა ჩვენს წინ აღმართავს პესიმიზმის გადაულახავ კედელს: ჩვენ ვართ ამ კედლით შემოსაზღვრულნი, როგორც ტუსაღები.

ვირის აბანოში თორმეტი წელი ვიჯეო, მეუბნები. ხუთი ჩემს საქმეზე მომცეს, ისეთზე, წყალი რო არ გაუვიდოდაო... პატიოსნადაც ვიხდიდიო... ერთხელ მანდ შავწიწუაშვილი მაყვანეს, ეელური და სისხლისმსმელი: შავწიწუაშვილმა თქო, თითეთოს ბაზარში ქალის ხორცსა ვყიდდი და ამაზე ვზიავრო... მაშინ იყო, სისხლმა ტვინზე რომ გადმიარა: გამაუღე დედანაწლაკი და ყელზე შამოვახვიე მაგ პირუტყვსაო... ამაზე კიდეე შვიდი მამიმატესო... სუ ტყუილად, სუ უმიზეზოდაო... ღმერთსა ვფიცავ, უბრალო ვიყავ... ეგ საქმე სამართლის გასაკეთებელი იყო და ჩვენ მოგვიგდეს, პატიმრებს...

მათ სურთ ყოველი გარითმული ტექსტის პოეზიად გამოცხადება... ვერწმუნოთ?

გონკურები ასე აღწერენ ბოდლერს: „...თავი მოპარსული აქვს. სწორედ რომ ვილიოტინისთვის გამზადებული გეგონებათ. ერთადერთი სინატფე: პატარა, ფრჩხილებმოქნილი, ქალივით სალუქი ხელები და, ამასთან, შეშლილის სახე. მჭახე, ფოლდსებრი ხმა“... ამ ავადმყოფური პორტრეტის მიღმა შემზარავი წიგნის, „ბოროტების ყვავილების“ ავტორი დგას. გეუბნები: მსოფლიო პოეზიაში ვერ მოძებნი ბოდლერის „ლეშზე“ უფრო ამაზრზენ ლექსს. გამაოგნებელია ის უნარი, რითაც პოეტი ანათებს და გაჭოლავს კაცთა შინაგნობაში რამყაყებულ მწიკლსა და ტალახს. ის უფსკრულთა გაუგონარ სიღრმეებს სწვდება და შენც იქით გეწევა, გითრევს, გძირავს...

წინასწარმეტყველება. მომავლის გაცხადება, მოსალოდნელის უეჭველი ხილვა... თუმცა წინასწარმეტყველებისა, განსაკუთრებით პოეტური წინასწარმეტყველებისა, მაინცდამაინც არავის სჯერა... ალექსანდრ ბლოკი ცხრაასიან წლებში წერდა: „ო, რომ იცოდეთ, ძვირფასო ბავშვებო, როგორი ბნელი და ცივი დღე მოველით!..“ მაშინა ამ წინასწარმეტყველებას, რა თქმა უნდა, ყური არავინ დაუგდო... ხოლო პოეტის სიტყვა გაცხადდა და იმ უსმინარი ბავშვების ზურგებზე გადაიარა მომავლის დროთა საშინელებებმა: ცეცხლმა, გრიგალმა, სისხლის ტბორებმა...

დამიჯერე ერთი რამ: ყოველდღიური მედიტაცია, შემეცნების გამოცდა, გონისეული ჩხრეკა შენ გაახლოებს რაღაც დიდთან, მარადიულთან... და, ამასთან, ყოფიერების წვრილმანების, ყოველდღიური გაწამაწიობის კვალდაკვალ გამძიმებს დიდი, გადაულახავი სევდით, დაუძლეველი მწუხარებით ყოველივე იმის გამო, რასაც შეიმეცნებ, რასაც გიტოვებს მედიტაციური ყვინთვა, ჩაღრმავება, ჩაძირვა, გაცხადება.

ივნისის თვე იყო: მთის ყვავილთა ზეობის დრო... ნაღვარევში, ბექეშვილების ეზოში ჰყვაოდა უთვალავი ყვავილი: ტყისპირის კორდი ღვთაებრივ ხალიჩას ჰგავდა... ეს სურათი დიდხანს მოდიოდა უცვლელად... მერე ამ კორდზე, ყვავილთა საუფლოში თედო ბექეშვილის საფლავი გაიჭრა, იქვე, ტყისპირის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახბულახში, თედოს ხელით დარგული ვაშლის ხის ძირას... სურათი არ შეცვლილა: მხოლოდ შეევსო, დასრულდა, უფრო ძვირფასი გახდა...

ნაღვარევში, ბეკნიშვილების ეზოში უთვალავი ყვავილი: თითქოს ღვთაებრივი ხალიჩა გაუშლიათო... და ამ სასწაულებრივ ფონზე: ეული საფლავი პოეტისა...

მხოლოდ რწმენითი შეეცნება გაახლოებს ნათლიერ წარმოსახვასთან, გაცხადებასთან: როცა საშეაროს საიდუმლო კარი იღება და შენ ვეღარ ასწრებ ხილულის ამოძახებას, ხატად ქცევას, ხორცშესხმას და შენ ემსგავსები ქადაგს და, მისტიური ხილვებით მოჯადოებული, გაურკვეველ ტრანსს ემორჩილები, ლუღლუღებ, გრგვინავ და არაფერს არ ამტკიცებ და არავის არ არწმუნებ...

არ არსებობს შემოქმედებითი წამის ერთნაირობა: ის მუდამ ახალია, განუმეორებელია.

უცნაურია: ცრუმოწმეობის, კეთაკელის, მრუშობის, მპარავობის თანამონაწილე ყოველთვის სიტყვაა. და ყოველივე ამას ის თავს ვერ აარიდებს ვერასდიდებით!

სახელის მაგია, მიზიდულობა, სიცოცხლის უნარი: ის ცოცხლობს შენი სიკვდილის შემდეგ, აგრძელებს განუჭვრეტ არსთა მწკრივს, იძენს ახალ-ახალ თვისებებს... ზოგი სახელი ვამოირჩევა განსაკუთრებული დღეგრძელობით: ის ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეობით, ათასწლობით...

ასე მეუბნება: განუჭვრეტელია ღმერთამდელი „სამყაროს“ წარსული... განუჭვრეტელია ღმერთის საბოლოო მიზანი, საბოლოო ჩანაფიქრი... საღვთო ბოლოწერტილი... და ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ შენ ცხოვრობ საღვთო აკრძალვებით მოღობილ გარემოში, წყვდიადით გარემოცულ სივრცეში, ერთგვარ რეზერვაციაში და, რაც უნდა იყანყო და იბობოქრო, ამ მდგომარეობას ვერასოდეს თავს ვერ დაალწევ... ვერასოდეს...

ჩვენ ვართ ძველისძველი ქრისტიანები და, ღმერთო, ჩემო, ალბათ, ამიტომ ხშირად გვახსენებენ ბიბლიურ სენტენციას: გიყვარდეს მტერი შენი, გებრალებოდეს... და ჩვენ ვამბობთ: გვიყვარს რუსეთი... და ჩვენ ვამბობთ: გვებრალება რუსეთი...

ისეთი იყო, როგორც სალი კლდე: რწმენის ციხედ აღმართული. შინაგანი ძალღონით სავსე. მაგას შეეძლო ეთქვა: მე კი არ მივალ მთასთან, წინაუმძო: მთა მოვა ჩემთანო... მაგას ეწვეოდა ძალეთის ხალხი: გაჟღენილი იყო სიყვარულის ჯადოთი. მაგისი მოზომილი, სიკეთის ნათლით სავსე სიტყვა მალამოსავით გეწვეთებოდა ყურში. ნეტავი არ დაადუმაო, ატყოდი... ხოლო თვალები მისი: ნაღვერდალშეხვეული ცეცხლივით სამშვიდმოფვნილები, იმედს რომ ასხივებდნენ, ზემძლავრ შუქს რომ გამოსცემდნენ... მაგისი ხმა ჩუქურთმასავით აჩნდა ჰაერს: ფერ-ხორცსა მატებდა, ალამაზებდა, ამაღლებდა თითქოს... მაგისი სიარული: ოფიქრებდი, ღმერთის ეზო-კარში თუ აიდგა ფეხიო... ისეთი იყო...

დაქუცმაცებული, დანაფოტებული, სხვადასხვა მხარეს მაცქერალი, დიდებულთა ამბიციების მსხვერპლი... ოთხივ კუთხით მტრიანი... ამგვარი საქართველო დახვდა დავით აღმაშენებელს... და მან, შემწყნარებელმა და წინმაცქერალმა მეფემ, ხმლით დააშოშინა დიდებულები, ხმლით მოიგერია ოთხივ კუთხით შემოჯარული მტერი, ხმლით შეარიგა საქართველო!.. ნუთუ სხვა გზა არა ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო, იკითხავ შენ. რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ სხვა გზას საქართველო არ მიიღებს, ვერ იგუებს; ასეთია მისი ხასიათი, მისი შინაგნობა, მისი სულის ასავალ-დასავალი.

ვინც დაიბარა, მე აქ ვიყავიო, იმას სჯერა სახელის დარჩენისა, უკვდავებისა... ხოლო ვინც თქვა, -მე აქ არ ვყოფილვარო, იმას სჯერა დავიწყებისა... და ორივენი ერთი გზით მიდიან, ერთად მიდიან, ერთი მიზნისაკენ, რადგან უკვდავებაც და დავიწყებაც ერთი ოკეანის ნაპირებია, ორივე ერთი მარადისობაა..

ყველაზე უფრო გაღლეტილი, უსახსრო, უბინაო, უთვისტომო, უნათესაო... ახლა წარმოიდგინოთ ყველა ქვეყნის ამგვარი გაბითურებული ხალხი, ერთად შეკრული, შეერთებული... მერე წარმოიდგინოთ ამ ამაზრზენი საკრებულის დიქტატურა მთელს მსოფლიოში... და მივიღებთ რაღაც იმის მაგვარს, რისთვისაც დაველაობენ და კაცთა სისხლს ანთხევენ კომუნისტები...

ასე ჩანს: ის თითქოს სიტყვებს ყელში უჭერს, ახრჩობს და მერმე ამ უსულო მასათ აშენებს კედლებს: უსულო სხეულების გადაბმის ცდილობს.. მკედარი სიტყვების პოეტი: პათოლოგიური შარლატანი.

იქცეოდეს — შეეხიე: შენდებოდეს — შეეწიეო... ეს ანდაზა სწორედ საქართველოზეა ზედგამოჭრილი: იქცევა ის და შემომხეველმაც არ დაყოვნა... უცნაური შემომხეველი გვყავს: ის მოდის ან ავტომატით ხელდამშვენებული ან ნარკოტიკებით ჯიბეგამეძგილი... ორივეთი მდიდარი და.. ორივეთი სიკვდილს გვიმზადებს!

ერთ მწერალს უთქვამს: ის მენანება, ჩემი სიკვდილის პროცესს რომ ვეღარ აღვწერო.. გაახსენდა მანიაკური წყურვილი ყველაფრის აღწერისა, ჩხიბვისა, გამუდმებით რაღაცის ჯღაბნისა... გაახსენდა და შეეზიზღა თავისი ხელობა, ცხვირს რომ იქ ჩაგაყოფინებს, სადაც არ გელიან, სადაც შენ არაფერი არ გესაქმება!

მეუბნებოდა: სიძულვილი პოეტის საქმე არ არის: სიძულვილი აუდაბურებს ამ მიწას, რომელზეც შენ დგახარ, შენი ფეხმოსაკიდი რომ არის. პოეტობა სიძულვილის ცეცხლის ქრობაა ყველგან, მარად და განუწყვეტლად. პოეტობა სიძულვილის ჩაქრობის გზების ძებნაა, ამ გზაზე დგომაა... ჟამი-ჟამ, სიძულვილის მნოხეველი პოეზია რომ გამოჩნდება: ეს პოეტის დამარცხებაა, გზის აბნევაა, მაცილის აღზევებაა, მისთვის კარის გაღებაა. ხოლო, თუ სიძულვილი აღზევდა, ის თუ საყოველთაო გახდა: ეს პოეზიის დასამარებაა, დაცემაა, ცეცხლის დაშრეტაა. პოეტის სიკვდილია.

ყოფიერების აღწერა უკვე არსებულის გამრავლებაა, გამეორებაა: ეს არის მრავალწერტილი... სულ სხვაა ახალი ყოფიერების შექმნა, ახალი რეალობის შექმნა წარმოდგენების ქაოსიდან, სიტყვათა ნაკადებიდან.. პირველი მიბაძვაა, პლაგიატია. მეორე: მწერლობაა, შემოქმედებაა.

ერთმა ახალგაზრდა, ყბადგაკრეფილმა მწერალმა ძალიან უხეიროდ იხუმრა ლიტერატურის მავან ფუნქციონერზე: იმ დროის კვალობაზე საკმაოდ ცნობილ მწერალზე... ამ ბოროტ ხუმრობას ჩუმად ისმენდა ნიკა აგაშვილი: უკვე ოთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცს მიტანებული კაცი... ის უცებ აენთო, მთლად გადაირია: ახალგაზრდა მწერლისკენ გაიწია გინებით... შენრირი მწერლუკეთ მაგისი ყვერებიდანაც კი გამოიჭრებაო, ყვიროდა გააფთრებული ნიკა...

გოეთე ამბობს: „არ არის ცოდვა ამქვეყნად, შესაფერ ვითარებაში მე რომ არ ჩამედინოს“... ვაიმარელი ბრძენის ამ აღსარებას ლევ ტოლსტოი ასე ეხმიანება: „ტყუილი, ქურდობა, სიძვა ყოველგვარი, ლოთობა, ძალადობა, მკვლელობა... არ არის დანაშაული, მე რომ არ ჩამედინოს...“

შემოქმედების თავისუფალ სივრცეში მრავალ შესაძლებლობათაგან არის სიცრუის, ტყუილის შესაძლებლობაც: ეს არის პოეტური სიყალბე, რაც უნდა აღვიქვათ, როგორც ცოდვა...

გაბრიელ ჯაბუშანური თარგმნიდა გამზატოვის ლექსების წიგნს „ძალი ვარსკვლავებ“. ამ წიგნს მაშინ ლენინის პრემია მისცეს... მაგ ლექსებს მთის სისხლი უდგას, მთის გულისცემა მისდევს და ეგ მატყვეებსო, იმართლებდა თავს ჯაბუშანური.

შემოქმედება ღმერთის ნებაა, თუმცა ის ღმერთის მიერ არ კონტროლდება: ეს მტკიცდება შემოქმედების შედეგით, რაც ყოველთვის ღვთაებრივი არაა.

იესოს სიტყვებს ასე გადმოგვცემს მათე: „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლისა და საკუთარი სახლისა“. იგივე სიტყვებს უფრო საჩინოდ იმეორებს მარკოზი: „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლისა, სანათესავოსი და საკუთარი სახლისა“. ამ უეჭველ ჭეშმარიტებას შეიძლება დაერთოს ამგვარი კომენტარი: ყოველი, ვინც ღმერთებულია სხვებზე: ღმერთებულია გონის, წინასწარმეტყველების, შემოქმედების, სიყვარულის უნარით, სამიზნეა დანარჩენთა სიძულვილისა, სამიზნეა მსგავე გარემომცველი ბრბოს ფარული, გაუცნობიერებელი შურისგებისა... და ეს არაერთხელ გაცხადდა.

ასე გეტყვი: გონითი სივრცის გაჩენამდე სამყარო იყო მარტო, ღმერთი იყო მარტო. სიმარტოვის დაძლევის პირობაა ადამიანი: ღვთიურმა აუცილებლობამ შექმნა ის, როგორც გაუსაძლისი მარტოობის გადალახვის შესაძლებლობა. ადამიანი, არა როგორც ცდა, არამედ როგორც აუცილებლობა... როგორც დადასტურება... შემეცნების ანულირება გამოიწვევს ღვთისეული სამყაროს მყისიერ გაქრობას, წყვდიადს, თავდაპირველ სიმარტოვეს...

მაშინ ამოსკდა მწარე სიტყვები: შენ შეიძლება ამოხსნა საიდუმლო მრავალი, მაგრამ ამას ვერ გაიგებ, ეგენი საით მიათრევენ საქართველოს, რა უძევთ სატანის ბეჭდით დაბეჭდილ გულებში, რას ქვებუდანობენ, რა მდვიმეებში მიძერებიან, რას ჩუმათობენ! ვერ მისწვდები მაგათ სატანურ ჩანაფიქრს, მაგათ მოვლილ მწიკლიან გზებს შენ ვერ მოიცლი! ეგენი: მამულის ძალებით მოვაჭრენი, სხვათა მოყურაადენი... სატანის ფურთხიდან დაბადებულები, მტრისა გამლალებლები... ეგენი? თფუ!!!.

სიტყვა: გულის დამფლეთი, გამგლელი, ჭრილობებიანი... სიტყვა: გულის გამნედლებელი, სიხარულით ამვსები, დამგეზავი... და ორივე ამ სიტყვას ერთი წყარო მოიწურავს, გვაძლევს: ეს არის შთაგონების უკვდავი მდინარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუნუბენა:აპოლონერი წერს, თვითმფრინავები კეერცხებს დებენო... შესანიშნავია! უკეთესს ვერც ინატრებ!.. მაგრამ მე. მახსოვს ეგ კეერცხისმდებელი თვითმფრინავები: მაგათ ბომბდამშენებს ვეძახდით და მილიონების სიკვდილიც მაგათ კისერზეა... ასეა, ასე!

ასე იყო: ჩვენ გვამარცხებდა ღალატი... არის დიდი ღალატის ადგილები, სადაც ბრძოლები წავაგეთ; არის დიდი ღალატის თარიღები, როცა მწარედ დავმარცხდით... ასე იყო: ღალატი შიშის გამო: ღალატი ლაჩართა; ღალატი ალაფის გამო: ხარბთა ღალატი; ღალატი შურის გამო: მეშურნეთა ღალატი. ღალატი ქვებუდანთა; ღალატი ქვაბავაზაკთა... და დღესაც, დღესაც: გვამარცხებს ღალატი, გვამარცხებს ღალატი...

შუღლობდნენ არხოტინონები... გურამს ვეღარ აკავებდნენ: მთლად შემოეფხრიწა ტანისამოსი და ეგრე, ნაფლეთების ამარა გადმოვალო ყორეს; რამდენიმე ხეესური კვალდაკვალ მიჰყვა ყაყანით, შეძახილებით... უცებ მამის ხმა მისწვდა და გურამი ადგილზე გააქავა: არ შეაჩეროთო, გამოსძახოდა ჭერხოდან გარსია ოჩიაური, ეგ ბებუთი ჩამაართვით, აი, ეს შაშხანა მიეცითო, მტერს ამით უნდა დახვედრაო... გარსიამ თოფი ვიღაცას გაამაწოდა... მაგრამ გურამი უკვე აღარ ეტეკვებოდა მოშუღლარ ახალუხლებს. ხელებჩამოშვებული იდგა და ჭერხოს კარის ღიობში გაბლანდულ სიბნელეს აჰყურებდა. სიბნელიდან მოიხიდებოდა გარსიას მტკიცე, სიკვდილის ბეწვიანი ხმა... ეს ძალიან ძველი სურათი დაუდგა თვალწინ, გურამ ოჩიაურის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო... მტერი ვერ მოერეოდა გარსიას შვილს, ვერ დაეჩოქებდა... ეს მხოლოდ დრომ შესძლო; ამაზრზენმა, დაწყვეტილმა დრომ: დასცა, დაამიწა ამაყები, მტრისთვის გზის გადაშჭრელები, სოფლისთვის გულის ჩამდგმელები... დასცა, დაასამარა...

ამბობენ: პირველად იყო სიტყვა. სიტყვა იყო თავდაპირველი საღვთო მასალა. ამ ამბავმა განსაზღვრა სუყველაფერი... აი, რას გეტყვი: სამყაროს შექმნის მისტერია მხოლოდ სიტყვით შეიძლება რომ გამეორდეს... პოეტი ღვთაებრივი პროცესის მონაწილეა: ის „იმეორებს“ სამყაროს შექმნის მისტერიას. ამის აღსასრულებლად მას სჭირდება საღვთო მასალა: სიტყვა; სჭირდება სამარტოვე და მარტოობით ტანჯვა: შემოქმედის თავდაპირველი მდგომარეობა...

სამყაროში რაღაც არ არის, სამყაროს რაღაც აკლია, რისი არყოფნაც ჰქმნის სიცარიელს. შემოქმედის ვალია ამ სიცარიელის ამოვსება, სრულქმნა, გამოსახვა... ვინც ამ საქმეს წარმატებით აღასრულებს, კარგი მწერალიც ის არის და სახელსაც ის დაიგდებს... ხოლო ვისაც არც ამ საქმის აღსრულება ხელეწიფება და არც თავისი ვალი იცის, ამას, უბრალოდ რომ ვთქვათ, აქ არაფერი დაჰკარგვია... აქ რა უნდა ან რას დაეძებს?

სიტყვა გონის იარაღია... ინტუიციას, გუშანს ამგვარი იარაღი არ გააჩნია: ის არის შუნჯი, ის არის უენპირი; ის ბოდავს, ღუღლუღებს, წკალობს... სამყარო მთლიანად შეიცვლება მაშინ, როცა სიტყვა ინტუიციის იარაღად იქცევა...

წმინდა, გლობალური, მარადიული და სრული სიკეთე მხოლოდ შემეცნებაში ცხადდება... ცხოვრებას კი ეს კომპრომისული აზრი ანათებს: მეტი სიკეთე, ნაკლები ბოროტება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნადობის ჟამს პოეტის ცნობიერებიდან ქრება თეორიები: მას უმაღ ეკარგება ლიტერატორთა თავისთავად ღირსეული ნაზრევის შეგრძნება: აღარ ახსოვს შეგონებანი და თითთა ქნევა დიდაქტიკური... საეჭვოა, რომ პლატონიც ახსოვდეს, ვინც, ეს-ესაა, პოეტი სრულიად უმიზეზოდ გაადევა თავისი რესპუბლიკიდან!

ყოველი ახალი ლექსი წმინდა პოეზიის შექმნის ცდად უნდა მივიჩნიოთ... ამ აზრის შერყევა მხოლოდ მჯდომნელის ნახელავს შეუძლია, თუკი მას, რაიმე სხვა მოსაზრებით, პოეზიასთან გავაიგივებთ.

ჩვენ წავეკითხეთ ფოლკნერის მრავალი ინტერვიუ და, როცა გვეგონა, მწერლის სიმართლეს ვეზიარეთო, მაშინ გაისმა ისევ ფოლკნერის ხმა: „რეპორტიორებს მე არასოდეს სიმართლეს არ ვეუბნები“.

იცოდე: ყველაზე დიდ ძრწოლას შენ მოგვგვრის ადამიანის შესაძლებლობათა საზღვრულობის შეცნობა... კიდევ უფრო დიდ ძრწოლას განგაცდევინებს ჩვენი ხასიათის სიმახინჯეთა ხილვა... და ეს იქნება უსასოობა სრული!..

ასეთი სურათი: უფსკრულში ჩაჩეხილი მდინარე ხრიალებდა და ლოდებს ტოტნიდა გადატყაული ხელისგულებით. უფსკრულის თავზე ქარი სისინებდა და ღრუბლის ბუწუწებში ხელს ურევდა, შიგ იხლართებოდა... ამ სურათის ახლომახლოს მოჩანდა კაცი: მიწას დაშტერებული, მიწაზე თავდახრილი, მიწაში ხელისმრეველი, მიწით გაუძღომელი...

ძახილის ნიშნები: თითქოს რომელიღაც უხილავი მოპაექრისათვის გარჭობილი შუბები, სანახევროდ დაცემული ბებუთები, მოღერებული დაშნები... ძახილის ნიშნები.

კუდიან ვარსკვლავზეა დაბადებულიო, იტყოდნენ ჭინჭყლ, ჩხუბისთავ და ქვებედან კაცზე... კუდიანი ვარსკვლავის იღბალი და ავი ზნე აქვსო... ასე იყო: კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენას მოსდევდა პოლიტიკური კატაკლიზმები, სისხლისღვრა, ომები... ამ მისტიკური აზრის შემოწმება ჩვენ შევძელით: 80-იანი წლების ბოლოს გამოჩენილი კუდიანი ვარსკვლავის კვალდაკვალ დაიწყო სისხლისმღვრელი ომები (კავკასია, შუა აზია, ბალკანეთი, ერაყი...)... მოხდა დიდი პოლიტიკური მიწისძვრა: დაინგრა ბოროტების იმპერია: სსრკ... რაღაც ამდაგვარი მოვლენები მოჰყვება კუდიანი ვარსკვლავის მომავალ გამოჩენას: ხოლო რა იქნება, რა ზიზღაგები და კონვულსიები, ამას სხვა თაობები შეამოწმებენ...

გეტყვი: პატიმოყვარეობა ავადმყოფობასავითაა: თუ მიუშვი, თუ არ მოუარე, თუ არ უწამლე, განსჯის სიმართლესაც წაგართმევს და სიცოცხლესაც ოხერტიალად დაგირჩენს! თუ მაგას მიჰყე, თუ თვალდახუჭულმა მისდიე, მოყვარესაც მტრად მოგიქცევს, მტერსაც გაგიძლიერებს, გაგიმრავლებს, თვალს დაგიელვებს, ვინს გაგიმრუღებს... ეგეთი ყეულია ეგა, სატანისტყვიაა, სატანისქალმნიანი!..

რა დაულეველი წყარო მოიწურავს ბოროტების შავ სხივებს, ბოროტების განუჭვრეტელ უკუნეთს, ბოროტების შხამნარევ შხეფებს? რას ეყრდნობა ეს პირქუში გოლიათი: სიკეთის წამბილწველი, დამმარცხებელი?

კაცთა წინსელას მივაკაცართ სრულყოფის ბოლო წერტილამდე: ეს არის განვითარების საბოლოობა, დასასრული, მოძრაობის დაწრეტის ადგილი: მდგომარეობა, რომელიც ეთანაბრება სიკვდილს.

ბიჭვინთაში მწერალთა სასახლის ბარში ვიხხედით: ვსვამდით კახურ ძელგ ღვინოს და მთათუშეთს ვიხხენებდით. ისმოდა ნაღვლიანი, ჩუმი მუსიკა... თუშეთში ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვარ ნამყოფიო, მეუბნებოდა, იქ ერთი ცოხე ვიცი, ყოველ ასკლისას ვნახულობ და ვატყობ: ბზარები თანდათან ულრმავდებაო, ახლა მაგისი მშველელი კაცი არაა და, ალბათ, მალე კიდეც ჩამოინგრევაო... ჰოო, მითხრა, გავიგე, აქა ყოფილა რუსი მწერალი სემინოვი, მაგისი გაცნობა მინდაო... თუ კაცი ხარ, თუშეთის მოგონებას ნუ ჩამიშხამებ, ვუთხარი, მთელ მაგ სემინოვ-რასპუტინებს შენი „ეგიელია“ მირჩევნია-მეთქი... პირისახეზე გაოცებას ქარმა გადაჰკრა, მერმე უცებ მოიწყინა, დადუმდა... ისმოდა მხოლოდ ჩუმი, ნაღვლიანი მუსიკა, შორეული და სპეტკი, როგორც თუშეთის მოგონება...

ის არის ჯადოსნური გვირაბი, კალაპოტი, ღარი, რომელიც იწოვს, ითრევს და ნთქავს სიტყვებს, წინადადებებს, ხატებს, წარმოსახვებს, ღღეებს, წელეწადებს, საუკუნეებს... ის არის შემოქმედების მარადიული, უნაპირო კალაპოტი.

თუ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ ცდის ველზე ვადაყრილი მარცლები, ზეგონის თამაშის მონაწილენი, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ის არა ჩქარობს თამაშიდან ჩვენს გამოყვანას, არ ესწრაფვის ამ უმიზნო ცდის შეწერებას: მისი ნებისყოფა და ჩანფიქრი უსაზღვროა, დაუსრულებია...

პროზა, რომელიც ეყრდნობა პოეტურ განწყობას, ეძო�as, გულს: ვაჟა-ფშაველას მოთხრობები... ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეები და ნათესავები არიან რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი და...

გადავლახეთ ნაროვანის პირქუში წყალი და საღამოს გირეკში ჩავედით. თუშმა მასპინძელმა ცხენები ჩამოგვართვა, უნაგირები მოხადა და იქვე, სოფლის ბოლოზე, საბალახოდ გაალაა... ბნელი, ვარსკვლავკრიალა ღამე ჩამოდგა. მასპინძელი გვაძალებდა ცეცხლისშხეფებიან არაყს... ბოლოს ესეც გვითხრა: აქ ქისტები ვადმოდიან საკანტალაოდ, ამაღამ ცხენებს მე მიეხედავ, შიში ნუ გექნებათ, გულიანად დაიძინეთო... მიტოვებულ სახლში მოვწყეთ: ჩვენს თავზე ბანურ ჭერში მრგვლად მოჩანდა კერის ცეცხლის საკვამური: იქიდან ვარსკვლავიანი ცა ალანდებოდა... დილით ლერიმ თქვა: საკვამურიდან მთელი ღამე ფაფახიანი ქისტი იყურებოდა, წუხელ თვალი არ მომხუჭავსო... წუხელ არც შენ გძინებია და არც იმ ქისტსა სძინებიაო, ღიმილით დაამატა თელიმ...

შორსგამხედავი, ბრძენი მწყემსი, ვინც ადამიანთა კულტურისან ჯოგს დაგეზავს, წარუძღვება და გაიყვანს წარავლებზე გაჭიმულ ბილიკებით. ადამიანი მშვიდად ვერ დაიძინებს, თუ ქვეყნად ამგვარი მწყემსი არ ეგულება. ბოლოს და ბოლოს ძეხორციელს არც გამუდმებული ფიქრი და წყვეტება შეუძლია. მას ვიღაც უნდა შეეხიდოს ამ საქმეში: ფიქრი უნდა ჩამოართვას. მხოლოდ ესაა უსაფრთხოების, კმაყოფილების მიზეზი. ეს ამართლებს მწყემსის აღზევებას, მის მთავრობას, მის საყოველთაო აღიარებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო თითქოს შეიკუმშა, შემკვრივდა მის გარშემო და დაიწყო დახუთული, ჰარქუში ლაბირინთი: ამ გარემოში გაიელის მისი ბოლო დღეები, ამ გარემოში, ამ ქუფრ სივრცეში დასრულდება ის, ჩაქრება, ჩაიწრიტება, დანაცრდება...

ბეტი სამყაროს შემოქმედებითი თვისების გამოხატულებაა, ამ თვისების მატარებელია, ამ თვისების ნიშნიანია: ის აღრმავებს სამყაროს ღვთაებრივ ფერს, აღრმავებს, აძლიერებს, ავითარებს...

ჩვენ: ჩასაძირად განწირული გემის მგზავრები. კატასტროფის შედეგები უკვე ჩანს: ფიზიკურად და ზნეობრივად დასახიჩრებული საქართველო, სატელიტი მთავრობა, დარგუნვილი ერისკაცები... მიზეზი კატასტროფის შემდეგ გამოჩნდება. მიზეზის ძიება ვერ გვიხსნის ჩვენ, ვისაც დაგვრჩენია მხოლოდ ერთი: თითო-თითოდ შევეწიროთ შენელებულ კატასტროფას. მხოლოდ თავშეწირვა თუ გადაარჩენს სიამაყის იმ ნატამალს, რასაც გულში ვინახავდით. ეს ასეც ხდება: ყოველ დღეს ახალ-ახალი სიცოცხლე მიაქვს! ყოველი დღე უფსკრულთან გვაახლოებს!..

მოკვდა ის, ვინც ყველაზე საშიში იყო: თავისუფლად ამოისუნთქეს მისმა მოწინააღმდეგეებმა. გულები გახსნეს და წავიდნენ გვამის მოსანახულებლად; მათი მიზანი ერთია: სურთ საბოლოოდ დარწმუნდნენ ფაქტის უეჭველობაში, დაიჯერონ...

ასე მითხრა ამ გონებადაუჯებულმა, შორსმაცქერალმა კაცმა: მწერლის ძალღონე მხოლოდ სიმარტოვეში გატარებული საათებით აიწონ-გაიზომება: მხოლოდ იმით შეფასდება, რასაც სიმარტოვის ჟამს იქმს... მხოლოდ უხილავის მორჩილებაში შექმნილით დაედება ფასი მწერალს... სხვა რამ საზომი მწერლობამ არ იცის...

და შენ, როგორც თავზე ხელაღებული ტერორისტი, ძალადობით მიელტვი სიტყვათა შემკრთალ საკრებულის დამორჩილებას და არღვევ ღვთაებრივ წესრიგს და ცდილობ განუწილველის გახლეჩას, დანაწევრებას, ნაწილების გადაადგილებას: სწორედ ეს არის შენი თანდაყოლილი უძლურება, მიზეზი შენი დამარცხებისა...

მარადიული უცნობი: უხილავში დაუჯეული. სამყაროს ანონიმი ავტორი. მისი ხატი შენს შემეცნებაში... შენ ხედავ: შემეცნების გაფართოების კვალდაკვალ, ფართოდება ამ უცნობის სარბიელი, ღრმავდება მისი წარმოდგენა, მისი არსი, მისი ძალმოსილება...

ასფალტი ვერ იგუებს რკინას: ცხენის ნალს, ურმის სალტეს, ტრაქტორის მუხლუხს. მისთვის ზედგამოჭრილია მანქანის საბურავი, რეზინის ქალამანი... უცნაურ, არაბუნებრივ ხმას გამოსცემს დანალული ქარაჩი ასფალტზე: ალბათ ამის გამო თუ, ცხენი ასფალტს სათოფეზე რომ არ ეკარება!..

სამოთხის მეტაფიზიკური სივრცე: უხსოვრობიდან შემორჩენილი სიზმარი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერებას ეკუთვნის: ის იწყება იქ და მთავრდება იქვე; იქაა მისი საზღვარი, მისი წარმოდგენის სფერო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხებულნი ასპარეზს ტოვებენ: ეს არის ბუნებითი კანონი. დამარცხებული მთავარი უნდა გადადგეს, დამარცხებული სარდალი უნდა წავიდეს... როგორც უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდეს დამარცხებული მთავარი, მაინც უნდა შეველიოთ, თუ არ გვინდა, ბუნების წინააღმდეგ ვსალ. და მაინც, რაიმე მიზეზით, თუ არ აღსრულდა ეს კანონი, მაშინვე დაიწყება ჩვენი დასჯა: გაუდაბურდება და გაბითურდება დამარცხებულის კვალზე მავალი კაცი, იგივე დეამართება ქვეყანას, ხალხს...

მეუბნება: ვიყოთ სამყაროს მაჩაჩალები, სამათხოვროდ ხელგაწვდილები, გვერქვას რაგინდარა სახელი, ოღონდ ეგენი, ეგ გულგველიანი, ეგ ქვემძრომი კომუნისტები არ იყვნენ ამქვეყნად... ავიტანთ, გავუძლებთ ყველფერს, ოღონდ ეგენი არ იყვნენ, ოღონდ... ოღონდ...

ჰამლეტ გონაშვილმა დაიგვიანა: სხვები უკვე გვარიანად შეზარხოშებულები იყვნენ, ის რომ მოვიდა. სანამ სუფრას მიუჯდებოდა, თქვა: აქ, ეზოში, ისეთი ლამაზი თუთის ხე დგას, თვალი ძლივს მოვწყვიტე, მთელი საათია მაგას შევყურებო... მის ხმაში, მის გამომეტყველებაში, ხელების მოძრაობაში ჩანდა, როგორ უყვარდა ხეები, ტყე... ამის მერმე, სულ მალე, ჰამლეტ გონაშვილი ტრაგიკულად დაიღუბა... თქვეს: ხიდან ჩამოვარდაო... ესეც სიკვდილის უცნაურობა, მოულოდნელობა, სიმუხთლე: ის სწორედ იქაა ჩასაფრებული, საითაც შენი სიყვარული გეწევა, საითაც გული მიგაორევს, საითაც თვალი გაგირბის!

გეუბნები: პოლიტიკოსობა ხელსაყრელი ჟამის გამოცნობის უნარის ქონაა და მეტი არაფერი. ამ უნარით, ამ ნიჭით ცხებულნი თავის სამწყსოს ბედნიერებასა და ხელხვავიანობას განუმზადებენ.. ამ უნარის არმქონენი პოლიტიკას უნდა ერიდონ!

პოეტის თარგმნა შეუძლებელიაო, თქვა ვოლტერმა.., ვოლტერის შემდგომ თითქმის ყველა პოეტმა სცადა ამ აზრის უკუგდება, გაკალბება, გაბითურება... ეს მცდელობა დღესაც გრძელდება... თარგმანთა უთვალავ ტომებს თუ გადავხედავთ, უმაღ ვირწმუნებთ, ჯერჯერობით ვოლტერია მართალი: მის აზრს ძვრაც ვერ უყო მთარგმნელთა შეუპოვარმა კვეთებამ, თავგანწირულმა იერიშებმა...

ლიტერატურა, რომელმაც აღმოაჩინა მარადიული ლტოლვილის ამაო ვნებანი და კაცთა წყვეტების უაზრობა და ხვალინდელის არარსებობა, ბოლომდე და შეუქცევლად უნუგეშობის უძირო მორეშში როდი გადაგვისვრის, რადგან: თუ ყველაფერს აბაბურებს და აბითურებს ის, იმას მაინც ვერ უარყოფს, რომ თვითონ რჩება, როგორც აღმოჩენა, როგორც ქმნადობის შედეგი, როგორც შესაქმის მისტერიის გამეორება და უკვდავი სიტყვით ხვალინდელშიც გაატარებენ ტალგატეხილობის მწარე ღრუბლებს და ასევე იმედის ნაპერწკლებსაც აღანთებს იმათთვის, ვინც ლტოლვილობამისჯილია, ვინც მოვა, რომ აქ ევნოს, რომ აქ იტანჯოს, შეიცნოს და უარყოს და ბოლოს მაინც გადაეგოს, როგორც წყვდიადის ერთი სანთელი, რომელიც იწვის, ანათებს და ბოლოს ქრება: ქრება უნუგეშოდ და წამუდამოდ.

დამიჯერე: შემეცნების გამჭვირვალება სულაც არ გეხმარება იმაში, რომ ირწმუნო განჭვრეტილობა და ნათლიერობა იმ არსისა, რასაც შემეცნება მოიცავს, რადგან ეს არის დემონურად პირქუში მეტაფიზიკური ბნელეთი, თვალუწვდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიშორე, რომლის არსებობაც იცი, მაგრამ ვერ ხედავ... და აქედან, კაცია უ-წეობის ამ უდაბური ნაპირიდან იწყება ეჭვების, კითხვების, ამოცანების მთელი ჯაჭვი, რაც. თავის მხრივ, ადამიანს ხელ-ფეხს უკრავს და განუზომელ მწუხ-რებაში აგდებს...

გეუბნები: შენ უნდა იპოვო შენი დრო, შენი დროის არსი, აზრი მისი დინებისა, შენ მხოლოდ შენს დროში აღმოაჩენ ისეთ სამყაროს, რომელიც ახალია, სხვა-თაგან ჯერაც თვალშეუვლენია... მხოლოდ ამგვარ დროზე შეიძლება თქვა, ამ მდინარეში ანკესი ჯერ არავის გადაუგდიაო... ის მხოლოდ შენ გეკუთვნის და შენგან მოელის ამოცნობას, ახსნას, გაცხადებას. და, თუ ვერ შესძლებ, მაშინ შენი დრო სამუდამოდ დაფარული და გაუხსნელი დარჩება.

დრონი იცვალნენ: ბევრი რამ წაიშალა მეხსიერებაში, ხასიათში, გულში... ოღონდ: საშველი არ დაადგა სოციალისტურ-მონურ აზროვნებას: ის სატანის ბრჭყალით არის ამოტვიფრული ადამიანთა შუბლებზე და, ღმერთო ჩემო, ყო-ველისმნახველი ინტელიგენციაც მისი მსხვერპლია, მისი წერაა... მისი ეროვნუ-ლი მზიდვაა!

ასოებით მხატვრობა. ბგერწერა. კონკრეტული პოეზიაა. უსიტყვო ლექსი. უფ-რო სურათი... თვალის არენა, სადაც გულის ადგილი აღარაა...

ასეა: ლიტერატურა როცა დაუძლურდება, დაკნინდება და გამოიფიტება, მაშინ ის პრიმიტივიზმში ეძებს თავშესაფარს, თავის თავს იმეორებს, წყალს ნაყავს, იწყებს ზერელე დუღილს, ქაფად იქცევა...

უეცარი შთაგონება, პოეტური აღმაფრენის მოვარდნა ჰქმნის შემოქმედების წამიერ გარემოს, ანათებს სიერცეს და სიტყვიერ ქსოვილს, გაჭოლავს დროს და, თავისი ხანმოკლე გაელვების ჟამს, თუ არ შეხვდა გამოცდილებას, სიტყვის ფლობის ხელოვნებას, გემოვნებას, ის სრულიად უშედეგოდ გადაეგება, დაიწ-რიტება, ნაჭკრება, ჩაინავლება...

ამაზრზენი რამ: როცა სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი ხალხის, თავისი მოქალაქეების დაცვა, როცა სახელმწიფე დაძაბუნებული და დადედლებულია... და (ღმერთო ჩემო), ამ დროს, საკალალო ვითარებაში, სახელმწიფოს კაცები საეჭვო თავაწეულები დადიან!

წაგებული ომი; დამარცხებული, სატელიტად ქცეული საქართველო... და ხალ-ხი: ძირსდამხობილი, ლუკმაპურისთვის მოლასლასე და იმედგადაწურული... და ხალხი: იარღასხმული, თავისივე მიწა-წყლის მარბიელი, ძმათა სისხლის-მღერელი... და ხალხი: რწმენადაკარგული, უგზოდავალი... და ხალხი, ვინც ვასაკითხავს, ვინც აღნუსხავს ქვეყნის ტკივილებს, მის ჭრილობებს... აფასებს, წონის, ზომავს... და არავინ არაფერს არ ცვლის, რადგან, როგორც ნათქვამია, შეცვლის მხოლოდ ის, ვინც კი არ განიკითხავს, არამედ გადაარჩენს!..

ტოტალიტარულ-ცენზურულ გარემოში ლიტერატურა ეცემა: ის კარგავს თავის განსაკუთრებულ, ღვთითპოძებულ სახეს და პრიმიტიული პოლიტიკის მარიონე-ტად იქცევა... ან: იკეტება თავის თავში, ეშვება ქვიტექსტთა მღვიმეებში, იხარ-შება პერმეტიზმის მოღობილში და, დახშულობის გამო, ის ველარ მიდის მკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახელამდე... ეს ყოველივე ჩვენთვის ნაცნობია: ჩვენ გამოვიარეთ ეს ამაზრზენი სკოლა: ჩვენ ვართ საბჭოური ჰერმეტიზმის შვილები.

გუტყვი: გწამდეს და შენს რწმენას გონისეულ ქატს ნუ შეურევ, რომ რწმენის მიწაში ეჭვის მცენარე არ დათესო, რომ ღმერთისაკენ მიმავალი ტანჯვის გზა გაუსაძლისად არ მოგეჩვენოს, რომ გონიმა ცდუნებამ ეშმაკთან არ მიგიყვანოს, რომ...

არაფერი ახალი არ იქმნება ცისქვეშეთში, გარდა სტილისა. სტილია კაცის, სულის, გემოვნების ნიშანი... იმასაც კი გაიგონებთ, კარგი მწერალია, მაგრამ თავისი სტილი არა აქვსო და ამით განაჩენს გამოუტანენ მავანს: თუ სტილი არა აქვს, მაშინ არც მწერალია; მორჩა და გათავდა!

სიტყვა, ჭკუადამჯდარი ინტელექტუალის გულით ნაკვები, უცებ ფამილარულ ჭუკჭუკში გადადის და გრძნობ, როგორ აკლია ის თავარი, რასაც მწერლურ ნიჭს ეძახდნენ ჩვენი წინაპრები და რასაც ჩვენც ამგვარადვე მოვიხსენიებთ, იმ უბრალო და საყოველთაო ჭეშმარიტებაში დარწმუნებულნი, რომ უმიზნო სიტყვამრავლობა უნიჭობაა და მეტი არაფერი!

ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის ცხედრს მივაცილებდით ჩარგლის სასაფლაოზეკენ: ვიღაც გულჩამჯიღვით ამბობდა, ეგ ამიტომაა ძვირფასი, ვაჟაის ხელდანაკარებია, ამისი ხელის სითბო ახსოვსო... სხვები გაოგნებულები მისდევდნენ, მხრებჩამოყრილები, რიცრაციით... აღმართი ავთავეთ და ჩარგლის მომცრო ეკლესიის ნანგრევიც გამოჩნდა: აქა სწორავდა ვაჟას მამა, პავლე მღვდელი; აქა დიაკონობდა მიხა ხელაშვილი... აქვე ეკლესიის შემოგარენში ასაფლავია დიდი პოეტის დედ-მამა, ვაჟას ცოლი კეკე... აქვეა მიხა ხელაშვილის საფლავიც... სასაფლაოს ხილვამ შეგეზარა: ღორების კოლტს იქაურობა სულმთლად გადმოეთხარა, საფლავებიდან ძვლებიც კი გადმოცვენილიყო... ამ სახილველით გულდამძიმებულებს თითქოს შორიდან, უხსოვრობიდან ჩაგვესმა ღირსი მამის თადეოზ იორამაშვილის ბალობა, ამ იავარქმნილ სასაფლაოზე გოდებასავით რომ დაირხა და მწარედ აბურძგლა სუყველა: ჩვენ, ვინც კაცთა გულქვაობას ეტიროდით, და ისინიც, ვინც დაივიწყა მამა-პაპის წმინდა ხატვალე!

გახსოვდს: ენა ღვთის ტაძარია ამქვეყნიური. ვინც მას ანადგურებს, ის უპირველესად ღვთის წინაშეა დამნაშავე; ვინც მას ანგრევს: ანგრევს თავის თავს!

მონტენი ამბობს: მე ვარ ბორდოს მერი, მაგრამ ქალაქის მერი მონტენი და მწერალი მონტენი სხვადასხვანი არიან, სხვადასხვა გზებით მიდიანო...

მეუბნება: შენ ვერ გაიგებ, ვერ იგრძნობ, რა კმაყოფილებაა, რა აღზევებაა, რა სრულყოფილებაა, როცა ეს ფართო კაბინეტი შენ გეკუთვნის და ზიხარ აქ ბატონ-პატრონი... ეგენი რომ შემოიძურწებიან, თვალს რომ ვერ ვისწორებენ, რომ გელაქუცებიან, გეპირფერებიან... აქედან, ამ სკამიდან ჩანს შიშველი ხასიათები, შიშველი ენებები, შიშველი სული... ამას შენ ვერ გაიგებ...

მწერალი საკმაოდ ძნელი მოსასყიდია, თუმცა კომუნისტები ამას ძალზე იოლად ახერხებდნენ! მოსყიდვის ამაზრზენი პროცესი ჩვენს თვალწინ დუღდა. გვახსოვს... ვიცით... იყო მოსყიდული, მიმხრობილი, ჩინ-მედალ-პრემიებიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლების მთელი არმია... და, თუმცა ამგვარი რამ მოსალოდნელი არ იყო, ამ მოსყიდულთაგან ზოგიერთებმა შესანიშნავი წიგნები დაწერეს... უოქკამთ: დაჩოქილ პოეტებს მუზები დალატობენო... როგორც ჩანს, ეს სენტენცია ზოგჯერ არ მართლდება... და, თუ როდის არ მართლდება და რატომ არ მართლდება, ამაზე შენ იფიქრე და იმტკრიე თავი!

მეუბნება: საბჭოთა გენსეკებივით ესენიც ძალაუფლებითა ტკბებიან, ამბიციის სენითა სიცდებიან, იბერებიან და, უდავოდ, იმ გენსეკებივით გამოყეყეჩდებიან სულმალე... ეგეთი ბოლო ელის ნაკომუნისტარ-ნაკომკავშირალ-ნარაიკომის-მდივნალ ერის მამებს... ვიცი ეს, ვიცი!

მხატვრობის შედევრები ტყვეობისთვის იბადებიან...

„ვიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო...“ საფურცლეს მომხდარმა დიდმა ღალატმა შეიწირა ზურაბ ერისთავი. ის მოჰკლეს სამამრის, თეიმურაზ მეფის სასახლეში... ხალხური პოეზია, ერთის მხრივ დასტირის დაუდგარ ზურაბს, ხოლო, მეორეს მხრივ, მარჯვენას უქებს ელუმი თუღუმშვილს, ვინც მძინარე ზურაბს დასცა ხანჯარი... მძინარე კაცის მოკვლა რომ დიდი ვაჟკაცობა არაა, ეს ბავშვმაც კი იცის. მაშ, რატომ აქებენ ელუმის მარჯვენას? საქმე იმაშია, რომ ზურაბი ჩვეულებრივი ვაჟკაცი კი არ იყო, არამედ: ის იყო ლომი, რომლის ამოსუნთქვაც საშიშია... ამის გამოა, ელუმს დიდ ვაჟკაცობად რომ ეთვლება მძინარე ზურაბის მოკვლა... ხოლო მძინარე ზურაბის ბოლო გაბრძოლება ასეთი იყო: „ზურაბმ, ჭირთ გაცოფებულმა, ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი!..“

გეტყვი: განა ამაზრზენი სიბრიყვე არ არის, არ აიღო ის, რასაც ზენაარი გაძლევს, ხოლო მუდამ ეპოტინებოდე იმას, რასაც შენთვის არავინ არ იმეტებს, რასაც ძალადობით და წყვეტებით ვერ მოიპოვებ... ცხოვრების სიბრძნეც ხომ ესაა: შეუცდომლად განსაზღვრო, რა გეკუთვნის შენ და რა არ გეკუთვნის.

თავს ნუ მოიტყუებ. ბალახი უმიზნოდ არ ამოდის: სპონტანურად ის რაღაცას წინ უბიძგებს, რაღაც წინ მიჰყავს... უდრეობისთვის შექმნილი ლექსიც გზას პოულობს კაცთა გულებისაკენ; თვით განუჭვრეტელი იდუმალებიან ასხლეტილი სიტყვაც კი ვიღაცას არგია, ვიღაცას უჯიკავებს, წინ მიჰყავს, გზას მიუნათებს...

მისთვის გაუგებარი იყო ეს ლუღლუღი: აზროვნების ეს პრიმიტივიზმი, წაკითხულით ან სადღაც გაგონილით კეკლუცობა... ღმერთო ჩემო, ამ სამარცხვინო წილადობილას ზოგჯერ კლასიკასაც კი არქმევდნენ და ამ ქატოთი ჰკვებავდნენ ყმაწვილთა უმწიფარ სულებს.

ეუბნები: ღმერთმა გაშოროს ფუყე, ამბიციას აყოლილი და ყეყეჩი რედაქტორი!.. ინატრე ისეთი, ელიოტს რომ შეხვდა: ეზრა პაუნდი! როგორც ამბობენ, ეზრამ გაანახვევრა „ბერწი მიწა“, დატოვა მხოლოდ ოქროს კრისტალები, შლამი და მდვრიე წყალი მოაშორა, გადაღვარა...

დამიჯერე: ვისთვისაც შენ წერ, ისინი შენი თანამედროვეები სულაც არ არიან... და, რადგანაც არ იცი, ვისთვის წერ, ამიტომ არავითარი წარმოდგენა არა გაქვს იმ ხალხის გემოვნებაზე, ვისთვისაც წერ... შენ არ იცი მათი წყურვილის, მათი ლტოლვის ორიენტირები, ამდენად: შენ ხარ მთლიანად თავისუ-

ფალი და შენი წარმატებაც, თუკი ის ვერგო, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობაა და მეტი არაფერი!

ედგარ პო ისე აღწერს „ყორანის“ შექმნის ამბავს, რომ ანაზდად გაიფიქრებ: ეგებ შედეერის შექმნა ვინითი ჩხირკედლაობითაც კი იყოს შესაძლებელი... მაგრამ ვინ გაანათლისებს გენიოსის გონით ზიგზაგებს, აფეთქებებს, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა სწორედ შთაგონების ფანტასტიკურ მოვარდნას თანახვდეს... ივავე შეიძლება ეიფიქროთ გალაკტიონის ბევრ ცნობილ ლექსზე, რომელთა რითმებს წინასწარ ადგენდა პოეტი...

ბეტყვი: ბედნიერების ძებნით ერთობა მხოლოდ ბრმა, ვინც ვერა ხედავს სამყაროთა ნაღვლიან, შემზარავ საშორეებს, სადაც კაცნი ეცემიან მტრული სიტყვით გაკორტნილები, ვარდებიან დაკოდილი ფრინველებივით და სადაც საშველის ძიება მხოლოდ არყოფნის ნატვრაა...

მარცხდება ის, ვინც დაკარგა გულწრფელობის ძვირფასი მარცვლები: ფუძე, ხერხემალი, საძირკველი ხელოვნებისა...

მოდი, მედროვეს ვაპატიოთ ის, პოლიტიკის რომელიმე გრანდს ფეხისგულებს რომ ულოკავს, მაგრამ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა ბაცაცა პოლიტიკოსებსაც ამგვარად ექცევა? ეს ხომ უზნეობის იმდენად მაღალი ხარისხია, რომ მისი წარმოდგენაც კი ჭირს...

პოეზია მომავალ დროთა ზონდირებაა: მომავლის თაობების შესახვედრად გაშვებული სიგნალია, თავისთავად რომ ამტკიცებს ჟამთა ერთიანობას და გვეუბნება, რომ მსმენელს, მოყურაადეს, მომხმარებელს პოეზია მხოლოდ თანამედროვეთა შორის რიდი დაეძებს, ის მომავლის სულებსაც სწვდება და ჩვენკენ ახედებს, უბმობს...

ბეტყვი: ვინც ეროვნული მოძრაობის სამანებზე ფიქრობს, ვინც მის სიგრძე-სიგანეს და ხარისხს განსჯის, ვინც ამ მოძრაობის მდვრეე ისტორიას თვალს მიადევნებს, ვერანაირად ვერ ამოშლის, ვერ ამოგლეჯს ამ მოძრაობადან ქართულ პოეზიას, ქართულ ლექსს: თავისუფლების ერთიან სიმღერად რომ გაიხმის და ჩვენს მიწა-წყალს რომ დარაჯობს, როგორც უკვდავი, მარადიული მეცხოვნე.

ივავი: ივავი ნამტვრევია, შხეფია ძველისძველი სინამდვილისა. ივავი რაღაც ამბის გულისგულია, ხერხემალია, მთავარი ძარღვია ის ინახავს სიბრძნეს, მორალის ტვიფარს, შეგონებას... ივავებით გვმოძღვრავს ეესო...

გარდასახვა, ბეტყვს რომ უვლის აზროვნების რუტინას, ცინცხლად რომ გადმოიღვრება: ეს არის წმინდა პოეზია, თუმცაღა მასალა, სიტყვის ქსოვილი მას ერთგვარად ამრულებს... ეიტყვი ასე: წმინდა პოეზია მიიღწევა სამყაროს დუმილში, უსიტყვოდ; ის არის მიღმური შემეცნების ანასხლეტი შუქი; ის არის მიუწვდომელი, როგორც ღმერთი...

ბეუბნები: აქ მხოლოდ გზად გავიარეთ და, ამდენად, ამ მიწაზე ჩვენი ნაკვალევის დატოვების რაიმე პრეტენზიაც ზედმეტი და უადგილოა... ასეა: მგზავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ კვალზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ: უსაფრთხო, კეთილ მგზავრობაზე... ჰოდა: მგზავრო, ამოიგდე გულიდან ეს უკეთური ფიქრი და წინ იყურე: რაიმეს ფეხი არ წამოკრა!

კინოვარი. ფილოსოფიური ქვა. ფერადი მინერალი. დაოსი ალქიმიკოსები ლამობდნენ ამ ქვიდან ოქროს მიღებას, უკვდავების წამლის დამზადებას და ა. შ. ამბობენ: ამ ქვიდან დამზადებულ უკვდავების წამალს ეზიარა თვით ლი ტაი-ბო, დიდი პოეტი: მერმე მდინარეში გადახტა და, ზარხოშად მყოფმა, უკვდავთა სოფლისაკენ გასცურა წყალში მოტივტივე მთვარესა და ვერცხლისფერ თევზებთან ერთად.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის გმირებს მათრახით ერეკება ჯოჯოხეთში: მერმე იქიდან იმათ გამოხსნას ცდილობს და ახერხებს კიდეც... ოღონდ ამ დრამატულ ყოფას, ამ კონვულსიებს, მიწის ზიგზაგებს, ამ ცეცხლს თვით სიტყვაც კი ვერ უძლებს: ლღვება, იგრიხება, ინაცრება.

ლექსი: როგორც სულის გაშიშვლება, პირველყოფილი ღვთაებრივი სიტიტვა, დაუფარაობის დემონსტრირება... რადაც სამოთხეში დაბრუნების მსგავსი, ბიძგი ღვთაებრივი სინათლისაკენ.

მეუბნება: ეგ პირუტყვთმავალი იყო და სასჯელიც შესაბამისი ერგოთ: იმ საქმის ჩადენისას ცხენმა ტყუპი წიხლი ჰკრა ლაჯებში და სუყველაფერი დაუხეთქაო... აბა, რა ექიმი, რა ვექილი, მაგრამ ალარაფერი ეშველაო... ახს რომ იტყვიან, სწორედ ისე დამართაო.

შემეცნება ღმერთის წყევლაა: ვინც სამყაროს შეიმეცნებს, ის მწუხარებას მოიმკის... აქედან სათავეს იღებს გლობალური პესიმიზმი და ამქვეყნად არაა ხორციელი, ვისაც მისი შხეფები მეტ-ნაკლებად არ მისწვდენია.

სურათი: ტრამალზე გაფენილი მდინარის უკაცრიელი ნაპირი. სიცხით გადარუჯულ მდელოზე ქალი მოდის. მდინარეს დაეხრება: ცალი ჰეშვით წყალს შეისხამს პირისახეზე. აქეთ-იქით იხედება; ისე, როგორც წყალთან მისულმა ნადირმა იცის: სანამ დალევს, ჯერ არემარეს შეამოწმებს, დაყურსავს... ქალი ცხელ ქვიშაზე ეშვება, იხდის მთლიანად... წყნარად ირჯება. მერმე საიდანღაც ქაღალდში გახვეულ საპონს ამოაძვრენს და იწყებს ტანისამოსის რეცხვას, ძალოვნად, გამალებით... გარეცხილს ქვიშაზე მიაფენს. მერმე ისევ მდინარეს დაეხრება... ახლა უკვე მთელს ტანზე შეისხამს... და გრძელი ნახტომით მდინარეში გადაეშვება: წყალს მიაპობს მისი გარუჯული, ჯანმრთელი ტანი...

ვერ იტყვი ასე: ინსტრუმენტები მოძველდა... რადგან ამ სამყაროში ყველაფერი ძველისძველ ინსტრუმენტზე ასაღერებლადაა შექმნილი... ვერავინ იტყვის: ეს მუსიკა იმ ინსტრუმენტისთვისაა დაწერილი, მომავალში რომ შეიქმნებაო... წრეგადასული უგუნურება იქნება, ლიტერატურაში ამ აზრის საპირისპიროდ თუ ვიელით: აქაც არაფერია მოძველებული. ყოველი ფორმა ისევ ცინცხალია, გემოვნებაც ისევ ისე ზეაღმავალია და, ვაი იმას, ვინც ამ ფორმებს, ვინც კაცთა გემოვნებას გულაგდებით უყურეს და კადნიერებაშერეული სიჯიუტით ამბობს, მე იმ ინსტრუმენტისთვის ვწერ, მომავალში რომ შეიქმნებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ რამდენს წერდა? ტოლსტოი თავის ცნობილ დღიურში წერს: გუშინ თვრამეტი თაბახი დავწერეო... ხოლო დღეში ერთ ფრაზას, ერთ აბზაცს რანდავდა არა ვინმე უდღეური მწერლუკა, არამედ დიდი ფრანგი მწერალი გუსტავ ფლობერი.

პოეზია უკედაყოფს ესთეტიზმს, სიტყვის ჯადოქრობას, წინასწარმეტყველების უნარს... ყველაზე დიდი წინასწარმეტყველება ნოსტრადამუსისა ლექსში არის გაცხადებული. წინასწარმეტყველი — მჩხიბავები და მკითხავები ლექსად დადებენ... გეტყვი: წინასწარმეტყველება ლექსში ინასკვება: ის მოითხოვს მაინცდამაინც ამ ფორმას: ღვთაებრივს, ზეადამიანს.

შეხედა კაცთა ამ სასაკლაოს, ამ ხოცვა-ღლეტას, ამ გაუგონარ სიბილწეს, სიბინძურეს... ქვეყნიერების ამ დასასრულს... გეუბნები: ვერანაირი სილამაზე სამყაროს ვერ იხსნის, თუ ის ზნეობრიობის, რწმენის, სიყვარულის მზით არ არის განათებული.

აფხაზეთის ომის დროს ამაზრზენი რამ გამოვლინდა: კანიბალიზმი... კაცის სისხლის დალევა, მოკლული მოწინააღმდეგის აკუწვა, აქნა, გულის და შოგნიულის ამოღება... თითქმის ამგვარივე რამ განმეორდა ჩეჩნეთის ომის დროსაც... ამას ვინც სჩადიოდა, ვიცით! რა არის მიზეზი: ატავიზმი? რელიგიური სიძულვილი? ადამიანთა ხელახალი გაველურება?

ხალხთა ინტეგრაციის გარდუვალობით შეძრული გულები, მოისმინეთ ხოსე ორტეგა ი გასეტის შორეული და წინასწარმეტყველური ხმა: „ნაციონალიზმის გზას არსად არ მივყავართ. გაჭყვეთ ამ გზას ხვალინდელი დღის საძებნად და თქვენ ჩიხში შეხვალთ... დაუკვირდით, რა ხალხი ქადაგებს ნაციონალიზმს და რა პრამიტიული მეთოდებით ხელმძღვანელობს და თქვენ თვალნათლივ დარწმუნდებთან, რომ ნაციონალიზმი და ისტორიული შემოქმედება ორი ურთიერთშეუთავსებელი რამ გახლავთ..“

მეუბნება: ვინც ომში არა ყოფილა, იმან სიკვდილის სუნი არ იცის, იმის ნესტოებს ეს ამაზრზენი რამ არ შეუსუნთქია, იმისი ფილტვები ამ სუნით არ გაჟღენთილა, არ დაბერილა დასკდომამდე... ამ სუნს ვერ მიეჩვევი, ვერ გაითავისებ და ვერც იმას მიხვდები, საიდან მოდის ის: მაწოდან თუ ცოდან... ზოგჯერ გგონია, რომ ამ სუნს შენი თმა გამოსცემს, ზოგჯერ გეჩვენება, რომ ეს სუნი ფრჩხილებიდანა გდის, ხოლო ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობ, რომ ამ სუნს სიტყვა გამოასხივებს...

დამიჯერე: ზენაარის არსებობა მტკიცდება ღვთიური საქმეებით. ეს არის რწმენის ძირისძირი... სხვა ყველაფერი თითოდან გამოწოვილი მეტაფიზიკაა, რაც, თავის მხრივ, აგნოსტიციზმის ტყვეობაში გვაგდებს, გვბოჭავს, საშველს არ გვაძლევს.

მიხა ხელაშვილი: „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“... არა დაწერა, შეთხზა, თქმა, შექმნა, არამედ: ამოთქმა. შიგნიდან, გულის წიაღიდან ამოტანა, ამომზევება; ამოთქმა: ეს არის ქმნადობის ყველაზე მასალები, მიახლოებული, ნთელი სახელდება, რაც ბევრ რამეს მიანიშნებს, ბევრ რამეს გვეუბნება, გვიხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უფალო, უფალო! რატომ მიმატოვე?!“ ეს იყო იესოს ბოლო სიტყვები, „ეს მდგომი რომ მისწედა. ამის მერმე კიდევ რაღაც თქვა, ამოიგმინა, ამოიხავლა, იყვირა საშინელი ძალით. რა სიტყვები გამოერია ამ ყვირილში, რა სიტყვები აითქვეფა ამ საბოლოო ამოხავლებაში, ეს ვერავინ ვერ გიგონა. სავარაუდოა, რომ ეს სიტყვა იყო: „აღსრულდა“. ამას იოანეს სახარებაც გვეუბნება... აღსრულდა ის, რაც ნათქვამი იყო, რაც ნაწინასწარმეტყველევი იყო მრავალგზის... ხოლო სიტყვები — „უფალო, უფალო! რატომ მიმატოვე?!“ — იმის მერმე გაქვავდა კაცთა ხსოვნაში, იმის მერმე მათ უკვე სხვაგვარი, კონკრეტული აზრი და მნიშვნელობა მიენიჭა; ამ სიტყვებმა სხვაგვარი დატვირთვა შეიძინეს.. ეს სიტყვები იმის მერმე იქცა კაცობრიობის ერთიან, გაბმულ კვნესად...

სიკვდილის შედეგი: სული, როგორც სუფთა ფურცელი... ასეა? ამ კითხვის პასუხი იმასა აქვს, ვინც თავის თავი დაივიწყა, ვინც სიკვდილის მოღობილში შეაბიჯა... და ის ამ კითხვას ვერასოდეს ვერ უპასუხებს!

მას ჭკვნია, თითქოს თავისუფლება საიმედოდ ჩაკეტილი საზღვრებია, შუბლნაოჭიანი მოხელეებით დაკომპლექტებული საბაჟოებია, ვიწრონაციონალურ-ეგოისტური პატრიოტიზმით ნაკვები კონსტიტუციაა. ამ აზრს ვერ გამოუფერთხავ თავის ქალიდან და იქ ვერ შეაგზავნი თავისუფლების უფრო ჭეშმარიტ წარმოდგენას, რაც ზემოთ მოხმობილ ნიშნებს სულაც არ გულისხმობს. პირიქით: უარყოფს მათ, რადგან თავისუფლებას მტკიცე მოღობილში გამოკეტვასთან არაფერი საერთო არა აქვს, არა...

სიბერე რწმენას ამძაფრებს: ახალგაზრდობის ჟამს რასაც შემეცნებით, გრძნობებით ვერ მისწვდი, სიბერეში ყოველივე ამის ანაზღაურებას რწმენით ცდილობ.. და ეს მოახლოებული სიკვდილის შეგრძნებას გიმსუბუქებს...

ამინ არ-რეიპანი: „არიან ორგვარი პოეტები: პოეტები თავისი ხალხისა და თავისი დროისა და პოეტები ყველა ხალხისა და ყველა დროისა...“ მეორენი უდაოდ კოსმოპოლიტიზმის ნაშიერები არიან და, თუ ვის ეკუთვნიან ისინი, კაცაშვილმა არ იცის.

პოეტი წინასწარმეტყველი. ბიბლიური წინასწარმეტყველები პოეტები იყვნენ; პოეზიაა ქრისტეს ბიოგრაფების შემოქმედება; პოეზიაა ბიბლიის შემდეგდროინდელი მედიტაციები და საგალობლები; პოეზიაა თავდაპირველი წარმართი მოგვების ნათქვამი სადიდებლები; პოეზიაა იოანეს გამოცხადება; პოეზიაა შემდეგი დროის მჩხიბავთა ქადაგებანი... ეს ყოველივე წინასწარმეტყველთა სუნთქვაა, ჟამის წინამსწრობი ლიღარია, ცისიქითური ყნოსვაა. გვუბნები: პოეტობა მომავალ ჟამთა გაჭოლვაა... ამ უნარის არმქონენი უბრალოდ მელექსენი არიან და. წარუვალ, ღვთიურ, დროის გამკვეთ ნათლიერთან მათ არაფერი არ ესაქმებათ: ისინი ამ ნათელს, სამწუხაროდ, ვერ იხილავენ..

ლევ ტოლსტოი გვაბნევს: სიჭაბუკის ჟამს არაერთგზის იხსენებს თავის დიდ სიყვარულს: სონია ბერსს... სიბერის ჟამს დღიურში წერს: არ მიყვარდა ეს ქალი, საკვირველია, ცოლად რატომ მოვიყვანეო... და მიიჩნევს ამ ამბავს ერთგვარ სასჯელად, ღვთის რისხვად.

ბიუროკრატიულ ნაჭუჭში გამომწყვდეულ, ოჯახურ და ვიწროკუთხულ ეგოიზმს აყოლილ, ქურდაცაცობის და ქვაბავაზაკობის და სისხლისმსმელობის გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამდგარ ერს თუ ბედისწერამ არ მოუვლინა რაიმე სასჯელი, მაშინ ერის ძამეშმა უნდა დაატეხონ თავზე დიდი რამ განსაცდელი: რომ ერი გამოფიხზლდეს, თვალი გაახელოს, მოიძიოს გზა განწმენდისა, გადარჩენისა, აღმასვლისა, სინდისის გაღვიძებისა.

ეუტყვი: კალამი თუ სიტყვის მოვარდნამ არ აგაღებინა ხელში, თუ საწადინოდ, საკარჯიშოდ აიღე, მაშინ მაგისი უქმი, ამაო წრიპინი სუფთა ფურცელსაც კი გულს აურევს, ხოლო სიტყვებს თავის თავს შეაძულებს, დაფფრთხობს, დაფანტავს...

კეთილი გენიოსი: ვინც უკვდავყოფს იმ გზას, სადაც გაიარა, უკვდავყოფს გზის ნაპრის შემჩნეულ საგნებს, უკვდავყოფს გულითად ქალთა სახეებს, ამ გზაზე რომ შეხვდა ოღესღაც და რომლებმაც ძუნწ, ობივატელ, მორალისტ მდედრთა საპირისპიროდ, ვისაც პროვინციული მიუკარებლობის გამო ამორალური და უკეთური უფრო ეთქმის, ვიდრე ზნეიბრივი, გულუხვად გასცეს სითბო და სიყვარული, თუნდაც სულ მცირე ხანს სამყოფი, სულ მცირე ხნის საგზალი.

ღმერთი ჩვენთან არის. ამ სიტყვებით თავს ინუგეშებს ადამიანი. ეს არის შეგონება ერთვვარი... ხოლო ჭეშმარტად ნუგეშცემული ის არის, ვინც თავის თავში შეიგრძნო ღმერთი... და ის დუმს, დუმს...

პოეზია ყოველთვის რაღაც საიდუმლოს იმალავს, იმარხავს გულისგულში, როგორც გამოუცნობ სარკოფაგში, რაზეც ის ხატვენი ფრაზების, სახეების და სხვა ხარახურის ყორღანს აღმართავს ხოლმე... და ეს ზოგჯერ სურათს აყალბებს და, სარკოფაგის არსებობა რომ გვეგრძნო, იმის მაგიერ ყორღანის ელვარებით და სიმაღლით ვტკბებით... აქ რელიეფის მორთულობა უფრო მიმზიდველია, ვიდრე ხიბლი საიდუმლოსი... თუმცა, უნდა ვთქვა: ეს ყოველივე საიდუმლოს მნიშვნელობას როდი აკნინებს.

აღმოსავლეთისა და ევროპის შერწყმამ აღმოაცენა ესპანეთის სისხლიანი პოეზია: გაუგონარი რიტმები, სიტყვის მიმოხვრაში გაცხადებული; სიტყვები: თითქოს სისხლის ზხეფები; სიყვარულის ამოკვნესანა... აღმოსავლეთი და დასავლეთი აქ გადაეწნა ერთიმეორეს. შედეგი: განსაცვიფრებელი... ვიაზროთ: რას გვიქადს კონტინენტების, კულტურების ინტეგრაცია, რაც გარდუვალია, როგორც წარღვნა, როგორც მეორმოსვლა, როგორც უფლის გამოცხადება.

დაიმახსოვრე: წმინდა პოეზია მღვიძარე სინდისის ანარეკლია.

ჩუან ჯოუს დაესიზმრა, რომ ის პეპელაა: დაფარფატებს ყვავილიდან ყვავილზე, თავის უნაზეს ფრთებს დასცქერს მდინარეთა კამკამა სარკეებში... გავიდა, გაიღია პეპელას ერთი დღის, ერთი სიზმრის სიცოცხლე. დაიღალა პეპელა, გაეცრიცა ჭრელი ფრთები. ბოლოს უღრან ტყეში ფოთლის გრილ ნაოჭში ჩაძინა. და აი, საოცრება: პეპელას ესიზმრა, რომ ის ჩუან ჯოუა; ის მოძღვრავს ადამიანებს, თავს ევლება ჩინის ქვეყანას და წერს უკვდავ წიგნს „ჩუან ძი...“ ლეგენდა აქა მთავრდება. სავარაუდოა, რომ ეს სიზმარი მრავალჯერ გამეორდა და... დღეს მდინარის სარკეში მაცქერალ, მოფარფატე პეპელას რომ დაინახავ, შესაძლოა, ის სულაც ჩუან ჯოუა: საღამოს ის ჩათვლემს და სიზმარში კვლავ მოძღვარ ჩუან ჯოუდ გაეღვიძება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გეტყვი: მკითხველმა მიატოვა წმინდა პოეზია, ზურგი აქცია მას. ახლა მისი სიზრდო გახდა ვულგარული პრემატივიზმი: უნიჭობის თავხედობა, აჭიაპაჭია რითმოსნობა, ავყია ლაზღანდარობა, პეთეტიზმი... ნოვატორობად მიჩნევა, თუ ლექსში გაილანდება პორნოფრაზები: ქალის საიდუმლო საპკუთხელი, ენითუთქმელი გინება ან სხვა რამ ვულგარული სურათი...' გეტყვი: ეს ყველაფერი კარგია თავის ალაგას: იქ, სადაც არის. შესაძლოა მათი ადგილი ლექსშიც შოიძებნოს, მაგრამ არა ყოველთვის და არა მრავალჯერ... მერწმუნე: წყობილსტყვის პასუხისმგებლობა ესაძირკვლება. სხვაგვარად ჩვენ სიტყვიერ მყაფში ჩავიძირებით.

დაფიქრდი, ეგებ, ესეც სიმართლეა: შემეცნებითი გაცხადების ანალიზი და მისი სისტემურობა ჩაითვლება სიბრძნედ, წვდომის აღიარებად... ასევე სიბრძნედ ჩაითვლება თვით შემეცნების შემეცნებითი წვდომაც, რადგან: შეიმეცნება არა მარტო სამყარო, არამედ შეიმეცნება შემეცნებაც... ყველაფერი ეს სიბრძნეა... თუმცა ოდითგან სიბრძნედ ითვლებოდა მხოლოდ მორალისტების ნააზრევი: გამომწვარი, ქვადქცეული სენტენციები... მე გეუბნები: სიბრძნეა წვდომის შედეგი, სიბრძნეა შემეცნების პროცესი: მარადიული, დაუსრულები... და მარად ახალი, როგორც სამყარო, როგორც ბუნება, როგორც ღმერთი...

ახლა ჩაძინებულ არწივს გაუმარჯოს! — იტყოდა ემპიმე, თამადა და კითხული კაცი, ისე იტყოდა, თითქოს ჩაძინებულ თანამეინახეს ჩასძახისო, — ჩაძინებულ არწივს გაუმარჯოს, ახლა თავის გრძელ სიზმარში ჩვენს სუფრას რომ დაჰყაშაშებს, დასტრიალებს, გული ლხენით რომ ევსება!

მეტი რაღა გინდაო, უთხრა ლაბაბიანმა თავმჯდომარემ, ხომ ხედავ, გასაქანს გაძლევო... ემპიმემ ეგრე უპასუხა: გასაქანს კი მაძლევ, მაგრამ გული იმის გამო მტკივა, გასაჩერებელს რომ აღარ მაძლევო.

ამბობდა: თითო-ოროლა შუბლზე ძარღვგაწყვეტილი, შხამითესია დემაგოგი მწერლობას არ დაელევა და, ვინც მაგას მოსახმენად გაუყურღება, ის კიდევ უფრო უარესი მგონიაო...

სამოციან წლებში თიანეთში, ახმეტაში, თელავში ბევრ სახლს ამშვენებდა ეს უბრალო და მრავლისმეტყველი წარწერა: „აქ ღამეს ათევდა ვაჟა-ფშაველა"...

აი, კიდევ ერთი ამაზრზენი ჩვევა ჩვენეული: საფლავების და სასაფლაოების დახარისხება.

წმინდა პოეზია არის უსასრულო, როგორც გულის რიტმი ზეციერისა, როგორც ზეესთეტიურის მეუფების ფორმა უღავო...

ვალაკტიონი, „მთაწმინდის მთვარეს" რომ კითხულობს: უფრო წრფელი, ნაოელი და უშუალო ხმა წარმოუდგენელია! პოეტი თითქოს უიმედო ბრძოლაშია ვადაშეებული და ლექსის ბოლო სტროიტნიც თითქოს ომიდან გამოსული, დაჭანეული მხედრის ხმაა: თითქოს ბოლო ამოკვნესაა, თითქოს შვების ამოსუნთქვაა. ეს ომი კლოუნის ომს უტოლდება: როცა ის მაყურებლის მიმხრობას, მოჯადოებას, გაკვირვებას ცდილობს. თვით ვალაკტიონი ასე აღწერს ამ ამბავს: „მე შენი თმები გულთან დავიწყე, სახედ მასხარას გრიმი წავიცხე, სცენაზე ხალხის მომესმა სტვენა, როცა სიმები ჩანგის ავიწყე"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშველეთ!!! — მისი განწირული ხმა გველნაკბენივით ამოხტა წყლიდან, ციმბირის ბუმბერაზმა მდინარემ მსუბუქად ჩაისუნთქა მისი ტანი... კეფა ფსკერს შეახო, მერმე ატრიალდა და გაირინდა: იგრძნო დიდი, ნეტარი სინათლე: ის თითქოს ყოველი მხრით მოიწევდა... და საბოლოოდ გაიბრძოლა: ფეხი დაჰკრა ფსკერის ქვიშას და აიწია, აიწია, თითქოს სინათლის პატრონებმა ზევით ამოაგდეს. ზედაპირის ლაპლაპმა თვალის სინათლე გადაუსხიპა. დალანდა შორს გაფენილი მდინარის შემზარავი სხეული და კიდევ იქით: უკაცრიელი ტრამალი. რადაც შეეხო: მორი... მკლავები შემოაჭდო და ისევ გაირინდა. იგრძნო ჰაერი, იგრძნო შიში, იგრძნო იმედის ნატამალი.

ერთი მოგონება: კაკული ვასაძესთან ჭიქა ღვინის შევრჩით. სუფრობას შემოეხვრო დიდი აკაკი ვასაძე: ხანმოოეული, ბრძოლებგაძოელილი... მოილხინა, დავგმოძღვრა: ბრძნულად, წინასწარმეტყველურად: ახალგაზრდები მაქსიმალისტები ხართ და ამის გამო შესაძლოა ყველაფერი დაკარგოთო... მერმე წაიკითხა ვაჟა-ფშაველას შედევრები უცნაური, ციხქალთური ხმით: ამ ხმამ ყინვის ეკლებით დაგვბუხუნა... ჩვენთვის მაშინ გაცხადდა ტიციანის ლექსი: „შენ მარილაც ნიჭის ღმერთი გიღიმის, რა საოცარი იყავი დღესაც! — მეზნებარე როგორც ჯამბაზის სიმი, საზარი, როგორც ნიღაბის კენესა“.

ისინი იბადებიან სიკვდილის ნიშნით: დაუმორჩილებლები, სიცოცხლის არადაჩამდებები, სიკვდილის ბუწუწიანები... ისინი იმზადებენ ტრაგედიას და იმათი ცხოვრების კვალდაკვალ, იმათ პირქუშ ნატერფალზე ამოდის ლეგენდების ხშირი ბალახი..

დაიჩოქეთ, დაიჩოქეთ, მოდის!“ — იყვირა მეგაფონმომარჯვებულმა მიტინგის მეუფემ და ხალხი შრიალით დაეფინა ასფალტზე, როგორც ქარსაყოლილი შემოდგომის ფოთოლი... მეუფემ მუშტი შემართა და გაირინდა. მერმე ისიც მუხლებზე დაეცა, როცა ფოთლითმოფენილ მოედანზე ის გამოჩნდა, ვისაც ელოდნენ: ვადაჭრა ჩახერგილი მოედანი, მოწკურული თვალი გარშემო მოატარა, მიტინგის მეუფეს მეგაფონი აართვა, ჯერ რამდენიჯერ შიგ ჩაპბერა და მერმე იყვირა: „მამულიშვილნო...“ ფოთოლი აშრიალდა, აფარფატდა და ისევ ძირს განერთხა... „მამულიშვილნო!..“

მგოსანნი გლოვისანი. ცრემლის პოეტები. სიკვდილის ელდის შემმსუბუქებლები, სიცოცხლეზე მოქვითინენი. ყოფნის საიდუმლოს შემნახავები. ისინი ხან ლეგენდის სათავეში დგანან, ხანაც დავიწყების პირქუშ ბურუსიდან მოისმის მათი ხმა, მათი ჩურჩული... მგოსანნი გლოვისანი. ნანული აზიკურის ნახელავი. სისხლით და ცრემლით ნაწერი. ამ წიგნს ისიც კი შვენის, ქალის შედგენილი რომაა. ქალთა პოეზია: სამყაროს ყველაზე დიდ საიდუმლოს რომ შესტირის, ყველაზე დიდ საიდუმლოს რომ ებღაუჭება; სიკვდილის გულის მოლბობას რომ ცდილობს, იმის მოშინაურებას რომ მიელმის...

ჯოზეფ კონრადმა თქვა ის, რაც შენც გულისგულში უნდა ამოიჭრა: „როგორც მხატვარი, ვედლილობ მივაღწიო გამომსახველობის უსაზღვრო გულწრფელობას და ამ მცდელობისას მსურს: ან გავიმარჯვო, ან დავეცე...“

ეკეცობისა და სიყვეყეჩის ნაზავი, ველური ბონის ანასხლეტი რამ ლუღლული, ისევე ველურ და ვერან მიწას რომ ტოტნის, ასევე გამოთაყვანებულ გულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაეძებს და პოულობს კიდეც... ფურცელზე გაფენილი გულმცირობით, კნინი სიყვარულით, ღვარძლით და ბოროტებით მხოლოდ გამოყეყეჩებულნი აღფრთოვანდებიან ხოლმე და ტაშსაც ისინი უკრავენ: ხოლო ლიტერატურა და მისი მთავარი მიზანი — სული, სიკეთე, სიყვარული — ამ მყაყისაგან შორსა დგანან და, საბედნიეროდ, იმათაც თავისი მეცხოვნენები ჰყავთ, თავისი მცველები და ერთგული მსახურები.

მომაკვდავი სიტყვების რიგი. განწირულთა მწკრივი. და უცებ: სიცოცხლით სავსე სიტყვა, როგორც დინორი, დანარჩენ სიტყვებს სისხლს რომ გადაუსხამს, სიცოცხლეს უწილადებს, სულს შთაბერავს... მკვდრადშობილ ლექსს სწორედ ასეთი სიტყვა აკლია.

სიტყვა შესაბრალი მაშინაა, როცა მწერლის გულის ულრანბში ხეტიალის შემდეგ წყლით გაჟღენთილი გვიბრუნდება და, სავალალოდ, იმასაც კი გვიმტკიცებს: ეს წყალი კი არა, ცრემლიაო... ამ დროს სიტყვა მწერლური ტყუილის უნებლიე მონაწილეა.

ფედერიკო გარსია ლორკა. ის არ ხატავს. ის არ ამოთქვამს. ის მხოლოდ ვარსკვლავებს ანთებს: მისი სიტყვები ცის თაღზე კაშკაშებენ. ერთად. ცალ-ცალკე... მას უჭირავს მთელი ცის კიდე. ის არის ვარსკვლავების მწყემსი. მისი სამოსელი გამჭვირვალეა და ცისფერი, როგორც ცის პირი. მისი თვალები და მეეული ცის ნატეხებია, სადაც ჩნდებიან ვარსკვლავები: იბადებიან, კაშკაშებენ, ქრებიან და ისევ იბადებიან. ეს არის სამყაროს მბრუნავი საზრისი. სამყაროს ჭერი. სამყაროს სულის საყრდენი.

ერთ ცნობილ მწერალზე ეგრე თქვა: ეგა, კახელი მეწისქვილეების ჩამოფქვილს რო კენკავს, მწერლობა ჰგონია. რო!?

ეგაო, მეუბნება, ჭიჭოშვილმა მაიკვეთა: ტყიდან გამოაგდო და სოფელს მისცა, რაც გინდათ, ის უყავითო... მაგისი ბრალი კი ის იყო, ერთ ღამეს ხატხეურხაზე ექვსი ქალი რო გაუპატიურაო... უნამუსოება არ მოსწონდა გოგია ჭიჭოშვილს და ეგეც სამართლიანად გაწირაო... წამოსვლის წინ შესტირა თურმე: გოგიავ, მაპატიეო... არაო, გოგიას ეთქო, ეგ, რაცა სჭამე, სოფელმა წამოგარწყვეინოს და მერე გაპატიებო... ნახშირგორაზე იმოვეს: დაცხრილული, მკლავმოჭრილი, ნადირის ნაორევე-ნაჯენჯი.

სისხლი არაფერს არ ივიწყებს. მეუბნება: ჩემი პეპერა ბაზალეთის ომში მოკლა ნოსტელმა ბაშლიყამაო; სისხლის ეგ ვალი აწევს ჩვენს გვარს და, რო გავიკითხავ, მეუბნებიან: ბაშლიყანი გთავდენო... იმის მერე მაგათი გვარი დაილია, დაბაწაიადა, კაცი აღარ გამოერეაო... ვალი კი დარჩა, ოღონდაც ეგაა, ვერავის ვერაფერს ვერ მოსთხოვ, ვერ აზღვევინებ... ამოწყდნენ. მორჩა და გათავდაო.

გოგა შხეაცაბაიას ქანდაკება: გიგლა სარიშვილი. თითქოს მავანი უცხოპლანეტელი, უძირო კოსმოსის ნაშიერი: მორღვეული, მექანიკურ ფეხებზე მდგარი ჰერკულესი: მკლავებიდან, მკერდიდან და შუბლიდან უზღვავ ძალას რომ გამოასხივებს. ხოლო მისი მზერა დედამიწას ჩაფრენია: ძრწოლით, შიშით, ვაითუ ფეხქვეშ გამომეცალოსო. ეს შიში მას უვლის ელვასავით, როგორც მთლანად კაცთა მოდგმას, რომელმაც იცის, რომ რაღაც არამყარზე, მყიფეზე დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დროს, 1941 წელს, ელაბუგაში გახიზნულმა მარინა ცვეტაევამ აგვისტოს ერთ დილას რამდენიმე წერილი დაწერა: ერთი შვილს მისწერა: „ფურლიგა! მაპატიე, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემეძლო. მე მძიმე ავადმყოფი ვარ: ეს უკვე მე აღარა ვარ. მიყვარხარ. გამიგე: ცხოვრება აღარ შემძლია. გადაეცი შამას და ალიას — თუ ოღესმე კიდევ შეხვდები — რომ მიყვარს ისინი და აუხსენი, რომ ჩიხში მოვემწყვდიე...“ მეორე წერილი ელაბუგელებს მისწერა: „ძვირფასო ამხანაგებო! არ მიატოვოთ მური! გეკედრებით იმათ, ვინც მას ჩისტოპოლში ნ. ნ. ასეევთან წაიყვანს, ორთქლმავლით მარტოს ნუ გაუშვებთ. საშიშია, დაეხმარეთ ბარგის გადატანაში. ვიმედოვნებ, ჩემს ნივთებს გაყიდით, მინდა, რომ მურმა იცხოვრის და ისწავლოს. მე რომ ვიცოცხლო, ჩემთან ის დაიღუპება. ასეევის მისამართი კონვერტზე წერია. ნუ დამასაფლავებთ ცოცხალ-მკვდარს. შემამოწმეთ კარგად“. მესამე წერილი ასეევს მისწერა: „ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე! ძვირფასო დები სინიაკოვები! გეკედრებით, მური ჩისტოპოლში წაიყვანეთ, იშვილეთ, ეგეს ასწავლოთ კიდეც. მე მისთვის ვეღარაფერს გავაკეთებ, მე ვლუპავ მას. ჩანთაში მიდევს 150 მან. თუ დაგჭირდებათ, ჩემი ნივთები გაყიდეთ. ჩემოდანში დევს ხელნაწერები და პროზის ანაბეჭდები. მათ თქვენ გაბარებთ. გაუფრთხილდით ჩემს მურს. ის ძალზე სუსტი ჯანმრთელობისაა. შეიყვარეთ, როგორც შვილი — ამას იმსახურებს. მე მაპატიეთ — ვეღარ გადავიტანე. მ. ც. არ მიატოვოთ ის. მე ვიქნები ბედნიერი, თუ თქვენთან იცხოვრებს. თუ ჩახვალთ, თან წაიყვანეთ. არ მიატოვოთ...“ თხოვნით, კანესით, ცრემლით სავსე წერილები მაგიდაზე დაყარა, ყულფი ყელზე გადაიცვა და... აღესრულა.

იახსრის გორზე ვდგავართ. ხელადით ღვინოს ამცვრევს საფლავზე და მეუბნება: აგერ, აქ რო წევს, ლადო ბალიაური, ეგ წითლების მოსისხლე იყო და სისხლიც ბევრი ანთხევინაო. ჯუთის კლდეებიდან რომ გამაიყვანეს, დაჭრილი და ნაცემ-ნატყეპი, მაინც ისეთ თვალებს აელვებდა, იფიქრებდი, არწივის გული თუ ჩაედგაო... ჰაჰხ, დედასა! აქ იმისთვი ამოვედ, რო ჩავძახო, რო ვუთხრა მაგისი საქმის გამარჯვებისაო...

ხოლო ერთ დღეს მოეჩვენა, რომ სიტყვები დამდორდნენ, დაზანტდნენ, კბილებში გაიხირნენ: იერძნო დაღეჭილი სიტყვების გემო, დაფლეთილი სიტყვის ნაკუწები კბილებს შორის და სისხლი, სისხლი...

დათვი თავდაღმა დაეშვა, ხვედახვე დაქანდა; ზანტად, უძლურად მიჩქვეფდა წყალს. ჩანდა: ძმაძედ იყო დაჭრილი. ჟამიჟამ თათით ტანზე იშხეუბდა ხევის გრილ წყალს. „კისერში დავჭერი, — თქვა მან, — შორს ველარ წავა, დაწვება ძალე“. ცოდვაა, წვალობს, — გავიფიქრე მე. ის თითქოს მიმიხვდა: ჯიერკ გადაწვა და დათვი მიზანში ამოიღო... ესროლა: ერთი, ორი, სამი... ხევის ქაფქაფა წყალს თითქოს ცეცხლი მოედო. დათვმა ტორი ჩამოუსვა ფლატეს, ჩამოფხოჭნა და წყნარად ჩაიკეცა, ჩაცურდა... მორჩა, გავიფიქრე მე, ასე სჯობია: ეს უფრო მონადირულია, უფრო კაცური.

ვეტყვი: რაც კი სამყაროში იქმნება, ყველაზე ძვირადღირებული პოეზიაა. ის საყოველთაო არ არის. მისი მოხმარებელია ქვეყნიერების ელიტა: სიტყვის, ემოციის, ხელოვნების გურმანთა მცირე წრე... და, საბედნიეროდ, ეს ხალხი მოიძევება ყველგან: ყველა ფენაში, ყველა ჯგუფში, ყველგან, ყველგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასური სამოთხე პენლაი: ჩინელთა რწმენით, ის მდებარეობდა აღმოსავლეთის ზღვის უცხო კუნძულზე. იმპერატორმა ცინ ში-ხუანდიმ ექსპედიციები გაგზავნა კუნძულის აღმოსაჩენად. გავიდა წლები. წარგზავნილები კი არა და არ ჩანდნენ. ეჭვიანმა იმპერატორმა ახე განსაჯა: მათ იპოვეს სამოთხე პენლაი და იქ დარჩნენო... მაშინ ზღვაოსანთა რაზმის თანხლებით თვითონ გაემართა სამოთხის კუნძულის აღმოსაჩენად და მოღალატე წარგზავნილთა დასასჯელად... სამწუხაროდ, არც თვით იმპერატორი არ დაბრუნებულა საბედისწერო მოგზაურობიდან. გადმოცემა ამბობს: იმპერატორმა მიაგნო სამოთხეს, იქ, რა თქმა უნდა, თავისი წარგზავნილებიც ნახა, მაგრამ სამოთხის ხილვამ ისე მოუღლია გული, რომ არც ერთი მათგანი არ დაუსჯიაო... ლეგენდის ბოლო ასეთია. დღესაც პენლაის ღუთაებრივ საუფლოში იშვებს და მორჭმით გამგებლობს დიდი იმპერატორი ცინ ში-ხუანდი.

ხომისძირის მომცრო სასაფლაოზე დავასაფლავეთ. ლიტველმა სტუდენტებმა მოკლე სიტყვები წარმოთქვეს, რაღაც საფლავშიც ჩასძახეს: დაემშვიდობნენ... მერმე თავდაღმა დავეშვით. იმათი მოკლულიაო, დაჟინებით იმეორებდა ვიღაც: ალბათ, სუკს თუ გულისხმობდა... დარბაღული ქალები უცებ ჩოთავდა, ხალხი წავიდ-წამოვიდა: დარდის კომიჭად ქცეულმა მამამ გააცილა ისინი, მადლობით, თავმოდრეკით... სულ მალე ისიც შვილის კვალს დაედევნა: გულგასნილი, საიქოსკენ მიდრეკილი... ერთი ნიჭიერი ახალგაზრდის აღსარულს ვიგონებ: ეს იყო ფირუზ მაჩურიშვილი... ერთხელ, ბალტიისპირეთიდან ჩამოსულმა, მაუბრა: არ მომწონს ჩემი სახელი, ფირუზი, რაღაც არაქართულად ჟღერს, ფარნაოზად გადავიკეთეო... მშვენიერია, ფარნაოზ, — ვუთხარი მე.. ახლა კი აღარ ვიცი, რომელი სახელი აწერია მის საფლავს, ფირუზი თუ ფარნაოზ..., კაცმა რომ თქვას, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არცა აქვს.

სიღატაკის ამაზრზენი სურათი: „ტანფეხშიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო...“ ახლა ვნახოთ ამ გაუსაძლის ყოფაში ამომსკდარი შედევრები ვაჟაფშაველასი... და კიდევ ერთხელ შევიგრძნოთ ვენიოსის უაღრესი თავმოდრეკა, თავმდაბლობა: ჩემისთანები ბაგაზე ასი, ათასი აბაო..“ რას იტყვის ყოველივე ამაზე მავანი მწერლუკა, დღეს თავის გასაჭირზე რომ ცრემლავს, ვაგლახად რომ მოსთქვამს და ამის გამო მთელ კაცობრიობას რომ ამუნათებს!

ორმოცზე მეტი თაობაა აბრაამიდან ქრისტემდე... ამ თაობების საქმეები შემოინახა ებრაელთა ხსოვნის წიგნმა: ბიბლია. ამ მხრივ ისრაელს მხოლოდ ჩინეთი შეეჯრება: იქ წინაპართა ხსოვნა წარუშლელია, წინაპართა სახელები გაფეტიშებულია... ჩინეთში ყოველ ოჯახს მოსდევდა ხსოვნის ფალა: სიპი, სადაც ამოკვეთილია წინაპართა სახელები და თარიღები... სიპი გადაეცემა თაობიდან თაობას, ოჯახიდან ოჯახს...

შენ მეუბნები: ვინმეს თუ უხილავს დალხინებული ბრძენი? შემეცნებაა მწუხარების სათავე: რადგან, რასაც შეიცნობ, არაფერი არ იძლევა დალხინების, ბედნიერების საბაბს... ახლა მე გეკითხები: მაშ, ნუთუ უმეცრებაში, სიბნელეში და გონის სიჩლუნგეშია ბედნიერება?

გეუბნები: სიყვარული მარტო არ არის: მის სიახლოვეს სიძულვილი დგას; სინათლე მარტო არ არის: მის სიახლოვეს სიბნელე დგას; სიკეთე მარტო არ არის: მის სიახლოვეს ბოროტება დგას; სამყარო მარტო არ არის: მის სიახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვეს ანტისამყაროა... ასე რომ არა: ცხოვრება მარტივი, ერთსახოვანი და უინტერესო იქნებოდა. ის თავის თავს უმალ ამოწურავდა: ძალიან ჩქარა მიაღწევდა სრულყოფის საბოლოო წერტილს, სამუდამო დგომის ალაგს, სიკვდილს...

ნაჩალიჩარ, ნაჯახირალ ლექსებზე ეგრე ამბობდა: თუ კაცი არ ენანებათ, სიტყვა მაინც შეიბრალონ: ნუ სჯიჯგნიან, ნუ აჰაწიებენ, ნუ ღუპავენ დაწყეველილები!

დამარცხებული უნდა დუმდესო, ამბობს სენტ-ეკზიუპერი. შეუცდომელი ნათქვამია! და ჩვენც ვდუმართ, ვდუმართ და, ჟამიჟამ, თუ ვინმე ჩვენგანი წყეველს სიტყვებს ამოიხავლებს, ეს იმის როდი ნიშნავს, თითქოს აჯმაურდით, აეყაყანდთ, თითქოს სახმაუროდ, სატაშფანდუროდ გვაქვს საქმე... ამ სიტყვების გამგონე მავანი იფიქრებს: მაინც რა მოხდა, საქართველოს კლავ ტამერლანის ურდოებმა ხომ არ გადაუარესო... არა! საქართველო დასცა თვით საქართველომ! ერმა, ქვეყანამ გაიკეთა ხარაკირი! ჩვენ ვართ ჩვენგანვე დამარცხებულნი. იფიქრებს მავანი: ამის თქმა, ამის აღიარება ხომ თავისთავად სამარცხვინოა... დ, კაცმა რომ თქვას, ეს ასეცაა: საქართველო არამარტო დამარცხებულია, არამედ ის სამარცხვინო ვითარების ტყვეც არის! დ, ჩვენ ისიც არ ვიცით, ამის აღიარება სახვალიო გზას გამოიჩენს თუ არა... ღლეს კი ჩვენ ვდუმვართ, ვდუმვართ, ვდუმვართ... რადგან: „დამარცხებული უნდა დუმდეს, როგორც მარცვალი".

მიწის ვატეხვის, ხვნა-თესვის ჟამი რომ მოახლოვდებოდა, მის მაგიდაზე შეუმჩნეველად გაჩნდებოდა ის წიგნები, მიწის და ბალახის სურნელი რომ სდით: ჰომეროსი, ვაჟა-ფშაველი, ხატაელი პოეტები...

თუშეთში, ნაროვანის გადასასვლელში, ერთ საყუჩ კლდეზე დიდი ხნის წინ წაუწერია უოლბლო მონადირეს: „აქ ვსდეე ჯიხვებს. ვერ მოვკალი. დილმა თოვლმა მომისწრო. ჩამიკეტა გადასასვლელები. ნავრჩი. ზვიადაური".

კაცთა გახელების, გადაგვარების, დაცემის მოყურიადეს, სულის გაპარტახებაზე და სიშლეგეზე მოფიქრალს ხმა მოესმა შორეთით, ხმა, როგორც წყლის გადაწურვა: ხმა, საუკუნეთა ბინდში გამოვლილი, ხმა სულთა მესაიდუმლესი, ხმა შოთა რუსთაველისა: „მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა..."

ის, ავადთვალმოწკურული, მხარზეუროგადებული აჰყურებდა ეარსკვლავიან ცას: ამბობენ, სამყარო მრუდიაო, განა არ გასწორდება, რო?!

ისეთი იყო, როგორც გულუხვი მიწა: იდუმალ მაწვეევრი, გულის მომტაცი... იმის კვალზე დადევნებული თვალების გნასი და ალიაქოთი რჩებოდა. ხოლო ვილაც ღიღინებდა ძნელგასაგონად, ყრუდ, თავისთვის: „ნინუამ ჩამაიარა, ნაკალოვარში ვიყავი, ჯერა ვთქვი, წამოვაქციო, გავხადო წითელ ნიფხაკი, მერე ვიფიქრე, დაიკ, კანჭლაო, ჭკუით იყავი, ავი მამა ჰყავ მაგასა, დიდის ცოდვების მზიდავი. შეაფხოს ჩაგაელეინებს, ცემით წელს მოგწყვეტს პრასტავი, ოცდაზუთ მანათს დაგაწერს, შენ არა გაქვსს ზღვის თავი". ინტიმური ფიქრი ასე ტყდება სიღატაკის ბედკრულ სარკეში და გამოუცნობ მორევად იქცევა: ზედაპირზე ირონიის ქაფი ტივტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

744 წელს ტანის ეპოქის მეორე დედაქალაქ ლოიანში შეხვდა ორი დიდი პოეტი: ლი ბო და დუ ფუ... პოეტებმა მრავალი დღე ერთად გალიეს სეეკეთილ საუბრებში და ლექსთა ლოცვა-დიღინში... ლი ბომ შეამჩნია: დუ ფუ ყოველდამე მდინარესთან მიდიოდა და, ბამბუკის დასტზე წამოწოლილი, თვლემდა ან ლექსებსა თხზავდა ხმამაღლა, მდინარის გასაგონად. ბოლოს ლი ბოს გამოუტყდა: ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ნავში გავატარე, ნავაა ჩემი სახლი, ხოლო მდინარე ჩემი ბილიკაო. თუ მდინარის ხმა არ მესმის, არც ძილი შემიძლია, არც ლექსის ამოთქმაო: მდინარის შრიალისა და შხუილის რიტმი სდევს ჩემს ლექსებსაო... ლი ბო არ გაუკვირვებია ამ ამბავს: ბევრი ჩინელი მაშინ ნავში იბადებოდა, ნავში ცხოვრობდა და ნავშივე აღსრულებოდა: ნავი იყო მაფი ერთადერთი სახლი... ამის მერე ლი ბოს და დუ ფუს გზები გაიყარა: ლი ბომ მიმართა შაციუს მზარეს, ხოლო დუ ფუ სამხრეთში გაემგზავრა, იქით, სადაც უფრო წყალუხვი მდინარეები ეგულებოდა...

ბიოგრაფია ყოველთვის შეთქმულია, თუ ის გამარჯვებული არ არის, თუ ის ძალაუფლებით არ იხრჩობა... სიკეთე შეთქმულების გზას არ ირჩევს, რადგან სჯერა: ბოროტება საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს... და ეს არის სიკეთის თანდაყოლილი ნაკლი: გულუბრყვილოდ მინდობა და მოჭარბებული რწმენა.

წმინდა პოეზია მიუღწეველია: ის შეუძლებლობათა წრის მიღმაა, ვამბობ მე, მაგრამ რომელიღაც ხმა მედავება: წმინდა პოეზია გაბნეულია პოეზიის მღვრიე მორეკში: მისი მოძიება სულაც არა არის შეუძლებელი, ხოლო მისი გამორჩევა, წმინდა სახით ამოკრეფა თუ ვერ ხერხდება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის არ არის!

თვალცრემლიანი აჰყურებს ცის კიდეს: ჩამოვიდნენ, რა, გაიგონ ჩვენი ცოდვამადლი, წაგვიყვანონ სადმე! აქ აღარ დაგვედგომება: ამ ბოროტებთან, ამ ლაფში, ამ ყინვაში, შიმშილ-სიტიტვლეში... ღმერთო! ღმერთო! ჩამოვიდნენ, რა, წაგვიყვანონ, რა!..

ეს იყო შემზარავი ჭიხვინი: თვით ნაბალახევ-ნასუქალ ჭაკსაც კი შეშურდებოდა! და კიდევ: გაძეძილი გავა-ბარკლის შეთამაშება, ფლოქვების ცემა, დაბერილი ნესტოები... თვალებში მუქლურჯი ჩადამება... და ფაფარი საკვირველი: მხარ-კისერზე სქლად დაფენილი... მდედრი, არაბული ცხენის ჯიშისა, ცხენის ჯილავისა... ბედისწერით უცხოდ ნაჩორკნი.

ყოველი თავგანწირვა, ტრაგედია, ყოველი შეჯახება ერებისა, რაც წარსულშია მომხდარი, დღეს მითოსის ნაწილად გვესახება და თანდათან, თანდათან დავიწყების ლიბრით იფარება. ხოლო მითოსი სხვა არა არის, თუ არა ადამიანური გონის საბოლოო თავგამოდება, მეხსიერებაში ამა თუ იმ ამბის შესაკავებლად რიმა" მიმართული. ოღონდ, ეს თავგამოდებაც განწირულია: დავიწყება ბუნების უმთავრესი თვისებაა და ის თანაბრად მეუფებს დროზე, ამბავზე, პიროვნებაზე...

მითხრა: ქვეყნის უილაჯობაზე, სიდუხჭირეზე, ადამიანთა გაველურებაზე უარესიც ესა ყოფილა: უღირსებო ხელისუფლება, თავის სავარძელზე მოკანკალე, თავმოკატუნებული, თავმოკანტური, მტრის ხელს შეჩერებული... ციხის კარის შიგნიდან გამღები... ამბიციით სნეული... ათასგზის ღვთისგან წყეული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხიოსის დაბადება ჯუჯების ქვეყანაში გულიველრის გამოჩენასა ჰგავს: საკვირველია მისი ნაბიჯები, მისი ხმა, მისი ტან-ფეხი, მისი საქცეელი, მისი გულის ფეთქვა... ჩნდება მისი აღქმის, მისი შესწავლის წყურვილი და, ამის კვალდაკვალ, ჩნდებიან მიმბაძველნიც: იმის ნატერფალზე მავალი პლაგიატორები, მისი სუნთქვის მოყურადე ამალა... ეს უკანასკნელნი იმით შეიცნობიან, არა მარტო გენიისის ნახელავს რომ იმეორებენ, არამედ თავისივე ნათქვამ-განამეორებს კვლავ მრავალგზის რომ ღეჭავენ, წყლად აქცევენ, აბითურებენ.

იუზ ალეშკოვსკის მოთხრობას მიკითხავდა: წყნარად, დაგემოვნებით, ოდნავ არაქართული აქცენტით. მეუბნებოდა: ნახე, რა დიალოგებია; ვისაც რუსული ქალაქის ჯურღმულებში არ უცხოვრია, ის ამას ვერ იგრძნობს, ვერ გაითავისებსო... ლევან ჭელიძეს ვიხსენებ: უცხო გემოვნებისა და ნიჭის კაცს, თანამლმოძღვს, გულითადს, კაცთა უგულობის წინააღმდეგ შემართულს... უბედურებად მიაჩნდა მატოვებული ძაღლი, კატა... ამაზრზენ ხასიათზე აყენებდა ქმრის მიტოვებული ქალის ხილვა... რაც შეეძლო, პატრონობდა კიდეც მათ... ერთხელ მითხრა: საკვირველია, გამუდმებულმა წვიმ ფილტვის კიბო რომ არ დამმართაო... აუხდა გუმანი: ახლა თავის საყვარელ მწერალ იუზ ალეშკოვსკის გმირებთანაა, ზეობს და ეშვებს მართალ სულთა თანა...

ასეა: ვინც თავისუფლებას ეძებს, ის მთავრობას ამუნათებს და, ამის კვალდაკვალ: ვინც სიმდიდრეს ეძებს, ისიც მთავრობას ამუნათებს... დამიჯერე: მწარედ ცდებიან ორივენი...

ერთი სურათი: მოკლული მიხა ხელაშვილი. მარხილზე დასვენებული. მკერდზე ადევს შაშხანა, მაუზერი, დურბინდი. ცალი ხელი ძირს დასთრევს. მკაფიოდ მოჩანს ტყვეით გადახსნილი შუბლი... მეორე სურათი: მოკლული გოგია ჭიჭოშვილი. ღობეზე აყუდებულს თავი ჩამოვარდნია. მხარიღლვ პატრონტაში აქვს გადაკიდებული. იქვე სჩანს მისი განუყრელი კარაბინა. ტანისამოსი შავი ლაქებითაა დაფარული: ეს, ალბათ, სისხლია... ორი სურათი. თვით ჯალათების გადაღებული: მათ ალბეჭდეს ორი. მხზვერპლი, ორი რაინდი, ორი ჩამქრალი გული, სამშობლოს ორი დაცხრილული მეციხოვნე.

საუკუნეს მიღწეულმა, დიდი ცოდვა-მადლის მნახველმა, ეგრე მითხრა: სიცოცხლის დასასრულს დგახარ ისე უსასოდ, როგორც დიდი პოკერის პირწმინდად წაგების შემდეგ... და გრძნობ: აქ აღარაფერი გესაქმება, აქ აღარავის აინტერესებ... და აუჩქარებლად იჩენ ჯიბეებს, რომ შემთხვევით გადარჩენილ კაპიკებს მიაგნო: აღმოაჩინო ის მცირე ავლადიდება, რაც წასასვლელად, გასამგზავრებლად გეყოფა...

ესეც განუხორციელებელი სურვილი: დიდი წიგნი, რომელსაც გრძნობდა, გუმანით ხედავდა, სწვდებოდა მისი შორეული სუნთქვა, მკლავს ულუნავდა მისი სიმძიმე... მაგრამ ვერ დაწერა: შეუმჩნეველად გაჰქრა ის, გაილია, გაფერკრთალდა და წარმოსახვის მდვრიე სივრცეში რაღაც ხხვას დაუთმო ადგილი: უფრო მისაწვდომს, უფრო ახლობელს, უფრო საჩინოს, უფრო მსუბუქს, უფრო ცხადს...

აჰა, ის, ვინც თავისი მარადიული ჩაურევლობით ცდილობს კაცთა უკმაყოფილებისა და ამბოხის პროვოცირებას.

მეუბნება: გაჭოლე ადამიანი, თვალი ჰკიდე იმას, ვინც ადამიანის მიღმა დგას, ვისაც ადამიანი მიყრდნობია...

სიტყვამ დაფიქსირა ღმერთის სიკვდილი. იგივე სიტყვა ღმერთის უკვდავებას ამტკიცებს... სიტყვა: თეზისი და ანტითეზისი. სიტყვა: მასალა, თიხა, ქ�სი...

პოეტის უმთავრესი მიზანი: ენის საზარელი წიაღის გაადამიანურება.

თვალებზე ლიბრგადაკრული, გადალისკული; სქელკანიანი ხეპრე. თავხედობით ატანილი, ფეხებზემკიდია შარლატანი. ნიჰილიზმის ფურთხისმფრქეველი. მეჭორე. მაცილის თვლის წვეთი. ამაზე თქვა თამაზ ჩხენკელმა: „კაცი, კაცთაგან გადანაწური...“

აი, სამყაროს მიკროსურათი: ნაქები ფუტკარი: მძარცველი, პირწავარდნილი ქურდი, მამისმკვლელი...

ბოლოფურცელი: სულ ეს იყო! ამას სამომავლოდ მიემატება ის ფურცლები, რომელთა გამოქვეყნებაც ჯერ ნაადრევი მგონია... ჩანაწერები იქმნებოდა ოცდაათი წლის მანძილზე: ესეისტური ფრაგმენტები, ლექსთა მონახაზები, პროზაული შტრიხები... მათ დასრულებულობის პრეტენზია არა აქვთ... ეს არის ქმნადობის, გონითი ცდის წამიერი გაელვებანი... ხილვათა ნაფლეთები, რომლებიც არ გაგრძელდა, არ დასრულდა, არ გამთლიანდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხათუნა წულაძე

ფერიცვალება

მე ახლა ირეალური სამყაროს
ირეალურ ფერებში დავცურავ წყლის ბუშტივით.
არაფერი არ მეკითხება, არაფერზე არ ვაგებ პასუხს.
სადაცაა - გავსკდები,
ცოტა ხანს ვცოცხლობ.
მე ახლა მხოლოდ წყლის ბუშტი ვარ
და არა ვარ უბედური, როგორც ყოველთვის,
და არც ბედნიერი, როგორც არასდროს.
მე ახლა არაფერს არ ვგრძნობ;
მხოლოდ ცოდნა მაქვს იმდენი, რასაც წყლის ბუშტი იტევს.
მე ზღვაში ვცხოვრობ, რადგან ზღვა მიყვარს და ავირჩიე,
როგორც ირჩევენ სასაფლაოს მომაკვდავნი სადი გონების
და მტკიცე ნების.
სიკვდილის წინა არჩევანი მთელ ცხოვრებას დაუსვამს
წერტილს.
ბუშტი გასკდება, ზღვა გადიდდება, სასაფლაო დაიკეტება
და სამყარო ჩემი შეუვალი აღარ იქნება.
ასე იქნება,
მე ვიცი, რომ ასე იქნება.

●

როდესაც ფიქრს ეწყვეტ, ცხოვრებას ვიწყებ
ულიმლამოდ,
ზლაზვნით,
ზმორებით.
გონება მიდის დათმობაზე ჩუმი ნაბიჯით.
ქნარზე უკრავენ ყოფნა-არყოფნის უკვდავ სიმღერას.
ვინ ააჟღერებს, ვინ დაადუმებს,
რას გაუგებ.
გონება მიდის დათმობაზე,
ესირცხვილება ბრძოლის შეწყვეტა.
ჩუმი ნაბიჯით... არავინ ნახოს...
ესირცხვილება!
ფიქრს უსაშველოდ ეპოტინება
ურცხვი შეგრძნება
არარაობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამ და ევა

ადამ და ევა,
მიწისგან — კაცი,
კაცისგან — ქალი,
კაცი და ქალი.
ქმარი და ცოლი,
მამა და დედა,
აზრი და გრძნობა,
ძალა და ხერხი.

დადიან მშვიდად სამოთხის ბაღში,
ხე ცნობადისა ირხევა ნაზად,
სისინებს გველი: — მიირთვი ხილი!

შეიკრა მტკიცედ უწყვეტი ჯაჭვი:
ადამი-ევა-გველი
და
ვაშლი.

გაგორდა ვაშლი და გაჰყვნენ უკან
ცნობადის წადილს.
ჩამოიტოვეს სამოთხის ბაღი.
წინ დიდი გზაა,
იარონ უნდა ძალიან ბევრი!
რას გამოხატავს ეს ორი სახე,
მწარე სინანულს, სიტკბოს თუ ნაღველს?

ადამ და ევა;
ოფლი და ცრემლი,
მიწა და მტვერი,
სისხლი და ვენი კაცთა მოდგმისა.
ღვინო და ბანგი,
პირველი ტკბობა,
პირველი ცოდვა.
პირველი ცოდვა გაგრძელდა დიდხანს,
ცხოვრება გვექცა ტანჯვის საუფლოდ.
გვშია, გვწყურია,
გვცივა, ვკანკალებთ,
მალიონობით გაწვდილი ხელი
საზრდოს მოითხოვს,
შეწყალებას, სიბრალულს ითხოვს,
სულიერო მამაო ჩვენო, — დაგვეხმარე!

ადამ და ევამ დასაბამი მისცეს
ყველაფერს,
რაც გვეკუთვნოდა
და რაც არა, ჩუმად მიიღეს.
უკან წაიღე, მოპარული ხილი არ გვინდა
და დაგვიბრუნე ბედნიერება,
სამოთხეში განცდილი ოდეს.
ხე ცნობადისა თვალს არ მოგვჭრის
აღარასოდეს,
თუ რამ სხვა ძალა არ ჩაერია გველის
სახით.
მასთან პირისპირ ნუ დაგვტოვებ,
კმარა გამოცდა მეტად მკაცრი.

გველი არ გვებრძვის, იგი გვხიბლავს.
მისი სისინი გვაჯადოებს, გვთანგავს,
გვაბრუებს.
მისი სისინი — ვნებიანი, ცრუ,
შემპარავი,
კვლავაც გვაცდუნებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსო პაპუაშვილი

ალექსი ქოტას ძე პაპუაშვილი, ლექსო, როგორც მას შინაურობაში ეძახდით, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში დაიბადა 1920 წლის გიორგობას. მეშვიდე კლასამდე თბილისში სწავლობდა, ხოლო შემდეგ ახალგახსნილ საგარეჯოს პედსასწავლებელში. მალე მამამისი დააპატიმრეს, ლექსო კი, როგორც მავნებლის" შვილი, იძულებული გახადეს, სასწავლებელი მიეტოვებინა. პედსასწავლებლიდან გასული ლექსო საშუალო სკოლაში აღარ მიიღეს და სწავლის გაგრძელება ვეღარ შესძლო, იძულებული გახდა, საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობით შეევსო თავისი ცოდნა. ლუკმა-პურისთვის ხან ლიმონათის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ხან — ლურსმნის საამქროში და ხან ასოთამწყობის შეგირდად სტამბაში. სწორედ ამ დროს დაიწყო ლექსების წერაც, რომელთა უმეტესობაში უმძიმესი სევდა იკითხება. ამასობაში ჯარში გაწვევამაც მოუწია; სამხედრო კომისართან განცხადებით შესულა: იმ ქვეყნის არმიას არ ვემსახურები, რომელმაც მამა წამართვა და ცხოვრება ამიწყაო. ამით ჯარში გაწვევას მაინც ვერ ასცდა, საქმე კი გაურთულდა და მეთვალყურენი მიუჩინეს, რომელთაც მალე მასში ნაციონალისტური სული აღმოუჩენიათ და, როგორც არასაიმედო პიროვნება, დაუპატიმრებიათ. ერთხანს ზუგდიდის საპატიმროში მჯდარა, შემდეგ თბილისში გადმოუყვანიათ, სადაც მანამდე მამამისი ჰყავდათ და... 21 წლის ბიჭი მამამისივით სადღაც გაუქრიათ.

ლექსოს ჩანაწერებიდან ერთადერთი საერთო რვეული შემოვრჩა; აქ სამოციოდე მოზრდილი და პატარა ლექსია. ისინი მალე წიგნად გამოიცემა, ახლა კი გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ რვეულიდან.

გიორგი კაკუაშვილი

რად შემიყვარდა?!

რად შემიყვარდა უგზო-უკვლოდ ბრმად ხეტიალი,
რად შემიყვარდა ყრუ ტევრებში ყოფნა-ტრიალი,
რად შემიყვარდა ფიქრი, შავი, სიზმარეული,
რად შემიყვარდა ღამე ბნელი, სხივდალეული,
რად შემიყვარდა სიჩუმე და მელანქოლია,
იქნებ იმიტომ, რომ მარტო ვარ, რომ ობოლი ვარ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

როგორც დევნილი, მარტოდ დაკალ
როგორც ეული,
ირგვლივ შემზარავ ფიქრთა
ბადეშემოხვეული.

თუ არ დავნებდე, სად გავექცე
სევდათა ზღუდეს,
ოდეს ნაღველმა სწორედ გულში
დაიდო ბუდე.

აი, ხომ ხედავთ?!

აი, ხომ ხედავთ, რომ ჩემს გულსა ვყავარ პატიმრად,
აი, ხომ ხედავთ, რომ ჩავვარდი ჭირთა სამყოფში,
გამოვმარტოვდი, სულმა ჩემმა გაინაპირა
და იმის შემდეგ ვზივარ სულის საპატიმროში?!

აი, ხომ ხედავთ, დედამიწა უდაბნოდ მიჩანს,
აი, ხომ ხედავთ, დედამიწა დაცარიელდა,
აი, ხომ ხედავთ, აღარ ვეძებ არარა მიზანს,
აი, ხომ ხედავთ, ჩემი სიყრმის ცეცხლი ჩანელდა?!

საშიშ და საზარ მოჩვენებად გადაქცეული
დავეხეტები, როგორც გიჟი, უდაბურ მთებში,
მარტოდ დავძრწივარ, ვით დემონი, როგორც წყეული,
უძილო ღამე და ნაღველი მიდგას თვალებში.

გმობილი იყოს ის დღე, როცა ქვეყნის შემქმნელმა
ადამიანის ჯიში, მოდგმა დაბადა ქვეყნად,
ვერიდებოდი ბოროტ კაცთა და ნელა-ნელა
აქ მოვდიოდი მარტოდ ბავშვის ალღოსთან ერთად.

მერე გავფანტე გზა-გზა ბავშვის იგი ქაოსი,
მივუბრუნდი და გადავხედე დამცინავ თვალით,
გამოვეშურე და მოვედი ამ სამყაროში,
მაგრამ აქ გული ამიკუწეს უეცრივ ხმალით.

და, აი, ხედავთ, რომ დავდივარ გულდაკუწული,
აი, ხომ ხედავთ, ჩემი სული სისხლით შესვარეს,
აი, ხომ ხედავთ, რომ წყლულზედა მემატვის წყლული,
აი, ხომ ხედავთ, მომენატრა შავი სამარე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკილო ღამეები

ღამეები უძილო,
ცრემლიანი თვალები,
ფიქრი, ოხვრა, წამება,
ნაღვლიანი წამები.
უსაზღვრო სივრცეებში
გონების ხეტიალი,
სარეცელზე წამდაწამ
მოუსვენრად ტრიალი:
ამენდება ფიქრი და
ისევ ჩამოიშლება

და თუ ცაში მიჰქროდა,
მიწაზე გაიშლება.
აი, რაღაც ვიფიქრე,
სინამდვილედ ვიწამე,
მერე ისევ უარვყავ
და გადავთქვი იმწამსვე.
და მერე სხვა ათასი
აზრი მოდის და ქრება,
ისევ ღამე უძილო,
ცრემლი და ფიქრთა კრება.

მარტობა

მელანქოლიას გულში ვიკლავდი
და იგი უფრო ვითარდებოდა,
ვეცადე, მაგრამ ვერ გავუმკლავდი;
მისი განდევნა რომ შემძლებოდა...

და ახლა ობლად დავძრწი და ვოხრავ,
ჩემი გონება მარტოკა დაძრწის,

სევდამ ჩუმ-ჩუმად გული გამოხრა,
სრულად ჩამიკლა გრძნობები კაცის.

არ მახარებს რამ ამ ქვეყანაზე,
როგორც დემონი, დავეხეტები,
ისე მიკვდება სიახალგაზრდე,
დღეები მიჰქრის თავგამეტებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ მაღლაკელიძე

განხილვა

(უცვლელი სურათი უახლოესი წარსულიდან)

ერთ-ერთი გამომცემლობის ფოიეში უჩვეულოდ ბევრი ხალხი იერეოდა. ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ, ცქვეტი, შთაგონებული სახეებით. ჯგუფ-ჯგუფად მიმდგარნი კამათობდნენ ერთმანეთში. კედელზე ამ თვეყრილობის საბაბი, ფერადად აჭრელებული აფიშა იყო გაკრული:

„17 მარტს რედაქცია აწყობს ახალგაზრდა ავტორთა მასალების განხილვას. მომხსენებელი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მწერალი ამბაკო ვასაძე. დასაწყისი 11 საათზე“.

ქაღალდი, თავისთავად, ბუნებაზე ძალდებით მიღებული პროდუქტია და მეტი არაფერი, მასზე გამოსახული ნაშნები კი, მხოლოდ ასოებია, თუ სიტყვებად არ არის ქცეული და წინადადებებად განლაგებული. დღეს, სწორედ ასეთ პაპირუსთან ჰქონდათ საქმე აქ შეკრებილთ. დაბეჭდილი სიტყვა ღაღი ფრინველია — ოღონდ, ფრენაშეიე დაფიტულებული. ახლა აბზაცები წინადადებებთ? და უამრავი გვერდი აბზაცთა... რომელთა გასამუდამოების შანსი იმალება ამ, ვითომ უწყინარი განცხადებების მიღმა. აი, ასეთი ნატვინარუტვინარის დაფიქსირების ძალა ჰქონდა მას, ერთ თვრ, ზედ სიტყვებაჭრელებულ ფარატინა ქაღალდს, და რაღაც უსასრულო ჰორიზონტებზე მიუთითებდა შეთქმულად. ფეხიდან ფეხზე მონაცვლე ნებისმიერი ჯეელი — რაგინდ კამათის მორევში ეყურყუმალავა — კეფით ან ზურგით, ან სულ ერთია რით, გრძნობდა მის არსებობას და შინაგანად აზმორებდა რაღაცნაირად.

ჯგუფთა შორის წარმოსადეგი მამაკაცი დაბიჯებდა — ხელშ. ქაღალდკალმიანი კურსირებდა ლიტერატურულ კუნძულთა შორის.

როგორც ხელიკი, ვთქვათ, ერთი ბეწო ნიანგია, ან როგორც წვეთში ზღვა მოჩანს, თუ რაღაც ამგვარი, ასე ლიტერატურაზე გამეცადინებულ ახალგაზრდებში ირეკლებოდა სადიდო მწერლური ყიფა; ნიჭიერებიც იყვნენ და უნიჭოებიც არ აკლდათ... ოიხგამოქცეულთა ურდოებში აქა-იქ ნონკონფორმისტებიც ჩანდნენ და სრულიად გარეყულ-მარტოსულებიც. „სოფლის“ და „ქალაქის“ თემას შეჭიდებულნი უბღვერდნენ „სახლში“ ჩაკეტილთ და უსახლკაროთაც... ჩანთოსან გრაფომანებს ფეხებში ებლანდებოდათ ხელცარიელი, ანუ კარა-ტე, კართა ამტალახებლები. ხელმარჯვენი ტიეტავებდნენ და სხვანი კი მღვრიე წყალს ყლურჭავდნენ ცურვის სწავლამდე — ვინ კლასიკური ლექსის სტიქიაში ნავარდობდა და ვინ ვერლიბრში პიკირებდა, ვის დადებითი ვნირი გამოჰყავდა მუყაითად და ვერ გამოეყვანა... ბევრი სოცრეალიზმით იყო აღჭურვილი და დანარჩენნი, ბუნებრივია, უიარღღოდ იყვნენ, ვიღაცა უბრალო ცნობისმოყვარეობას მოეყვანა აქა და ახლა თავი ზედმეტად აღარ მიაჩნდა.

მათ შორის მიმომავალი უპალსტუხი კოსტუმიანი კი, ცნობილი მწერალი გახლდათ, ნამდვილი მწერალი. უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოეს შემოხვევაში, ამათთაგან რამდენიმეს, ამ ბოდიალით დღელილ კაცში, საკუთარი თავი უნდა შეეცნო ოციოდე წლის შემდეგ. თუკი იცოცხლებდა იქამდე, თუ არ იზარმაცებდა, თუ ტრამვაი არ გადაუვლიდა მარჯვენაზე და თუკიღა დაბეჭდავდნენ... ცხადია.

— სიტყვით გამოხვალ? — ეკითხებოდა ბრავადთ ლიდერებს მწერალი, თუმცა თავად არასოდეს ულაქლაქია, საღეგრძელოებს თუ არ ჩავთვლით! ღონისძიება ჰქონდა ამჟამად დავალებული კავშირდან და ამბაკო ვალაძემაც, ფიზკულტურულ პიუამოში გამოჭრილებულმა ფილ-მეცნ-კანდიდატმა, ყოველგვარი ფილოლოგიზმების გარეშე წამოავდო უთენია ლოგინიდან. საკიდიდან ლაბადის დათრევა ძლივს მოასწრო, რომ მანქანით პანტიანისკენ ხაშზე გაჩატებულს, გარიერაკი თვალში უჭყიტინებდა. დასანახავად ვერ იტანდა ჩლიქებსა და ფაშვს მწერალი სანდრო, უსახუსვეიც გახლდათ, მაგრამ ვალაძის რა ბრალია, თუ არ უწყოდა? არ ცოდნა — არ ცოდვაა?.. ამბაკო ბეჯითად ღრღნდა ძვალსა და ნაჯაფ ორგანიზმში ასიანის ჩასხმაც მოისწრო: — ჩვენ საქმეს გაუმარჯოს! — სანდრომაც მეჭახუნებითვე უპასუხა: — ალა კოზა ნოხტრა... — დაიჭყანა მწვანილი და ყველი წაკინკალა თეფშზე, ბოთლიდან ცივი რაღაც „კოლა“ მიახვრიპა და რომ გამოიხედა — უკან მონავარდობნენ, დედაქალაქისკენ. ტროლეიბუსის ჯაჭრებზე გადმოსვა ვალაძემ: — აბა, შენ იცი, არ დაკვიანო! აკერ ცოლს მივიყვან აერობაკზე და ხელათში დაგეწვევი: — ოო, და მისი მკაცრი პროფილი სარკმელში ვოლგამ წაიღო. კარგია დილით რუსთაველი — ხალხი მიიჩქარ-მიიჩქარის, თავადაც იბოდიალა... ბოლოს ეღირსა გახსნა დაჩემებულ დუქანს, ჩაკითხა. იქ დაბუდებულ ხინკლის ოხშივარს ქაბაბი დააყოლა სომახდაწინწკლული ლავაშით, ზედ ლუდი მიასინჯა — მეჯვე „კოლა“ გაიხსნა და სულმოთქმულზე, გამომცემლობისაკენ შეუფუა.

ფოიეში ხალხი მიდგა-მოდგა და პოტტფელის ქნევით შემოსულ, ფართო ლაჯებიან ვალაძეს მისცა გზა. ამბაკო ახალთახალ კოსტიუმში, როგორც კონვერტში, ისე ჩადებულიყო. სანდროს ხელახლა, საქმიანად მიესალმა, მაჯა დაუჯანჯდარა: — სალამი! როგორ გიკითხავს...“ — მარწუხივით თითები მკლავში გამოხდო და ენერგიულად, დფერდებით გაიმძღვარა დარბაზისაკენ. დაბნეულ ლულლუღნი: „ვაარ რა, რა მიშავს...“ კმაყოფილმა დაიქნია თავი და ჯამაათს დარბაზში შეუძღვა. ახალგაზრდები გუნდებად, ხმაურით შეჰყვნენ, გადაახილ-გადმოიძახელით მოიძიეს ადგილები — დასხდნენ და ჩიჩქოლი გაგრძელეს.

ვალაძემ ბოლომდე წინ იტარა სანდრო, პრეზიდიუმში სკამი გამოუწოდა, დასვა და გვერდით მოუკალთდა — უზარმაზარი პორტფელი მაგიდაზე შემოდო და იქაურობა ამბრაზურიდან შეათვალიერა. აზრთა ოკეანე თანდათან მშვიდდებოდა.

ზღვას ზედაპირი უჩანს გლუვი, თორემ სიღრმე სხვადასხვა აქვს... ამბაკოც მისი ქაფდან იყო ამოსული, რამდენიმე წლით თუ იქნებოდა ზოგიერთებზე უფროსი. თავის დროზე, ლიტერატურულ მწვერვალებთან შებმას დამოყვრება ამჯობინა, — ერთ მწერლურ ოჯახს ჩაეხიბა, თუმცა, უკვე მაშინ ჰქონდა საკანდიდატო ხარისხი, ვისკან და რატომ, მაგრამ დაცული.

ვულკანური წარმოშობის კუნძულები, ჯერ მშვიდად ბოლავდა... უკანა რიგები სეირის მოტრფიალე მოლიტერატურო ვოგონებს დაეპყროთ, შემალული ლექსებით, — მათ კიკლეც მუხლისთავებზე დარეტიანებულ მწერალ — ვინმეს გასახარად. კუთხეებში განთვისული ასკეტური გარეგნობის მარტოსულები წვეულებში იჭიქებოდნენ. დასთა ლიდერები ქოჩორაწეულნი ისმენდნენ ამალის კისერდაგრძელებულ წვერთა ჩურჩულს. ხამუშად თუ გადაეპარაკობდნენ, გვერდითა ლამაზმანს. მარტო ერთი ბრავადირი იყდა უქოჩრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გალეული, მაგრამ პრიმა თაყვანისმცემელი სწორედ მას ეხვა.

კარი გაიღო, ხნიერმა, ჭაღარათავიანმა მწერალმა შემოიხედა, დახრილმა, ფეხაკრეფით გაიარა რიგთა შორის — თითქოს კინოსანახზე დაეგვიანოს — მიაჯნო მყუდრო სავანეს, გაემზადა მოსაყუჩებლად და, ბაღ! პორტფელის მაღმა მოთვალთვალე ამბაკომ წაატანა: — აქეთ მობრძანდით, ბატონო გივი, პრეზიდიუმში!

ბ-ნი გივი არც დამჯდარა და არც იდგა, — ვერც ერთი მოასწრო და მეორეც ვერ მოათავა — პროცესსი გაქვავდა... შემდეგ მტკიცედ გასწორდა: — არა, ბატონო, მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვედი! — მეტი დამაჯერებლობასათვის დრო საჭვენელი თითთ გ-მოხატა, დაჯდომამდე გადაიდო ფეხფეხზე და სკამად იქცა.

მძიმედ წამოიმართა ადგილიდან სანდრო, დარბაზიდან ხმაურმა ცემცემ ქუჩაში გადაინაცვლა. — გასასულნი ძალრერდნენ.

— დღეს დანიშნული იყო და ტარდება, — ვალაძეს გადახედა, ის დინჯი თავის ქნევით დაეთანხმა, სანდრომ განაგრძო: — რედაქციაში შემოსული, ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებს განხილვა. სიტყვა ეძლევა კრიტიკოს ამბაკო ვალაძეს, — უცბად მოათავა და თავადვე გაოცებული, დაჯდა.

ვალაძემ გაკვირვებით, წყენითაც გადმოხედა — სახელი ეცოტავა თავისი, რაღაც დაკლდა ყურში... „აპ, ჰა! ფილოლოგია და მეცნიერება... მწერალს ეგ მე არ დამიძახებს და კანდიდატ თავში უხლია, შაში ხომ არაა მარილაც...“ ასეთი უცნაური აზრებით გაეგმართა კათედრის კენ და იქიდან პიუპიტრს გადმოეყრდნო. ბორკომი არ დახვდა, ლექციის კითხვისას კი ყელი უშრებოდა ხოლმე; „თან გუშინდელი სუფრის შემდეგ... რა ხალხია ეს ხალხი...“ ერთხანს დარბაზს უმზირა — სანდროსაც გადაეალო თვალი — ის შეიშმუშნა. „წყალს მოიტანია ეგ, მიყურეთ ასე, მიყურეთ ახლა...“ ხელი ჩაიქნია ამბაკომ და დაიწყო:

— ჰხმ, მე, ამხანაგებო, თავიდანვე მინდა ავღნიშნო, რომ აქ განიხილა რედაქციაში დაბეჭდვის მიზნით შეტანილი ახალგაზრდა ჰხმ, მოდით, ასე ვუწოდოთ, მწერლობის კანდიდატთა ნაწერების განხილვა, დიახ! „აჰ, ბაბანანლადი ახლა, ქალის... თუნდაც ბოლოსა იყოს გაუშვი, ჩეხური, ჰო, ტალინის არის შეპირებული როლანდი...“ — უნდა მოგახსენოთ, რომა, გულზე ხელს თუ დავიდებთ და მაშ, გულახდილობასათვის არა ვართ აქ მოსულნი? ჰოოდა, გულზე ხელის დადებით თუ ვიტყვით, თითქმის უკლებლივ ყველა ნაწარმოები, ერთი-ორის, ჰხმ, გარდა, რომლებიც გარკვეულწილად პასუხობენ, მაგრამ აკლიათ, გამოირჩევა აშკარა უსასურობით, ლიტერატურული თვალსაზრისით სუსტია, როგორც მხატვრული, ასევე აზრობრივ-ფილოსოფიური ღა, რაც ამ ეტაპზე გადამწყვეტად ითვალრია, იდეური ასპექტით ვერ პასუხობს დროს. დიახ, — დარბაზს მზერა ვაუმაკცა, „კონკრეტულ თვალებს უნდა ერიდო, თუ გინდა, აუდიტორია აიყვანო, ყველა ერთად, მასაში უნდა დაინახო და არავინ ცალ-ცალკე!, საიდანღაც ჩაესმა, ვიღაცა მოძღვრავდა სიმაშრთან: „ციცერონზე მელადავებოდა კიდო, ჰო, დიცეტ-უტ-პრობეტო... ნეტა რა ოხრობაა?“ განაგრძო: — ჯერ ისევ გადაუჭრელად დგას და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს დდეებითი, მონოლოური ვმირის პრობლემა. მე არ მესმის ჩვენს ჯანაან, ისა, ჯანსაღ ახალგაზრდებში საიდან ჩნდებიან ეს სუსტტერხელიანი, ცნობიერებამოუწესრიგებელი აპარატს მქონე ვითომ ვმირები, რომლებიც ნამდვილად აქტუალურ, სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის ნაცვლად, ასე ვთქვათ, ებრძვიან ქარის წისქვილებს. ბუნდოვანი რომანტიზმითა და ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ნატურალიზმის ვიწრო ჩარჩოებით, საეჭვო და თავქარიანი სიურეალიზმობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუქსავატობით და ავხორცი... — აქ უწყლობამ უმუხთლა და მინამ ნერწყვი ბოლოს და ბოლოს გადააჯახირა სასაბი, ვეზუუმა გაიღვიძა — უქორრომ ადგილიდან სტყორცნა: — ქარის წისქვილებს ებრძოდა ერთი იდალგოც, მაგრამ ისეთი სიძლიერის ვმირი ალარ შექმნილა ლიტერატურაში!

აქეთ-იქიდან მოუწონეს, სხვა კუნძულებიდან შეეკამათნენ და ზღვა დაიძრა, აიქორრა. ლაღმა ნიავმა გადაუქროლა ვულკანებს და მშვიდი ბოლი მათ თავზე, ჯინებივით აკლაკნა.

ფიქრებში ჩათვლემილი სანდრო გამოერკვა, წამოიწია და მოახლოებულ ქარიშხალს იმპერატორივით ხელადმართული დახვდა.

დარბაზი ერთბაშად ჩაქრა.

კათედრაზე გადმოიდაყვებული ამბაკო სიამოვნებანარევი ირონიით გამოეპასუხა ოპონენტს: — ისევ ის პრეტენზიული ამბიციურობა „ყველა მწერლობაში რომ ეტანება“, მე ღრმად დარწმუნებული გახლავართ, რომ აქ არც ეროი სერვანტესი არა ზის, სამწუხაროდ, — თვალი სანდროსკენ გაექცა. ის გამოჩენილი ინიციატივის შემდეგ, ისევ დაჩნეული — ეს რა მოვიმოქმედე და ეს რაღაცერ დამემორჩილნენო, — რომ არაფერი მოეკითხება.

ვიღაც მოხუცი ბიჭი წამოუვარდა ადგილიდან: — აბა, დედა დაიფიცეთ! — ხალხი გაიცინა, მიზანს მიაღწია და კმაყოფილი ჩაჯდა. ისევ სახეგ იქცა.

— სამწუხაროდ, რა თქმა უნდა. ეს-ევშვათ ახლა ლიტერატურულ პარადიგმებს და დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს. „ეს ფრაზა ფრანგულად უნდა მეთქვა, ორიგინალში, თორემ ახლა კუდებს გამოაბამენ, სად ჭაკვდა ცხვრები მაგასო. მართლა სად ჭაკვდა, იმ შიმშილობაში... ცხვარი მუტონ არის ფრანგულად, რომელმა იცის ამათთაგან ფრანგული, რა ვიცი, ვიცი? აქციენტი რომ შემშლოდა? სულ არ მეთქვა და ეგ აჯობებდა. დიცეტ-უტ-პრობეტიო... კიდო. რაები მიჩხიკინებს თავში, გაკეთებული ღვინო მასვეს წუხელის“.

ხომ გრძელი და უსაშველო წინადადებაა დასამუდამოებული, აზრად კი, ამბაკოს ისე წაბში ჩაუქროა, ვითარც უსახელო პლატფორმას ჩქარმა მატარებელმა.

მე არ მომეწონა და არც მაქვს უფლება მომეწონოს ისეთი მოთხრობა, „მიდი, ჰა — მიდი“ როგორიცაა ჯორბენაძის „ერთი“. რა პრობლემებია აქ? ახალგაზრდა, ვმირი ვითომ, ნიჰილისტი და უსუსური, თავისი სანტიმენტალური, ნამდვილი ვაკაცისათვის შეეფერებელი მიამიტობით, სულმუდამ საკვდილზე ჩაფიქრებული...

— ამას ვმირი სოციალისტური შრომისა ჭგონია მარტო... — ამოიფრქვა მორიგი ეულკანი.

თვალი ვერ წაავლო იმსაათში ამბაკომ. მწერლობის ნორჩი კანდიდატება გამოცოცხლდნენ, ზმაურმა დარბაზს გადაუარა და გადმოუარა, კუთხეებს მისწვდა. იქ განთესილ ასკეტებიდან ერთმა, ყველაზე გამხდარმა და წვერიანმა დავრიშმა, თითქოს საკუთარ თავს ეშესაიფებაო, მაგრამ გასაგონად, წამოიღაღადა: — ადამიანის ჭეშმარიტი არსებობა მაშინ იწყება, როდესაც საკუთარ საკვდილზე დფიქრდება. იცით, ეს ვინ ბრძანა, ყმაწვილო? — და ისევ ჩაიბურა, ფუძეამასავით, ფიქრთა ღრუბლებში.

ვალაძემ აქეთ-იქით მაცქერალ სანდროს, რომელიც კედლების თვალიერებას ვერა და ვერ მორჩა, ხელები გაუშალა. „რა უნდა მოჰკითხო ახლა, ამნაირ სუბიექტს, გეყურება? არც კი იყურება“, ამბაკოს ისევ ექსპრესმა ჩაუქროლა და წამავალი, წითელი ნათურის ციმციმი დაუტოვა თავში. მაინც მხნედ მიუბრუნდა აუდიტორიას: — მოფილოსოფოსო ახალგაზრდა... დიახაც, მე ვერ ვუწოდებ მას გმირს, ვინც, იმის ნაცვლად, ცხოვრების ფერხულში აქტიურად ჩაებას...

— ფული იშოვოს, არა?..

— მართალს ბრძანებს ბატონი ვალაძე, ამოვიდნენ ყელში ეს მამიკოს ბიჭები!

„ა, ბიჭო! ა! რომელი იყო ნეტავი...“

სახიფათოდ ხრჩოლავს კუნძულები, ვულკანები თუხთუხებს და ლავას ისროს — სადაცაა ამოიფრქვევიან, ქარა უკვე თავისუფლად დანავარდობს... ხალხი რომ მოსმენილ ნაცვლად, ამოსათქმელად იყო აქ მოსული, თავიდანვე ჩანდა. ამ კაიფმა სანდროს იმეღზე... აღარ ჩამოასვენა და აღარ მზერა ჭერიდან. მაგრამ ვალაძე რისი ვალაძეა, თუკი მაგათ ხახვი დააჭრეს, რა ჰქვია, კისერზე; კერკეტი კაკალია ამბაკო — მწერლობის კარისკაცია, ასე ადვილად ვერ დანაყვენ: — ჩვენ პრინციპულად გავიღაშქრებთ ასეთი, ვითომ გმირების წინააღმდეგ და ვარჩევთ, სუფთა გვერდები ვბეჭდოთ, უტექსტოდ, მინამ, დიახ! ეპოქაში როცა, ალანების აჩქარებული მაჯისცემა ყოველდღიურად მოგვეხმის საკუთარი ტელევიზორების ეკრანებიდან, მსოფლიო ბირთვულ განსაცდელშია, ვინაიდან მილიტარისტები არ ეშვებიან იარაღის ყდარუნს, ეპოქაში, როცა ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა ინდივიდუალური კომპიუტერი და ვიდეო აპარატური, ყოველი კეთილსინდისიერი ოჯახის კუთვნილი სოციალური გარემოს შემადგენელი ნაწილი ხდება — ჰო, ველარ ვიდგებით ისეთი, ვითომ გმირის პოზიციაზე, რომელიც იმის ნაცვლად, რომ ჩვენს ბაღოქარ, ატომდამიზნებულ საუკუნეში გამიზნულად ცხოვრობდეს, ხალხს საკეთესა და მშვიდობაში მოეხმაროს — ცხოვრობს აუტანლად. მისი სახელი რაღაც ვიწრო ბურჟუაზიულ სალონად გადაქცეულა, სადაც ჩაიზე, — ნამდვილი მამაკაცების რა საქმეა ჩაი, — „მეტი მომდის! — ისა, ყავა იყოს, არა სჯობია? — „ჰი, იკრიბებიან ვითომ მხატვრები, ვითომ მწერლები, ვითომ კომპოზიტორები დირიჟორებიანა, და ათასი ვითომ... მარტო ქალებია ნამდვილი და მსჯელობენ ვითომ ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე. იმის ნაცვლად, აქტიურად ამოუდგნენ მხარში ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობას და შრომით ფერხულში ჩაებან, ეს გაზრდილი ხალხი თბილისის ზღვაზე მიემართება გაგანია სიცხეში და იქ სკეიტბორდით დაქანაობს ასფალტზე. „ხომ არ მეშლება?“ უფრო სწორად, ერთი დაქანაობს და სხვები სწავლობენ ყურებით.

ის ყურუმსაღი ვულკანიკო ამოიფრქვა ხელმეორედ, — გაწითლებული სიფათი აიქნია მაშხალად: — აბა, ყველას მანქანები ხომ არ გვეყოლება, ზოგიც ბორბლებიანი ფიცრით ივლის სამსახურში, — ისევ მიაღწია საწადელს, ხალხი აახითხითა და ჩაქრა.

სკეიტბორდის გაგონებაზე სანდრო დაბნეული მოაჩერდა.

„ნეტავი რა მოსწონთ ამის ნაწერებში, არის ახლა სამართალი ქვეყნად? რა ლეწნივით იყურება, ერთი უყურე“... სანდროს მზერას გაუძღო ამბაკომ და ხელებიც გაუშალა, რაც, „აი, ხომ ხედავ, როგორ ხალხში მაქვს საქმე და მათი ასეთი თავაშვებულობა შენი ბრალიცაა-ს“, ნიშნავდა.

ამასობაში ვულკანებმა ბუყბუყს უმატა, აქა-იქ ლავაც ამოისროლა და ზღვას ჟრუანტელმა აურწმოუარა... აქაურობას შტორმი ეპარებოდა.

მშვიდობის ხომალდი — სანდრო, მორჩა სკეიტბორდით გაოცებას და ჭერს აუბრუნდა, ხელის შემმართველს აღარ ჰგავდა.

ვალაძე ისევ კათედრას გადმოებღაუჭა: — ჯერ ერთი, რა ზრდილობაა, წამდაუწუმ წამოხტომა — „ლექსივითაა ოხერი“ — და, მეორეც ერთი, მწერლობის ახალგაზრდა კანდიდატი რომ ხალხთან, ერთან, სასაუბროდ პრეტენზიას განაცხადებს, სწორი ქართულით უნდა მეტყველებდეს ჭეშმარიტად და ელემენტარული კულტურული განალეკა ჰქონდეს მიღებული. კლასიკური ფილოლოგია დიახ, ესმოდეს. ინტელექტი ანტიკურ ეპოქაში, ელინისტურ პერიოდში და უფრო ადრეც...

თავყრილობა საბოლოოდ მოიშალა — ორატორისათვის ყურის გამბერტყი აღარ მოიძებნებოდა და უეცრად ძალიან მაღალი და გამხდარი ბიჭი წამოიჩინჩხა: — გვაცალეთ წერა! გვაცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთ, ბატონო, წერა, გვაცალეთ! — ამოიჩხავლა სასოწარკვეთილმა და დარბაზიდან თავქუდმოგლეჯით გაიწია. ზოგი ყიჟინით დაედევნა, უმეტესობამ კი არხეინი მზერა გააყოლა გაქცეულებს.

ვალაძე გამოცდილებით მიხვდა — ახლა ცოტა ვვეშველაო, რომ წინიდან ქალიშვილი ამოეპრანჭა ყვავილივით: — მეტი ამის მოთმენა შეუძლებელია, ხალხო! ამ კაცმა თავისი კლასიკური განათლება კაიმეთის დაწყებით სკოლაში მიიღო თუ კემბრიჯის კოლეჯში? თუ არ ვიცდები, ამხანაგო ამბაკო, აღრონიმიული გაქვთ დაუსწრებლად მორჩენილი, ხომ?

სანდრო ისე ზის პრეზიდიუმში, თითქოს მოუგონეს, რომ აქ ზის.

ვალაძემ, სპორტი რა შუაშია და, ოლიმპიური სიმშვიდე კი შეინარჩუნა: „არსებობდეს რაა, უბრალოდ ქალი, ჰა? არც გვარი და სახელი, ოჯახიშვილობა — ეროვნება და პატრონები... უბრალოდ, ქალი არსებობდეს, არ შეიძლება?“ წყნარად, ლამის ჩურჩულით გამოეპასუხა: — შემდეგ, შემოგვევლე, ჰაქსიმ ორკის სახელობის ცემტრალური ლიტინსტიტუტიც...

— დაუსწრებლად, ასპირანტურაც მოხლაფორთებული და დისერტაციც დაცული, თუ არ ვიცდები, „ნეოლოგიზმები ძველ მეგრულ-ჭანურში“, დაუსწრებლად, არა?

„რამ მომთენთა ასე, ნიორი არ მიყვია და არაყიც ვხუბე... დიცეტ-უტპრობეტო, არა? ბაბო ვატირე“ და ვალაძემ ისევ სანდროს გაუშალა ხელები:

— ქალებთან ასეთი ხასიათის საუბრები შეუძლებელია! — ამჯერად ამიღერდა და თქვა.

ნიმფამ კი, წამქეზებლებით გარშემორტყმულმა, საბოლოოდ ქარს გაუტანა ორატორისადმი მორიდება: — ლექსების გამოქვეყნებით რომ დაიწყე მოღვაწეობა, დამკვრელურ მშენებლობებზე, ციმბირის მაგისტრალზე და მისთანებზე, რა გიშავდა, ეგეთებისათვის გაგვიძლია, თუ რა... თქვენი ნაპოეტარის გამკრიტიკებელს პასუხი, შემდეგ პასუხის პასუხი და ბოლოს პასუხების პასუხი მიართვი და ვაარუმე. ისიც ხომ შენსავით აბჯრიანი ნა-ბამ-ელი პოეტია და ახლა ძმაკაცები ხართ.

„არსებობდეს რა, უბრალოდ ქალი, არც გვარი და სახელი — მიხვალ და, მორჩები, წამოხვალ. არ შეიძლება?.. დაკახრჩობ მაგის...“ ამბაკო მძიმედ დუღღებოდა. ბავშვობიდან მოსდევდა ასე — ხან შურდულს წაგლეჯდნენ, ხან კოჭებით მორხრიალე ქისას, ხან ტრაქტორიდან გამოძრობილ ტაობეან რაცხას, ხან რას და, ხანაც რას... არც ტიროდა, არც ჩიოდა, არც ყვიროდა და არც ჩხუბობდა... იყო თავისთვის. ჟუჩად. ხალხს ეკონა, — ბოთეა ეგ უპატრონო, საკუთარი თავისთვის ვერ უშველიაო. თავადაც ასე მიაჩნდა — ბეჩავი ვაარო, რიცა, ერთხელ, სოფლის სასაფლაოზე, კაკლის ჩრდილში მოკეცილი ბიჭები, ხარბად ისმენდნენ ცალხელა ყარაულის ჩრდილოეთურ ანც თავგადასავლებს, ამბაკო ბოთე, თავისთვისაც მოულოდნელად, ზურგიდან წაეპარა სოფლის ყორს და საფლავიდან აწამპილი სურა თავზე ჩამოაფშვნა. მას აქეთ აღარავის მოხუშტურებია ამბაკოს ცემა, თუმცა არც ეძმაკაცებოდნენ. „დარტყმულია — ვიღაცაო“, დაარქვეს.

ნელ-ნელა ღუღდებოდა ამბაკო, ფეხისგულებიდან დაწყებულა სიმხურვალემ სხეული ამოუთუთქა და პირიდან წამოსცდა: — მე თქვენ გიჩვენები, ისა მწერლობა მეტროპოლიტენი არ გახლავო, ქალებს ადგილი დავუთმოო! — და უჩინმაჩინ სანდროს გადაუტვირა უნებურად: — ყველა პასუხს აგებს თავის სიტყვაზზე, დიახ!

სანდრომ დაბღვერილივე უპასუხა.

ქალიშვილი კი, მოსაგე პოზიციაში გადაუდებელი ბრძოლის აზარტში ცქმუტავდა:

— რაც აქ ვთქვი, ყველაფერზე ვაგებ პასუხს. ვთქვი — კაიმეთის სკოლა-მეთქი, ასეა? ასეა.

აქეთ-იქიდან წამოშეელენენ: — ასეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დისერტაციის სათაური სწორია?

— სწორია!

ქალმა ბოლომდე დაიბრუნა სიმშვიდე, უფრო დაუნდობელი რომ აღმოაჩნდა:

— იმ მოპასუხე კრიტიკოსთან, ლომბაძესთან, რა ჰქვია? ჰი, ტანდემი რომ გაქვთ შექმნილი — შენი ლექსი — იმის ქება-წერილი, იმის წიგნი, — შენი ქება — რეცენზია. თუ რომელიმე გაგაკრიტიკეს, უტევთ ერთობლივი ძალებით. ასეა?

ნახევარი დარბაზი: — ასეა! — საიდანღაც: — მოიცათ, არც მასეა საქმე...

სანდროს ბოლოს მაინც დაადგა ბოშველი, — წამოდგა და მარჯვენა შემართა. იმპერატორის ჟესტი აღარ იყო ეს, უფრო ტაქსის უიღბლო მძიებლისას ჰგავდა. ხელი სასწრაფოდ ჩამალა ჯიბეში და დამჯდარმა, იქ მუშტად შეკრა.

ქარიშხალი ზვირთებს კასრებად დაგორებდა ზედაპირზე, ერომანეთის ახეთქებდა და ნოქავდა ყვირილად ქცეულ აზრებს, იდეებს.

გესლიანმა მშვენიერებამ კი ამასობაში (ეჰ, ყოველ ქართველ ქალში როგორ ზის მედეა, გასაკვირია და რატომ უნდა გვიკვირდეს, ეგეც საოცრაა)... შემართა დასაჭრუანტებლად კოხტა ნიკაპი და: — პოეზიის განყოფილება რომ ჩაიბარე, ძვირფასო, რა მითხარი, თუ გახსოვს?

ამბაკო დამშრალი ჩაიდანივით ვეღარ დღეს, ცეცხლშენთებული, მარტო ვარვარდება და წითლდება...

აზვირთებულმა მედეამ უკანასკნელ პირმშოსაც მოუღო ბოლო: — იფიქრე, შემოგვეკლე, შენი ლექსებისა და მოლიანად შენი ბედი, ახლა ჩემს ხელიაარ! — ბოლომდე მაინც არ გასწირა და დაინდო... საკუთარი ღირსება.

დარბაზი მართვადაკარგული თვითმფრინავის სალონს დამსგავსა. ამ ალაყაოფთში ტრაპი უკაცრავად, კარი შემოანგრიეს და მეტად შავი და აღელვებული ბიჭი შემოგლიჯინდა: ნამგალაურმა და მანგალაურმა დახოცეს ერომანეთი!

დარბაზობა სკამთა ბრაგაბრუგით წამოიშალა, ეცა კარს და, როგორც ძაბრში, ისე ჩაალია იქ.

ატრიალებულ სკამებში, ვით ოკეანის ტალღებში, გამოჩნდა ეული კუნძული, ბ-ნი გივი, ადრე შემოსული, თუ გახსოვთ, ლიტერატორი.

აქეთა, მშრალ მხარეს კი, ულოგიკოდ შემორჩენოდნენ ნაპრეზიდიუმელი ამბაკო და სანდრო.

— ნამგალაური და მანგალაური ვინღა არიან?

— ნამგალაური პროზაიკოსია, მანგალაური — პოეტი. — გამოისმა კუნძულიდან.

— კარგადაა ჩვენი საქმე, — ფანჯარას მისჩერებია სანდრო.

ვალაძემ ტურისტის სიბეჯითით ჩაალაგა პორტფელი, დაკეტა, ჩაკეტა და გასაღები ჟილეტის ჯიბეში შეინახა: — ასეთ პირობებში შეუძლებელია რაიმეს მიღწევა. ბატონო სანდრო, თქვენ რატომ არ ჩაერიეთ? არ მოუწოდეთ წესრიგისაკენ. ნახვამდის.

სანდრო საკუთარ თითებს ჩაჰკრეტებს მაგიდაზე: — როდემდე ვინდა კატლინა... მოვუწოდო წესრიგისაკენ, ძმაო, რა მილიციელი მე მნახე, კარგად მენახე.

ვალაძემ კომპასივით უზარმაზარ და ბაუგებარ საათზე დაიხედა, თითქოს იქ ამოიკითხა: — ოვალნასლივ გამოჩნდა დღეს, თქვენ ვის მხარესაც ხართ; მაგრამ ეგ არასოლიდური პოპულარობაა ამათთან! — და ცარიელ დარბაზს მიათითა.

იქ, მარტოხელა კუნძული, ბ-ნი გივი, შეიშმუშნა, ფეხთა გადადებ-გადმოდება შეანაცვლა და შეთქმულმა მიმოიხედა: — ამ ხალხს თავიანთი სიმართლე გაჩნია. სოკრატე გაიხსენეთ, „ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ აცალეთ გამობრწყინება!“ ზოგიერთს საერთოდ არ უბეჭდავენ არაფერს. თქვენ რომ ერთი წიგნის გამოცემა მაინც დაგეკლოთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გვერდები მაგათთვის მიგეცათ, მაშინ ნიჭიც გამოჩნდებოდა და უნიჭობაც აშკარა შეიქნებოდა. ახლა კი, გამოუქვეყნებლად, უმეტესობა უღიერებელი გენიოსია. გესმით თქვენ ეს?

— მე ყველაფერი ძალიან კარგად მესმის. კარგად იყავით, — გაშურებულ ეალაძეს ფიქრმა ისევ ექსპრესივით დაგანდაგანით ჩაუქროლა და გარეთ ლტოვებულ ავტომობილისკენ გადასწრო: „სულ გალოთებულა, კატილინაო, მეთომარება... ჯანდაბასაც წაულია ყველაფერი. მთავარია, როცა გარეთ წვიმს, სალონში თბილოდეს და მხვეტავებიც კარგად მუშაობდეს... მთავარია, წყალი არ ჩამოვდიოდეს ჭერში. დანარჩენს მოევლება, დიახ“.

დარბაზში შერჩენილი სანდრო, შუათიოზე ამოსულ პროფესიურ ბებერას ჩაშტერებოდა: — ვინც მწერალია, ახლა სახლში ზის და წერს.

— შენ გგონია, ამათში არ ურევია ნაღდი ხალხი? მაგრამ რა ვინდა, გუდოკის ფონზე „ჩემი ტკბილო მეგობარო“ იმღერება? არ იმღერება... გუდოკი ქართულად საყვირია...

— საყვირია კი, რას ნიშნავს ახალგაზრდა... ბებერი... მწერალი ან ხარ, ან არა. კიბისავითაა — ვერც განიკურნები და, რომ მოინდომო, ძალათაც ვერ შეიყრი — ვირუსი არ არსებობს. რამდენი მხატვარია, იმდენი სამყაროცაა. რა შუაშია აქ იერარქია, დამსახურება ხელისუფლების მიმართ, თანამდებობა და სუბორდინაცია. იქნებ საშხრეულებიც შემოგველო, წოლებები უკვე გვაკმაყოფილა ხპორტივით „პროზის დამსახურებული ოსტატი“, „პირველთანრიგოსანი დრამატურგი“. ჩაგვეტარებინა ქალაქის ჩემპიონატი პოეზიაში. ეს ახალგაზრდები კი თადარიგში სხედან... თანდათან შემოვიყვანოთ ძირითადში — ყველამ თავისი ასალი, რომ ღმერთი არ გაგაგებინოს, ვინმე განსხვავებული, თვითმყოფადი არ შემოგვეპაროს. ჰა, რიგიგორია? მე თუ მკითხავ და, მე ვინ მეკითხება, მწერლები ერთმანეთს შენობით უნდა ელაპარაკებოდნენ, უკლებლივ ყველა. მათ რეგისტრს კი დრო და ერი დაადგენს, ალბათ, მიცვალების შემდეგ... ახლა კი, ღღეს, ჩვენი ქვეყანა ათობით კარგ და ორიგინალურ შემოქმედს დაიტევს ერთდროულად და მეტსაც... წავიდეთ აქედან.

ქუჩაში წვიმა დახტოდა, გაზაფხულის ოფლი დასდიოდათ სახლებს — რაღაც ახალი და უჩვეული იქსოვებოდა ჰაერისა და წყლისაგან.

გამოფენილებმა საყელოები აიწიეს, იქვე, ვალაძის მანქანის დატოვებული ოთხკუთხედი სველდებოდა თანდათან.

— მტვირთავი ერთგან მკუნთავად მაქეს შეცვლილი, ხომ არა უშავს?

— არა უშავს კი არა, კარგია, — გაცრეცილ ჯიბესთან ხელი ჩახვია გავემ და ასე გამონასკვულები დაუჭვნენ რუსთაველის ამხაპუნებულ ქუჩას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გაბუნია

გულზე თითქოს დამახალეს ტყვია

გულზე თითქოს დამახალეს ტყვია,
ჩემი სული ტკივილისგან იძვრის...
შენ ხომ ჩემი ჭრილობა ხარ ღია
და მე შენი ნაწილი ვარ ღვიძლი!

ჟამი ტანზე სისხლის პერანგს მაცმევს,
ო, ეს გული ყვავ-ყორნებმა ფლითეს!..
ვიცი, დარდი ნამსხვრევებად მაქცევს
და ხარკმელთან მთვარე ღამეს მითევს...

შენს ქუჩებში დაბიჯებს მხეცი
და სიკვდილი შემზარავი ღრეობს!..

სიყვარულის რად ჩამიქრე ცეცხლი,
ასე რატომ გამიმეტე, დღეო!

შემიღებეს ცა ნახშირის ფერად,
გადამიჭრეს ყველა ძარღვი თითქოს.
დამაქვს უხმოდ ნაღვლიანი მზერა
და შენს წყლულებს ვითვლი
თითი-თითოდ.

გულზე თითქოს დამახალეს ტყვია,
ჩემი სული ტკივილისგან იძვრის —
შენ ხომ ჩემი ჭრილობა ხარ ღია
და მე შენი ნაწილი ვარ ღვიძლი!

აქ რა უნდა ბოროტების დეკორნს

მომენატრა შენს ნაპირზე შელამება
და აფრების უჩვეულო ფეიქვა,
პორტში გემის შემოსვლა და
შებღავლება
და ქუჩები ანთებული თეთრად.

მომენატრა ფოთოლცვენის სევდა თბილი
და ფერდობზე ხეტიალი ნისლის...
ღილა კიდევ მოფართქალე კალმახივით,
სიყვარულით ამღვრეული სისხლი!

მომენატრა ბაღი ჩემი ნეტარების,
ბამბუკების მოშრიალე ტევრი,
და გვირაბთან შეკავლება მატარებლის
ახლაც მესმის ასე შორად დევნილს!

რა გიწოდო ანდა როგორ მოგეფერო,
ისევ კვნის ქარიშხალი ზემოთ...
აქ ფორთოხლის და ლიმონის ფეიქვს
ფერი
და რა უნდა ბოროტების დემონს?!

მომენატრა შენს ნაპირზე შელამება
და აფრების უჩვეულო ფეიქვა,
პორტში გემის შემოსვლა და
შებღავლება
და ქუჩები ანთებული თეთრად...

სევდიანი ქალაქი

წუხელ ბევრი ვეწურჩულე ბალახებს
და ჭადრების ხეივანში ვიარე...
როგორ ორთოდ სევდიანი ქალაქი
და ფოთლებში ქვითინებდა ნიავი...
მიქრის სული მარად მიუსაფარი,
ჩაუქრელებს
ვარსკვლავების
საუფლოს;
მოვა წვიმა,
ამ ბალახებს გალუმპავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიოც მოვა,
რომ შენ გაგესაუბროს...
შორს ხომალდის იალქნები ჭრიალებს
და რტოები, შელახული ქარისგან...
ვერ ვიხილე
მაგ თვალების სიალე,
ვერც ის ჩუმი
ნაფეხური მთვარისა...
წუხელ ბევრი ვეწურჩულე ბალახებს
და ჭადრების ხეივანში ვიარე...
როგორ ორთოდა სევდიანი ქალაქი
და ფოთლებში ქვითინებდა ნიავი...

მოველ თქვენთან

აჭარელ პოეტებს

ცრემლმა ბევრჯერ დამისველა წამწამები,
კარგად ვიცი ერთგულების ფასი.
მოველ თქვენთან ნაგვემი და ნაწამები.
გამოვსცილდი ენგურსა და ფაზისს.
დღემდე თქვენზე ბევრი რამე გამეგონა,
მაგრამ რა სჯობს ნანახსა და განცდილს...
ამ ჩემს გულში დარდის მღვრიე ზვირთი გორავს,
ლამის არის დამამსხვრიოს კაცი!
შემოდგომა სივრცეს აღვრის დაღლილ ფერებს.
თქვენი სითბო მე გამყვება ვალად, —
მიმიღეთ და ძმაკაცურად მომეფერეთ,
ინაწილებთ ჩემს დარდსა და ვარამს.
მთა მაღალი ნისლის მანდილს აფრიალებს
და ზღვაც ნისლით თეთრად იმოსება...
საით მიდის ეს ხომალდი აფრიანი,
ზვირთების რომ გაარღვია წყება?
გული მტკივა, ზღვასთან ახლოს დავალ უხმოდ,
სად მიცურავს ეს ღრუბელი ზანტი...
ამ მიწაზე ლოცვით მინდა ჩავიმუხლო
და მათრთოლებს ფოთოლცვენის ლანდი...
ცრემლმა ბევრჯერ დამისველა წამწამები,
კარგად ვიცი ერთგულების ფასი.
მოველ თქვენთან ნაგვემი და ნაწამები,
გამოვსცილდი ენგურსა და ფაზისს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მინდიკაური

გალაკტიონმა რახან იმღერა...

გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნას

არ დამაძინა არხოტის ცამ,
თავმომწონემ ვარსკვლავთ სიუხვით.
მას, ვინაც ერთხელ მუზა იწამა,
ხმით ხაფეულით უხმობს ჭიუხი.
დრო იყო,
აქაც სიცოცხლე დუღდა,
წმინდა, ვით წყარო ჩამოქაფული,
იყო დრეობა და ეშხი დოდთა,
ეშმას სწორფრობდა ჭიშდას გაბური.
ხმაჩახლეჩილი ხმაურობს ასა.
ადარც დაირა,
არც ჭიანური.
— რას რა ბუტბუტებს, არ მესმის,
რასა? —

ბორკავს გაბრიელ ჯაბუშანური.
ერთგულ ძაღლივით დასდევდა უკან
ხრო ღამეების,
გადარეული,
ხისხლით ნახატი სამშობლოს რუკა
და ტკივილებით სავსე რვეული...

გალაკტიონმა რახან იმღერა
„შეიცვლებიან ქარით სიონი“,
მზე რომ ამოვა ცხრათვალა,
მჯერა,
მწამს,
არ გატყდება არხოტიონი.

●

მწათობი ჩაქრა.
ჭირი ჭირს ერთვის.
მოვსულვარ შენთან,

აჯა მაქვს ერთი:
ო, მაცხოვარო, მომკერძე ძალა,
რომ მოვინელო ეს ჯოჯოხეთი.

●

ნუ ვლი, აღარ გაიფოთლება
მუხა ოხერი და ნამეხარი,
მისგან კუბო თუ გამოითლება,
ცას ლაქვარდოვანს აღარ შეხარის.

დის ზღვებისაკენ მთების მაყარი —
არღუნი,
სხვა გზა არ აბადია...

არც ერთი წამი არ არის მყარი
და ყველაფერი ცვალებადია.

ბრუნავს ეს ბურთი,
ვით კარუსელი
და ამ ტრიალით გვართობს,
გვათირებს.
შეხე, მზადაა ობობას ქსელი,
გაგვაბამს მერე და აგვატირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გაუწაფავი,
მარცხენა ხელით ნაწერია
ცხოვრება ჩემი.
წაკითხვა მისი
სძნელია და მოსაწყენი.
უკუნეთიდან დამცემცემებს სულ
რამდენიმე
დღე.
რომელთაც არასოდეს მოეკიდებათ
ანგი
და მათი გახსენება ჟრუანტელს რომ
მგვრის.
მე დროთა ზღვები
ხელგაშლილად გამიფლანგია...
როცა მაწვდიდნენ ორ თასს —
სავსეს შხამით,
შარბათით,
მე ბედისწერა
უფრო პირველს მიწილადებდა.
ეხ, მეგობრებიც...
ზოგი ოხრავს,
ზოგი ამთქნარებს...
ჩვენ რომ გვათბობდა,
გავერანდა სულ ის კერიაც,
ცეცხლი ჩაქრა და ჩაინავლა
მიშარდულივით.
გაუწაფავი,
მარცხენა ხელით ნაწერია
ჩემი ცხოვრება.

სტუმარ-მასპინძელი

საუკუნის ნახევარი
შარბათიც ვსვი,
შხამიც ბევრი.
მეც მომქონდა მძიმე ჯვარი
და გავლეწე დარდი კვერით.

გაკეთილთა შევქმენ ცხრილი,
გეგმები მაქვს შენით სრული.
შენსკენ ვივლი მუხლმოყრილი,
სანამ პირში მიდგას სული.

ღმერთო!
როგორ დავიღალე.
ციურ ზართა მიედევ ექოს.
სტუმარი ვარ,
წავალ მალე...
ვინც აქ დარჩეს,
დაიკვეხნოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ჯგუბურია

„გალაკტიონი არ იყო აქ...“

ეს ლექსები თითქმის მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში იწერებოდა. გადავწყვიტე ერთად შემეკრიბა, საერთო სათაური გამომენახა და გამომექვეყნებინა.

გალაკტიონი და გამსახურდია, ასაკის მიხედვით, ამ ლექსების ავტორს მამად ერგებიან.

ადრეულ ასაკში გარდაცვლილი ასათიანი და საჯაია — შვილებად.

ერთი რამ, რაც ამ ლექსების ადრესატებს აკავშირებთ, ჩვენი საუკუნეა. ყველანი ამ საუკუნის შვილები ვართ, მაგრამ ჩვენებურმა მკითხველმა იცის, რომ ასეთი სახელწოდების წიგნი უკვე არსებობს...

ვიფიქრე, რომელიმე ჩემი სტრიქონი გამომეტანა ამ პუბლიკაციის სათაურად, ვთქვათ, ასეთი: „აი, აქ იყო გალაკტიონი“, მაგრამ ეს ლექსები რომ იწერებოდა, გალაკტიონი აქ უკვე არ იყო. „გალაკტიონი არ იყო აქ...“ — ესეც ჩემი ლექსიდანაა. არა მარტო ის ადგილებია ჩვენთვის ფასეული, სადაც იყო გალაკტიონი, არამედ ისიც, სადაც არ იყო გალაკტიონი. ამგვარ წაკითხვას დროში თუ გადავეტანთ, ცხადია, ივივე აზრს მივუახლოვდებით, თანაც ეს სტრიქონი — „გალაკტიონი არ იყო აქ...“ უბრალო გაგებითაც ზედმიწევნით ზუსტია — მე არასოდეს მინახავს ცოცხალი გალაკტიონი; ვერ მოვესწარი.

ივნისი, 1996 წელი

გიგლა სარიშვილს

გავშალოთ ჩრდილში ძველი ფარდაგი,
ზედაც უბრალო დაფა ჭადრაკის, —
შორს მწუხარება!

ასე გავლიოთ ეს დღე სადაგი,
ნელიად ვწრუპოთ ამი ბადაგი, —
შორს მწუხარება!

ვერ გაკეთდება, ძმაო, სოფელი,
თუნდაც არ იყო უქმად მყოფელი, —
შორს მწუხარება!

გადიღუნება მინდვრად ქათიბი,
გადითიბება თივა სათიბი, —
შორს მწუხარება!

გავშალოთ ჩრდილში ძველი ფარდაგი,
ზედაც უბრალო დაფა ჭადრაკის, —
შორს მწუხარება!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲯᲐᲠᲯᲘ ᲤᲮᲝᲕᲔᲚᲡ

ᲮᲐᲛᲗᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘᲐ ᲭᲐᲚᲐᲙᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲑᲐᲠᲓᲜᲘᲡ,
ᲛᲐᲠᲗᲐ ᲮᲐᲠ ᲥᲝᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲕᲐᲜ-ᲕᲔᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ
ᲓᲐᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲛᲝᲩᲘᲗᲣᲚᲘ ᲫᲘᲐᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ,
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲛᲪᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲡᲕᲔᲚᲘ.

ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲭᲐᲚᲐᲙᲘᲡᲐ, ᲘᲡᲘᲛᲘᲡ ᲩᲮᲠᲘᲐᲚᲘ,
ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲘᲡᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲭᲠᲘᲐᲚᲘ,
ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲔᲓᲐᲕ, ᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ,
ᲓᲐᲛᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ, ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲝᲮᲔᲠ-ᲢᲘᲐᲚᲘ.

1973

ᲖᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡ

ᲓᲐᲩᲘᲠᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲗᲮᲔᲓᲐᲕ ᲕᲔᲚᲔᲑᲡ,
ᲮᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ — ᲞᲘᲜᲢᲝᲡ,

ᲕᲔᲑᲔᲠᲗᲔᲚᲐ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲗᲮᲔᲓᲐᲕ,
ᲗᲮᲔᲓᲐᲕ ᲬᲐᲛᲬᲐᲛᲔᲑᲡ — ᲬᲘᲬᲕᲘᲐᲜ ᲥᲣᲚᲔᲑᲡ,
ᲓᲐ ᲪᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲑᲘ — ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ —
ᲩᲐᲜᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲓᲐᲐᲮᲕᲔᲕᲔ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲮᲐᲢᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲢᲐᲤᲝᲠᲔᲑᲘ, —
ᲣᲤᲠᲝ ᲘᲡ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲔᲑᲓᲐ,
ᲠᲐ ᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲐᲛ ᲭᲘᲜᲭᲕᲔᲚᲐᲛ,
ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲐᲒᲓᲝ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ
ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲮᲐᲠᲘ
ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲕᲠᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲓᲐ...

1973

ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ

ᲚᲐᲨᲐᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲢᲔᲕᲠᲘᲐ —
ᲐᲢᲐᲛᲘ ᲑᲖᲘᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲭᲧᲐᲕᲘᲡ,
ᲬᲐᲓᲘᲓᲔᲗ, ᲚᲐᲛᲐᲖᲝ ᲤᲔᲠᲘᲐᲕ,
ᲮᲔᲕᲮᲣᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲕᲐᲕᲚᲝᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ.

ᲗᲝᲠᲔᲛ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ
ᲓᲐ ᲕᲔᲓᲐᲠ ᲕᲘᲒᲔᲛᲔᲑᲗ ᲚᲮᲔᲜᲐᲡ,
ᲗᲝᲠᲔᲛ ᲮᲕᲐᲚ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲖᲔᲒ, ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐ
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲪᲕᲔᲜᲐᲡ...

1975

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲔᲭᲐᲧᲛᲔᲠᲘᲫᲔᲡ

ᲜᲐᲓᲝᲑᲘᲚᲔᲕᲨᲘ, ᲑᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲘᲗ, ᲞᲐᲢᲠᲐᲠᲐ ᲔᲖᲝᲡ
ᲞᲐᲬᲐᲬᲘᲜᲢᲔᲚᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲪᲘᲛᲪᲘᲛᲔᲑᲔᲜ...
ᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲝᲡ...

1975

ᲜᲝᲔᲚ ᲮᲣᲠᲪᲘᲐᲡ

ᲚᲐᲮᲠᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲛᲚᲔᲠᲘ „ᲩᲔᲚᲐᲡ“,
ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔᲚᲐ, ᲡᲘᲩᲘᲠᲩᲘᲚᲔᲚᲐ.
ᲛᲐᲜᲘᲪ ᲕᲔᲠᲐᲠ ᲐᲣᲓᲘᲮᲐᲠ,
ᲨᲔ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐᲡ.

ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲡ ᲭᲘᲠᲐᲕ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲬᲔᲡᲘ,
ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲩᲘᲪ
ᲓᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲮᲐᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ,
ᲓᲘᲓ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲜᲔᲛᲡᲘ.

ᲨᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲒᲐᲮᲐᲠ,
ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲮᲐ,
ᲰᲒᲝᲠᲓᲔ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲙᲣᲜᲐᲞᲔᲢᲨᲘ
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲚᲐᲮᲐ.

ᲨᲔᲜᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲰᲐᲜᲒᲘ ᲛᲔᲡᲘᲛᲘᲡ,
ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲩᲘ...

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ უბილავას მოსაგონარი

მწუხრისას, როცა მნათობი ზღვისკენ გადახრის ნათელს,
გულმიწურული გამზრდელი მიაჩერდება სარკმელს.
ხან გაისწორებს თავსაფარს, ხან მწარე ფიქრებს არკვევს,
ხან ხედავს: მცირე მინდორში ჩნდება მხედარი ცალკე.
ბრუნდება გულის ნათელი, ადარც ისეა საქმე,
ვერ გაარჩიოს გამზრდელმა ბინდბუნდში მისი სახე.

მაგრამ ჩვენება მუქდება, თვალი ატყუებს ნეტარს,
ცას თუთარჩელა უხდება და ვარსკვლავებიც სხედან.
ვის მიამგვანა მშობელმა მისი გაზრდილი, ნეტა,
რა მოხდა, თვალი ატყუებს, გული ყველაფერს ხედავს,
თუ უნდა, სულ დაივიწყოს, იღონდ ეყოლოს მხნედა.

მწუხრისას, როცა მნათობი გულში ჩაიკრეფს ნათელს,
გამზრდელი, ფიქრში წასული, კვლავ მიაკვდება სარკმელს.

1976

ალექსანდრე საჯაიას

აქ გაიზარდა მეგრელი ბიჭი,
ვინაც თარგმნიდა ედგარ პოს ლექსებს,
წყობილი სიტყვის გააჩნდა ნიჭი
და ხოლმე ლობეს უცვლიდა მესერს.

ეზოში ედგა ობოლო ცაცხვი,
ზღვას აგონებდა ხმაური რომლის,
დრო იყო ერთობ კუშტი და მკაცრი
და მძვინვარებდა მაღალი ომი.

ის წელი იყო და ვაჟი მოკვდა
და გულში ჩარჩა დარდი სათქმელი,
მოკვდნენ მშობლებიც და ძველი ოდა
დგას და მწუხარედ შუკას გასცქერის.

მომწვანო ხავსი კიბეზე ცოცავს...
„ვინ არის სახლში?“ გაისმის თითქოს,
„რაც არ მაქვს, არ მაქვს, რაც მაქვს,
არ მომცა,
იღონდ პოეტი ცოცხალი იყოს“, —

ეს ჩაეწერა ვიღაცას წიგნში,
ეს ორად ორი და მწარე პწკარი...
ბნელი ვივრძენი რატომღაც შიში
და გავიხურე უეცრად კარი...

1976

შოთა ჩანტლაძე

როცა იკივლებს მატარებელი, —
კაცი, პოეტი და ბოთლების ჩამბარებელი,
შოთა, ჩანტლაძე, თავს წამოსწევს,
როგორც არწივი
და იცნებებს რომ გაცილებს, —
დაბრუნდება ციდან ნაწყენი, —
კაცი, პოეტი და ბოთლების
ჩამბარებელი,
შოთა, ჩანტლაძე...

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲒᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲫᲕᲡ,
ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲓᲜᲘ ᲕᲚᲘᲐᲜ
ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲡᲔ
ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲫᲕᲐ.

ᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ-ᲮᲣᲗᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ
ᲙᲐᲪᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲕᲗᲐᲔᲑᲐᲓ ᲒᲝᲕᲚᲘᲓᲔᲡ,
ᲠᲐᲡ ᲘᲜᲐᲢᲠᲔᲑᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲡ,
ᲠᲝᲛᲪ ᲐᲒᲘᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ!

1977

ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔᲡ

ᲛᲔ ᲒᲘᲧᲣᲠᲔᲑ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲡ,
ᲢᲐᲜᲖᲔ ᲘᲪᲕᲐᲛ ᲯᲐᲭᲕᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲥᲗᲐᲠᲡ
ᲓᲐ, ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲠᲩᲔᲕᲐᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ —

ᲨᲔᲒᲐᲓᲠᲘᲓᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲔᲚᲘᲕᲐᲡ,
ᲮᲔᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲠᲐᲓᲪ ᲛᲔᲝᲥᲕᲐ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲩᲕᲐᲜᲡ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ.

ᲒᲕᲛᲝᲫᲚᲔᲕᲠᲐᲕ ᲬᲘᲒᲜᲘᲗ, ᲒᲕᲛᲝᲫᲚᲔᲕᲠᲐᲕ
ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ,
ᲚᲝᲛᲙᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲯᲘᲑᲠᲘᲗ,

ᲠᲐᲪ ᲮᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲘᲡ ᲮᲐᲠ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ
ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ.

ᲐᲮᲠᲘ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲓᲐ,
ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲞᲝᲕᲝ ᲜᲔᲢᲐ ᲡᲐᲓᲐ,
ᲐᲜ ᲣᲛᲘᲡᲘᲠᲓ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ ᲡᲐᲓᲐ,
ᲛᲘᲘᲗᲮᲐᲠᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ, ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ, ᲠᲐ ᲮᲐᲠ,
ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲫᲛᲐ ᲮᲐᲠ,
ᲓᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲝᲕᲪᲔᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐ,
ᲒᲐᲫᲚᲔᲑᲐ!

1977

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲡ

ᲐᲘ, ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲜᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐ,
ᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲘᲭᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲔᲑᲘ;
ᲖᲝᲒᲘ — ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲘ, ᲖᲝᲒᲘ — ᲐᲚᲕᲐ, ᲖᲝᲒᲘ — ᲠᲝᲙᲐᲐ,
ᲖᲝᲒᲘ — ᲜᲐᲛᲘᲐ, ᲖᲝᲒᲘ — ᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲡᲚᲘᲡᲮᲔᲑᲘ.

ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲑᲡ ᲞᲝᲜᲢᲝ. ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ ᲖᲚᲘᲡᲞᲘᲠᲘ,
ᲣᲪᲮᲝ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲝᲗᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲮᲔᲚ ᲡᲘᲚᲐᲖᲔ,
ᲡᲐᲓᲛᲔ ᲢᲧᲔᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲨᲣᲐᲚᲐᲛᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲔᲚᲘ
ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲔᲜ ᲮᲕᲐᲚᲔᲑ ᲛᲘᲕᲚᲔᲜ ᲨᲝᲠᲡ, ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲨᲘ.

ᲡᲢᲕᲔᲜᲡ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲩᲘᲤᲝ, ᲖᲔᲗᲘᲡᲮᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲐ ᲘᲙᲛᲔᲕᲐ
ᲓᲐ ᲑᲔᲣᲯᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲚᲒᲑᲘᲚᲐᲓ ᲘᲡᲔ, ᲔᲗᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ,
ᲔᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲤᲝᲗᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲠᲛᲔᲐ
ᲓᲐ ᲐᲗᲝᲕᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ „ᲕᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲢᲧᲛᲚᲘᲡ.

ᲛᲐᲛᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲓᲔᲓᲐ ᲬᲐᲭᲕᲐ, ᲛᲐ ᲙᲚᲐᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲐᲜᲡ,
ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲡᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲝᲓᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ,
ᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ ᲒᲐᲠᲐᲯᲐ
ᲓᲐ ᲛᲐᲜᲔᲥᲔᲜᲘ ᲕᲘᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲒᲐᲡ ᲒᲐᲢᲠᲣᲜᲣᲚᲘ...

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲡ

1.

მაცხოვრის კარის გალავანთან ციცქნა ბორცვია,
არა გყავს დაი — მწყალობელი, მოკვდა ზოზია.
ზოზიამ შენი მიცვალება გვიან გაიგო,
შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ, არ გყავს დაიკო.

მაცხოვრის კარის გალავანთან ცაცხვი შრიალებს
თუ... ძმის სულია, დის საფლავს რომ თავს დასტრიალებს?

2.

მე მაპატიოს გრანელმა უნდა,
რაც მას არ ჰქონდა და მე მაქვს, თუნდაც
აი, ეს დილა, საუზმე, სითბო,
აი, ეს გრძნობა, თუმც რაა თითქოს, —

არც მე მექნება მუდმივად იგი,
რაცა მაქვს ახლა და ჩემი რიგიც
დადგება, როგორც დამდგარა სხვებს...
ჩვენ გვყავს საერთო ამქვეყნად მტრები...

1978

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

ასე იყო და იქნება ასე,
ვერას გააწყობს ვერავინ აქ,
ჩვენ ერთმანეთის არ ვიცით ფასი,
ეს ჩვეულება ქართველებს გვაქვს.

აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

1978

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲘᲕᲐᲠᲐᲫᲔᲡ

შენი ლხინის წესი მიყვარს,
შენი შემონაღვლება,
რასაც ვკარგავთ აქაც, იქაც,
გული მეთანაღრება.

ხომ წვალებით მოდის დღემდე
ჩვენი ძველი წესები,
რა იქნება, ნეტა, შემდეგ,
სხვას რას დავესესხებით?

გოლუაფირი, შემოვევლე,
ვენაცვალე, ჭირიმე
სიტყვასათვის ღამის მთვლებს,
იებსა და გვირილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენაცვალე მუხებს, ძელქვებს,
ზოსიმეს და ოპიზარს,
თამარ მეფეს, დავით მეფეს —
შვილებს ზესთასოფლისას.

ვენაცვალე ხვალის მაცნეს,
საუკუნეთ პროცესებს;
შენისთანა სიტყვის კაცებს,
შენისთანა მოწესეს.

1978

ემზარ კვიტაიშვილს

— პოეტობაზე იწყება, — მითხრა ემზარმა
ვიღაცის გამო და უეცრად ყოფნა შემზარდა.

ვაი, ლექსებო, უსუსურნო და უვარგებო,
ვაი, ამ გლახა წიწაობას, ჩემო კარგებო.

ვაი, ამ ყოფას: პოეტობას მიელტვის ვიღაც,
ვაი, ამ მეთმოეთობას, აქაც და იქაც.

ისე კი, ღმერთმა მოუმართოს იმგვარ კაცს ხელი,
ვისაც ჰგონია, პოეტობა საქმეა ძნელი,

და არ ჰგონია, რომ ბედია, ბედი — ტიალი,
გალაკტიონის, პაოლოსი და ტიციანის.

1978

ზაურ ბოლქვაძეს

— გამარჯობა, ლომი!
— გაგიმარჯოს, ვეფხვო!
საქართველოს ღონეე,
საქართველოს ჭერხოვ!

ლობიო და ღომით,
ჩაითა და ვარდით,
შეილითა და ცოლით,
ბალახით და ბარდით,
მოებითა და მინდვრით,
ვენახით და დაფნით,

ჭერამით და შინდით,
აწეული წარბით,
ისტორიის ბინდით,
ვარძიით და სარფიო.

— გამარჯობა, ლომი!
— გაგიმარჯოს, ვეფხვო!
საქართველოს ღონეე,
საქართველოს ჭერხოვ!

1979

ოთარ ჩხეიძეს

არც ქალაქელი, არცა სოფელი,
გახდული ხარ ორ წერტილს შუა
და როს გიკითხავს აქ მეზობელი:
„ნეტავ ბატონი ოთარი თუა?“

შენ იქ ხარ მაშინ და იქ ფუსფუსებ.
ხეხილს რგავ ბაღში და კირით ფეთქავ,

გასცქერი ატმის ახალ ბუსუსებს
და ჟრიამული ჩაგესმის ფერთა.

იქ გიკითხავენ და აქ ხარ მაშინ
და წერილს უწერ ჩვენებურ გაზეთს,
გაწეწილი გაქვს ფაფარი ქარში
და ხალხში მარტო მიდიხარ გზაზე.

არცა სოფელი, არცა ქალაქი,
იცი, უშენოდ ივარგებს ველარ.
არის წინაპართ ძვალთშესალაგი
მიწა, რომელზეც დრეებით დგეხარ,

და, ვით ამბობდა მღედელი თედორე,
„მიწა არს დედერთი!“ და ვერ ელევი,
შენ, ჩემო დიდო თანამედროვევ,
გაქვს დახვეული ჯაფით ხელები.

შენ ჩეხავ შეშას, ღობეს ამაგრებ,
და სიტყვას უთევ თეთრად ფამეებს.
დიდი ქართულის ხარ მოამაგე,
იმერს უხამებ ფერით ამერეთს.

ხარ პროფესორი და ხარ ბიგანო,
თავადი ძველი, გვარით ქებული,
თუმც დღეს არა გაქვს უკიდეგანო
მამული, შენად სახელდებული.

ზეხარ, გვეხატავ დღეს ეტიუდებს,
ვით ფრესკის ნაჭერს ძველი ტაძრისას,
რომანს გიმშვენებს აზრის სიუხვე
და საღონარი მარტო კაცისა.

არც ქალაქელი, არცა სოფელი,
გახიდული ხარ ორ წერტილს შუა,
და რის გიკითხავს იქ მეზობელი:
„ნეტა, ბატონი ოთარი თუა?“

შენ აქ ხარ მაშინ და აქ ფუსფუსებ,
რწმენას რგავ წიგნში და მადლით
ფეოქავ.
გასცქერი ნედლი სიტყვის ბუსუსებს
და ჭრიამული ჩაგესმის ფერთა...

1980

ალექსი ჭინჭარაულს

„მოდიოდა ერთზე ათი“
ბალაკტიონი

პირს იპარსავდა ხევსური,
სარკის ნატეხში დაჩნდა:
ასე ათამდე მხედარი
მოაელვებდა ჩაჩქანს.

ფიქრში გაზომა მანძილი,
თუ მოასწრებდა პარსვას?
ასე ათამდე მხედარი
მოაელვებდა ჩაჩქანს.

გუნებაც გახალისდება,
როცა პირს გაიპარსავ.
ასე ათამდე მხედარი
იმ დღეს ორწოხში ჩარჩა!

1981

გიორგი ბაქანიძეს

მე სახელოთი გავწმინდე ციცქნა სადგურზე მინა.
ჟინჟღლავდა უსიამოვნოდ, თოვლსაც ურევდა წვიმა.

მარტია, დარ-ავდარია, მატარებელი ქმინავს
და ბალღი ფართო თვალებით მისჩერებია რკინას.

„მერია“ ერქვა იმ სადგურს, შენ გამახსენდი, ჯიმა,
შენი ღარიბი ბავშვობა, — თოვლგარეული წვიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უნდა მეთქვა ვინმესთვის, თავი ვიგრძენი მწირად.
მაგრამ თანამგზავრს ვხედავ და კვლავ არხეინად სძინავს.
მატარებელი აიძრა, ბალღი ბაქანზე დარჩა,
საუკუნეა თითქოსდა ბედი არა და არ ჩანს!

1981

სიმონ შამფრიანს

მე მიყვარს ქვეყნად გონიერი სიჩუმე შენი,
შეგხვდები ხოლმე და მეცვლება უცებ გუნება,
ჩემს მხარესაა წყარო, მთები, ბალახი, ცხენი,
ვერანაირი, მე მგონია, ვერ მძლევს ცთუნება.

შენ, როგორც ბერი, კაფანდარა და ფიქრიანი,
ღვახარ სენაკში და გინთია ღამით სანთელი,
კითხულობ გულში: რისთვის ცხოვრობს ადამიანი?
რით განსხვავდება უცხოსაგან კაცი ქართველი?

აქ დუმილი სჯობს თუ სიტყვები არის საჭირო?
კითხულობ გულში, მაგრამ არას იტყვი ჩვეულად,
კაცია ზოგი, საღონარი ისე აჩნია,
ხედავდე თითქოს — საქართველო ვერ დაქცეულა!

1981

მუხრან მაჭავარიანს

რამხელა პოეტიც არ უნდა იყო
(საოცარი კი არის თითქოს),
არ შეიძლება
ერთხელ მაინც არ მოვენატროს,
რომ შენ ტერენტი ვრანელი იყო...

1982

ლევან ბრეგაძეს

ვინ უნდა გააღოს, მითხარი, კარი:
იმან, ვინც ახლა ოთახში არის
თუ...
ვისაც კლიტე ჯიბეში უდევს?
მოდით, ამაზე დავფიქრდეთ წუთით...
მეტი დაფიქრებაც შეიძლება...
ბევრი რამე შეიცვლება...

1982

დემნა შენგელაიას

წლეულს ქვეშხეთში აღარ იყო ბატონი დემნა
და მოიწყინა ქვეშხეთურმა რვეულმა ჩემმა.

ვერ მოვისმინეთ ტკბილ-ქართული ღეღუნი მისი,
ვეღარ ვამღერე კამათელი ცაცხვების ჩრდილში.

ვერც ახლომახლო ადგილები ვიხილე წლეულს,
ველარ გავეცალ საყდრისაკენ მიმავალ ხვეულს.

ვერ მოისმენეს პაწაწინა ჩემმა გვრიტებმა,
რა ბედი ერგო ამ ადგილებს და რა კირთება.

არ იყდა ჩრდილში კაცი იგი, ვინაც იცოდა
თუ ბედი ჩვენი რა მწარიდან ამოიფოთლა.

და მე გავიგე, რომ ადგილის ფასი ნამდვილი,
ეგ არის კაცი, მხოლოდ კაცი, სხვა არაფერი.

1982

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲯᲐᲘᲐᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

— კოკის სოფელი ვინახულოთ, სადღაც ახლოა,
ნახე, რა კარგი და ლამაზი სამოსახლოა...

შორიდან ვნახეთ ჩვენ ცაცხვნარი და დაგვწყდა გული, —
ახლო მივედით, სასაფლაო ყოფილა თურმე.

სოფელი... საფლავი... ერთია თითქო,
შენ რაც გსურს, იფიქრე. — მე ჩემსას ვფიქრობ.

1982

ᲚᲐᲨᲐ ᲮᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲡ

მე ვიქნებოდი მხატვარი, მაგრამ
ისეც ლამაზი არის ეს ფშავი,
ისედაც ნახავს, ვისაც სურს ნახვა,
პირიმზე ტყეში რარიგად ჰყვავის.

მე უნდა ისევ ვწერო ლექსები
და, როგორც მესერს მისდევს მესერი,
კვლავ მივადევნო სტრიქონს სტრიქონი,
ვიგრძნო შამქორი, ვიგრძნო დიდგორი.

მე უნდა ვიგრძნო, რაც იყო ადრე,
რაც არის ახლა და მოვა მალე.
მე ვიქნებოდი მხატვარი, მაგრამ
ახლა ნაკლებად ვენდობი თვალებს.

1983

ᲯᲣᲠᲑᲐ ᲮᲐᲚᲘᲠᲐᲥᲘᲡ

შენი სახელი მაგონებს ციხეს,
სახელი — ჯურბა! —
რასაც იღებდნენ და ვერ აიღეს
ჩვენთა მომხვდურთა!

ვერც აიღებდნენ! — ეგ ციხე ღაღის,
ფეხზეა მუდამ!

ომის მახედვით იცვლის ის აღვილს
და ომი უნდა!

შენი სახელი მაგონებს ციხეს...

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაულს

შენ ერთს უყვარხარ და მეორე მიწაში გმარხავს,
მესამე სდუმს და აყურადებს მეოთხის სიტყვას,
მეხუთე თითქოს აქ არ არის, ხოლო მეექვსე
მეშვიდეს უცდის, როგორც მერვე — მეცხრე-მეათეს.
მაგრამ რომ ყველამ შეჰკრას პირი, რას იზამ მაშინ,
ყველამ რომ ერთად აღვივლინოს ხოტბა-დიდება,
თავი გექნება სატირალი მაშინ, მახარე.

1983

ეთერ თათარაიძეს

დიასახლისი, პოეტი, დაი,
შვიდფერი მისი მუზა და ცაი.

ენა — ძირმწარე და ტკბილი ენა,
ლეგენდების და ფშაველას გენი.

ნამდვილი მზე და ნამდვილი მთვარე,
ნამდვილი ხმალი, ნამდვილი ფარი.

ნამდვილი ცეხე, ნამდვილი მთები,
ნამდვილი დები, ნამდვილი ძმები.

ნამდვილი წვენი, ნამდვილი პური,
ბალახს სძოვს მცირე ბორაკზე ფური.

დედა-თუშეთის გაელენა მყარი,
დედა-თბილისის გავლენა — არა.

დიასახლისი, პოეტი, დაი,
შვიდფერი მისი მუზა და ცაი.

1983

დედა ენა

რამაზ პატარიძეს

მე მიყვარს ეს ხმა, ყველა სმაში გამორჩეული,
და ოკრობოკრო ასოებით სავსე რვეული.

დამრიგებელი ჩემი წყნარი, თმაშეკერცხლილი,
ლიდა ნანავა, „დედა ენა“ ყდა გაცრეცილი.

იწყება წიგნი უწმინდესი ნაზი იათი,
ჩიტის ჭიკჭიკით და ტოროლას ტია-ტიათი.

ანი მიწაა, ჰაე კიდევ სულ ცაში მიდის
და იმათ შუა სამყარია უსაზღვროდ დიდი.

მე მიყვარს ეს ხმა, ყველა ხმაში გამორჩეული,
და ოკრობოკრო ასოებით სავსე რვეული.

1983

სპირიდონ კვარაცხელიას

მე ვხედავ: ბაღში სეირნობს კაცი,
ის იხედება მარჯვნივ და მარცხნივ,
ხან დაიხრება, დასწვდება ფოთოლს,
მას ეს ყვითელი ფოთოლი მოსწონს.
ხან ნანგრევებთან ჩერდება დიდხანს.
აქ მიურატის სასახლე იდგა.
და ბზის ხეივნით წინ მიდის ისევ;
უფერულია დეკემბრის სივრცე.
მცირე ბუჩქნარი, ბალახი ხმელი,
უკვე ჩავიდა მაწაში გველი,
ხვლიკი კი, აგერ, ფოთოლზე თბება
და უღონო მზე ხეივანს ღებავს.

ბაღში მოხუცი სეირნობს კაცი,
თან იხედება მარჯვნივ და მარცხნივ,
ბრუნდება უკან, წინ მიდის ისევ,
მიიქნევს ხელებს და ხელებს მისდევს.
ხან გაქავდება, ახედავს ზეცას,
ასე იქმნება დეკემბრის ლექსი;
დეკემბრის ბაღში სეირნობს კაცი,
გულია დაფა და ფიქრი — ცარცი.
ღამდება ნელა, ქრის ცივი ქარი,
ქარია ეტლი, ფოთოლი — მგზავრი,
ბაღში მოხუცი სეირნობს კაცი...

1983

იზა ორჯონიკიძეს

ისევ მებუზღუნება იზა ორჯონიკიძე,
ჩემი კარგი დაია, ცოტნეს კარგი ბებია.
ჩემთვის ზრუნავს, ცხადია, ხატზედაც დავიფიცებ,
სხვისთვის ესე ამბავი ძნელად გასაგებია.

ეხარზე აწევს ცხოვრება მისი ავანჩავანით,
ჩემთვის ზრუნავს, ცხადია, ხატზედაც დავიფიცებ,
ან რაში მენალვლება, რას იფიქრებს მავანი,
მე ვინ უნდა გამაცნოს იზა ორჯონიკიძე.

რასაც ფიქრობს — გამოთქვამს, რასაც იტყვის — სწორია,
ან რაში მენალვლება, რას იფიქრებს მავანი;
მისი გულის ფარგალი ახლა ქვეყნის ტოლია,
მხარზე აწევს ცხოვრება მთელი ავანჩავანით.

იცის, ვის ეუბნება საკილავს და საჩივარს,
იცის, როგორ შემოვდგით ფეხი პოეზიაში.
დახტის ბრაზობს, გაჰკივის, ერთი ცოდა ბავშვია,
ისეთია, როგორიც არის ლექსთა წკრიალში.

გიღალატე, დაია, ველარ გამოგადექი,
თავს ვერ გამოვადექი, სწორედ ამას ვგულისხმობ.
მერამდენედ მიკითხავ მერამდენე გაკვეთილს,
— როგორ გინდა იცხოვრო, — მეუბნები, — ურისკოდ.

— თავი გიყვარს ძალიან, — მეუბნება გულწრფელად, —
შენს კაცობას რა ვუთხრა და შენსავით მეგობარს,
გასკდი ეგოისტობით, გასკდი, შე ღორმუცელა,
ენახოთ, ეგ საფანელი სადამდისაც გეყოფა...

ისევ მებუზღუნება იზა ორჯონიკიძე,
ჩემი კარგი დაია, ცოტნეს კარგი ბებია.
ჩემთვის ზრუნავს, ცხადია, ხატზედაც დავიფიცებ,
სხვისთვის ესე ამბავი ძნელად გასაგებია!

1984

ᲚᲐᲓᲝ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

პატრიოტია ქართველი ყველა,
მწერალი ყველა, პოეტი ყველა,
რადგან არსაით არა ჩანს შველა,
პატრიოტია ქართველი ყველა.

პატრიოტია ქართველი ყველა,
თითქოს მუდმივი რადაც ომია,
რადგან არსაით არა ჩანს შველა,
პატრიოტია ქართველი ყველა,
მხოლოდ ამიტომ, ასე მგონია;

სხვა თვალსაზრისი არა აქვს მწერალს,
პატრიოტია მწერალი ყველა,
პატრიოტია პოეტი ყველა,
პატრიოტია ქართველი ყველა,
რადგან არსაით არა ჩანს შველა.

1984

ᲡᲐᲛᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ

1.

თავისთვის ცხოვრობს იგი მარად, როგორც წესია,
და იშვიათად თუ ნახავს ვინმე,
მაგრამ იმგვარად, როგორც იცი, გაქეს ეკლესია
ან სალოცავი პაწია მღვიმე
და აღარ სტუმრობ ხშირ-ხშირად იმას,
რადგანაც გჯერა, იგი შენია, —
ასეა ივიც, თან თუ იცი, საბრალოს წვიმაც
აღარ ჩამოსდის, — ხომ არაფრის არ გეშინია!

2.

და მოჰგავს იგი არწივის მართვეს,
ვაჟა-ფშაველას ადარებენ ხატებით კიდეც,
თან ცხოვრობს აქვე
და ჩვენთან ერთად ქუჩაში მიდის.
წვიმს უმეტესად მის ლექსებში და ტალახია,
მიტომაც ხშირად აცვია ჯინსი.
დიდთან დიდია, ბალღთან ბალღია
და ავი სენის არა აქვს შიში;
ხან აგონდება ომის ქარი, თოვლი და სუსხი,
ულრენს „ვილისი“ ხეობის ღრანტეს,
ზამთრობს ქალაქში და სანუკვარ ამინდებს უცდის
და ემგვანება ის დღითიდღე შებოლილ სანთელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

და გადაშლილი აქვს მას მუდამ სიგელ-გუჯრები,
სიტყვას წაკითხულს უსმენს ყურით, სკამიდან დგება:
„საკითხავია, დაიხოცნენ რისთვის გურჯები?“
რაც ხანი გადის, იგი ხალხში ნაკლებად ჩნდება
და ემგვანება დღე-დღე ერისთავს
თავისი მეფის გამო დიდად განაწყენებულს...

1985

ცივალა ჩხეიძეს

მე შთაგონებას მოველოდი ეს ოცი წელი,
რათა მომეძღვნა ორიოდე სტრიქონი წრფელი.
თავადის ქალო, შენ სიუხვე დგიცავს მარად,
მახსოვს, რარიგად მომიმართე იმხანად ხელი.

და ვინ იყავი მაშინ ჩემთვის, ახლა რომ ითქვას, —
სატრფო, მეუღლე, მეგობარი თუ რასაც რითმა
მოიტანს ახლა თავისუფლად და ვერა ძალა
მას ვეღარ წაშლის და იცოცხლებს სტრიქონში დიდხანს?

თუ ქრისტიანი იყავი შენ მხოლოდ და მხოლოდ
და შეუერთდე უნდა კიდეც, ბოლოს და ბოლოს,
იმ ნეტარ დედათ-მუხლმოდრეკით მაცხოვრის კართან,
რათა კაცთ სწამდეთ, როგორ სჯაბნის კეთილი ბოროტს.

1985

---

*მურმან ჯგუბურიას ლექსების ციკლის „გლაკტიონი არ იყო აქ“ გაგრძელებას შემოგთავაზებთ ჟურნალის მომდევნო ნომრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი

გენერალი თავის ლაბირინთში

სამბრანოს შემდეგ ჯუნგლები შეთხელდა. ჭრელა-ჭრელა, მხიარული დასახლებები გამოჩნდა. ზოგიერთი სოფლის ქუჩებში უმიზეზოდ უკრავდნენ მუსიკას. ჰამაკში ჩაწოლილი გენერალი ამაოდ ცდილობდა ფრანგის თავხედობის მინელებას. განუწყვეტლივ ფიქრობდა მასზე და ხოსე პალასიოსს შესჩიოდა, რომ დროზე ვერ მიიფიქრა შესაფერისი არგუმენტები, რომლებიც მეტოქისგან შორს, ჰამაკში ჩაგორებულს მოსდიოდა თავში. საღამოს გუნება გამოუკეთდა და გენერალ კარენიოს დაავალა მთავრობისთვის ეთხოვნა გაჭირვებაში ჩავარდნილი ფრანგის დახმარება.

ზღვის სიახლოვით გახალისებული, ნავზე გამომწყვდეული მისი ოფიცრები მოზღვავებულ ენერგიას მენიჩბეების დახმარებაში, ჯარუნებით კიბანებზე ნადირობასა და სხვა სამუშაოებში ხარჯავდნენ. ხოსე ლაურენსიო სილვას კი, პირიქით, დღე ეძინა და ღამე მუშაობდა ხოლმე. იგი წინასწარ ემზადებოდა სიბრმაცისათვის, რადგან დედამისის გვარში კატარაქტის შედეგად თვალის ჩინის დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომაც დგებოდა ღამე და ბრმასავით მუშაობდა სიბნელეში. უძილო დამეებში გენერალს ესმოდა ხოლმე ხელსაწყოების რაკარუკი. ხოსე ლაურენსიო სილვა ფიცრებს ხერხავდა, რანდავდა და ხმაურის ჩასახშობად ქეჩაშემოკრული საჭრეთლით ჩუქურთმები ამოჰყავდა. დღის შუქზე ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს მშვენიერი დეტალები სიბნელეში მზადდებოდა.

ერთ ღამეს, პუეტრო რეალში, ხოსე ლაურენსიო სილვამ ძლივს მოასწრო პაროლის თქმა, რადგან პატრულს ეგონა, ვიღაცა გენერლის ჰამაკს ეპარებაო და კინაღამ ტყვია დაახალა.

ახლა უფრო სწრაფად და მშვიდად მიიწევდნენ წინ. ერთადერთი უსიამოვნება კომოდორ ელბესის ორთქლის გემმა შეუქმნათ, რომელიც ქშენით მიიწევდა საწინააღმდეგო მიმართულებით. გემმა ისე ახლოს ჩაიარა, რომ აგორებულმა ტალღებმა პროდუქტებით დატვირთული ნავი გადააყირავა. გემს ქიმზე დიდი ასოებით ეწერა „ელ ლიბერტადორი[1]. გენერალი დფიქრებული გასცქეროდა გემს, სანამ ის თვალს მეეფარა. „ელ ლიბერტადორი“, ჩაიბურტყუნა, შემდეგ, თითქოს ფურცელი გადაშალაო, დაამატა: „ვინ იფიქრებს, რომ ეს მე ვარ!“

იმ ღამეს ჰამაკში თვალი არ მიუხუჭავს და ესმოდა, როგორ ცდილობდნენ მენიჩბეები ჯუნგლებიდან მომავალი მაიმუნების, თუთიყუშებისა და ანაკონდების ხმების ამოცნობას. უცებ ერთმა მათგანმა სხვათაშორის თქვა, რომ კამპილიოებმა ეზოში ჩაფლეს ინგლისური დანა-ჩანგალი, ბოჰემიის ბროლი და ჰოლანდიური სუფრები, რათა ჭლექი არავის შეჰყროდა.

გენერალმა პირველად მოისმინა ჭორად გავრცელებული ეს დაკვნიზი, რო-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 5-6, 7-8, 1996 წ.

[1] ელ ლიბერტადორი — განმათავისუფლებელი. ასე უწოდებდნენ ბოლივარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზეც უკვე მდინარისპირა ყველა დასახლება ლაპარაკობდა და რომელიც სულ მალე მთელ სანაპიროს მოედებოდა.

ხოსე პალასიოსი მიხვდა, რომ ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა გენერალზე. მან ჰამაკში ქანაობა შეწყვიტა, დიდხანს იფიქრა და თქვა:

„მე ჩემი დანა-ჩანგლით ვჭამე“.

მეორე დღეს ტენერიფეს დასახლებას მიადგნენ დაკარგული პროდუქტების მარაგის შესავსებად. გენერალი ნავიდან არ გადმოსულა, მაგრამ უილსონს სახოვა, მოეძებნა ფრანგი ვაჭარი, გვარად ლენოიტი ან ლენიორი, რომლის ქალიშვილი იმხანად ოცი წლის უნდა ყოფილიყო. ტენერიფეში რომ ვერაფერი შეიტყვეს, გენერალმა გადაწყვეტა მეზობელ დასახლებებში — გუაიატიაში, სალამინასა და ელ პინიონში ეცადა ბედი, სანამ დარწუნდებოდა, რომ ლეგენდას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნდა.

მისი ინტერესი გასაგები იყო, რადგან წლების მანძილზე, კარაკასიდან ლიმამდე თან სდევდა ხმები იმის შესახებ, რომ მდინარის სანაპიროების განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს ტენერიფეში მასა და ანიტა ლენოიტს შორის ადვირახსნილი ურთიერთობა დამყარდა. გენერალი სასტიკად განიცდიდა, რომ ჭორების გაბათილებას ვერაფრით ახერხებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მამამისს, პოლკოვნიკ ხუან ვისენტე ბოლიერსაც ამრალებდნენ მოზარდთა და მეჯვალეთა გაუპატიურებას და პირველი დამის უფლებით სარგებლობას, რის გამოც არაერთხელ წარმდგარა სან მატეის ეპისკოპოსის წინაშე. თანაც იმ ბრძოლების დროს ტენერიფეში მხოლოდ ორი დღით გაჩერდა, რაც სრულიად არ იყო საკმარისი ასეთი თავაწყვეტილი სიყვარულისთვის. ლეგენდა მაინც დადიოდა და იქამდეც კი მივიდნენ, რომ ტენერიფეს სასაფლაოზე სენიორიტა ან ლენოიტის საფლავის ქვაც გაჩნდა, სადაც საუკუნის ბოლომდე დადიოდნენ შეყვარებულები.

გენერლის ანალაში უბოროტოდ დასცინოდნენ გენერალ ხოსე მარია კარენიის ხელის ტკივილს. საოცარი ის იყო, რომ ცუდ ამინდში კარენიო მოჭრილი ხელის სახსრების ტკივილს გრძნობდა, დროდადრო კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თითებს ამოძრავებდა. საბედნიეროდ, კარენიოს იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდა და საკუთარ თავს დასცინოდა, მაგრამ სერიოზულად აშფოთებდა თავისივე ერთი თვისება: ძილში ვაეცა პასუხი ისთვის დასმულ ყველა კითხვაზე. მძინარეს ნებისმიერ აკრძალულ თემაზე შეეძლო დიალოგის გამართვა და ხანდახან სიფხიზლეში დფარულ უიმედობასა და ფარულად მიღებულ გადაწყვეტილებებსაც ამხელდა, ერთხელ კი სამხედროსთვის უღირსი საქციელის ჩადენაში გამოტყდა.

იმ დამეს გენერლის ჰამაკთან მოდარაჯე ხოსე პალასიოსს ვემის კიჩოდან კარენიოს ხმა მოესმა:

„შვიდი ათას რვაას ოთხმოცდაორი“.

„რაზე ვლაპარაკობთ?“ იკითხა ხოსე პალასიოსმა.

„ვარსკვლავებზე“, მიუგო კარენიომ.

გენერალმა თვალი გაახილა, დარწმუნდა, კარენიო ძილში ლაპარაკობდა და ჰამაკში წამოიწია, რათა ფანჯრიდან შეეხედა ღამეული ცისთვის. უსაზღვრო და განათებულ ცაზე მიჯრით ჩამწკრივებულიყვნენ მოკაშკაშე ვარსკვლავები.

„ათჯერ მეტი მაინც იქნება“, აღნიშნა გენერალმა.

„იმდენია, რამდენიც ვთქვი“, არ დაუთმო კარენიომ, „კიდევ ორი მოზეტიალე ვარსკვლავი არ მომთვლია“.

მაშინ გენერალი ჰამაკიდან წამოდგა. წელს ზემოთ შიშველი კარენიო ჰიპოდამა იწვა, ტანი ნაჭრილობევებით ჰქონდა დფარული და ფხიზელი, როგორც არასდროს, ხელით ითვლიდა ვარსკვლავებს. სწორედ ახეთ მდგომარეობაში იპოვეს სერიტის ბლანკოსის ბრძოლის შემდეგ ვენესუელაში, მისივე ჭრილობებიდან დამდგარ სისხლის გუბეში, და ტალახში ჩაგდეს, რადგან მკვდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგონათ. ხმლით მიყენებული თოთხმეტი ჭრილობა ჰქონდა, რომელთა გამოისობით დაჭკარგა კიდეც მარჯვენა ხელი. მოგვიანებით სხვა ბრძოლებშიც დაიჭრა, მაგრამ ცხოვრების ნირი არ შეუცვლია და სულ მალე მარცხენა ხელით მარტო ხმლის ოსტატურად ხმარება კი არა, ნატიფი კალიგრაფიით წერაც ისწავლა.

„ვერც ვარსკვლავები გადაურჩნენ ცხოვრების დინებას“, აღნშნა კარენიომ, „დღეს უფრო ცოტანი არიან, ვიდრე თვრამეტი წლის წინ“.

„გიჟი ხარ“, თქვა გენერალმა.

„არა“, უპასუხა კარენიომ, „ბებერი ვარ, მაგრამ არ ვიმჩნევ“.

„მე შენზე რვა წლით უფროსი ვარ“, თქვა გენერალმა.

„მე თითო ჭრილობაში ორ წელს ვიმატებ, ამიტომ ყველაზე ხნიერი გამოვდივარ“, არ დაუთმო კარენიომ.

„მაშინ ყველაზე ბებერი ხოსე ლაურენსიოა“, თქვა გენერალმა, „ტყვიის ქქუსი, ხიშტის შვიდი და ისრის ორი ჭრილობა აქვს“.

„ასეთ შემთხვევაში თქვენ ყველაზე ახალგაზრდა გამოდიხართ“, მწარედ უპასუხა კარენიომ, „ერთი ნაკაწრიც არ გაქვთ“.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა გენერალს ამ ფაქტს აყვედრიდნენ, მაგრამ კარენიოს ხმაში წყენა არ ისმოდა და, საერთოდაც, მათმა მეგობრობამ ყველაზე ძმამე გამოცდებს გაუძლო. გენერალი გვერდით ჩამოუჯდა, რათა ერთად დამტკბარიყვნენ მდინარის ვარსკვლავებით. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ღრმა ძილში წასულმა კარენიომ საუბარი განაახლა:

„მე არ მჯერა, რომ ამ მოგზაურობით ცხოვრება მთავრდება“, თქვა.

„ცხოვრება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მთავრდება“, უპასუხა გენერალმა, „თუმცა სხვა, საკმაოდ ღირსეული საშუალებებიც არსებობს“.

კარენიომ არ დაიჯერა.

„რადაც უნდა ვიღინოთ“, თქვა „იქნებ იისფერი კარიაკეტის[1] აბაზანა მიგვეღო, მარტო ჩვენ კი არა, მთელ განმაიავსუფლებელ არმიას“.

პარიზში მოგზაურობისას გენერალმა ჯერ კვლავ არაფერი იცოდა კარიაკეტის აბაზანების შესახებ, რომელსაც მის სამშობლოში ავი თვალის ასაცილებლად იყენებდნენ. ამ სასწაულმოქმედ ყვავილზე პირველად მეცნიერული სერიოზულობით ჰუმბოლდტის თანაშემწე, დოქტორი აიმე ბონპლანდი ესაუბრა. იმხანადვე გაიცნო საფრანგეთის იუსტიციის წრეებში სახელმოხვეჭილი პიროვნება, რომელიც ახალგაზრდობაში კარაკასში ყოფილა და, იქიდან მოყოლებული, პარიზის ლიტერატურულ სალონებშიც კი, კარიაკეტის აბაზანების წყალობით, იისფერად შეღებილი, მოციქულის წვერით დადიოდა.

გენერალი ყველა ზებუნებრივ და აუხსნელ მოვლენას მასხრად იგდებდა, მით სიმონ როდრიგესის რაციონალიზმს უმტეს, თუკი ის მისი მასწავლებლის, ეწინააღმდეგებოდა. იმხანად ახალდაქირავებული და მდიდარი ოცი წლის ჭაბუკი გახლდათ. ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერატორად კურთხევის შემდეგ მასინა გახდა, ზეპირად კითხულობდა ხოლმე ნაწყვეტებს რუსოს „ემილისა“ და „ახალი ელოიზადან“, რომლებიც მის სამაგიდო წიგნებად ქცეულიყო. ზურგჩანთამოკიდებული მთელს ევროპაში ფეხით მოგზაურობდა თავის მასწავლებელთან ერთად. რომის ერთ-ერთ ბორცვზე, მათ ფეხქვეშ გაწოლილ ქალაქს რომ ათვალიერებდნენ, სიმონ როდრიგესმა ამერიკის მომავალი იწინასწარმეტყველა, რაც ბოლივარმა კიდევ უფრო დააკონკრეტა.

„ვენესუელიდან კინწისკვრით უნდა გავყარით კომპლეი ჩამოსული უცხოელები“, თქვა, „და, გეფიცებით, ვიზამ კიდეც ამას“.

რიცა, ბოლის და ბოლოს, მოლიანად მიიღო მემკვიდრეობა, ეპოქის შე-

[1] კარიაკეტო — მრავალწლოვანი მცენარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფერის თავაწყვეტილ ცხოვრებაში გადაეშვა. ფიცხი ხასათი თაეისას შვრებოდა და გენერალმა სამ თვეში 156 000 ფრანკი დახარჯა. პარიზის ყველაზე ძვირფასი სასტუმროს ყველაზე ძვირი ოთახები ეკავა, ორი ლივრეიანი ლაქია და თეთრცხენებშებმული ეტლი ემსახურებოდა თურქი ქეიტლითურთ. საფვარლებს ხელთათმანებივით იცვლიდა. პროკოპის კაფეში საფვარელი მაგიდა და ოპერის თეატრში — საკუთარი ლოჟა ჰქონდა. არ აცდენდა მონმარტრის ცეკვებს და ყველას უყვებოდა, როგორ წაავო ერთ სადამოს რულეტში სამი ათასი პეხო.

კარაკასში დაბრუნებულს ჯერ კიდევ მოსწონდა რუსი და გატაცებით კითხულობდა ხოლმე „ახალი ელიოზას“ დაფლეთილ ეგზემპლარს, - მაგრამ 25 სექტემბერს, შეთქმულებამდე კარგა ხნით ადრე, როცა დიდი ხნის შესრულებული ჰქონდა რომში დ ა დ ე ბ უ ლ ი ფ ი ც ი, მანუელ საენს „ემილის“ კითხვა შეაწყვეტინა, რადგან საძაგელ წიგნად მოეჩვენა. „არსად ისე არ მომბეზრებია, როგორც 1804 წელს, პარიზში“, თქვა ერთხელ. თუმცა პარიზში ყოფნისას თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ კარიაკატოს სასწაულმქმედ წყალში არ იყო განბანილი.

ოცდაოთხი წლის შემდეგ, მდინარის ჯადოსნური სამყაროი მოხიბლულმა, შემაკვდავმა და დამარცხებულმა იქნებ ერთი პირობა ინატრა კიდევ, შორს მოესროლა მაიორანის, სალხისა და მწარე ფორთოხლის ფოთლები, რომელთა აბაზანებსაც ხოსე პალასიოსი უკეთებდა, ყურად ეღო გენერალ კარენოს რჩევა და კარიაკატოს მხსნელ ზღვაში ჩავყვინთა გამათხოვრებულ ჯარისკაცებთან, საერთოდ — მთელ ქვეყანასთან ერთად. გამოუსადეგარი ღიდებისა და საბედისწერო შეცდომების ჩამოსაბანად.

ისეთი წყნარი ღამე იდგა, ჩურჩულიც კი რამდენიმე ლიეზე ისმოდა. ზუსტად ასეთ ღამეს ჩაწერა ქრისტეფორე კოლუმბმა დღიურში: „მთელი ღამე ვგრძნობდი, როგორ დფრინავდნენ ფრინველები“. რადგან სამოცდაცხრადღიანი ცურვის შემდეგ მიწას უახლოვდებოდნენ. ექვსი საათისათვის, სანამ კარენოს ეძინა, გენერალმაც იგრძნო მიწის სიახლოვე, უკვე ერთი საათის შემდეგ იმდენი ფრინველი დასტრიალებდათ თავზე, რომ მათი ფრთების ფათქუნი ქარზე ძლიერი ჩანდა. მოგვიანებით ნავის ქვეშ ზორბა, გზააბნეული თევზები გამოჩნდნენ და ნიავმა ნორდოსტის სიმყრალე მოიტანა. მოგზაურთა გულებში თავისუფლების უცნაური შეგრძნება დაიბადა. „ღმერთო დიდებულო!“ ამოიოხრა გენერალმა, „მოვედით“. ასეც იყო. სულ ახლოს იყო ზღვა, მის მეორე მხარეს კი — სამყარო.

მოკლედ, კვლავ ტურბაკოში იმყოფებოდა, იგივე დაჩრდილულოთახებიან, ნახევარმთვარის ფორმის თაღებით და მონასტრის პატიოსნად დამშვენებულ სახლში, სადაც საკუთარი თვალით იხილა ახალი გრანადის არქიეპისკოპოსისა და მეფისნაცვლის, დონ ანტონიო კაბალეერო ი გონგორას ჩრდილი, მთვარიან ღამეებში ფორთოხლის კორომში რომ დაბორიალებდა და მრავალრიცხოვან ცოდვებს ინანიებდა...

სანაპიროს ცხელი და ტენიანი კლიმატისგან განსხვავებით, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარე ტურბაკოში სიგრილე იდგა. ქუჩის არხების გასწვრივ საცეცებივით ფესვები გაედგათ დაფნის ბუჩქებს, რომელთა ჩრდილში შუადღისას ჯარისკაცები ისვენებდნენ ხოლმე.

გენერლის ამალა ორი დღის წინათ ჩავიდა უკანასკნელ სამდინარო სადგურ ბარანკა ნუევაში. ღამე აყოლებულ ქოხში გაატარეს ბრინჯის ტომრებსა და დაუმუშავებელ ტყავებს შორის, რადგან არც ფუნდუკში შეუნახავთ მათთვის ოთახები, არც ჯორები გაუშზადებიათ დროულად. ამიტომ გენერალი გაოფლილი და გაავებული ჩავიდა ტურბაკოში. უძილობისგან თვალები

ეხუჭებოდა, მაგრამ რული არა და არ მოეკიდა.

ჯერ ბარგიც არ ჰქონდათ გადმოზიდული, როცა მათი ჩამოსვლის ამბავი იქიდან ექვს ლიეზე მდებარე კარტახენა დე ინდიასში შეიტყვეს, სადაც მათთვის სახალხო მიღება მზადდებოდა პროვინციის სამხედრო კომენდანტის, გენერალ მარიანო მონტელიას თაოსნობით. მაგრამ გენერალს ფიესტის თავი არ ჰქონდა. ულმობელ წვიმაში მომლოდინე დამხვდურებს ძველი ნაცნობებივით მეესალმა, და გულწრფელად სთხოვა, მარტო დიეტოვებინათ.

სინამდვილეში, ბევრად უარესად გრძნობდა თავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ძალიან ცდილობდა თავის მდგომარეობის დამალვას, მაგრამ თანმხლებთა თვალწინ დღითი დღე იღლიდა. მწვანე კანი საკვდილისფრად გაუყვითლდა და მუდმივი თავის ტკივილებითა და სიცხეებით იტანჯებოდა. იდეალობრივმა მდვდელმა ექიმის მოყვანა შესთავაზა, მაგრამ გენერალმა იუარა, „ექიმებისთვის რომ ყური დამეგდო, კარგა ხნის წინ დამარხავდენო“, თქვა.

სურდა, მეორე დღესვე გამგზავრებულიყო კარტახენაში, მაგრამ დილით შეიტყო, რომ ნავსადგურში ევროპისკენ მიმავალი არც ერთი გემი არ იდგა და არც პასპორტები ჩამოეტანა ფოსტას. ამიტომ სამი დღით დასვენება გადაწყვეტა. ოფიცრებიც სიამოვნებით დეეთანხმნენ. ჯერ ერთი, დასვენება მის ჯანმრთელობას არგებდა, თანაც ვენესუელიდან არცთუ სახარბიელო ცნობები მიიღეს საიდუმლოდ.

გენერლის პროტესტის მიუხედავად, ქუჩებში დენთის გათავებამდე ატაკუნებდნენ შუშხუნებს, მის სახლთან კი შუალამემდე უკრავდნენ ფლეიტისტები. ის კი არა და, მარიალაბახის ჭაობებიდან მეთექვსმეტე საუკუნის ევროპელ დიდებულთა ტანსაცმელში გამოწყობილი შავკანიანთა სამასკარადო ჯგუფიც ჩამოიყვანეს, რომელიც ოსტატურად ასრულებდა აფრიკულ თუ ევროპულ ცეკვებს. წინა ვიზიტის დროს გენერალს მიღეკვავები ძალიან მოსწონებია, ამჯერად კი ზედაც არ შეუხედავს მათთვის.

„შეწყვეტეთ ეს აურზაური“, ითხოვა.

მეფისნაცვალმა კაბალიერო ი გონზორამ სამ წელიწადს იცხოვრა თავის აშენებულ სახლში და, გადმოცემის თანახმად, სწორედ იქ დაბორიალებდა ნაწყალობელი კენესით მისი ცოდეული სული. გენერალმა არ მოისურვა ოგივე სიძინებელში დაესვენა, სადაც წინა სტუმრობის დროს ეძინა კოშმარებით გატანჯული. ყოველ ღამე ვიღაც მანათობელთმიანი ქალი ესიზმრებოდა, რომელიც ყველზე წითელ ზონარს უჭერდა და აღვთქვამდა. ახე გრძელდებოდა ხოლმე გათენებამდე. ამიტომ გენერალმა ჰამაკი მისაღები ოთახის კოჭებზე დაკიდებინა და ცოტა ხნით ჩათვლიმა. გადაუღებლად წვიმდა და სახლის ფანჯრებს ცნობისმოყვარე ბავშვები მისეოდნენ მის დასანახად. სწორედ ერთი მაიგანის ძახილმა გააღვიძა გენერალი. „ბოლივარ, ბოლივარ“, მონოტონურად იმეორებდა ბიჭუნა. სიცხისგან მზერადაბინდულმა გენერალმა ძლივს გამოარჩია ბიჭი, რომელმაც პირდაპირ ჰკითხა: „ვიყვარვარ?“. გენერალმა ნაძალადევი ღიმილით დუდასტერა, მაგრამ შემდეგ ბრძანა, იქაურობისთვის მოეშორებინათ სასახლეში მობრიალე ქამეები და ფანჯრებთან ატუზული ბავშვები. მალე კვლავ ძილმა წაართვა თავი. რომ გაიღვიძა, ისევ წვიმდა და ხოსე პალასიოსი ჰამაკს ბუზებისგან თავდასაცავ ბადეს აფარებდა.

„დამესიზმრა, ვითომ ფანჯრიდან ვიღაც ბავშვი უცნაურ კითხვებს მისვამდა“, თქვა გენერალმა.

შემდეგ ბოლო ოცდაოთხ საათში პირველი ფანჯანი ნაყენი მოსვა, მაგრამ ბოლომდე ვერ დალია. ღონემიხდილი ისევ ჰამაკში ჩაესვენა, სახურავის ძელზე ერომწერივად ჩამოკიდებულ ღამურებს მიაჩერდა და პირქუშ ფიქრებში ჩაიძირა. „მალე ალბათ სამოწყალოდ დაგვმარხავენ“, ამოიოხრა ბოლოს.

განმათავისუფლებელი არმიის ყოფილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცრებსა და უბრალო ჯარისკაცებს, რომლებიც მდინარეზე მოგზაურობის დროს თავიანთ გაჭირვებაზე მოუთხრობდნენ, ისე გულუხვად ასაჩუქრებდა, რომ ტურბაკოში ჩასულს ქონების მეოთხედიც დარჩა. ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ჰქონდა თუ არა პროვინციის მთავრობას ფასიან ქაღალდებში გადასახდელი ფული ან შეიძლებოდა თუ არა ბირჟის სპეკულანტთან დალაპარაკება. ევროპაში იმედად ინგლისი ეგულებოდა, რომლისთვისაც უამრავი კეთილი საქმე გაეკეთებინა. „ინგლისელებს ვუყვარვარ“, იმეორებდა ხოლმე. მცირეო�xოვან ახლებელთა და მსახურთა შესანახად აუცილებელი იყო არაოს მაღაროების გაყიდვა. თანაც, თუ მართლა აპირებდა წასვლას, სასწრაფოდ უნდა შეეძინა გასამგზავრებელი ბილეთები, რაც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. მაგრამ განზრახვაზე ხელი არ აუღია. მიუხედავად იმისა, რომ სიცხე არ უკლებდა, თავი აუტანლად სტკიოდა და ციცინათელები ელანდებოდა, უძილობით გატანჯულმა გონება მოიკრიბა და ფერნანდოს სამი წერილი უკარნახა.

პირველი წერილით მარშალ სუკრეს გამოსამშვიდობებელ ბარათს პასუხობდა. გულთბილი სიტყვებით სავსე წერილში თავის სნეულებებზე სიტყვაც არ დაუძრავს, თუმცა სხვა დროს თანაგრძნობის გამოწვევის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა. მეორე წერილი კარტახენას პრეფექტს, დონ ხუან დე დიოს ამადორს ეკუთვნოდა, რომელსაც 8. 000 პესოს სთხოვდა. „უძონელი ვარ და ეს ფული გასამგზავრებლად მჭირდებაო“, წერდა. თხოვნამ გაჭრა, ოთხ დღეში დადებითი პასუხი მოვიდა და ფერნანდო კარტახენაში გაემგზავრა ფულის მისაღებად. მესამე წერილი ინგლისში უნდა გაეგზავნათ, კოლუმბიის ელჩის, პოეტ ხოსე ფერნანდეს მადრიდის სახელზე, რომელსაც ორი თამასუქის გასაღებებას სთხოვდა: სერ რობერტ უილსონისა და პროფესორ ხოსე ლანკასტერისთვის, რომელმაც კარაკასში აღზრდა-განათლების ახლებური სისტემა დანერგა, რისთვისაც ოცი ათასი პესო ეკუთვნოდა. „ეს ჩემი ღირსების საქმეაო“, წერდა გენერალი, თან იმედს გამოთქვამდა, რომ მადაროების თაობაზე წამოწყებული სასამართლო პროცესი სულ მალე დასრულდებოდა და მათ გაყიდვას შეძლებდა. სინამდვილეში, სულ ტყუილად დაშვრა, რადგან, როცა წერილი ლონდონში ჩავიდა, ფერნანდეს მადრიდი ცოცხალი აღარ იყო.

ხოსე. პალასიოსმა მეზობელ ოთახში ბანქოს მოთამაშე ოფიცრებს ხელით ანიშნა, გაჩუმებულიყვნენ და მათაც ჩურჩულით განაგრძეს დავა, სანამ ეკლესიის საათმა თერთმეტი არ ჩამოჰკრა. ცოტა ხნის შემდეგ ფიესტის ფლეიტები და დოლები ჩაწყნარდნენ, ნიავმა ნაწვიმარზე ზღვის თავზე შეეტუზებული შავი ღრუბლები ქალაქისკენ გალალა და ფორთოხლის ტოტებში ბაღრი მთვარე ამობრწყინდა.

ხოსე პალასიოსს წუთით არ მიუტოვებია გენერალი, რომელიც სადამოს შემდეგ სიცხით გათანგული ბოდავდა. ჩვეული ნახარში მოუმზადა, ოყნა გაუკეთა და გულში იმედი დაიტოვა, იქნებ ვინმემ ექიმის მოყვანა გაბედოსო, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ გამთენიისას ჩათვლიმა ერთი საათით.

იმ დღეს გენერალი მარიანო მონტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუნქვა და ხმეული და ცდილობდა შორი მანძილიდან ელაპარაკა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ბოლოვარს სიმაღლეშიც მიეკლო და გენერალ მონტილიას წელამდე ძლივსღა სწვდებოდა.

88 გირვანქას იწონიდა და საკვლამდე კიდევ ათი გირვანქით შემსუბუქებოდა. იფიციალური მონაცემებით, მისი სიმაღლე 1 მეტრი და სამოცდახუთი სანტიმეტრი იყო, თუმცა ექიმთა ჩანაწერები არასოდეს ემთხვეოდა სამხედრო მასალებს. ხოლო გასაკვეთ მაგიდაზე ოთხი სანტიმეტრით მოკლე აღმოჩნდა. ხელ-ფეხი, ხმეულთან შედარებით, კიდევ უფრო დაპატარავებოდა. ხოსე პალსიოსსა შემჩნია, რომ შარვლის სათავეს მკერდამდე იქაჩავდა, პერანგის სახელოებს კი რამდენჯერმე იკეცავდა. გენერალს სტუმრების გაოცება არ გაკვირვებია და დაამატა, რომ ჩვეული, 35 ზომის ფეხსაცმელი ინვრიდან სრული ჰქონდა. ყოველდ შეუფერებელ სიტუაციებშიც კი თავის ენამახვილობით სახელგანთქმულმა გენერალმა მონტილიამ პათეტურად დასძინა: „მთავარია თქვენი ბრწყინვალება შიგნიდან არ გამოიხრას“. წამოაყრანტალა და როგორც ყოველთვის, ქათამივით აკრიახდა საკუთარ ხუმრობაზე. გენერალმა ძველი შეთქმულივით გაუღიმა და საუბრის თემა შეცვალა. ამინდი გამოკეთდა, საუბარი სუფთა ჰაერზეც შეიძლებოდა, მაგრამ გენერალმა იმავე ოთახში მიიღო სტუმრები, სადაც ჰამაკში ეძინა.

საუბარი ძირითადად ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას შეეხებოდა. კარტახენელი ბოლივარისტები არ აპირებდნენ ახალი კონსტიტუციისა და დეპუტატის უფლებამოსილების აღიარებას იმ მოტივით, რომ სანტანდერისტმა სტუდენტებმა კინგრესი დააშინეს, ეროგული სამხედრო პირები, გენერლის ბრძანებით, გვერდზე მოიტოვეს, სოფლების სასულიერო წრეების წარმომადგენლებს კი, რომლებიც ასევე გენერალს უჭერდნენ მხარს, მოქმედების საშუალება არ მისცეს. კარტახენას დივიზიის კომენდანტი და საქმის ერთგული გენერალი ფრანსისკო კარმონა მორიგი აჯანყებით იმუქრებოდა. გენერალმა სთხოვა მონტილიას, კარმონა დაეშუშმინებინა. შემდეგ ყველას ერთად მიმართა, თუმცა კონკრეტულად არავისთვის შეუხედავს და თავისებურად დაახასიათა ახალი მთავრობა:

„მოსკერა კეთილივით მხდალია, კაისედო — უმაქნისი, ორივე ერთნაირად დაამშინეს წმინდა ბრონლიმეს კოლეჯის ღლაპებმა“.

კარიბულ ჟარგონზე განაცხადა, რომ პრეზიდენტს ნებისყოფის ნატამალი არ გააჩნდა, ვიცეპრეზიდენტი კი ოპორტუნისტი იყო და საჭიროების მიხედვით ემხრობოდა ამა თუ იმ პარტიას. ჰოდა, სულაც არ მიკვირს, რომ ორივე არქიეპისკოპოსის ძმაო, დასაკვნა მწარედ. სამაგვიროდ, ახალი კონსტიტუცია მოსალოდნელზე უკეთესი და, რაც მთავარია, ჰაერივით საჭირო გამოდგა ისტორიულ მომენტში, როცა მთავარ საფრთხეს არჩევნების ჩაშლა კი არა, სამოქალაქო ომის გაღვივება წარმოადგენდა, რითაც სანტანდერი იმუქრებოდა პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ყველა საჭირო პიროვნება გამოიძახა პოპაიანში, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, დთანხმდებოდა პრეზიდენტობას თუ არა.

„უცდის, სანამ კაისედო გაკეთებს შავ სამუშაოს“, აღნიშნა გენერალმა.

„მოსკერა უკვე სანტა ფეში უნდა იყოს“, თქვა მონტილიამ, „ორშაბათს გავიდა პოპაიანდან“.

გენერალმა ეს არ იცოდა, მაგრამ არ გაკვირვებია. „საქმე საქმეზე რომ მიდგება, ბუშტივით ჩაიფუშება“, თქვა, „ეს კაცი მთავრობის სახახლის დარაჯადაც არ ივარგებს“. შემდეგ ფიქრებში წავიდა და დანადელიანდა.

„სამწუხაროა“, ამოიოხრა, „მხოლოდ სუკრეა შესაფერისი კაცი“.

„ყველაზე დირსეული გენერალი“, გაიღიმა დე ფრანსისკომ.

ეს გამონათქვამი უკვე მთელ ქვეყანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყო ცნობილი, თუმცა გენერალმა მისი გამოქვეყნება აკრძალა.

„ურდანეტს გენიალური ფრაზა!“ გაიხუმრა მონტალიამ.

გენერალს ყურადღება არ მიუქცევია თანამოსაუბრეთა ირონიისთვის და აღგილობრივი პოლიტიკური ვითარების გაცნობა მოისურვა, მაგრამ მონტალია თემის შეცვლას არ აპირებდა. „ბაბატეთო, თქვენო ბრწყინვალებავ“, უთხრა, „თქვენ სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ, თუ რა ჰატივს ვცემ დიდ მარშალს, მაგრამ არც ისაა ღირსეული კანდიდატი“, თქვა და თეატრალური პათოსით დასრულა:

„ასეთი კაცი თქვენ ხართ“.

„მე აღარ ვარსებობ“, უხეშად გააწყვეტინა გენერალმა. შემდეგ სული მოითქვა და მოჰყვა, როგორ უარჰყო სუკრემ მის მიერ შეთავაზებული პრეზიდენტის სავარძელი.

„მხოლოდ მას შეუძლია იხსნას ქვეყანა ანარქიისაგან“, თქვა, „მაგრამ სირინოზების სიმღერამ მოაჯადოვა“.

გარსია დელ რიოს აზრით, სუკრე მოწოდებით არ იყო მმართველი, მაგრამ გენერალს ეს დაბრკოლება არაფრად მიაჩნდა. „კაცობრიობის ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მოწოდებას აუცილებლობა შობს“, თქვა.

ასე იყო თუ ისე, გვიანი სინანული არას არგებდათ, რადგან მან სხვებზე უკეთ იცოდა, რომ რესპუბლიკის ყველაზე ღირსეული გენერალი სხვა ძალებს ემორჩილებოდა.

„ყველაზე დიდი ძალაუფლება სიყვარულის ხელშია“, თქვა და ეშმაკურად დაამატა: „თვით სუკრემ მითხრა“.

სანამ გენერალი ტურბაკოში სუკრეზე ლაპარაკობდა, იმედგაცრუებული და მარტოსული, მაგრამ ახალგაზრდა, ჯანმრთელი და დიდების შარავანდედით მოსილი მარშალი სანტა ფედან კიტოში მიემგზავრებოდა. გამგზავრების წინ მან საიდუმლოდ მოინახულა ეგვიპტურ უბანში მცხოვრები ნაცნობი მკითხავი, რომელსაც არაერთხელ დაუკვალიანებია ჯერ კიდევ ომების დროს. ქაღალდმა ამცნო, რომ შტორმების სეზონის მიუხედავად, მისთვის ყველაზე უხიფათო გზა ზღვაზე გადიოდა. სიყვარულს დანატრებულ ააკუჩის დიდ მარშალს ეს მარშრუტი გრძელი და გაუსაძლისი მოეჩვენა და მაინც სახმელეთო გზა აირჩია.

„მოკლედ სხვა გამოსავალი არ გვაქვს“, თქვა გენერალმა, „ისეთი გადაღლილები ვართ, რომ ჩვენი საუკეთესო თანაგრობა უარესი გვეჩვენება“.

გენერალი მშვენივრად იცნობდა თავის ადგილობრივ მომხრეებს. განსათავისუფლებელ ომებში ისინი ტატულებით დახუნძლა, მაგრამ ყოველდღიურ პოლიტიკაში მათზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა, რადგან თანამდებობების გადასარჩენად ერთხელ მონტალიასაც კი შეეკრნენ. მის წინააღმდეგ. გენერალი მანამ არ მოუშვა სტუმრები, სანამ თავის ჭკუაზე არ გადაიყვანა. სიხოვა, მხარში ამოდგომოდნენ მთავრობას, თუნდაც თავიანთი პირადი ინტერესების საზიანოდ. მისი მოტივი, როგორც ყოველთვის, წინასწარეტყველურად ყღერდა: ზვალ, როცა თვითონ აღარ იქნებოდა, მთავრობა, რომელსაც ახლა უნდა ამოდგომოდნენ მხარში, მისსავე მიერ განდიდებულ სანტანდერს ჩამოიყვანდა და ისიც მეთოდურად დაასაძარებდა გენერლის ოცნებას: დაშლიდა გაერთიანებულ უზარმაზარ სამშობლოს, რომელიც საკუთარი ხელით აკოწწა მრავალწლიანი ომებისა და მსხვერპლის ფასად. პარტიები ერომანეთს დაერეოდნენ, მის სახელს გაკიცხავდნენ და მის ნამოქმედარს შერყვნიდნენ ისტორიის ფურცლებზე. მაგრამ ეს ყველაფერი ნაკლებად აღარდებდა. მთავარი მორიგი სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო. „აჯანყებები ზღვის ტალღებს ჰგავს“, თქვა. „ერთს მეორე მოჰყვება. მაგრამ მე ეს არასოდეს მომწონდა“. და გაოცებული სტუმრების თვალწინ დასკვნა:

„დღეს იმასაც კი ენანობ, ესპანელთა წინააღმდეგ რომ დავღვარეთ სისხლი“.

გენერალმა მონტალიამ და მისმა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრებმა იგრძნეს, რომ ეს დასასრული იყო. გამოთხოვებისას ბოლიევრმა თითოეულ მათგანს ოქროს მედალიონი აჩუქა საკუთარი პროფილის გამოსახულებით. სახლს რომ ტოვებდნენ, გარსია დელ რიომ ჩუმად ჩაილაპარაკა:

„მიცვალებულის სახე აქვს“.

ეს ფრაზა ექოსავით ედგა ყურში გენერალს მთელი ღამე, მაგრამ მეორე ღღეს გენერალ ფრანსისკო კარმონას საგრძნობლად მოკეთებული დახვდა. გენერალი ფორთოხლის ყვავილების სურნელით გაჟღენთილ პატიოსნი ისვენებდა მეზობელი დასახლის სან ხასინტოდან გამოგზავნილ ჰამაკში, რომელსაც აბრეშუმის ძაფით ამოქარგული მისი ინიციალები ამშვენებდა და რომელიც ხოსე პალასიოსმა დაკიდა ფორთოხლის კორიდში. ახალნაბანავებს თმა უკან გადაეკარცხნა, შიშველ სხეულზე ცისფერი მუნდირი მოეხურა და უცოდველი გამომეტყველებით კარნახობდა ფერნანდოს პრეზიდენტ კაისედოსთვის გასაგზავნ არცთუ საალერსო წერილს.

გენერალი კარმონა თავისი აგებულების გამო შეუმჩნეველი არსად რჩებოდა, მაგრამ აღშფოთებულმა გენერალმა, რომელიც ის იყო ცილისწამებაში ადანაშაულებდა კაისედოსა და მის მომხრეებს, ვერც კი დაინახა ჰამაკთან თვალდაუბამხამებლად დასობილი ბოლიათი. მხოლოდ წერილის დასასრულს მიუბრუნდა სტუმარს და მისალმების გარეშე ჰკითხა:

„თქვენც აჯანყებების სულისჩამდგმელად მიგაჩნიავრთ?“

მტრული მიღებით გაოცებულმა კარმონამ, ცოტა არ იყოს, თავხედურად შეუბრუნა კითხვა:

„საიდან მოიტანეთ, ჩემი გენერალო?“

„საიდანაც ამათ“, უპასუხა გენერალმა და სანტა ფედან ფოსტით მიღებული გაზეთის ამონაჭრები მიაწოდა, სადაც კიდევ ერთხელ ადანაშაულებდნენ გრენადერთა აჯანყების მოწყობაში, რომელიც ვითომდა ძალაუფლების დასაბრუნებლად დასჭირდა, კონგრესის სურვილის საწინააღმდეგოდ.

„გაუგონარი თავხედობაა“, თქვა, „სანამ მე ერთიანობას ვქადაგებ, ეს უდღეურები აჯანყების მოწყობას მაბრალებენ“.

გენერალ კარმონას სტატიებმა იმედი გაუცრუა.

„მე კი მართალი მევონა და ძალიანაც მიხაროდა“, აღნიშნა. „წარმოიდგენია“, უპასუხა გენერალმა.

უკმაყოფილება არ გამოუხატავს, თუმცა სთხოვა, წერილის დამთავრებამდე დაეცადა, სანამ კიდევ ერთხელ სთხოვდა მთავრობას ქვეყნიდან დაუბრკოლებლად გასვლის ნებართვას. წერას რომ მორჩნენ, ბრაზის ნატამალი აღარ ეტყობოდა. დაუხმარებლად წამოდგა ჰამაკიდან და გენერალი კარმონა ხელკავით წაიყვანა წყაროსკენ, სასეირნოდ.

სამდღიანი წვიმების შემდეგ მზის სხივები ობობას ქსელივით ჩახლართულიყვნენ ფორთოხლის ტოტებში და იქურობას ჩიტების ჭიკჭიკი ფარუებდა. გენერალმა გალობას მიაყურადა და გულიანად ამოოხრა: „კიდევ კარგი, ესენი მაინც მღერიან“, შემდეგ დამაჯერებლად აუხსნა სტუმარს, რატომ გალობენ ანტილიელი ჩიტები აპრილში უკეთესად, ვიდრე ივნისში და შესაფლის გარეშე გადავიდა თავის საქმეზე, ითიოდე წუთში დაარწმუნა მოსაუბრე — უპირობოდ დამორჩილებოდა ახალ მთავრობას, შემდეგ კარამდე მიაცილა და საწოლ ოთახში ავიდა, რათა საკუთარი ხელით მიეწერა ბარათი მანუელა საენსისთვის, რომელიც კვლავ მთავრობას ადანაშაულებდა მისი წერილების მიმოსვლის დაბრკოლების მცდელობაში.

წერის დროს ფერნანდა ბარიგას მომზადებულ სიმინდის ფაფას გაუსინჯა გემო.

სიესტაზე ფერნანდოს სთხოვა, გაეგრძელებინა წინა ღამეს დაწყებული ჩინური ბოტანიკის სახელმძღვანელოს კითხვა. ცოტა ხნის შემდეგ ხოსე პალასიოსმა მაიორანის ცხელი ნაყენი შემოიტანა აბაზანის წყლის გასაზავებლად და მუხლებზე გადაშლილი წიგნით ჩაძინებულ ფერნანდოს გადააწყდა, გენე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რალი ჰამაკში ფხიზლობდა და ტუნეზე თითის მიდებით ანიშნა ხოსე პალასიოსს, არ ეხმაურა. პირველად, ორი კვირის მანძილზე სიცხე არ აწუხებდა.

ფოსტისა და საჭირო საბუთების მოლოდინში გენერალმა კიდევ ოცი დღე დაჰყო ტურბაკოში. ამ ქალაქში მანამდე ორჯერ იყო ნამყოფი და მხოლოდ მეორე ჩასვლაზე დაიფასა ჯეროვნად აქაურობის სამკურნალო თვისებები. ეს სამი წლის წინათ მოხდა, როცა კარაკასიდან სანტა ფეში ბრუნდებოდა სანტანდერის სეპარატისტული გეგმების ჩასაშლელად. ისე მოუხდა სოფლის ჰაერი, რომ გათელილსწინებული ორი ღამის ნაცვლად მთელი ათი დღით დარჩა. მისი იქ ყოფნა ეროვნულ დღესასწაულს დაემთხვა, რაც ხარების დიდი ბრძოლით დასრულდა. გენერალმა სძლია კორიდისადმი ზიზღს და თვითონ შეერია ერთ ხარს, რომელმაც მისი მულეტი რქებზე წამოიგო. მაყურებლებს შიშის კივილი აღმოხდათ. ახლა, ტურბაკოში მესამე ვიზიტის დროს, მისი საცოდავი ბედი გადაწყვეტილი იყო. დღეთა დინება მხოლოდ ზრდიდა სასოწარკვეთას. გადაღებლად წვიმდა და ცხოვრება ახალი უბედურების მოლოდინად იქცა. ერთ ღამეს ხოსე პალასიოსმა გაიგო, როგორ ამოიოხრა ჰამაკში უძილობით გატანჯულმა გენერალმა:

„ღმერთმა იცის, სად დადის სუკრე!“

გენერალმა მონტილიამ კიდევ ორჯერ ინახულა და ორივეჯერ მოკეთებული ეჩვენა. ის კი არა, გარდასული დღეთა გამომეტყველებაც კი დაუბრუნდა, რაც გაიგო, რომ კარტახენას ჯერ არ მიეცა ხმა ახალი კონსტიტუციისთვის და არც ახალი მთავრობა ეცნო, წინა ვიზიტის დროს მიცემული დაპირების მიუხედავად. გენერალმა მონტილიამ თავი იმართლა, ვუცდეთ, დათანხმდება თუ არა ხოაკინ მოსკერა პრეზიდენტობასი.

„სჯობდა მისთვის დაგვსწროთ“, თქვა გენერალმა.

შემდეგ სტუმრობაზე უფრო ენერგიულად მოითხოვა თავისი, რადგან მონტილიას ბავშვობიდან იცნობდა და მშვენივრად უწყოდა, რომ სიჯიუტე, რომელსაც იგი სხვებს აბრალებდა, მხოლოდ მისგან მომდინარეობდა. მათ საერთო საქმის გარდა დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. თუმცა ერთხანს მათი ურთიერთობა ისე გაცივდა, რომ ერმანეთს ხმას არ სცემდნენ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მონტილიამ დაბრუნარე არმია არ გაუგზავნა გენერალს მომპოქსში, მორალიოს წინააღმდეგ ყველაზე სახიფათო ბრძოლაში. გენერალმა მას მორალურად გახრწნილი და ყველა უბედურების სულისჩამდგმელი უწოდა. აღშფოთებულმა მონტილიამ გენერალი დუელში გამოიწვია, მაგრამ პირადი უთანხმოების მიუხედავად დამოუკიდებლობის საქმისთვის არ უღალატნია.

იგი მადრიდის სამხედრო აკადემიაში სწავლობდა მათემატიკას და ფილოსოფიას და მეფე დონ ფერნანდო VII-ს გვარდიაში ირიცხებოდა, სანამ გენერუელაში პირველი არეულობა დაიწყო. ის შესანიშნავი კონსპირატორი იყო მექსიკაში, კუბასაოდან კონტრაბანდად ჩამოჰქონდა იარაღი, პირველი ჭრილობა ჩვიდმეტი წლისამ მიიღო და, საერთოდ, ჩინეული მეომარი გახლდათ. 1821 წელს მთელი სანაპირო, რიოჰადან პანამამდე, გაათავისუფლა ესპანელებისგან და კარტახენაც აიღო ქალაქის დამცველებზე მცირეიცხოვანი და უარესად შეიარაღებული ჯარით. ამის შემდეგ კეთილშობილური ჟესტით გენერალს შერიგება შესთავაზა. ქალაქის ოქროს გასაღები გაუგზავნა, რაც ბოლივარმა უკან დაუბრუნა, ბრიგადის გენერლის ჩინი უბოძა და სანაპიროს გუბერნატორად დანიშნა. ახალი გუბერნატორი ყველას რიდი უფვარდა, თუმცა თავის შეცდომებზე იუმორის გრძნობით ლაპარაკობდა. მთელ ქალაქში საუკეთესო სახლი ეკავა. სამკურნალო წყლებთან აშენებული მისი აგარაკი კი თითით საჩვენებელი იყო მთელს პროვინციაში. ხალხი კედლებზე მაკრული პასკვილებით ცდილობდა გაეჩვენა, საიდან იშოვა გუბერნატორმა ფული მათ შესაძენად. ყველაფრის მიუხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, იგი კვლავ თანამდებობაზე იყო, რვაწლიანი მკაცრი და ერთპიროვნული მმართველობის შემდეგ ეშმაკ და თავისნაოქამა პოლიტიკოსად ქცეული.

გენერლის მოთხოვნების საპასუხოდ მონტილიას სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავდა, თუმცა ერთხელ სრული სამართლე წამოსცდა: კარტახენელი ბოლევარისტები არ აპირებდნენ ახალი კონსტიტუციისა და ახალი მთავრობის აღიარებას, რომელიც, მათი აზრით, საყოველთაო თანხმობის კი არა, სამარცხვინო დაქსაქსულობის შედეგად იშვა. საქმისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო ადგილობრივი პოლიტიკოსებისთვის, რაც არაერთი ისტორიული ტრაგედიის მიზეზად იქცა.

„მართალნიც არიან, თქვენო ბრწყინვალებავ. ყველაზე დიდი ლიბერალი თვითმარქვია ლიბერალთა ხელში გვტოვებს, რომელთაც ერთი სული აქვთ, თქვენი მონაპოვარი მიწასთან გაასწორონ“, თქვა მონტილიამ.

მისი აზრით, გენერალი ვალდებული იყო ქვეყანაში დარჩენილიყო და მისი დაშლა არ დაეშვა.

„კარგი, მაშინ მოიყვანე კარმონა და დავარწმუნოთ, რომ უნდა აჯანყდეს“, სარკასტულად აღნიშნა გენერალმა.

მონტილიასთან დამშვიდობებამდე გენერალმა გრძნობები მოთოკა და სტუმარს სთხოვა, ტურაკაოში ჩამოეყვანა მისი მომხრეების სამხედრო მეთაურები, მათი ვნებათაღელვის გასანეიტრალად. სწორედ მათ მოლოდინში იყო, როცა გენერალმა კარენიომ ახალი ჭორი ამცნო: ხოაკინ მოსკერა პრეზიდენტის თანამდებობას დათანხმებოდა. გენერალმა შუბლში იტკაცა ხელი. „ჯანდაბას!“ თქვა, „საკუთარი თვალით რომ მეხახა, არ დავიჯერებდი“.

იმავე საღამოს გენერალმა მონტილიამ დაუდასტურა ცნობა გადაუღებელ ზვიმასა და ქარიშხალში, რომელმაც ფეხვეშეანად მოთხარა ხეები, სახურაკები გადახადა სახლებს, მიწასთან გაასწორა ბოსლები და დამხრჩვალი პორტ-ტყვი ნიაღვარს გაატანა. სამაგიეროდ, იქამდე უსაქმურობისგან გათანგული გენერლის ამალის წევრებს გაუნნდათ საქმე. სწორედ მათი მონდიმების წყალობით ქალაქმა მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლები ზარალი ნახა. წყალგაუმტარ მოსასხამში გახვეული მონტილია სამაშველო სამუშაოებს ჩაუდგა სათავეში. მოსასხამში შეფუთნული გენერალი ფანჯარასთან, სარწეველა სავარძელში იჯდა და დაფიქრებული მისჩერებოდა მღვრიე, ჭუჭყიან ნიაღვარს, წალეკვით რომ ემუქრებოდა ქუჩებს. ამინდის ასეთი მოულოდნელი, კარიბული ცვლილებები მისთვის ბავშვობიდან ნაცნობი იყო. და მაინც, სანამ ჯარისკაცები სახლში წესრიგს ამყარებდნენ, ხოსე პალასიოსს უთხრა, რომ მსგავსი უამინდობა თავისდღეში არ ენახა. როცა, ბოლოს და ბოლოს, არეულობა ჩაწყნარდა, სახლში მუხლებამდე თიხით მოთხვრილი, გაწუწული მონტილიაც შემოვიდა და გენერალი ისევ თავის საქმეებს მიუბრუნდა.

„მოკლედ, მონტილიაო“, უთხრა, „მოსკერა უკვე პრეზიდენტია, კარტახენას კი ჯერ არ უღიარებია“.

არც მონტილია დაუბნევია ჭექა-ქუხილს.

„თქვენი ბრწყინვალება კარტახენაში რომ ყოფილიყო, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა“, თქვა.

„მაშინ უთუოდ იფიქრებდნენ, რომ მე ისევ ვერევი სახელმწიფო საქმეებში, რაც სრულებით არ მსურს“, გამოაცხადა, „მეტსაც გეტყვით, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება“.

იმავე დამეს გენერალ მოსკერას შემრიგებლური წერილი მისწერა. „ეს-ესაა გაოცებით შევიტყვე, რომ ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობას დასთანხმებიხართ“, სწერდა, „გულწრფელად მეხარია ქვეყნისა და საკუთარი თავის გამო, მაგრამ ასევე გულწრფელად თანაგიგრძნობთ“. ბარათი ასეთი მინაწერით დასრულა: „ჯერ არ წავსულვარ, რადგან პასპორტი არ მომიღია, მაგრამ მივიღებ თუ არა, აუცილებლად გავემგზავრები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას ტურბარკოში ჩამოვიდა და ამალას შეუერთდა გენერალი დანიელ ფლორენსიო ო'ლირი, პრეტანული ლეგიონის სახელგანოქმული წევრი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გენერლის ორენოვანი ადიუტანტი იყო. იგი მშვენიერ ხასიათზე დამდგარმა მონტილიამ გამოაცალა კარტახენადან და ორივემ მეგობრული საღამო გაატარა გენერალთან, ფორთოხლის კორიშში. ო'ლირთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გენერალმა ჩვეულებისამებრ გადაადგო ანკეხი.

„კარგი და, იქ რას ლაპარაკობენ?"

„არ სჯერთო, რომ თქვენი ბრწყინვალება მიემგზავრება", უპასუხა ო'ლირმა.

„ჰა", თქვა გენერალმა, „ახლა რატომღა?"

„იმიტომ, რომ მანუელა რჩება".

„კი მაგრამ, მანუელა ხომ ყოველთვის რჩებოდა", გულწრფელად გაუკვირდა გენერალს.

მანუელა საენსის გულითადმა მეგობარმა, ო'ლირმა იცოდა, რომ გენერალი მართალი იყო. ქალი, თუმცა სრულიადაც არ სურდა, მაგრამ მაინც ყოველთვის რჩებოდა, რადგან გენერალი ათასგვარ მიზეზს იგონებდა ფორმალური სიყვარულის ბრჭყალებიდან თავდასაღწევად.

„აღარავინ შემიყვარდება", გამოუტყდა ერთხელ ხოსე პალასიოსს, ერთადერთ ადამიანს, ვისთანაც ნებისმიერ თემაზე შეეძლო გულახდილად საუბარი. „გეგონება ერთდროულად ორი სული გაქვსო".

მანუელამ თავმოყვარეობა დაიკიწყა და თავგანწირვით შეებრძოლა გენერლის გადაწყვეტილებას, მაგრამ რაც უფრო ესწრაფოდა მის დამორჩილებას, მით მეტი მონდომებით ცდილობდა გენერალი ქალის ბორკილებისაგან თავის დაღწევას. კიტოში, ორკვირიანი, პირველი თავაწყვეტილი სიყვარულის შემდეგ, გენერალს გუაიაკილში გამგზავრებამ მოოწია რიო დე ლა პლატას განმათავისუფლებელ გენერალ ხოსე დე სან მარტინთან შესახვედრად. მაშინ მანუელა გაოცებული ეკითხებოდა თავს, რა უნდა ეფიქრა საყვარელზე, „რომელიც შუა ვახშმობისას, გაწყობილ სუფრას ტოვებდა და მიდიოდა. გენერალი შეჰპირდა, ნებისმიერი ადგილიდან, ყოველდღე მიეწერა წერილები, რომლებშიც გულმხურვალედ აუხსნიდა, რომ მასავით არასდროს არავინ ჰყვარებია. მართლაც სწერდა, ზოგჯერ საკუთარი ხელითაც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გაუგზავნია. ამასობაში გარაიკოას მატრიარქატის ხუთ ბელადთან იდილიაში იმშვიდებდა თავს, რომლებიც ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ზოგჯერ თვით გენერალმაც არ იცოდა, რომელთან ატარებდა საღამოს, 56 წლის ბებიასთან, მის 38 წლის ქალიშვილთან თუ სამ ნორჩ შვილიშვილთან. გუაიაკილში მისიის შესრულებისთანავე მათაც დაუთრა ხელიდან, მას შემდეგ, რაც სამუდამო სიყვარულსა და მალე დაბრუნებას შეჰპირდა, და კიტოში ჩავიდა მანუელა საენსის მცოცავ ქვეშაში ჩასაფლობად.

მომდევნო წლის დასაწყისში კვლავ უმანუელოდ გაემგზავრა პერუს გასათავისუფლებლად, რაც მისი ოცნების კულმინაცია იყო. მანუელამ ოთხი თვე აცალა და როგორც კი შეატყო, რომ გენერლს წერილებში მარტო ხელწერა კი არა, აზრებიც მისი პირადი გადმწერის, ხუან ხოსე სანტანასი ვახდა, ვემზე დაჯდა და პერუში გაემგზავრა. გენერალს ლა მაგდალენას ხახლში მიაგნო. კონგრესმა ის იყო განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა და ახალი, რეპუბლიკური ამალის ყველაზე ლამაზი და გაბედული ქალების საზოგადოებით ტკბებოდა. პრეზიდენტის სასახლეში ისეთი უწესრიგობა სუფევდა, რომ საწოლი ოთახებიდან გამომავალი კენსალმეილით შეწუხებულმა ულანია პოლკოვნიკმა შუადამეზე დატოვა იქაურობა. მაგრამ მანუელამ მშვენივრად აული აღღო სიტუაციას. თვითონ კიტოში დაიბადა მდიდარი კრეოლი, მიწათმფლობელის ქალიშვილისა და ერთი ცოლიანი კაცის სიყვარულის შედეგად. 18 წლისა მონასტრის ფანჯრიდან გადახტა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც სასწავლებლად იყო მიბარებული და მეფის ჯარის ოფიცერთან ერთად გაიქცა. თუმცა, ორი წლის შემდეგ, ქალწულობის დამადასტურებელი ფორთოხლის ყვავილების გვირგვინით შემკული, თავისზე ორჯერ უფროს, ინჟინერულ ექიმს, ჯეიმს თურნს გაჰყვა ცოლად.

ი´ლირი მისი ყველაზე ერთგული ადიუტანტი იყო სასაყვარულო ომებში. მანუელს ლა მაგდალენას სახლში არ უცნოვრია, მაგრამ ნებისმიერ დროს, სამხედრო წესისამებრ, საპარადო შესასვლელით შედიოდა ხოლმე. ეშმაკსა და მოუსვენარს, გაუსაძლისი მომხიბვლელობის წყალობით, ძალაუფლებისა და სიყიოუტის ვრცნობა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, ქმრის გამოისობით კარგი ინჟინერსურითა და მარტივი, მაგრამ გასაგები ფრანგულით ლაპარაკობდა და გასათხოვარი ვოგოების სტილში უკრავდა კლავიკორდზე. ვაურკეველი ხელით და საშნელი სინტაქსით წერდა და ყველაზე გულიანად თვითონ იცინოდა საკუთარ ორთოგრაფიულ შეცდომებზე. გენერალმა მას თავისი არქივი ჩაბარა, ახლოს რომ ჰყოლოდა და ამის წყალობით ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას შეეძლო სიყვარულის მორეკვა. გადაშვება, რასაც მანუელა ამაზონელი ქალის სიშმაგით ეძლეოდა.

მაგრამ როცა გენერალი ესპანელთა ხელში დარჩენილი პერუს ტერიტორიების დასაპყრობად გაეგზავნა, მანუელა თან არ წაუყვანია. მაშინ მანუელა უნებართვოდ გაეკიდა და ქვეყნის პირველი ქალის ჩემოდნებთ, არქივის სკივრებთა და მონათა კორტეჟით კოლუმბიელთა სარეზერვო ჯარს შეუერთდა, რომელიც მანუელას მისი ჯარისკაცული ჟარგონის გამო აღმერთებდა. ანდების დაკლაკნილ მთის ბილიკებზე სამასი კილომეტრი ჯორით გაიარა და ოთხ თვეში მხოლოდ ორი ღამის გატარება მოახერხა გენერალთან, რომელსაც თვითმკვლელობით დაეშუქრა. კარგა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ სანამ გენერალი მიხგან შორს იმყოფებოდა, სხვა, შემთხვევითი სიყვარულებით იმშვიდებდა თავს. მათ შორის იყო მანუელა მადრონიო, თვრამეტი წლის მომხიბვლელი მულატი, რომელმაც მისი უძილო ღამეები გაალამაზა.

კიტოდან დაბრუნებისთანავე მანუელამ გადაწყვიტა ქმარი მეტოლეებინა, რომელიც, მისი აზრით, ერთი უნიათო ინჟინერული იყო, უემოციოდ ლაპარაკობდა, დინჯად დაბიჯებდა, ყველას რევერანსით ესალმებოდა, დიდი სიფრთხილით დგებოდა და ჯდებოდა და საკუთარ ხუმრობებზეც კი არ ეცინებოდა. მაგრამ გენერალმა ქალი დაარწმუნა, გაფრთხილებოდა თავის სოციალურ მდგომარეობას და ისიც დემორჩილა.

ერთი თვის თავზე, ააიკუჭოში გამარჯვების შემდეგ, ნახევარი სამყაროს ფლეველი გენერალი მაღალ პერუში გავემგზავრა, რომელიც მოგვიანებით ბოლივიის რესპუბლიკად აქცია. მანუელა შინ დატოვა და განუცხადა, რომ საბოლოოდ უნდა დასცალეობოდნენ ერთმანეთს. „უკვე ნათელია, რომ ვეღარაფერი შეგვაერთებს“, მისწერა, „მოშავალში შენ მარტო იქნები ქმრის გვერდით და მეც მარტოსული ვიხეტიალებ სამყაროში. თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ ერთმანეთს ვძლიეთ“. სამი თვის შემდეგ მანუელას წერილი მიიღო, რომლითაც ქალი ატყობინებდა, რომ ლონდონში მეეგზავრებოდა ქმართან ერთად. ამ ცნობამ ყოჩაღი მეომარი ქალის, ფრანსისკა სუბაგა დე ვამარას საწოლში მიუსწრო. ივი იმხანად ერთი მარშლის ცოლი იყო, რომელიც მოგვიანებით რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. გენერალმა იმავე ღამეს მისწერა მანუელას პასუხი, რომელიც ბრძანებას უფრო ჰგავდა: „თქვით სიმართლე და ნურასად გაემგზავრებიო“, ბოლო ფრაზა კი საკუთარი ხელით გახაზა: „ეგდაწყვეტილად მიყვარხართ“. აღფრთოვანებული მანუელა დაემორჩილა.

გენერლის ოცნება აღსრულებისთანავე ნამსხვრევებად იქცა. ჯერ ბოლივიის დაარსება და პერუს განთავისუფლება არ დაესრულებინა, რომ იძულებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სანტა ფეში ვენესუელელი გენერლის პაესისა და ახალ გრანადაში მოფუთფუთე სანტანდერისტთა სეპარატისტულ ქმედებათა ასალაგმაკად. ამჯერად მანუელას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე გენერალი გაყოლის ნებას დართავდა, მაგრამ, როცა ბოლოს და ბოლოს თავისას მიაღწია, ბოშებივით მოუწიათ ხეტიალმა, უამრავი ჯორკიდებულით, უკვდავი მონებით, თერძეტი კატით, ექვსი ძაღლით, სამი გაწვრთნილი მაიმუნით, ერთი გაწვრთნილი დათვით, რომელიც ნემსში ძაფს უყრიდა და გალიაში მოთავსებული ცხრა თუთიყუშით, რომლებიც სამ ენაზე ლანდაგდნენ სანტანდერს.

სანტა ფეში ახალჩამოსულმა მანუელამ 25 სექტემბრის შეთქმულებაში გენერლის სიცოცხლე იხსნა. უკვე ხუთი წელი იყო ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ ნაადრევად დაჩაჩანაკებული ბოლოვარი ორმოცდაათი წლისას ჰგავდა და მანუელას მოეწონა, რომ კაცი მარტოობის ბურუსში უმისამართოდ დაბორიალებდა. მოგვიანებით გენერალი სამხრეთში გაემგზავრა პერუს კოლონიალისტური ამბიციების ჩასახშობად, მაგრამ ამაოდ დაშვრა. მანუელა სანტა ფეში დარჩა, ამჯერად საკუთარი სურვილით, რადგან შშვენივრად მიხვდა, მის მეამბოხე საყვარელს გასაქეცვიც კი აღარსად ჰქონდა:

ო´ლერმა მემუარებშიც აღნიშნა, რომ იმ საღამოს ტურბაკოში გენერალი გაცხოველებით იხსენებდა საიდუმლო სიყვარულებს. მონტილიას მოეწონა და რამდენიმე წლის შემდეგ მეგობარს მისწერა კიდეც, ეს სიბერის უტყუარი ნიშანი იყო. მონტილიამ გენერლის კარგი ხასიათთა და გულახდილობით ისარგებლა და პროვოკაციული კითხვა დაუსვა:

„მხოლოდ მანუელა რჩებოდ?“

„ყველანი რჩებოდნენ“, სერიოზულად უპასუხა გენერალმა, „მაგრამ მანუელა ყველაზე ხშირად“.

მონტილიამ თვალი ჩაუკრა ო´ლირს.

„გამოტყდით, გენერალო, რამდენი იყვნენ?“

გენერალმა პასუხს თავი აარიდა.

„ბევრად ნაკლები, ვიდრე თქვენ ფიქრობთ“, თქვა.

ამ დამეს, სანამ გენერალი თბილ აბაზანაში ნებივრობდა, ხოსე პალასიოსმა ეჭვების გაფანტვა სცადა.

„ჩემი ანგარიშით, ოცდათხუთმეტნი იყვნენ“, თქვა, „რა თქმა უნდა, ერთი ღამის ჩიტუნებს თუ არ ჩავთვლით“.

ეს რიცხვი გენერლის გამოთვლებსაც ემთხვეოდა, მაგრამ სტუმრებისთვის გამხელა არ უნდოდა.

„ო´ლირი დიდებული ადამიანი, შესანიშნავი ჯარისკაცი და ერთგული მეგობარია“, თქვა, „მაგრამ ყველაფერს იწერს. ჩაწერილ მოგონებებზე უარესი კი არაფერი მეგულება“.

მეორე დღეს, სანამ ო´ლირთან პირისპირ დარჩენილი, საზღვრისპირა რაიონებში შექმნილ მდგომარეობას ეცნობოდა, სთხოვა მას კარტახენაში წასულიყო, ვითომდა ევროპაში მომავალი გემების განრიგის სანახავად, სინამდვილეში კი იქაური პოლიტიკური ჭორების გასაგებად. ო´ლირის კარტახენაში წასვლისთანავე, თორმეტ ივნისს, კარტახენას კონგრესმა ახალი კონსტიტუციაც მიიღო და ახალი დელეგატების უფლებამოსილება სცნო. ცნობასთან ერთად მონტილიამ მოკლე ბარათიც აფრინა გენერალთან: „ველოდებით“.

ელოდა კიდეც, სანამ გენერლის გარდაცვალების ამბავმა საწოლიდან არ წამოაგდო. ცნობის შუქმოწმებლად, თავქუდმოგლეჯილი გავარდა ტურბაკოში და საგრძნობლად მოკეთებული გენერალი იხილა, რომელიც ფრანგ გრაფ რეჟეკურტთან ერთად ეახშმობდა. გრაფი გენერალს სთავაზობდა ერთად წასულიყვნენ ევროპაში ინგლისური თბომავლით, რომელიც მომავალ კვირას უნდა შესულიყო კარტახენაში. გენერალი მთელი დღე თავს რიგიანად გრძნობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა მორალურად დაეჯახა ავადმყოფობა და, როგორც ჩანს, მოახერხა კიდეც. დილაად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაან ადგა, საძოვრებზე ძროხების წველას უყურა, გრენადერთა გარნიზონს ეწვია, ჯარისკაცების ცხოვრების პირობებით დაინტერესდა და მათ გასაუბრებელად რამდენიმე ბრძანება გასცა. უკანა გზაზე ბაზრის ფუნდუკში შეირდა, ყავა დალია და ფინჯანი თან წაიღო, რათა შემდეგ არ გაეგო, რომ ავადმყოფობის გადადების შიშით დაამტკრიეს. სახლისკენ მიემართებოდა, როცა ქუჩის კუთხეში სკოლის მოსწავლეებმა ალყა შემოარტყეს და ტაშისცემით უღიერეს — „Vivael SIberfador!“[1] გენერალი ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა რა ექნა, სანამ თვით მოსწავლეებმა არ დაუთმეს გზა.

სახლში გრაფი რეჟეკურტი დახვდა, რომელიც გაუფრთხილებლად მოსულიყო ულამაზესი, ელეგანტური და ამაყი ქალის თანხლებით, რომლის მსგავსი გენერალს არასოდეს ენახა. მხედრული ტანსაცმელი ეცვათ, თუმცა ჯოხშებმული ეტლით ემგზავრათ. ქალს თავის ვინაობის შესახებ მხოლოდ ის წამოსცდა, რომ კამილა ერქვა და წარმოშობით მარტინიკელი იყო. გრაფს მეტი არაფერი დუმდატებია, თუმცა სალამოს განშავლობაში ცხადი გახდა, რომ უგონოდ იყო შეყვარებული მასზე.

კამილას იქ ყოფნამ გენერალს გარდასული დღეთა შემართება დაუბრუნა და საზეიმო სუფრის გაწყობა ბრძანა. მართალია, გრაფი კარგი ესპანურიი ლაპარაკობდა, მაგრამ საუბარი კამილას მშობლიურ ენაზე — ფრანგულად გაადგილეს. როცა ქალმა აღნიშნა, რომ ტრუბილეში დაიბადა, გენერალს ჩამქრალი თვალები აუცმაცინდა და გახარებულმა წამოიძახა: „იქვე, სადაც ჟოზეფინა!“

„თქვენგან სხვებზე ჭკვიანურ კომენტარს ველოდი, ბრწყინვალებავ“, გაიცინა ქალმა.

გენერალს გული ეტკინა და საფრანგეთის იმპერატრიცას მარი ჟოზეფის თვალუწვდენელ პლანტაციებს შორის, შაქრის რომის გამოსახელელი ქვაბების ოხშივარსა და ჩიტების ფრიამულში ჩაკარგული მშობლიური სახლი მოაგონა. ქალს გაუკვირდა, რა კარგად იცნობდა გენერალი იქაურობას. „მართალი რომ გითხრათ, მარტინიკაზე საერთოდ არ ყოფილვარ“, აღიარა გენერალმა.

„მაშ როგორ?“ დინტერესდა ქალი.

„წლების მანძილზე ვემზადებოდი“, თქვა გენერალმა, „რადგან ვიცოდი, რომ ერთ დღეს იმ კუნძულების ულამაზესი ქალის გაოცება მომიწევდა“.

შეუზერებლად ლაპარაკობდა გაბზარული, მაგრამ მეტყველი ხმით. ტანთ მოჩითული ბამბის შარვალი, ჯარისკაცის მუნდირი და ჭრელი ფეხსაცმელი ეცვა. ქალმა სასადილო ოთახში დაგუბებულ ოღეკლოსნის სუნს მიაქცია ყურადღება. გენერალი გამოტყდა, რომ სურნელოვანი წყალი მისი სუსტი წერტილი იყო და თავის დროზე მტრებმა ცილიც კი დასწამეს: სახალხო ქონებიდან რვა ათასი პესო ოღეკლოსნებში გაანაკეთო. თავს გუშინდელზე უკეთ არ გრძნობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფრთხილ მოძრაობებში ეტყობოდა.

კაცების საზოგადოებაში გენერალი ფასებზე უარესად ბილწსიტყვაობდა, მაგრამ ქალის კამოჩენისთანავე მისი მანერები და საუბარი სრულყოფილებამდე იხვეწებოდა. იმ ღელსაც საკუთარი ხელით გახსნა ბორგონიული ძვირფასი ღვინის ბოთლი, გასინჯა და ჭიქებში ჩამოასხა. გრაფმა უშიშრად შეადარა ღვინო ხავერდის ნაზ ალერსს. ყავას რომ სვამდნენ, ოთახში კაპიტანი იტურბიდე შემოვიდა და გენერალს ყურში უჩურჩულა. მან სერიოზულად მოუსმინა, მაგრამ შემდეგ სკამის საზურგეს მიეყრდნო და ხმამაღლა გაიცინა.

„გესმით?“ თქვა, „კარტახენადან დელეგაცია ჩამოსულა ჩემს დასაფლავებაზე“.

ახალმოსულებიც ოთახში მიიპატიჟა და მინტილია და მისი მეგობრები ძალაუნებურად აჰკვნენ თამაშში. ადიუტანტებმა ხან ხასინტოელ ფლეიტისტებს დაუძახეს, რომლებიც წინა დამის

---

[1] გაუმარჯოს განმათავისუფლებელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ იქ ტრიალებდნენ და ხანდაზმული ქალებისა და კაცების ანსამბლის სტუმრების პატივსაცემად ოსტატურად შეახრული კუმბია. კამილა აღფრთოვანა ფრიკული წარმოშობის ხალხური ცეკვის ინტიფუმ და მისი სწავლა მოახერხა. გენერალს კარგი მოცეკვავის სახელი ჰქონდა დაგებული და ზოგიერთ სტუმარს კარგად ახსოვდა, ტურბაკოში ბოლო ვიზიტის დროს რა ოსტატურად ცეკვავდა კუმბიას, მაგრამ კამილას საცეკვაოდ მაინც არ გაჰყვა. „სამი წელი დიდი დროა“, თქვა სიცილით. ქალმა ორი-სამი ილეთი ისწავლა და მარტომ იცეკვა. უცებ, ცეკვასა და ცეკვას შორის ჩამოკარდნილ სიჩუმეში ოვაციები, ხალხის ყვირილი, აფეთქებისა და სროლის ხმები მოისმა. კამილას შეეშინდა.

„დასწველოს ღმერთმა, მგონი რევოლუციაა“! ხერიოზულად თქვა გრაფმა.

„ნეტა იცოდეთ, როგორ გეჭირდება“, ღიმილით უპასუხა გენერალმა, „მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მამლების ბრძოლაა“.

შემდეგ დაუფიქრებლად დასრულა ყვავის სმა, ჰაერში ხელით წრე მოხაზა და სტუმრებს გალიერაზე[1] მიიწვია.

„შენც გამოგვყევი, მონტილია, რომ დარწმუნდე, როგორი მკედარი ვარ“, თქვა.

ამრიგად, ორ საათზე, გრაფი რეჟეკურტისა და მრავალრიცხოვან მეგობართა გარემოცვაში გალიერასკენ გაეშურა. მაგრამ მამლების ბრძოლის სანახავად თავშეყრილმა კაცებმა მასზე მეტი ყურადღება კამილას მიაქცეს. არავის სჯეროდა, რომ ეს ულამაზესი ქალი მისი ერთ-ერთი საყვარელი არ იყო, მით უმეტეს, გენერალს ისეთი ადგილას ჰყავდა მოყვანილი, სადაც ქალების ყოფნა აკრძალული იყო. განსაკუთრებით იმან დაიჭვათ, რომ კამილა გრაფთან ერთად დადიოდა, რადგან საქვეყნოდ იყო ცნობილი, რომ გენერლის საყვარ-

[1] გალიერა — მამლების ბრძოლის მოედანი.

ლები ხალხის თვალის ასახვევად სხვა კავალრებთან ერთად ჩნდებოდნენ ხაზოგადოებაში.

მეორე ბრძოლა მეტად დაუნდობელი გამოდგა. ჭრელმა მამალმა მოწინააღმდეგეს დეზებით თვალები დათხარა, მაგრამ დაბრმავებული მამალი არ დანებებულა, გააფთრებით შეუტია მტერს, თავი წაადებინა და დაკორტნა.

„პირველად ვხედავ ასეთ სისხლიან სანახაობას“, თქვა კამილამ, „მაგრამ ძალიან მომწონს“.

გენერალმა აუხსნა, რომ ბრძოლები უფრო გააფთრებით მიმდინარეობდა, როცა მამლებს ტრიბუნებიდან ყიჟინითა და ჰაერში სროლით ამხნევებდნენ, მაგრამ იმ დღეს მაყურებლები ასეთი ლამაზი ქალის ხათრით თავს იკავებდნენ. შემდეგ ეშმაკურად შეხედა კამილას და დაამატა: „ასე რომ, თქვენი ბრალია“. ქალმა მხიარულად გაიცინა.

„თქვენი ბრალი უფროა, ბრწყინვალეშავ“, უთხრა, „ამდენი ხანი მართეთ ეს ქვეყანა და ერთი ისეთი კანონი არ გამოგიციათ, რომელიც კაცებს აიძულებდა ერთნაირად მოქცეულიყვნენ ქალების თანდასწრებით თუ უმათოდ“.

„გთხოვთ, ბრწყინვალეშავ ნუ მეძახ“, უთხრა, გენერალმა „ისიც მეყოფა რომ სამართლიანი ვარ“.

იმ დამეს, სააბაზანოს უსარგებლო წყალში მოტივტივეს, ხოსე პალასიოსმა განუცხადა: „ასეთი ლამაზი ქალი ცხოვრებაში არ გვინახავს“.

გენერალმა თვალები გაახილა. „საშინელი ქალია“, თქვა.

გალიერაში სტუმრობა, საერთო აზრით, კარგი საშუალება იყო მის ავდმყოფობაზე მოარული ჭორების გასაფანტად, რაზეც უკვე ისე დაეჯოთებინთ ლაპარაკობდნენ, რომ მისი სიკვდილის ამბავიც არავის გაჰკვირვებია. გასეირნებამ შედეგი გამოიღო და კარტეზიანად სხვადასხვა მიმართულებით დაგზავნილმა ფოსტამ ქვეყანას მისი კარგად ყოფნა ამცნო, რაც მისმა მოძმრეებმა უფრო გამომწვევი, ვიდრე მხიარული სახალხო ზეიმით აღნიშნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალმა საკუთარი სხეულის მოტეკვებაც კი შეძლო და მთელი მომდევნო დღეების მანძილზე გამოცოცხლებული დადიოდა. ის კი არა, ადიუტანტებთან ერთადაც კი მიუჯდა ბანქოს სათამაშოდ, სადაც კაცები გაუთავებელი პარტიებით იქარწყლებდნენ მოწყენილობას. ყველაზე ახალგაზრდა და მხიარულმა ანდრეს იბარამ, რომელსაც ჯერაც არ განელებოდა ომის რომანტიკა, კიტოელ მეგობარ ქალს მისწერა: „შენს მკლავებში სიკვდილი მაჯობს უშენოდ მშვიდად ცხოვრებასო“. ადიუტანტები დღე და ღამე თამაშობდნენ, ხან ხუმადა ხანაც ხმამაღალი კამათით. წვიმების სეზონში მუდამ კოღოები ეხვეოდა გარს, რომლებიც დღისითაც აღარ ერიდებოდნენ ადამიანებს, მათ დასაფრთხობად ოთახში ახრჩოლებული საქონლის ნაკელის მიუხედავად. გენერალს გუადუალის იმ ავადსახსენებელი ღამის შემდეგ აღარ უთამაშია, რადგან უილსონთან მოიხდარმა ინციდენტმა მწარე მოგონება დაუტოვა, რომლის დავიწყებასაც მონდომებით ცდილობდა, მაგრამ ჰამაკში ჩაწოლილი ყურს უგდებდა მოთამაშეთა ყვირილს და მშვიდობის უსაქმურობაში ომზე მონატრებით საუბრს. ერთ ღამეს, სახლში ბოლთას რომ სცემდა, ცდუნებას ვერ გაუძლო და დერეფანში შეჩერდა. მის პირდაპირ მსხდომებს ანიშნა, ხმა არ ამოეღოთ და ზურგიდან მიუახლოვდა ანდრეს იბარას. მხრებში მტაცებელი ფრინველივით ჩასო ბრჭყალები და ჰკითხა:

„მითხარი, მეგობარო, შენც მკვდარს მამგვანებ?“

გენერლის მოულოდნელ გამოხდომებს შეჩვეულ იბარას თავიც არ მიუბრუნებია.

„მე არა, ჩემო გენერალო“, უთხრა.

„ან ბრმა ხარ, ან მატყუებ“, თქვა გენერალმა.

„ან ზურგი ვზივარ“, დაამატა იბარამ.

გენერალი თამაშით დაინტერესდა, დაჯდა და პარტია დასხრულა. ეს ფაქტი ყველამ ნორმალური ცხოვრებისკენ შემობრუნებად აღიქვა, რომელიც იმ ღამეს არ დასრულებულა და მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა. „სანამ პასპორტი არ ჩამოვა“, აღნიშნა გენერალმა. და მაინც, ხოსე პალასიოსმა პირდაპირ განუცხადა, რომ ბანქოს პარტიებისა და გენერლის მიერ გამოჩენილი ყურადღების მიუხედავად, ოფიცრებს ყელში ჰქონდათ ამოსული დაუსრულებელი მზადება არსაიან გასამგზავრებლად.

ბოლივარიკით არავინ ნუხდა თავისი ოფიცრების ბედზე, თუ ყოველდღიურ წვრილმანებზე. მაგრამ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, საკუთარ თავსაც ატყუებდა ხოლმე. უილსონთან ინციდენტის შემდეგ, მდინარეზე მოგზაურობისას ზნირად ივიწყებდა საკუთარ ტკივილებს მათ მისახედად. უილსონის საქციელი იმდენად უცნაური და მოულოდნელი იყო, რომ მისი გამომწვევი მხოლოდ უკიდურესი იმედგაცრუება შეიძლებოდა ყოფილიყო. „ეამამისივით კარგი მეომარია“, აღნიშნა გენერალმა ხუნინთან ბრძოლის შემდეგ. „და მასზე თავმდაბალი“, დამატა, როცა უილსონმა უარი თქვა მარშალ სუკრეს მიერ მინიჭებულ პოლკოვნიკის წოდებაზე ტარკის ბრძოლის შემდეგ. რაც ძალით მიაღებინა გენერალმა.

გენერალი ომიანობისა თუ მშვიდობის დროს ყველასგან რკინისებურ დისციპლინას მოითხოვდა, რომლის გაძლება დიდ გმირობასთან ერთად ერთგულებასა და ნათელმხილველობამდე მისულ თანამზრახველობას მოითხოვდა. მისი ადიუტანტები ეაზარმებში კი არა, ომში გამოჯეგილი ჯარისკაცები იყვნენ, რადგან აუარაცელ ბრძოლებში ამისუნთქვინა და ბანაკში ცხოვრების საშუალება თითქმის არ ჰქონიაო. რა ჯურის ხალხს არ შეხვედობდით აქ, მაგრამ გენერლის უახლოესი გარემოცვა საუკეთესო სკოლებში აღზრდილი კრეოლი არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. ომმა ისინი შშობლიურ კერასა და ცოლ-შვილს დაშორა, გამოუვალმა მდგომარეობამ კი პოლიტიკოსებად და საზოგადო მოღვაწეებად აქცია. იტურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდესა და ევროპელი ადიუტანტების გარდა ყველა ვენესუელელი იყო და შორეულ თუ ახლო ნათესავად ეროვ-ბოდა გენერალს: ფერნანდო, ხოსე ლაურენსიო, იბარბი, ბრისენიო მენდესი. სწორედ ნათესაური კავშირი აერთიანებდათ მათ და გამოარჩევდათ სხვებისგან. მხოლოდ ერთი მთგანი — ხოსე ლაურენსიო სიღვა ეკუთვნოდა სხვა წრეს. იგი სოფელ ელ ტინაკოელი ბებიაქალისა და მეთევეზის შვილი იყო და მშობლების გამოისობით მულატისფერი კანი ჰქონდა. მაგრამ გენერალმა მას თავისი ერთ-ერთი ძმისშვილი, ფელისია შერთო ცოლად. სიღვამ განმთავისუფლებელი არმიის მოხალისეობიდან. სადაც თექვსმეტი წლისა ჩაეწერა, ყველა საფეხური განლილი და 58 წლისა გენერალი გახლდათ. ორმოცდათორმეტ ბრძოლაში თხუთმეტი მძიმე და უამრავი მსუბუქი ჭრილობა მიიღო. კანის ფერმა ერთადერთხელ განაცდევინა უსიამოვნება, როცა ერთ საზეიმო მიღებაზე ადგილობრივმა არისტოკრატმა ქალბატონისა უარი თქვა მასთან ცეკვაზე. მაშინ გენერალმა ვალსი გაამეორებინა და თვითონ აცეკვა სიღვა.

გენერალი ო'ლარი მეორე უკიდურესობას წარმოადგენდა: ქერა, მაღალი და ვაჟკაცური მუდამ ფლორენციელ ფორმებს იცვამდა. ვენესუელაში თერმეტი წლისა ჩავიდა წოფელ ჰუსართა უმცროსი ლეიტენანტის სამრეკვეით და გენერლის ჩინი დამოუკიდებლობისთვის გამართულ ყველა ბრძოლაში მონაწილეობით დაამსახურა. რაღაც ხნის მანძილზე მასაც, როგორც დანარჩენებს უთანხმოება ჰქონდა გენერალთან. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბოლივარის მიერ მიჩნეულებლად გაგზავნილმა სანტანდერის ბრძანებლებ დაიჭირა ხოსე ანტონიო პაესთან პაექრობაში. გენერალმა სალმის მიცემა შეწყვიტა და თოთხმეტი თვის მანძილზე, სანამ ბრაზი გაუნელდა, ბედის ანაბარა მიაგდო.

თითოეული მათგანი სანაქებო თვისებებით იყო დაჯილდოებული. სამწუხარო ის იყო, რომ თვით გენერალი ქმნიდა ხოლმე თავისდაუნებურად გადაულახავ ბასტიონს მასა და ადიუტანტებს შორის. მაგრამ იმ დამეს, როცა ხოსე პალასიოსი მათ სულიერ მდგომარეობაზე ესაუბრა, გენერალი მათთან ერთად დაჯდა სათამაშოდ და მთელი დამე სიამოვნებით აგებდა.

ცხადი იყო, რომ ძველი წყენა აღარავის ახსოვდა, არად აგდებდნენ დამარცხების შეგრძნებას, ამდენი ომის მოგების მიუხედავად რომ დაუფლებოდათ. არ განაცდიდნენ, როცა გენერალი სხვებთან მათ გათანაბრებას ცდილობდა, რათა უცხოთა თვალში პრივილეგირებულნი არ გამოჩენილიყვნენ. არც მომთბარე ცხოვრების უხერხულობანი ადარდებდათ და არც შემოხვევითი სიყვარულების საშიშროებები. მთავრობამ სამხედროთა ხელფასი ერთი მესამედით შეამცირა ქვეყნის დუხჭირი ბიუჯეტის გამო და იმასაც სამი თვის დაგვიანებით იძლევდნენ არაკონვერტრირებადი ბონებით, რომლებსაც ჯარისკაცები ბარჟის გადამყიდველებს აძლევდნენ გასაყიდად. არად დაგიდევდნენ, რომ გენერალმა ისე მოიჯახუნა ქვეყნის კარი, ლამის მთელი მსოფლიო შეაზანზარა. მაშინაც არ შედრკებოდნენ, თუკი გენერალი წავიდოდა და მათ ბედის ანაბარა მიატოვებდა. მათ არაფერი რჩებოდათ, დიდება სხვისთვის იყო ჭანკუთვნილი. მხოლოდ ერთი რამ ვერ აეტანათ: გაურკვევლობა, რაც მას შემდეგ დაუფლებოდათ, გენერალმა რომ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა. რაც უფრო ჭიანურდებოდა გამგზავრება არსაით, ეს გრძნობა უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ხდებოდა.

იმ დამეს გენერალი ისეთი კმაყოფილი ჩანდა. რომ ბანაობისას ხოსე პალასიოს განუცხადა, ოფიცრებსა და ჩემს შორის უსიამოვნების ნატამალიც არ დარჩენილაო. თვით ოფიცრებს კი მეეჭვენთო, თითქოს გენერალს, მადლიერების ან დანაშაულის გრძნობის ნაცვლად, მათ მიმართ უნდობლობა, დაეუფლა.

განსაკუთრებით ხოსე მარია კარენიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიცდიდა. ნავში ღამეული საუბრიდან მოყოლებული, წარბი არ გაუხსნია და თავისდაუნებურად უწყობდა ხელს ჭორების გავრცელებას, თითქოსდა ვენესუელელ სპარატისტებთან ჰქონდა კავშირი. ოთხი წლის წინათ გენერალმა გულიდან ამოირეცხა კარენიო, ო' ლერის, მონტალიას, ბრისენიო მენდეზის, სანტანასა და სხვათა მსგავსად, რადგან ეჭვობდა, ჯარისკაცთა ხარჯზე სურს პოპულარობის მოპოვებაო. გენერალი ახლაც მაშინდელივით უთავლთვალებდა კარენიოს. ზვერავდა მის მოქმედებებს, გაფაციცებით უსმენდა მასზე მიარულ ჭორებს და ცდილობდა ეჭვების ბურუსში ნათელი წერტილი გაერჩია.

ერთ ღამეს, კაცმა არ იცის — ძღლში თუ სიფხიზლეში, კარენიომ მეზობელ ოთახში წარმოთქვა, რომ სამშობლოს კეთილდღეობისთვის ღალატიც კი მისალები იყო. მაშინ გენერალი მასთან შევიდა, ხელმკლავით პატიოში გაიყვანა და გათვლილი შინაურული ტონით, რასაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავდა, მისი მოთაფლვა სცადა. კარენიომ გულისნადები გაუმხილა. ძალზე სწყინდა, რომ გენერალი თავის ნამოდვაწარს ბედის ანაბარა ტოვებდა და არც უმისოდ დაობლებული თანამებრძოლების ბედი ადარდებდა. ღალატს კი მარილა აპირებდა. ამ ბრძოლა მოგზაურობაში იმედის ნაპრწკლის ძიებით დაღლილსა და სულგაძაღლებულს ვენესუელაში გაქცევა გადაწყვეტა, რათა ერთიანობისთვის ბრძოლას ჩადგომოდა სათავეში.

„ამაზე ღირსეული არაფერი მომდის თავში“, დასაკვნა,

„შენ გგონია, ვენესუელაში უკეთესად მოგექცევიან?“, ჰკითხა გენერალმა.

კარენიომ ვერ გაბედა დადასტურება.

„რაც უნდა იყოს, სამშობლო იქაა“, თქვა.

„მხდალი ნუ ხარ“, შეეპასუხა გენერალი. „ჩვენთვის სამშობლო მთელი ამერიკაა. სხვა გზა, უბრალოდ, არ გვაქვს“.

მეტი აღარაფერი ითქმევინა და ძალზე დიდხანს ელაპარაკა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს დიდი ხნის გულისნადებს უმხელდა, მაგრამ ვერც კარენიო, ვერც სხვა ვინმე ვერ იტყოდა, გულწრფელი იყო გენერლის სიტყვები თუ არა. ბოლოს, მხარზე ხელი დაჰკრა და ჩამოწოლილ სიბნელეში უთხრა:

„გეყოფა ბოდვა, კარენიო, ამ საქმეს არაფერი ეშველება“.

ოთხშაბათს, 16 ივნისს, შეიტყო, რომ მთავრობას მისთვის სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაენიშნა. ამ ცნობის მიღება პრეზიდენტ მოსკერას ირონიით სავსე წერილებით აცნობა, რომელიც, ხოსე პალასიოსის წაბაძვით, მრავლობით რიცხვში დასრულა. „ასე რომ, მდიდრები ვართ“, სამშაბათს, ოცდაორში, პასპორტიც მიიღო და განაცხადა: „თავისუფლები ვართ“. ორი დღის თავზე ორსაათიანი სიესტის შემდეგ, ჰამაკში თვალი გაახილა და აღნიშნა: „მოწყენილები ვართ“, მაშინ გადაწყვიტა სასწრაფოდ გამგზავრებულიყო კარაკასში. ამინდიც შესაფერისი იდგა — გრილი და მოღრუბლული. ერთადერთი ბრძანება გასცა: ამალის ოფიცრები სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი და უიარაღოდ უნდა გაჰყოლოდნენ. არავისთვის არაფერი აუხსნია, არც მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი გაუმხელია, არც არავის დამშვიდობებია. როგორც კი პირადი დაცვა გაემზადა, დრო აღარაფერზე დაუკარგავთ, ამალის დარჩენილი ნაწილი და ბარგი ადგილზე დატოვეს.

თავისი მრავალრიცხოვანი მოგზაურობის დრის გენერალი გაუთვლელ-ზენებელ ადგილებზე ჩერდებოდა ხალმე, რათა გზად შემხვედრი ხალხის პრობლემები მოესმინა და გადაეწყვეტა. ყველაფერი ინტერესებდა: ბავშვების ასაკი, ავადმყოფობანი, ხალხის საქმიანობა და მათი აზრები. ამჯერად სიტყვაც არავისთან დასცდენია, ნაბიჯი არ შეუნელებია, არ დაუხვევლებია, დალილობის ნიშანწყალი არ დასტყობია და მთელი დღე ჭიქა აპერიტივის მეტი პირში არაფერი ჩასვლია. ოთხი საათისთვის ჰორიზონტზე გორაკზე წამომართული მონასტრის კონტურები გამოიკვეთა. სახალხო ლოცვის დრო დამდგარიყო და ვიწრო ბილიკებზე ჯანჭველებივით მოჩანდნენ პილიგრიმები. ცოტა ხნის შემდეგ ცას მუქ ლაქად დაჩნდა სვავების გუნდი, რომლებიც ბაზარსა და სასაფლაოს დასტრიალებდნენ თავს. ქალაქის კედლებს რომ მიუახლოვდნენ, გენერალმა ხელის დაქნევით მიიხმო ხოსე მარია კარენო. იგი ბოლივარს წამოეწია და მკლავი შესთავაზა, მიმინოსავით რომ ჩაბღაუჭებოდა. „კონფიდენციალური დავალება მაქვს თქვენთვის“, უთხრა გენერალმა ხმადაბლა, „როგორც კი ქალაქში შეავლთ, გამიგეთ, სად არის სუკრე“, შემდეგ მხარზე ჩვეულებისამებრ დაჰკრა ხელი გამომშვიდობების ნიშნად და დასძინა: „რა თქმა უნდა, ჩვენს შორის უნდა დარჩეს“.

სანეფო გზაზე მრავალრიცხოვანი ამალა იცდიდა მონტილიას მეთაურობით და გენერალი იძულებული გახდა ესპანელი გუბერნატორის ჯორებშებმულ ძველ ეტლში გადამჯდარიყო. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო, მაგრამ მანგოს ტოტები ცეცხლმოკიდებულივით აბრიალებულიყვნენ ქალაქის გარშემო დამყაყებული, მკვდარი ჭაობების სიმყრალეში. მათი ოხშივარი უფრო გაუსაძლისი ჩანდა, ვიდრე საუკუნის მანძილზე სასაფლაოს ნარჩენებითა და სისხლით ფერნაცვალი, ყურეს დამპალი წყლის სუნი. ნახევარმთვარის კარიბჭიდან რომ შევიდნენ ქალაქში, ბაზრიდან დამფრთხალი სვავთა გუნდი წამოიშალა და ჰაერში აიჭრა. იქ ცოფიანი ძაღლით შეშინებული ხალხი ტრიალებდა. ძაღლს დილით რამდენიმე კაცი დაკბინა, მათ შორის ერთი თეორკანიანი ქალი, რომელიც ბაზარში ქურდობდა, და მონათა უბნიდან რამდენიმე ბავშვი, რომლებმაც ჩაქოლეს კიდეც ცხოველი. გვამი სკოლის შესასვლელთან ეკიდა ხეზე. მონტილიამ მისი დაწვა ბრძანა, მარტო სანიტარული მოსაზრებით კი არა, უფრო იმიტომ, რომ მონათა უბნელებს აფრიკული მისნობით არაფერი შეელოცათ. კედლებშემორტყმული დასახლების მცხოვრებლები ქუჩაში გამოეფინენ. ივნისის მზეში საღამო თითქოს ერთ წერტილში გაყინულიყო. ქუჩები ხელოვნური ყვავილებით მოერთოთ, აივანზე კი მადრიდულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალატნენი ჩანდნენ. ისმოდა ტაძრის ზარების რეკვა, მუსიკის ხმა და არტილერიის ზათქი, მაგრამ მაინც იგრძნობოდა სიდუხჭირე, რომლის დამალვასაც დიდი მონდომებით ცდილობდნენ. გენერალი თავვადახდილი ეტლიდან ქუდის ქნევით ესალმებოდა ხალხს და ამ საცოდავ ხანახობას 1813 წლის აგვისტოში კარაკასში ტრიუმფალურ შესვლას ადარებდა. იმ დღეს დაფნის გვირგვინებით შემკულ ეტლს ქალაქის ექვსი ულამაზესი ქალიშვილი მოაგორებდა, თვალცრემლიანმა ხალხმა კი სწორედ იმ დღეს უწოდა დიდებული სახელი: ელ ლიბერტადორი. კარაკასი იმხანად კოლონიური პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინციის შორეული, ნაღვლიანი, უშნო და ხელი დასახლება იყო. მაგრამ აკვილას ადამიანებში გენერალს სწორედ მისი ნოსტალგია ტანჯავდა.

